ᲫᲘᲠᲘᲗᲘ

18

1956

ფოთლები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის
აჭარის განყოფილების
ალმანახი

18

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი
1956

ᲤᲠᲘᲓᲠᲮ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ

⁂ ⁂

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

არა თუ გულის მღელვარე ცემა,
თვალის ბახელა,
სუნთქვა, აზრი,
მარჯვენის ძალი,
პარტიავ,
შენთვის ძალად იქცეა
ერთი უბრალო პურის მარცვალიც.

შენ ქვეყანაზე
გაზაფხულად გადაიარე,
სინათლე ასვი ყოველ ფოთოლს
და ყოველ ღეროს,
შენ დაურიგე ადამიანებს
მზე საარსებო,
სატრფიალო
ოა სასიმღერო.

შენი ძალაა
ყოველი დღის ცისკარი ჭრელი,
მიწა გაშლილი პოლუსებამდე,
ზანგი მებამბე,
კანადელი ვინმე ტყისმჭრელი.
და ესპანელი,
რომ ამარცხებს ღამეებს ამდენს.

შენი ძალაა
გულმართალი კაცი მშრომელი,
ყანა, ბაღნარი,
ტრაქტორი, ქურა,
პატიოსანი ლექსი, რომელიც
აწ უნდა ითქვას,
ან უკვე თქმულა.

შენი ძალაა ჯეჯილები,
ალტაის მკერდზე,
ქართლის უბეში
რომ ამდენი ფერის ვარდია.
ჩემს ქვეყანაში
კაცი, სადაც უნდა შეჩერდეს,
შენს ძალას იგრძნობს,
ჩემო პარტიავ!

შენმა გენიამ
მდინარეთა დენა შეცვალა,
გზები აჩვენა ყველა თაობას
და უხარია დედამიწას,
რომ შენი ძალა
დაეწინამძღვრა
მის მოძრაობას.

თუ არ გიყვარს ადამიანი...

მე მოსკოვში ვარ, მეგობარო,
ამ გაზაფხულზე
და შენს წერილებს ველი, სულ ველი,
მაგრამ შენს თვალებს,
ვით ვარსკვლავებს,
შორიდან ვუმზერ
და ნიავს მგონი ახლავს შენი
თმების სურნელი.

ამბობენ მზეზე
აფეთქება მომხდარა დიდი,
კოსმოსის მტვერით
დაბომბილა მიწის თავანი,
სამხრეთში თურმე შეეცვალა
აპრილს ამინდი
და თოვლმა ხილი დაგვიმტვრია
ბაღში მრავალი.

ნუთუ ამიტომ
ეგ წერილი იგვიანებდა?..
გაზაფხული ხომ მაინც მოჰყვა
მიწას გვიანი,
რომ კვლავ სიცოცხლემ
ალამაზოს ჩვენი პლანეტა
და კვლავ უყვარდეს ადამიანს
ადამიანი.

მე მოსკოვში ვარ
და ვყიდულობ სამხრეთის იებს,
ეს ყავილები ჩემს ოთახში
ცოცხლობენ ორ დღეს,
მაგრამ იები შენ გიყვარს ძლიერ.
ჰოდა, უბრალოდ,
მეც მინდა მქონდეს.

მე მოსკოვში ვარ, მეგობარო,
ამ გაზაფხულზე
და ვგრძნობ ჩემია
ეს ხმელეთი, ეს ცა მთლიანი,
მაგრამ ეს მიწა,
ეს სილურჯე,
ვარსკვლავი, თუ მზე
არაფერია,
თუ არ გიყვარს ადამიანი.

ზამთარი დედაქალაქში

ჩვენ გამოვედით გორკის ქუჩაზე,
ვიყავით სამნი,
სწორნი და ტოლნი,
დოლგორუკს მხარზე სუფთა, შუქსავსე,
ვით მაღალ პამირს,
შვენოდა თოვლი.
— ჩვენთან ჯერ ისევ ზაფხული არი, -
დაიწყო ერთმა.
მეც მსურდა მეთქვა:
„ჩვენთან ხეზეა ჯერ ფოთოხალი.
არ დაუწყიათ ჯერ კიდევ კრეფა“.
ამ დროს მესამემ დამასწრო —
ცხელი
მზის წყარო მასვეს სამხრეთის მთებმა,
აქ ყინავს,
მაინც რა საკვირველი
სითბოა.
როგორც უბეში ხელი,
გული მოსკოვის ქუჩებში თბება.

ფუტკარი მღერის

აქ ჩემი მიწის ჩვენი სურნელი
თეთრ ყვავილებში გროვდება ბევრი,
აქ საზეიმო და სასურველი
ხმით ყვავილებში ფუტკარი მღერის.

ფოთლებზე დაცრა აისმა ცვარი,
ქარმა წაიღო ჰანგები ველის.
აქ შრომითა და ტრფობით დამტკბარი
ფუტკარი მღერის.

არ გაუშლია მიწაზე მაისს
ჯერ ყვავილები ამდენი ფერის,
სიმდიდრე არის. სიუხვე არის,
ფუტკარი მღერის.

ნეტავ ისეთი სიმღერა მეთქვას,
წვეთ თაფლად ღირდეს ძახილი მთელ
და ჩემი ქალმის პატარა ნექტარს
დაადნეს სიტყვა, როგორც სანთელი.

მიწის სურნელი

მაგ სილამაზეს, ტკბილო
მხარევ, რად უნდა ქება,
თბები, რომ გაიღიმონ
საქართველოში ქვებმაც.

შენ, დიდო ლურჯო ცაო,
ხარ ტოროლებიან სავსე,
ახალ სიმღერას ვსწავლობ
მათი წკრიალის ხმაზე.

მარად იხარე ბაღო,
ვაზო და ბაღჩავ უხვო,
აქ წყარო მოჩუხჩუხებს
მუდამ ვიღაცას უხმობს.

მუდამ რაღაცას ამბობს
ქარში გაშლილი ისლი.
ყანაში ჩალას ალბობს
დილა, ნიავი, ნისლი.

მე მდიდარი ვარ შენებრ,
რომ შენი ენა ვიცი,
მაშ რაღა შემაჩერებს,
როცა ფილტვებში იწვის
სურნელი შენი მიწის.

ვარსკვლავთმრიცხველი

აბასთუმნის ობსერვატორიის მეცნიერს

ის შინ დაბრუნდა ძალიან გვიან
და როცა შედგა ფეხი კიბეზე,
კედლებმა იწყეს ჩუმი ჭრიალი, —
კედლებმა იგრძნეს იმისი დაღლა.

ის ფეხაკრეფით ავიდა ზევით,
გამოიღვიძა სახლმა ღამეში,
მაგრამ ოთახში სძინავს პატარას
და იქვე ლამაზ დედილოს სძინავს.

ის აივანზე შეჩერდა.
ერთხელ
კიდევ გახედა ცას დაფიქრებით.
ზეცა კი ჩუმი, როგორც სიზმარი
და ფრთხილი, როგორც დამარცხებული,
კაცს მოჰყვა აქა, ოთახის კართან,
მაგრამ ოდაში ვერ შეეტია
და უსასრულოდ შეჩერდა გარეთ.

ადამიანი დგას აივანზე
და ვარსკვლავეთი გაოცებული
უმზერს მაღლიდან ასეთი ფიქრით:

როგორ გაბედა ამ უსუსურმა,
რომ შეხებოდა ჩემს საიდუმლოს.
გამიხსნა მკერდი და ორიოდე
მიწიურ დღეში გადაიარა
მილიონობით სინათლის წელი.
ადამიანი დგას აივანზე,
კარი ნახევრად გაღებულია.
შიგ ფანჯარასთან, მთვარის ნათელში
სუნთქავს ბიჭუნა დედასთან მწოლი.

მისი ფუნთუშა, პატარა ხელი
გადაწოლია მსუბუქად საბანს,
რომელზეც დედას ფერადი ძაფით
ვარსკვლავიანი ცა დაუქარგავს.

ადამიანი დგას აივანზე.
ირგვლივ ქვეყანა გაშლილა წყნარი
და ხეობებში დასაძინებლად
ეძვება ნისლი ისეთი თეთრი,
როგორც მძინარე ბიჭუნას ხელი.

ადამიანი დგას აივანზე,
მძლავრი, ამაყი და კმაყოფილი.
მას ძალა ერჩის, წყურია ბევრი,
ის მოუღლელი თვალებით სინჯავს
საკვირველებას მსოფლიოს ფსკერზე.

რა ამინდია!
ასეთ ამინდში
კაცს შეუძლია სულ იმუშაოს
და გაინათოს ცხოვრება აზრით.
რა არის კაცის აზრზე ძლიერი!

ამ დროს კი ყველგან დედამიწაზე
ავსებენ ეთერს ახალი ამბით:
აბასთუმნიდან ერთმა ქართველმა
აღმოაჩინა ჯერუნახავი,
ჯერაუხსნელი დიდი ვარსკვლავი,
გადაიტანეთ რუკებზე ყველამ.

ადამიანი დგას აივანზე,
მისი ოცნება და სურვილები
უსასრულოა, როგორც სამყარო.

ოცნება სოფელზე მოსკოვში

მიყვარს შენი ცა, მზე, მიწა, ხილი
და შენს ბუხრებში ცეცხლის ტკაცუნი.
შენი სიმღერა, შენი ძახილი,
ასე უბრალო, ასე კაცური.

მე დამივლია შენი ტყე-ველი,
თავზე დამსხმია შენი წვიმები
და სიყვარული შეურყეველი
მხვდა შენი წმინდა განაწილებით.

ვით მიწას დარი მზით შემმოსავი
გულს შენი მთების ხილვა უნდება,
და ეს სიცოცხლე შენს წყაროსავით
იწყება, მიდის, არ დასრულდება.

მე შენს კალთაში მიოცნებია
და მზერა მთიდან მთად გადმისვრია;
მეგონა შენი ბილიკი ქვეყნის
უსასრულობის დასაწყისია.

მეგონა შენი წყალნი ჩხრიალით
ბროლის მძივებს რომ კლდეზე ისვრიან
მაგ ერთადერთი ღელის კი არა,
ყველა მდინარის დასაწყისია.

შემდეგ გავყევი ქვეყნის შარაგზებს
მივხვდი ცხოვრება რა ლამაზია,
მივხვდი, ფიქრები, მანდ რომ გავშალე,
როდი ყოფილა მთლად ფანტაზია.

თურმე შენ მართლაც დიდზე დიდ ხარ,
ნაპირი ქედებს გადასცდენია
და ამ მამულში, სადაც მივდივარ
მეუბნებიან — „აქაც შენია“.

მე ყველგანა მყავს ძმა, ნათესავი,
მე ციმბირელთან მაქვს მეგობრობა,
აქ, მოსკოვშიაც, აი ეს არი
გაიგეს შენი კარგი სოფლობა.

დღეს დავაბიჯებ მოსკოვ-ქალაქში,
სოფელო, როგორც ერთ დროს პატარა
იმდენ სურვილით, ფიქრით, თამაშით
დავაბიჯებდი მაგ შენს მთა-ბარად.

* * *

ხომ შეიძლება მიყვარდეს ღამე,
მდინარის პირი, ჩრდილი, ბუჩქები,
ადამიანებს სხვადასხვა რამე
უყვართ.
ჰოდა მაშ რას მემუქრები?
ხომ შეიძლება მიყვარდეს ტყეში
დავიწყებული ბილიკით რბენა,
ხომ შეიძლება ბავშვების წრეში
ისევ თავიდან ავიდგა ენა.

ხომ შეიძლება, ფოთლების შვავი
რომ გადალეკავს ხავსიან ფესვებს,
სადმე შენს მუხლზე ჩამოვდო თავი
და ვიოცნებო ხვალინდელ დღეზე.

ჩემი ყრმობის მეგობარი

ძლიერ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი,
მაგრამ ბავშვობა ჟამთა სვლას მიჰყვა,
ამ ცხოვრებაში ჩვენც შორს წავედით
და ერთმანეთი ვერ ვნახეთ დიდხანს.
ვერ ვნახეთ დიდხანს,
მაგრამ იმ დღეებს,
როცა ყანიდან ფეხშიშველები
ჩამოვირბენდით და ღრმა ღელეებს
ავადუღებდით,
ვერ შეველევი.
სოფლის ბუნებას ჩვენაც ვშვენოდით.
იყო დღეები ცივიც, უნისლოც,
ჩვენი ძმობაო, მეუბნებოდი.
გულს არასოდეს გადაუვლისო.

და ვუცინოდით ერთმანეთს, შემდეგ
ჩვენი ბავშვობა წაიღეს წლებმა,
წაიღეს, მაგრამ მეგონა დღემდე,
გულები მაინც არ შეიცვლება.
და როს ქალაქში ფეხი შემოვდგი,
ვერა, ვერ ვიგრძენ ზღვა და ნიავი,
რადგან შენ უფრო მენატრებოდი,
შენ, ჩემი კარგი ადამიანი.
ღა მოვადექი დღისით კაბინეტს,
მაგრამ კარებთან დამხვდა მდივანი.
გითხრა, რომ მე შენს ნახვას ვაპირებ,
შენ კი იკითხე მაინც: „ვინ არი?“
და თქვი:
„ჰო, ვიცნობ...
მაგრამ ამ წუთში
გავდივარ,
უკვე მელის მანქანა.
ხვალე მობრძანდეს“...
და მე დავმწუხრდი,
წყენამ წამწამი ამიკანკალა.
წაველ უსიტყვო და უღიმარი,
გულში ტკივილი ჩამრჩა ძლიერი.
„ხვალე მობრძანდეს“...
„ვიცნობ...“
„ვინ არი...“ —
მე დამედევნენ, როგორც ტყვიები.
გაველ, ქვეყანა შემომხვდა თბილი
და თვალზე ჩრდილმა გადამიარა,
ქუჩაში შენი ძველი ღიმილით
მე გამიღიმა ადამიანმა.
მე ხვალ არ მოვალ...
გული არ მოდის,
რომ მოგონება შენ არ დაჩრდილო,
გულს უნდა ყრმობის და მეგობრობის,
ეს სიყვარული გადავარჩინო.

მთის სიმფონია

მთებს მოხვევია
გაზაფხულის ლურჯი ჰაერი,
წუხს სალამური...
ორღობეში მღერის ბიჭუნა,
სურნელი დაჰქრის გადასარევი,
ზორს ზღვის ბალიშზე
მზე მიხუჭულა.
ფრთხილი ნაბიჯით
გოგომ თითქოს ტყეც ჩააჩუმა,
ცვრიან ბალახში დაუსველდა
კაბა, მუხლები...
ოი, რამდენი სიყვარული
აქ დახარჯულა,
ოი, რამდენი სიყვარული
გვაქვს ხელუხლები.
დაბურულ ტყეში
ფეხაკრეფით იგი შევიდა,
იქით ეძახის კვლავ სალამური...
აშკარა იყოს ყველაფერი
ქვეყნად მე მინდა,
სიყვარული კი...
დარჩეს მალული.

ილია რუხაია

* *

პატარა მოთხრობები

ცნობილი კაცის გვარი

ყოველ ადამიანს, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს იგი, აქვს თავისი საყვარელი გასართობი, რომლით გატაცება ხანდახან უკიდურესობამდე მიდის.

ალბათ შეხვედრიხართ მხედარს, რომლის ცხენი დოღში ყოველთვის ბოლოს მიდის, მაგრამ რომელსაც გზიდან გადასვლა ერთხელაც არ უფიქრია; მონადირეს, რომელსაც წლების მანძილზე ბეღურის მეტი ვერაფერი მოუკლავს, მაგრამ თოფს მაინც არ ეშვება; მოჭადრაკეს, რომელიც რამდენიმე სვლაში აუცილებლად აგებს, მაგრამ მზად არის ჭადრაკის დაფასთან მთელი ღამეები ათიოს; ფეხბურთელს, რომელსაც... მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!

მიუხედავად ამისა, ჩვენ აზრადაც არ მოგვდის დავცინოთ მათ. უკიდურეს შემთხვევაში ღიმილით ვკმაყოფილდებით და ეგ არის. გატაცება ხწირად ძისატეევებელია, რადგან ჩვეულებრივ მას ბადებს მეოცნებე და რომანტიკული სულის უწყინარი მღელვარება.

ნიკო ბოსტავაშვილიც ამგვარ ადამიანთა მარაქას ეკუთვნოდა. ოღონდ ეს კია: მისი გატაცების საგანი არასოდეს არ ყოფილა ისეთი რამ, სადაც საჭიროა თვალის სისწრაფე და მუხლის სიმაგრე, ვაჟკაცური შემართება და მოუქანცავი შეუპოვრობა. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს მისი პროფესიისა და ასაკის ადამიანისაგან, ნიკოს თავდავიწყებამდე უყვარდა კროსვორდის... დიახ, კროსვორდის ამოხსნა.

რომ გეკითხათ, თვითონაც ვერ გეტყოდათ სად და როდის დაიწყო მისი გატაცება. შესაძლოა გიმნაზიაში, სადაც მხოლოდ ერთ წელიწადს სწავლობდა. შესაძლოა უფრო გვიანაც. მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. საკვირველი ის იყო, რომ ეს გატაცება ნიკოს ბოლომდე შერჩა. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ „პიონერსკაია პრავდასა“ და „ნორჩ ლენინელში“ მოთავსებული კროსვორდების ამოხსნასაც არ თაკილობდა. ამის ნიადაგზე წვილიშვილთან უსიამოვნებაც მოსვლია.

ნიკოს გატაცება სოფელში ბევრს გადაედო, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ბავშვებს. თუ რომელიმე მათგანს კროსვორდის შევსება გაუჭირდებოდა, ძია ნიკოსთან გარბოდა. ყველამ იცოდა, ამოუხსნელის ამომხსნელი მხოლოდ ის იყო. თან (ცოდვა გამხეელილი სჯობია) ისიც იცოდნენ, რომ კეთილი მოხუცი თავისი განთქმული ბაღიდან აუცილებლად გულუხვად ვაუმასპინძლდებოდა სტუმარს.

მაგრამ, ერთხელ თვითონ ნიკოც ჩავარდა გაჭირვებაში. ორ დღეს იმტვრია თავი, მაგრამ ვერ მოახერხა და ვერა ერთ-ერთ ილუსტრირებულ ჟურნალში

მოთავსებული კროსვორდის პირველი ჰორიზონტალური მწკრივის ამოხსნა. „ცნობილი ქართველი მიჩურინელი — პრაქტიკოსი“ — ეწერა განმარტებაში, მაგრამ ამ ცნობილი კაცის გვარს ვერ მიაგნო.

ბოლოს იძულებული გახდა შვილიშვილს გამოტყდომოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, ამიტომ ნიკოს არ გაკვირვებია, რომ თემური ბაბუას განცხადებას დაუფარავი ნიშნის მოგებით შეხვდა. სამაგიეროდ ნიკო გააკვირვა სხვა რამემ. როგორც კი კროსვორდს თვალი გადაავლო, ბავშვს სიცილი წასკდა. იცინოდა, ბაბუას წინ ხტოდა და თან გაიძახოდა:

— ამოვხსენი, ოლ-ოლ-ო!.. ამოვხსენი, ოლ-ოლო!.. ახლა შენი ჯერია!

მაგრამ ნიკო რომ ამომხსნელი ყოფილიყო, განა აქამდე არ ამოხსნიდა?

როცა გული იჯერა, თემური ბაბუას წინ შესდგა, თვალი ეშმაკურად მოჭუტა და ჰკითხა:

— ძვირფასო ბაბუა, ეს ცნობილი მიჩურინელი — პრაქტიკოსი შემთხვევით თქვენ ხომ არ ბრძანდებით?

— რას სულელობ, ბიჭო, — თქვა ნიკომ უნდობლად, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დაძლია და კროსვორდს დააცქერდა. — ვითომ?.. მოიცა... მაცალე აწი!... ბოს... ბოს... ბოსტა... ბოსტავაშვილი... აბა ქვევითაც ვნახოთ!.. მგონი მართლა გამოდის!

— განა საეჭვოა? — თემური ბაბუას მოეხვია. — საკუთარი გვარი როგორ არ გაგახსენდა?

ნიკომ კეფა მოიფხანა და დამნაშავესავით გაიღიმა:

— რა ეშმაკი გამახსენებდა... რას ვიფიქრებდი... ან რა გვარი ეგ არის... რა ცნობილი კაცი მე მნახეს!

გული კი უდასტურებდა, რომ ეს თვითონ იყო. მართლაც და განა იმავე ჟურნალში არ იყო უფრო ადრე მთელი ნარკვევი ფერადი ილუსტრაციებით მასზე, მის ბაღზე, მის მიერ გამოყვანილ ახალ ჯიშებზე?.. ჟურნალი რაა და გაზეთი!.. კინოქრონიკაშიც კი...

ოთახი თითქოს ევიწროვა, აივანზე გავიდა.

ჩამავალ მზის შუქზე თვალისმომჭრელად ელავდა მისი ხელით მოვლილი და გახარებული ბაღი. თითქოს პირველად ხედავდა ამ ბაღს. ყოველივე იმას, რაც ნიკომ ბუნების საიდუმლო წიგნში ამოიკითხა და რასაც მიწის ამ ნაჭერზე ხორცი შეასხა, რაღაც სხვა შუქი ადგა. ეს უცხო შუქი თანდათან გულში გადმოიღვარა და იქედან მთელ არსებას მოეფინა.

— ვინ გაიტანა ჩემი გლეხური გვარი საქვეყნოდ?.. რამ გაიტანა? — ჩურჩულებდა ნიკო თავისთვის.

საპატიო სტუმრები

ტარას შევჩუკს არ ახსოვს მიტინგის დამთავრების შემდეგ როგორ და რისთვის მოხვდა მთავრობის „ზიმში“. შეიძლება იმიტომ, რომ იგი უკრაინელი მეფოლადეების დელეგაციის ყველაზე უხუცესი წევრია; იქნებ იმიტომ, რომ რუსთავის მეფოლადე ბიჭები ყველას გასაგონად მას „ბატკოს“ ეძახიან; იქნებ უბრალოდ იმიტომაც, რომ ტარას შევჩუკი ტარას ბულბასავით ძვალმსხვილი და წარმოსადეგია; ან კიდევ, შესაძლოა, იმ ორომტრიალში ხელში მოხვდათ და მეტი არაფერი.

ერთი სიტყვით, მრავალნაირად შეიძლებოდა იმის ახსნა, თუ რუსთავიდან თბილისისაკენ მიმავალი მთავრობის „ზიმი“ იმდენი სტუმრებიდან რატომ მაინცადამაინც ტარას შევჩუკს მიაქროლებდა თავის რბილ სავარძელზე.

მაგრამ ტარასისათვის გულახდილად რომ გეკითხათ, მას მაინცადამაინც დიდად არ ეპიტნავებოდა ამ „ზიმში“ ჯდომა. მოხუცს ერჩია სხვა მანქანაში, თუნდაც საბარგოში, თავის ბიჭებთან. „ესენი კი, — ტარასმა ირგვლივ მსხდომთ გადახედა, — რაც არ უნდა იყოს, მაინც მთავრობაა, მაინც ქვევიდან ჩანხარ, როცა ელაპარაკები. რა ვუყოთ, რომ უბრალოდ მექცევიან, დიდკაცობას არ იმჩნევენ. ზრდილობის ამბავია! შენც ამ ზრდილობის გულისათვის სარგადაყლაპულივით უნდა იჯდე და თამბაქოს ბოლის ნაცვლად ნერწყვს ყლაპავდე. უჰ, რა ჯიგრიანად გავაბოლებდი ახლა, ჩემებურად დოყოდ განვეულ თამბაქოს!..“

მანქანა კი მისრიალებდა მოასფალტებულ გზაზე.

მაგრამ ტარასის უნდობლობა არ გამართლდა. მანქანაში, როგორც მალე დარწმუნდა, უკლებლივ კარგი ხალხი იყო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ტარასის გვერდით რომ ზის, საქალაქო კომიტეტის მდივანი და ქარხნის დირექტორი, შუა სავარძლებში რომ სხედან, ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგე, შოფერს რომ დროდადრო რაღაცას გადაულაპარაკებს ღიმილით, ყველა, ყველა კარგი ხალხი ჩანს.

ტარასის არ ახსოვს როგორ და როდის აყვა მათ საუბარში, როგორ და როდის გააწყო თამბაქო, ახლა რომ მადიანად აბოლებს, როგორ და როდის გაქრა გრძნობა, რომელიც მას პირველ წუთებში ბოჭავდა. იგი ბებრული ეშმაკური გუმანით მიხვდა, რომ ამ მანქანაში შემთხვევით არ მოხვედრილა.

„ეს ყმაწვილი (ასე შეარქვა გულში ტარასიმ სამრეწველო განყოფილების გამგეს, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა ჩანდა) ჭკვიანი ვინმე უნდა იყოს. ეტყობა კარგად იცის, რომ მიტინგზე წარმოთქმული ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებიდან სარგებლობა ცოტაა. შეკითხვებსაც ისეთს იძლევა, ჩანს ფოლადს პურივით იცნობს. თან როგორ მოხერხებულად მეკითხება, ვითომ სხვათაშორის, მაგრამ ეტყობა ყველაფერს გულის ფიცარზე იწერს“.

ტარასი კარგად გრძნობს ამას, ამიტომ მეტ გულმოდგინებას იჩენს, გონებას ძაბავს, გამოცდილების სკივრში იქექება, რათა ყოველი მისი სიტყვა შემდეგ ქართულ ფოლადს საკმაზად გამოადგეს. მერედა რა ენაწყლიანი კაცია ტარასი, როცა ფოლადზე ლაპარაკობს, როცა საუბრობს კარგ, მცოდნე და საქმით დაინტერესებულ ხალხთან.

სიჩუმე მხოლოდ მაშინ ჩამოვარდა, როცა მანქანა ორთაჭალის ბაღებს გაუსწორდა. და სწორედ მაშინ გაახსენდა ტარასის ის, რისი დავიწყებაც არ მართებდა.

— ოო, ჩემო ბებერო თავო! — წამოიძახა შეშფოთებული ხმით ტარასიმ და ულოსავით მძიმე მუშტი გრდემლივით ჩაფსკვნილ მუხლზე ისე დაირტყა, რომ შოფერმა უნებურად მანქანის სვლა შეანელა.

ზედიზედ ჩაიქროლეს მეფოლადეებით დატვირთულმა მანქანებმა.

— რაშია საქმე, ტარას გრიგორიჩ?! — გაიგონა ტარასიმ მეზობლის ხმა და გამოერკვა. მოხუცმა მიმოიხედა

და ამდენ გაკვირვებულ სახეს რომ წააწყდა, შერცხვა, ენა დაება.

„განა ღირდა ასეთი ჰატარა საქმისათვის ამ ხალხის შეშფოთება? ოო, ტარას, ტარას, შენ ცარიელო გოგრავ,“ — კიცხავდა მოხუცი თავის თავს, თანამგზავრების გასაგონად კი ბუბუნებდა დაბნეულად:

— არაფერი, ძვირფასებო... არაფერი, ყმაწვილებო... ტყუილად აღელდით... სულ ეზრალო ამბავია!

— მაინც?

— გაგვაგებინე!

— რა მოხდა, ტარას გრიგორიჩ! — გაისმა ყოველი მხრიდან.

— უთქმელობაც აღარ ეწყობა. — მოხუცმა თავი სინანულით გაიქნია. — დღეს რომ მიტინგზე ქართველი მეფოლადე გამოვიდა, შავტუხა ბიჭი... შოთა... ჩემი გამოზრდილი მდნობელი... იმან მიტინგის დაწყებამდე მთხოვა — შვილის დღეობა მაქვს და ოჯახი დამიმშვენეო... შვილი უნდა დამილოცო, მომავალი მეფოლადეო... უარს ხომ არ ვეტყოდი... — უარზე უარესი კი გამოვიდა... მოვატყუილე ბიჭი და ეგ არის.

— ჩვენ კიდევ ფარსაგი რამ არ გვეგონა! — თქვა ქარხნის დირექტორმა სიცილით.

— მოაბრუნე მანქანა, — უთხრა შოფერს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ. — სტუმარს მარტო ხომ არ გავუშვებთ. ჩვენც წამოვალთ. ხომ, ტარას გრიგორიჩ?

— არა ჯერ არა! — ჩაერია ლაპარაკში ცეკას განყოფილების გამგე. — ბარემ თბილისში ჩავიდეთ. იქაც გველიან. ამხანაგებმა უნდა იცოდნენ მაინც... თან მომავალ მეფოლადესთან ხელცარიელი ხომ ვერ მივალთ.

— სწორია! — დაუდასტურეს სხვებმა.

— კარგია! — კვერი დაუკრა ტარასიმ და სქელად ჩამოფენილ ქერა ულვაშებზე ხელი კმაყოფილებით გადაისვა.

...დაახლოებით ერთი საათის შემდეგ იგივე „ზიმი“ იმავე ხალხით ისევ რუსთავისაკენ მიჰქროდა. ტარასი ამჯერად შოფრის გვერდით იჯდა. მოხუცს ხელში ეჭირა ბავშვის სათამაშო მოზრდილი ცხენი. მის კისერზე, რომელიც ფანჯარაში იყო გაჩრილი, ოქროსფერ ფაფარს ალერსით წეწავდა მტკვრის ხეობის დაუდეგარი ქარი.

მილიციის ლეიტენანტი

— თქვენთან მილიციიდან არიან!

წიგნებით სავსე ფართო მაგიდასთან მჯდომმა კაცმა ნელ-ნელა აიღო თავი ქაღალდებიდან და პირად მდივანს სათვალეებს ზემოდან გაკვირვებით მიაშტერდა.

— მილიციიდან?

— დიახ!

— ჰმ! — გიორგი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, იმდენად უკმაყოფილოდ, რომ შავტყავგადაკრულმა მძიმე საკარძელმაც კი დაიჭრიალა.

„ალბათ კიდევ რაღაც მოხდა, — გაიფიქრა გიორგიმ. — დიდი მოუსვენარი ხალხია ეგ სტუდენტობა. ნეტა ამჯერად ვინ გვასახელა, ვინ რა ჩაიდინა?“

ინსტიტუტის დირექტორის თვალწინ უნებურად გაირბინა წესრიგის დარღვევით ცნობილი, შფოთისთავი და დაუდეგარი სტუდენტების სახეებმა. მაგრამ დიდი ხნით ვერც ერთმა ვერ მიიპყრო ყურადღება. ყველა ეს სახე ამ უეცარი ხილვის მომენტშიც ისეთივე სერიოზული და დაფიქრებული იყო, როგორც მაშინ, უჯმაჯურიძის საქციელს რომ იხილავდნენ სტუდენტთა საერთო კრებაზე.

— თხოვეთ! — უხალისოდ გამოსცრა კბილებიდან ისე, რომ თვალები კარებისათვის არ მოუცილებია.

კაბინეტში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი მილიციის ლეიტენანტის ფორმაში.

— შეიძლება? — იკითხა მან და ოდნავი თავის დახრით დირექტორს თავაზიანი ღიმილით მიესალმა.

ამ ხმამ გიორგი დაამშვიდა. ეს ხმა არც მრეკავ სიფიცხეს გამოსცემდა, არც გაგუდულ სიბრაზეს. ამ ხმაში არ იგრძნობოდა ზედმეტად თვითდაჯერებული ადამიანის ფამილარული ტონი, არც წვრილმანი ბუნების კაცის მოხითხითე კმაყოფილება იმის გამო, რომ მას შეუძლია ამ წუთში ვიღაც გაკიცხოს, ვიღაცას პასუხი მოთხოვოს. ის იყო თბილი, მაგრამ მშვიდი და საქმიანი ხმა.

და იმან, რაც გიორგიმ ამ ხმაში იგრძნო, დადასტურება ჰპოვა ლეიტენანტის გონიერ, რაოაც შინაგანი ნათელით გაბრწყინებულ თვალებში, მთელ მის გარეგნობაში. სწორალო, მოქნილი ტანი მოხდენილად

ართებოდა კოხტაო. ოითქმის ილიგანტურად შეკერილ თორმის ტანსაცმელში. წაბლისფერ, ოდნავ შეტალღებულ თმას თითქმის შუაში ჩასდევდა თეთრად მოქათქათე ზოლი. შაქრისფერ, რამდენადმე ნაზ სახეს, უფრო მეტყველს ხდიდა ვაჟკაცურად სხივიანი თვალ-წარბი, ოდნავ კეხიანი თხელი ცხვირი და პატარა ტუჩებზე მოშვილდული კოკობი ულვაში.

— მობრძანდით! — გიორგი წამოდგა, შემოსულს ხელი ჩამოართვა და სკამზე მიუთითა.

— გმადლობთ! — ლეიტენანტმა დაუცადა, სანამ დირექტორი სავარძელში ჩაეშვებოდა და თვითონაც დაჯდა.

ჩამოვარდა სიჩუმე.

მოსული ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობდა, ხელებს დასცქეროდა და დროდადრო მსუბუქად ისრესდა. მწვანე მაუდზე ამ თეთრი ხელების მტევნები გამოკვეთილად ისახებოდა. გიორგის მოეჩვენა, რომ ამ თითების მოძრაობა რამდენადმე ნერვიულიც იყო.

„ნეტავ რა მოხდა ისეთი, რომ ლაპარაკის დაწყება ვერ გადაუწყვეტია? — ისევ განუახლდა დირექტორს პირვანდელი ეჭვი. — მაგრამ სახეზე რომ არაფერი ეტყობა? იქნებ ჩემს სიტყვას ელის!“

— გისმენთ! — გიორგიმ ჩვეულებისამებრ ფანქარი შეათამაშა ხელში.

— როგორც გავიგე, — თითქოს ამ სიტყვას ელოდაო, დაიწყო მილიციის ლეიტენანტმა, — თქვენს ინსტიტუტს გამოცხადებული აქვს კონკურსი რამდენიმე ვაკანტურ ადგილზე... კერძოდ, პედაგოგიკის კათედრაზე.

„კი, ძვირფასო, — გაივლო გუნებაში გიორგიმ, — მაგრამ თქვენ რა გესაქმებათ ყოველივე ამასთან? უცნაურია!“

ლეიტენანტი შეჩერდა და ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მოკლედ დაასრულა:

— მინდოდა კონკურსში მონაწილეობა და მიტომ გეახელით.

— კეთილი! კეთილი!.. — ჩაილაპარაკა გიორგიმ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ეს სიტყვა ამჯერად გამოხატავდა სხვა აზრს: „მერე და მილიციის მუშაკი აქ რა შუაშიაო“.

ლეიტენანტს ოდნავ გაეღიმა.

— სხვათაშორის, — თქვა მან სხვა, უკვე ხუმრობაგარეული ტონით, — დამავიწყდა მეთქვა ფორმისა, — ლეიტენანტმა საკუთარ მხარს ჩააყოლა თვალი, — და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

გიორგისაც გაეღიმა.

— დიახ, — განაგრძო ლეიტენანტმა კვლავ სერიოზული, მშვიდი ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თითქოს რაღაცას იგონებსო. — მილიციაში განვაგებ უპატრონო და უმეთვალყურო ბავშვების განყოფილებას... სწორედ იმ განყოფილებას, რომელმაც ერთ დროს მე თვითონ შემიფარა და ცხოვრების სწორ გზაზე დამაყენა... როცა უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე, ჩემივე სურვილით მილიციაში დავბრუნდი... პირადი გამოცდილება საკმაო მქონდა... სამი წლის მანძილზე კიდევ ბევრ რამეს დავაკვირდი, მიღებულ ცოდნას შევაჯერე და... თუმცა რა საჭიროა თავი შეგაწყინოთ.

მილიციის ლეიტენანტმა ჯიბიდან მოზრდილი რაღაცა ამოიღო, ქაღალდი შემოაცალა და ინსტიტუტის დირექტორს გაუწოდა.

გიორგიმ ჩამოართვა.

დიპლომი იუწყებოდა, რომ მისი წარმომდგენი იყო პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

უძილო ღამე

ლევანმა ვინ იცის გულში მერამდენედ დაამთავრა ასამდე თვლა, მაგრამ თვალებს ძილი არ გაეკარა და არა.

გაუგონია, რომ ახალ ჭერქვეშ ადამიანს პირველად არ დაეძინებაო, მაგრამ ეს ხომ მისი საკუთარი ჭერი იყო?! რა ვუყოთ, თუ ახალ ოდაში პირველ ღამეს ათევს. აგრე რომ იყოს, მაშინ არც ჟუჟუნას უნდა ეძინოს ასე ტკბილად და არც ბავშვებს.

ლევანმა ყური მიუგდო ცოლ-შვილის ნებიერ ფშვინვას, გულდაწყვეტით ამოიოხრა და გვერდი მოინაცვლა.

ისევ დედა გაახსენდა. „ნეტავ როგორ ძინავს? იქნებ სჭირია რამე? რომც სჭიროდეს, მიმწოდებელი ვინა ჰყავს? მერედა რამდენი ემუდარა თვითონ ცალკე. რძალი ცალკე, შვილიშვილები ხომ ხვეწნით გადაყვნენ. მაგრამ არა და არა!.. ჩემი იულონის სახლს, სანამ პირში სული მიდგას, ვერ მივატოვებო... არც ის ისურვა — რომელიმე მასთან დარჩენილიყო. ახლადდალოცვილ ჭერს ჩემს მეტი ნურავინ გამოკლებოდესო. საბრალო დედა! რა ახირებაა!“

ლევანი ზურგზე გაიშოტა, მთელი ფიქრებით დედასთან გადავიდა.

მამლებმა მეორედ იყივლეს.

— მორჩა, აღარ დამეძინება! — ლევანი საწოლზე ჩამოჯდა და ჩაცმას შეუდგა, შემდეგ ფეხების ფათურით ფოსტლები მოძებნა და ფეხაკრეფით კარებისაკენ გაემართა. შუა ოთახში რაღაცას წამოედო, მაგრამ ხმაურზე არავის გაღვიძებია..

აივანზე გამოვიდა და სვეტს მიეყრდნო, ხარბად ჩაისუნთქა გრილი ჰაერი.

აგვისტოს ქათქათა ღამე ილეოდა. ცვრისაგან გადათეთრებულ მოლზე აქა-იქ კიაფობდა აუკრეფავი ნათოტები. როგორც კი რომელიმეს მზერას გაუსწორებდა, უცნაური შუქით აბრიალებული ნაფოტის ზედაპირიდან თვალებამდე იბმებოდა ოქროსფერი სხივებს ციმციმა კონა.

სოფელს ეძინა ალიონის ღრმა და უშფოთველი ძილით.

ლევანი კიბეზე ჩავიდა და მარცხენა მხარეს გაჰყვა. ოდის კიდესთან მოულოდნელად შესდგა... ძველ სახლში სინათლე ენთო!

„ნუთუ არ სძინავს?“ — გაიფიქრა ლევანმა და გზა განაგრძო. ცვრიან ბალახზე მუქ ზოლად გაილამბა ნაკვალევი.

ძველი სახლის მიწური აივანი ორთხილად გაიარა და ფანჯარაში შეიჭვრიტა.

დედა გაუშლელ ქვეშაგებზე იჯდა ტანგაუხდელი.

თითქოს შვილის სიახლოვე იგრძნო, მოხუცმა თავი აიღო და თვალები ფანჯარას მიაპყრო. ლევანს გული შეუქანდა — არ დამინახოს, არ შევაშინოო, მაგრამ უმაო დამშვიდდა. ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

დედა დაფიქრებული იჯდა. ლევანს მოეჩვენა, რომ იგი დროდადრო რაღაცას ჩურჩულებდა თავისთვის. ერთხანს ვერ გადაწყვიტა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს დაბალი ხმით დაიძახა:

— დედა, გძინავს?

მოხუცი მაინც შეკრთა, მაგრამ შვილის ხმა იცნო.

ლევანი კარებს მიაწვა. კარები ჩაურაზავი იყო.

— დედა, ეს რა ამბავია?.. რატომ არ გძინავს?

— ასე ადრე რამ აგაყენა? — თითქოს პასუხს თავს არიდებსო, იკითხა თავის მხრივ მოხუცმა.

— უკვე გამოვიძინე, — იცრუა ლევანმა.

— მე კი არ დამეძინა, — ხელის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით შვილი გვერდზე მოისვა. — ან რა გასაკვირია... თქვენ იქეთ, მე აქეთ... რა სიკვდილი დამაძინებდა!

— აკი გეუბნებოდი... იმდენი გეხვეწეთ.

— არა, ნუ წუხხარ!.. ასე კარგია... დედა რისი დედაა, თუ არ ფხიზლობს... მიხარია კიდეც, რომ არ დამეძინა. ალბათ ასეა საჭირო... გული ასე შთხოვს.

ლევანს გაეცინა და დედა მკერდზე მიიხუტა.

— დედა... ჩემი კარგი დედა!.. ჩემი კეთილი დედა! — იმეორებდა შვილი და თან მოხუცს ალერსით უსვამდა ხელს, სულ ბათეთრებულ თავზე.

კარგა ხანს ისხდნენ გაყუჩებული. შემდეგ მოხუცს ჩაეძინა.

ლევანმა საწოლს გადახედა და საბნის აკეცვა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. დედა ფრთხილად აიყვანა და კარებისაკენ წავიდა.

მთვარე დამალულიყო, მაგრამ მიწას მაინც შუქი ადგა, განთიადის მკრთალი შუქი. მოლი წინანდებურად ალარ ქათქათებდა, ოდნავ ჩამუქებულიყო კიდეც, თითქოს შაბიაბანი მოესხურებინოთ.

ლევანი ძვირფასი ტვირთით კარგა ხანს იდგა ოდის აივანზე. დედის დალეული, სიბერით გამოფიტული სხეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ძალიან მჩატე ჩანდა. მთელი მისი სიმძიმე თითქოს მარტოოდენ გული იყო, რადგან შვილი მხოლოდ მის სიმძიმეს გრძნობდა... თუმცა რატომ სიმძიმეს?.. მის ფეთქვას, მის სუფევას!

ლევანი სასტუმრო ოთახში შევიდა. დედა ზრუნვით დააწვინა ნიკელის საწოლზე, ერთმანეთზე დაკეცილ და ფარჩის საფენგადაფარებულ ქვეშაგებს ზემოთ. მეორე საწოლიდან აბრეშუმის საბანი აიღო და გადაახურა.

ერთხანს სასთუმალთან იდგა. შემდეგ ძილმა დაარეტიანა. თავისი საწოლისაკენ წავიდა... კი არ წავიდა, წაბარბაცდა.

ოთახის კარებთან ჟუჟუნა შემოხვდა. მთვლემარე ბონებამ დამძიმებულ ენას მხოლოდ სამი სიტყვის თქმა შეაძლებინა:

— იქ... დედას სძინავს!

...მზე კარგა მაღლა ავიდა.

ჟუჟუნა და ბავშვები ოდაში არ შედიან.

თუ პატარები ახმაურდებიან, ჟუჟუნა საქმეს თავს ანებებს და ანცებს აწყნარებს:

— სუ!.. სუ!..

შეცბუნებული ბავშვები ერთმანეთს გადახედავენ და ისინიც იმეორებენ ხმადაბლა:

— სუ!.. სუ!.. ბებიკოსა და მამას სძინავთ!

— სუ!.. სუ!.. მამასა და ბებიკოს სძინავთ!

— ससუ... ससु... — ეხმიანება მათ სიოც და გრილი ფრთებით ოდის კედლებს ევლება. თითქოს ისიც გრძნობს, რომ მზით გაჩირაღდნებულ ოდაში სძინავს დედაშვილურ წმინდა სიყვარულს.

დედის გული

პატარა, კაფანდარა ქალი სკამის კიდეზე ჩამომჯდარა და მის წინ გაჩერებულ ოთხი-ხუთი წლის ბიჭს სახეში შესცქერის. ბიჭი თვალებს არიდებს, მარჯვენა ფეხს იატაკზე აწრიალებს და ტაქინებით დაჰყურებს ხან თავისი ლაკის ფეხსაცმლის ცხვირს, ხან კიდევ ქალის ჩუსტებს. უკვირს მტვრიანი, ტალახშემხმარი ჩუსტების ხილვა. „დედას სხვანაირი ჩუსტები აქვს, სუფთა, კრიალა, ბეწვებშემოვლებული“...

— აბა შემომხედე, კარგად შემომხედე... ნუთუ ვერა მცნობ?

გაგულისებული იმით, რომ ფიქრს არ ანებებენ, ბიჭი თავის მკვეთრი მოძრაობით კვლავ ითავისუფლებს ნიკაპს ქალის ხელიდან,

— ნუთუ არ გახსოვარ, გივი? — არ ეშვება ქალი.

გივიმ გრძელი წამწამები აახამხამა, ქალს დააკვირდა და თვალები დაუშვა. „არა, არ ახსოვს. ან საიდან უნდა ახსოვდეს?“

მათ უხმოდ შეჰყურებს კარებთან მდგარი ლოყებლაჟღაჟა ქალი. დროდადრო იგი დერეფანში იხედება და როცა რწმუნდება, რომ არავინ მოდის, ისევ კარებს მიაწვება. სახეზე ეტყობა, რომ გული საცოდაობით ეწვის. ამ უბრალო რუსის დედაკაცს — ფროსიას არ ესმის კაფანდარა ქალის სიტყვების შინაარსი, მაგრამ იმისათვის, რომ დედაკაცმა დედაკაცის გულისთქმა გაიგოს, ეს ყოველთვის აუცილებელია?

— მაშ არ გახსოვარ გივი? — კაფანდარა ქალის ხმა თრთის, — აქ ხომ მე მოგიყვანე... საკუთარი ხელებით მოგიყვანე!

ბიჭი სდუმს. რა მისი ბრალია! მას არ ახსოვს, არაფერი არ ახსოვს.

ფროსიამ ამოიოხრა და თეთრი თავსაფრის ბოლოთი ცრემლები მოიწმინდა. მას ყველაფერი კარგად ახსოვს, მან ყველაფერი კარგად იცის.

მაშინ ფროსია ახალშემოსული იყო შინამოსამსახურედ ამ ოჯახში. დიდი წვეულება გაიმართა იმ დღეს... სტუმარი ბევრი იყო. შავმა, ახმახმა კაცმა და ამ კაფანდარა ქალმა მოიყვანეს თვალსხივიანი, მზით გარუჯული პატარა ბიჭი. მას ერთი აურზაურით შემოეხვივნენ სტუმარ-მასპინძლები, მაგრამ ბიჭი არავის გაეკარა, შეშინებული ეკვროდა მაროს (ასე ერქვა კაფანდარა ქალს). ვერც საგანგებოდ შეკერილი ახალი ტანსაცმელი ჩააცვეს. როცა მეზღვაურის ლამაზი ქუდის დახურვა დაუპირეს, ატირდა და თავის დაჭმუჭვნილ, უკოკარდო ქუდს ჩააფრინდა. შემდეგ მთელი თვე დასჭირდათ, რომ ბიჭი შერიგებოდა ამ ქუდის დაკარგვას, თუმცა დაკარგვით სრულებითაც არ დაკარგულა. ფროსიამ შეინახა და მაროს გადასცა.

ახლა კი? ფროსია უნებურად ასლუკუნდა.

„რად ხდება ასე, — დაეკითხა ფროსია, — ზოგ ოჯახს რომ ბევრი შვილი უჩნდება, ზოგსაც არც ერთი? რამდენჯერ შესწრებია ფროსია ვასილ ივანიჩისა და ნინა გრიგორიევნას გულნაკლულ საუბარს უშვილობის გამო. დიდი დავა ჰქონდათ, როცა შვილის აყვანა განიზრახეს. ნინა გრიგორიევნას უპატრონო ბავშვთა სახლიდან უნდოდა გამოეყვანა; ვიცი ჩემი იქნება, არავინ შემეცილებაო. ვასილ ივანიჩი სხვა აზრს ადგა: თუ ვიშვილებ, ბარემ ჩემი ფერისა და ხორცის იყოსო და გაიტანა კიდეც თავისი.

მის ძმას რვა შვილი ჰყავდა. ნინა გრიგორიევნამ ყველაზე უმცროსს, გივის დაადგა თვალი. თავიდანვე ჩემს ხელში გაიზრდება, ჩემს ჭკუაზე, ღვიძლ დედად დამიგულებსო.

ღვიძლი დედა კი — მარო — უარზე იდგა. რა გაჭივრებაც არ უნდა მქონდეს, შვილს როგორ შეველევიო. მაგრამ ქმარი სხვა ხასიათის კაცი იყო. რასაც იტყოდა, აღარ გადასთქვამდა. მარო ბედს დამორჩილდა. თავს იმით ინუგეშებდა, ბავშვი ჩვენიანებთან მყავს, ხშირად ვნახავ, ხშირად მნახავსო. მალულად კი ოხრავდა და ტიროდა.

დედობამოწყურებულ ნინა გრიგორიევნას გივი ღვიძლი შვილივით შეუყვარდა. მაგრამ რამდენადაც იზრდებოდა ეს სიყვარული, იმდენადვე იზრდებოდა შიში და შეშფოთება. ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა გივის წართმევას უპირებდა. ნერვები აწყდებოდა, როცა ბიჭის სანახავად მარო მოდიოდა. პირველ ხანებში არაფერს ამბობდა, მაგრამ შემდეგ თავი ველარ შეიკავა და რძალს თხოვა უფრო იშვიათად ჩვენებოდა შვილს, ასეთი გრძნობით არ მიაღერსებოდა; შესაძლოა აღარ შემეთვისოსო.

საბრალო დედისათვის ეს ახალი მსხვერპლი იყო. მაგრამ რა გაეწყობოდა! ჯერ უკლო სიარულს, შემდეგ იშვიათად დადიოდა, ბოლოს თითქმის ფეხიც ამოიკვეთა, რათა გულის ჭრილობა რაც შეიძლება იშვიათად გახსნოდა. როცა შვილს ნახავდა, ცდილობდა მოზღვავებული გრძნობებისაგან თავი შეეკავებინა. მაგრამ დედას შეუძლია

იყოს სხვა ვინმე, გარდა დედისა? როცა ბავშვი ძალიან მოენატრებოდა, დროს შეარჩევდა და მის სანახავად ჩამოიპარებოდა (ქალაქიდან ათ კილომეტრზე ცხოვრობდა). მაზლისა და რძლის ხათრით ამას საიდუმლოდ ჩადიოდა. ეს საიდუმლოება მხოლოდ კეთილმა ფროსიამ იცოდა.

და აი ახლაც, ორი თვის უნახავ შვილს ეალერსება, ელოლიავება, მის გამოცვლილ, გათეთრებულ და განაზებულ სახეზე ხარბად დაეძებს ადრინდელ ფერსა და იერს, გამომეტყველებასა და ნაკვთებს.

— წამოხვალ ჩემთან?.. არ გინდა ნახო შენი... — მაროს სურს კიდევ რაღაც თქვას, მაგრამ თავს ძალას ატანს.

გივი კვლავ თავდახრილი დგას და გაზეთის ქაღალდში გახვეულ რამდენიმე ცალ უბრალო კანფეტს თითებით სრესს. ვერ ამჩნევს როგორ ესვრება ძვირთასი ბატისთის პერანგი.

— შენი წითელი ბოჩოლა უკვე ძროხა გახდა... ისეთი კარგი ხბო მოიგო, ისეთი... აი, რომ გინახავს... წითელია... იმასაც ნიკორი აქვს შუბლზე.

ბიჭის მეხსიერებაში ბუნდოვნად იოცხლდება რაღაც. მოძრავი საგანი, წითელი, ოთხფეხა... ოღონდ ვერ იგონებს რა არის ეს, სად უნახავს... „ჰო! მოგონია... ამას წინათ მამამ წაიყვანა ბაღში. ბაღის ბოლოს მაღალი კედელია... კედელს იქეთ მინდორი... მინდორზე დგას ორი კარი... იქ დიდი ძიები ბურთს თამაშობენ... რამდენი სკამია, რამსიგრძე!.. იმ სკამების იქით კიდევ მინდორია... იქ ბევრი ძროხა არის... ოღონდ ბალახი არ არის... **რას** აჭმევენ ნეტავ ამდენ ძროხებს?“

— შენს ცუგასაც ლეკვები ჰყავს, — განაგრძობს მარო, — პატარა, გრძელყურა ლეკვები... ისე სასაცილონი არიან... არ გახსოვს ცუგა, შენი ბანჯგვლიანი ცუგა?.. როგორ ეთამაშებოდი.

გივის ეს კი აგონდება, ძაღლს მართლა ეთამაშებოდა, მაგრამ სად? „ჰო, ეზოში... რეზოს „ბელკას“ კულიჩის ნაჭრებს ესროდა... „ბელკაც“ იჭერდა... მაგრამ ეს ქალი რომ იქ არ ყოფილა?.. ის დედა იყო, ფანჯრიდან რომ გადმოიხედა და გამიწყრა: ძაღლს ხელი არ ახლო, ცოფიანია, გიკბენსო... შემდეგ „ბელკასთან“ აღარ უთამაშნია. ახლა კულიჩს ჩუმად თუ გადაუგდებს აქედან, მეორე სართულიდან. „ბელკა“ მაინც იჭერს. ის ძალიან ყოჩაღი ძაღლია“.

მარო შვილს თვალებზე ატყობს, რომ რაღაც მოგონებები გაუღვიძა.

— შენი მსხალი... შენს სახელზე დარგული მსხალი უკვე ისხამს... მალე დამწიფდება კიდეც. არ წამოხვალ?.. არ მოკრეფ?

„სულელი, — ფიქრობს ბიჭი, — რატომ უნდა მოვკრიფო, როცა დედას ისედაც ბევრი მოაქვს ბაზრიდან... ბაზარში ძალიან ბევრი მსხალია... ვაშლი... ატამი... მარწყვი... დედამ ხომ დამარიგა ხეზე არასოდეს ახვიდე, ჩამოვარდებიო... აი კუზიანი ვანო რომ არის... ქვევით რომ ცხოვრობს... ხეზე ასულა... ჩამოვარდნილა და აი, იმოდენა კუზი ამოუვიდა... ფეხები კი გრძელი აქვს... რატომ აქვს ასეთი გრძელი ფეხები?“

— შემომხედე გივი, შემომხედე... ხომ გიყვარვარ?.. დედა ხომ გიყვარს?

— მიყვარს! — ამბობს ბიჭი ნიშნის მოგებით და მის წინ მჯდომ ქალს რაღაც დაუფარავი მტრობით შეჰყურებს. „დედა ისე ლამაზია... კაბასაც ლამაზს

ტცვამს... მიყვარს, როცა მიხუტებს... ეს კი რასა ჰგავს... რანაირი კაბა აცვია... ჩუსტიც დასვრილი აქვს... ნუთუ არ იცის, რომ ტალახიანი ფეხებით შემოსვლა არ შეიძლება... ხოხი დაისვრება".

— წამოდი ჩემთან, ზივიკო, წამოდი... ნახავ, თუ ნაკლებად ძოგიარო... თუ ცუდი კაცი შვილი გამოგზარდო... წამო... დაგმალავ, ჩემს მეტი ვერავინ გიპოვნის...

„დამალვა მართლაც კარგია, — გამოცოცხლდა ბიჭი.—შოკოლადი ჯერაც არ მიჭამია... თევზის ქონი არ დამილევია... ფროსიამ სუპი დაადგა... ფუ!.. რა ჭამს!.. მაინც რატომ ხდება ასე? პატარა ხარო, სუპს კი ბევრს მაჭმევენ... მამაც ისეთი თეფშით ჭამს, მაგრამ ის დიდი კაცია... როცა დედას ვუთხარი, გამიჯავრდა.., შენი საქმე არ არის, ჭამეო... რომ არ შემიძლია?.. არა, მართლაც კარგია დამალვა, მაგრამ სად?.. წავყვე?.. მაგრამ ვინ არის ეს ქალი?.. რატომ მმალავს?.. ტირის კიდეც... რა ატირებს?.. მან ხომ თევზის ქონი არ უნდა დალიოს?"

— მგონი მოდის! — გაისმა ფროსიას შეშფოთებული ხმა.

მარო ადგილზე შეტოკდა და გაიტვრინა. შემდეგ ბიჭი მკერდში ჩაიკრა და ჩაჰკოცნა.

— მოდის, ნამდვილად მოდის! — ფროსიას ხმაში უკვე შიში ისმის.

გივისაც რაღაც შეუცნობი შიში იპყრობს, მისთვის ყველაფარი საიდუმლოებით არის მოცული: „რატომ გაიპარა ეს ქალი უკანა კარებით? რატომ წრიალებს ფროსია?.. რატომ ეშინიათ დედის?"

კარი გაიღო და ოთახში ნინა შემოვიდა. ლამაზ სახეზე ღიმილი დასთამაშებს, გივისაკენ ხელებგაშლილი მოდის, მაგრამ როცა ბავშვს მიუახლოვდა, ღიმილი მრისხანებამ შეცვალა:

— რა არის ეს! ვინ მოიტანა ეს საძაგლობა?.. გინდათ ბავშვი მომიწამლოთ?!

იგი გივის ხელიდან სტაცებს გაზეთში გახვეულ კანფეტებს და ფროსიას ფეხებთან ანარცხებს.

ფროსია უფრო წითლდება და დაფანტულ კანფეტებს ჰკრეფს.

— რამდენჯერ ვთხოვე, შეეეეედრე, — განაგრძო ნინამ, — მაგრამ არა და არა!.. არ ესმის, რომ ეს არ შეიძლება... ხომ ხედავს, არაფერი აკლია!.. მოსავლელის მეტი რა ჰყავს... შვიდი ჰყავს... ჩემთვის კი ერთიც ენანება...— ნინას თვალები ცრემლით აევსო.

— რაც არ უნდა იყოს, დედაა! — ჩაილაპარაკა ფროსიამ.

— ხმა, ხმა!.. რას როშავ, თუ იცი?

გივის გაოცებული მზერა ხან ერთზე გადააქვს, ხან მეორეზე და გული ეკუმშება, შეუცნობელი შიში უძლიერდება. აგონდება უცნობი ქალი, ყურში ესმის მისი ხმა, რაღაც შორეულად ნაცნობი, მაგრამ თბილი, ალერსიანი.

ცოტნე

მაგიდას უზის მელოტი, სათვალეებიანი კაცი. იგი თავაუღებლად აძლევს კითხვებს მის წინ მჯდარ ახალგაზრდა კაცს და თან წერს.

— გვარი?

— ცირეკიძე.

— სახელი და მამის სახელი?

— ცოტნე შალვას-ძე.

— დაბადება?

— . . . . . .

მაგრამ პასუხის მოსმენა ცოტა ხნით შევაყოვნოთ, რადგან საქმის შინაარსს თავიდანვე არ გავცნობივართ.

მთელი ამბავი დაიწყო გუშინ დილით.

ახალგაზრდა კაცს, რომელიც ახლა შეკითხვებზე პასუხობს, სამსახურში დაურეკეს. მოულოდნელობისაგან გაოგნდა. ელოდა კი, მაგრამ თუ ყველაფერი ასე უცბად მოხდებოდა არ ეგონა.

როცა გამოერკვა, ფეხზე წამოიჭრა, მაკინტოშის ცალ სახელოს კაბინეტში გაუყარა ხელი, ცალს კიდევ წინა ოთახში, გაკვირვებულ თანამშრომლებს სამი სიტყვა გადმოუგდო: „სასწრაფო საქმეზე მივდივარო“ და ქუჩაში გავარდა.

ვერავინ მოასწრო ეკითხა: რა საქმეზე... რა მოხდა!

ვიღაცის მანქანა გააჩერა.

სახლთან ხალხი ირეოდა. შეშფოთებულმა მისწი-მოსწია შეკრებილნი და სასწრაფო დახმარების მანქანასთან გაჩნდა. სიღრმიდან მოესმა ყრუ კვნესა. თეთრხალათიან კაცს შეხედა მუდარის თვალით. როცა ექიმმა გაიგო ვინც იყო, კარი გააღო და შეუშვა.

მანქანა წავიდა.

სახლთან კი ხალხი კიდევ კარგა ხანს ირეოდა.

მთელი დღე არ მოუსვენია, მთელი ღამე არ უძინია.

იყო დაუსრულებელი რეკვა ბინიდან სამსახურში, სამსახურიდან ბინაში, ბინიდან და სამსახურიდან საავადმყოფოში, საავადმყოფოდან ბინასა და სამსახურში, ბინიდან ბინაში...

იყო დეპეშების გზავნა ყველა მიმართულებით, აქედან და იქედან.

მთელი ეს საათები სავსე იყო მოლოდინით, შიშით, მოუსვენრობით, შფოთით, სირბილით, ზრუნვით... ეს იყო მანამ უცნობი განცდებისა და გრძნობების საათები.

ნუ შევუდგებით ყოველივე იმის აღწერას, რაც ამ ხნის მანძილზე გადახდა ახალგაზრდა კაცს. მით უმეტეს, რომ ასეთი რამ ბევრს, ძალიან ბევრს გადახდომია. მაგრამ რაკი კითხვა დასმული იყო, ბარემ გავიგოთ ცოტნე ცირეკიძის დაბადებაც.

— ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი წლის ათი მარტი, — პასუხობს ახალგაზრდა მელოტ, სათვალეებიან კაცს.

ვფიქრობთ, შემდგომი კითხვა-პასუხის მოსმენა აღარ არის საჭირო. ალბათ, ისედაც მიხვდით, რომ ეს დიალოგი მიმდინარეობს არა ბრალდებულსა და გამომძიებელს შორის, არამედ ცოტნეს მამასა და „მმაჩის“ ბიუროს თანამშრომელს შორის, რომ იწერება არა საბრალდებო დასკვნა, არამედ პირველი თავფურცელი ცოტნე ბიჭის ბიოგრაფიისა.

დიახ, მთელი ეს ამბავი დაათია პატარა, თითის სიგრძე ცოტნემ, თუმცა მან არც კი იცის რამდენი ტკივილი მიაყენა დედას, რამდენი არბენინა მამა, რამდენი ვინმე შეაწრიალა, რომ ყველას გაეგო ამ ქვეყნად მისი მოსვლა.

კეთილი იყოს შენი დაბადება, პატარა ბიჭო ცოტნე!

შემთხვევა ტროლეიბუსში

ისინი მეორე გაჩერებაზე ამოვიდნენ, ოპერის თეატრთან. ორივე თახატოლი, ლამაზი, ახალგაზრდულად მომხიბლავი.

მაგრამ ეტყობოდათ გაბუტულები იყვნენ.

ქალიშვილმა უხმოდ ჩაუარა თავისუფალ სავარძლებს და ვიღაც ბოხუცი ქალის გვერდით ჩამოჯდა.

ვაჟმა ცოტა ყოყმანის შემდეგ მოპირდაპირე რიგს მიაშურა.

— ორი ბილეთი ბოლომდე! — ვაჟმა კონდუქტორს ფული გაუწოდა და დაჯდა. სიტყვა „ორი“ მან ხაზგასმით წარმოსთქვა, რაღაც საგანგებოდ დამადლებული ტონით.

ქალიშვილმა, რომელიც აქამდე გაუნძრევლად იყო, ვაჟისაკენ მიიხედა. მაგრამ, ღმერთო, რა გამოხედვა იყო ეს, რამდენმა ცეცხლმა და მრისხანებამ გაიელვა მის ბრიალა თვალებში! რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უმალ გადაიფიქრა. ეტყობოდა სიტყვის ღირსადაც არ ჩასთვალა ვაჟი. კვლავ პირვანდელი პოზა მიიღო და ერთ წერტილს მიაშტერდა.

კონდუქტორმა ბილეთები მოხია და ვაჟს გადასცა.

ტროლეიბუსში უჩვეულო სიწყნარე იყო. უკვე ღამის თორმეტი სრულდებოდა და ეტყობოდა ბევრს განელებული ჰქონდა ლაპარაკის ხალისი. თანაც, არავინ უწყის როგორ, ტროლეიბუსში თავი მოეყარათ თითქმის მარტო მოხუცებსა და დროულთ, რომელთაც ძალიან უყვართ საკუთარ ფიქრებთან განმარტოება.

შეიძლება ამიტომაც, ქალ-ვაჟს ყველამ თანაბრად მიაქცია ყურადღება. გუმანით მიხვდნენ, რომ ეს იყო ერთმანეთისათვის გაჩენილი შეყვარებული წყვილი, სიყვარულითვე ბავშვური ანგარიშმიუცემლობით გაბუტული. და ამ მიხვედრით გამოწვეულ განცდას ყოველი მათგანი თავისებურად ატრიალებდა გულში: ზოგში კეთილ ღიმილს აღძრავდა, ზოგში უდრტვინველ თანაგრძნობას, ზოგს მოგონებებს უღვიძებდა, ზოგსაც ცნობისმოყვარეობას ან შეშფოთებას...

გმირების მოედანზე კონტროლიორი ამოვიდა.

— გთხოვთ, ბილეთები!

მგზავრები შეიშმუშნენ.

კონტროლიორი, თითქოს შეცბუნებული იმით, რომ ამ ხალხის მყუდროება დაარღვია, ნელ-ნელა, მშვიდად ჩოიწევდა გასასვლელში.

იგი გაბუტულ გოგონასაც მიუახლოვდა, მაგრამ უკანასკნელმა ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით ვაჟზე ანიშნა.

— თქვენი ბილეთები, ახალგაზრდავ!

ჭაბუკი რატომღაც ფეხზე წამოდგა. ჯერ პიჯაკის გარე ჯიბეები გაიჩხრიკა, შემდეგ სხვა ჯიბეებიც მოაფათურა, მაგრამ ბილეთები ვერსად იპოვნა.

და ვერც იპოვნიდა! თუ რატომ, ეს გაბუტულმა გოგონამ იცოდა მხოლოდ.

გაწბილებულმა ჭაბუკმა რაღაც წაილუღლუღა.

— ჯარიმა გადაიხადეთ! — მოსჭრა კონტროლიორმა და თავისი საქმე განაგრძო.

— რატომ ჯარიმა?! — გულწრფელად გაიოცა ჭაბუკმა.

— უბილეთოდ მგზავრობისათვის, — კონტროლიორმა შემდეგ ქალიშვილს

გადახედა, — თქვენც.

— მე ბილეთი ავიღე და ჯარიმას პრინციპულად არ გადავიხდი, — თქვა ვაუმა.

— მე კიდევ უბილეთო მგზავრები აღმოვაჩინე და მათ პრინციპულად ვაჯარიმებ, — ხმას აუმაღლა კონტროლიორმა.

— თუ არ გჯერათ, კონდუქტორს ჰკითხეთ.

— მახსოვს, რომ აიღო, — გამოესარჩლა კონდუქტორი და ვაუს მიუბრუნდა, — აბა კარგად ხახეთ, სადმე გექნებათ.

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, — კონტროლიორმა ახლა კონდუქტორს გადახედა უნდობლად.—არ ვარგა ასე, არ ვარგა!

აქამდე უსიტყვოდ მსხდომმა მგზავრებმა შეატყვეს, რომ საქმე რთულდებოდა.

— აიღო!

— ნამდვილს ამბობს!

— ჩემი თვალით ვნახე! — გაისმა ყოველი მხრიდან.

კონტროლიორი ასეთ ერთსულოვან გამოსარჩლებას არ ელოდა. რაკი საქმე მისი და უბილეთო მგზავრის ურთიერთობის ფარგლებს გასცილდა და მთელი ტროლეიბუსის მასშტაბის საკითხად იქცა, მასში თავმოყვარეობამ იფეთქა: „როგორ? გამოდის ახლა კონტროლიორია მტყუანი, ეს ყმაწვილი კი მართალი“:

— ფაქტი ჯიუტია, მოქალაქე მგზავრებო!

— ჯანდაბას! — ვაუმა ფული ამოიღო.

— ეს უსამართლობაა!

— დაუშვებელია!

— რა უნდობლობაა!

— ნუთუ ყველა სტყუის?! — ახლა მგზავრთა ბანაკში გაიღვიძა ღირსების გრძნობამ. აქ მთავარი ჯარიმის გადახდა კი არ იყო, არამედ სიმართლის დადგენა.

ატყდა აურზაური. ყაყანი.

ამდენ მგზავრებში მხოლოდ გოგონა იჯდა გაუნძრევლად, მის ტუჩებზე მსუბუქ ღიმილს დაესადგურებინა. მხოლოდ მან იცოდა ბილეთების გაქრობის საიდუმლოება, მაგრამ სდუმდა, რადგან გული რატომღაც ასე კარნახობდა. და განა გაბოროტებით მოსდიოდა? არა! გული ისევ ისე სიყვარულით იყო სავსე, მაგრამ სადღაც კუნჭულში ჩარჩენილ წყენინებას ხომ განელება სჭირდებოდა!

— თქვენი გვარი? — კონტროლიორმა ქვითარი და ფანქარი მოიმარჯვა.

— არავითარ შემთხვევაში... მე არ დავუშვებ! — მიიჭრა მასთან თეთრწვერა მოხუცი. — კაცური სინდისის საქმეა... თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. ნუთუ ამას, — მოხუცმა წვერებზე ჩამოისვა ხელი, — მეტი ნდობა არ უნდა ჰქონდეს... ამდენ ხალხს არ უნდა დაგვიჯერო?

— მე რა ვქნა. ფაქტია, რომ ამ ყმაწვილს ბილეთი არა აქვს.

— აქვს... აქვს... ყოველ შემთხვევაში, ჰქონდა. პატიოსნად აიღო, — ალაპარაკდა დედაბერიც, ქალიშვილის გვერდით რომ იჯდა.

— ნამდვილად!

— საკუთარი თვალით ვნახე!

— ჩემს შემდეგ აიღო!

ტროლეიბუსი უკანასკნელ გაჩერებაზე დგას, მაგრამ არავინ ჩამოდის. ყველა სიმართლის დადგენისათვის იბრძვის. სიმართლე კი მხოლოდ ერთმა გოგონამ იცის; აი იმ გოგონამ,

სავარძელში რომ ზის და ეშმაკურად იღიმება.

გარედან ისმის მილიციელის სასტვენის ხმა.

ჩოჩქოლი მატულობს.

— კარგი, კარგი, რა გაეწყობა!—აცხადებს კონტროლიორი და ტროლეიბუსიდან ჩადის.

მას რიგრიგობით მიყვებიან მგზავრები და თან მომხდარ ამბავზე ლარაკობენ.

ბოლოს, სულ ბოლოს ჩადიან გოგონა და ვაჟი. ვაჟი დაბნეულად შლის ხელებს და თავის მშვენიერ თანამგზავრს შესჩივის:

— რომ ავიღე, ვიცი, მაგრამ სად დავკარგე დანამდვილებით ვერ გამიგია!

გოგონა ახლა იცინის, უკვე ხმამაღლა იცინის, ვაჟს მკლავში აფრინდება, თავს მხარზე ადებს და უჩვეულო სინაზით ეუბნება:

— ალბათ ძალიან ცხელ გულზე იყავი, ახია შენზე, გეკადრებოდა... ნუთუ მართლა არ გახსოვს?! ბილეთები ხომ შენ თვითონ დაწიწკნე?!

— შემდეგ მომაგონდა... არც მომაგონდა... გვიანი იყო... მაინც არ დამიჯერებდა... საძაგელი!

ახლა ორივე იცინის, ხმამაღლა იცინის, ისე ხმამაღლა, რომ ჯერ კიდევ იქვე მდგომი კონტროლიორი გულზე სკდება. ეს სიცილი მას აღიზიანებს. რატომღაც დარწმუნებულია, რომ გააცურეს, მოატყუეს. მაშ რატომ იცინიან?.. რა აცინებთ?

რა აცინებთ?!

სიყვარულით სავსე გული, რომელიც წყენინებასაც სიცილით აქრობს და გაწმენდილი, უფრო ძალუმად ძგერს!

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი

პატარა ტბის ნავმისადგომთან გაჩერებულა საბავშვო გემი „პიონერი.“

ნავმისადგომიც პატარებითაა სავსე. ერთმანეთში ირევა ლაპარაკისა და ყვირილის, სიცილისა და ტირილის, სიმღერისა და ცეკვის, დოლისა და საყვირის ხმები.

ნავმისადგომზე მხოლოდ ერთგან — სალაროსთან — არის წესრიგის მსგავსი რაღაც. მაგრამ სადაცაა ისიც წაილეკება. წესრიგისა და სიწყნარის დამყარების იმედი ასეთ მოუსვენარ ხალხში ძალიან ცოტაა. მშობლებსა და გადიებს აქ არავინ უსმენს. ყველას უნდა მოხვდეს გემზე და მოხვდეს აუცილებლად პირველსავე რეისზე.

ბავშვური მოუთმენლობითა და სურვილებით შეპყრობილი ლამაზი თავების ამ მოფუსფუსე ზღვაში ელავს, ირხევა, ჭრიალებს მოქარგული ტუბიტეიკა და ქათქათა პანამა, ფერადი ბუშტი და პეპელა — ბანტი, პატარა დროშა და გრძელკუდა ლენტი.

ამ ცოცხალი, მოძრავი სივრცის შუა გულში ანძასავით უძრავად აღმართულა ახმახი ზურა. ზურიკო ღონიერი ბიჭია, მაგრამ თან საოცრად მშვიდი და კეთილი, ამიტომ წინ ვეღარ მიიწევს. ფეხებში სულ პატარა გოგო-ბიჭები ებლანდებიან და ისიც გზას უთმობს.

— აჰა!.. კარგი!.. გაიარე! — ლუღლუღებს ზური და თან ხეივანში სკამ-

ზე ჩამომჯდარ ბებიასაკენ გაიხედავს ძორცხვად; მოსწონს. თუ არა ჩეში თავაზიანობაო. ის კი არ იცის, რომ ბებო ათი ნაბიჯის იქეთ ვერაფერს ხედავს, რომ მას შვილიშვილი უკვე გეძზე ეგულება.

იქვე დგანან ცისფერთვალება, ქერათმიანი ძორენა და შავგვრემანი, თმახუჭუჭა მანანა. გოგონები ერთმანეთს აქ გაეცვნენ, თუმცა ეს გაცნობა რამდენადმე უცნაურად მოხდა. როცა ბილეთს იღებდნენ, მანანას ხუჭუჭი თმა რაღაცნაირად შორენას კაბაზე დაკერებულ ფოლაქს გამოედო. მანანა ძლივს დაიხსნეს. ტკივილები მალე დაავიწყდა, სამაგიეროდ შორენას დაუმეგობრდა. იგი მოხიბლულია შორენას ოქროსფერი, აბრეშუმივით მბზინავი კულულებით. შორენას კი სხვა დარდი აწუხებს: „როგორ უვარცხნის მანანას დედა ასეთ ხუჭუჭ თმებს? საბრალო გოგო, ალბათ რამდენს ტირის!“

ბუთხუზა ზაზა ხის ცხენზე ამხედრებულა და რიგის მოლოდინში თავისი ბედაურის ფაფარს ეთამაშება. დროდადრო შეტოკდება, ფეხებს იქნევს და იძახის:

— აჩუ!.. აჩუ!

მაგრამ ცხენი ადგილიდან არ იძვრის, სანამ სხვები არ დაძრავენ.

ზაზას ცხენს უკან მოსდგომია შავთვალწარბა გოდერძი და არხეინად ძუებს აძრობს კუდიდან. აძრობს ღერღერად და თან იმეორებს ამოჩემებულ, მარტო მისთვის გასაგებ სიტყვას:

— გო-გო-გო!.. გო-გო-გო!..

კიდევ კარგი, რომ ზაზა უკან არ იხედება, თორემ ვინ იცის რა ამბავი დატრიალდება. ზაზას ხმალი ჰკიდია, გოდერძის კიდევ დამბაჩა!

ამ სურათს თვალებდაჭყეტილი შეყურებენ ტყუპი დები მარინე და ირინე, თუმცა მათ უფრო სხვა რამ აფიქრებთ. „შეუშვებენ კი ზაზას გეშზე ცხენიანად? ბაღში ხომ ცხოველების შემოყვანა აკრძალულია. ჩურჩუტი ზაზა!.. ვერც კი ხვდება!“ გოგონები ყოყმანობენ: „უთხრან თუ არა ყოველივე ზაზას. რომ გაჯავრდეს?“ ამ ყოყმანში ის კი ავიწყდებათ, რომ თვითონაც ცხოველებით არიან: ერთს ყურებდაცქვეტილი კურდღელი უჭირავს, მეორეს კუდაპრეხილი ციყვი.

თვალწარბგადახატული, ნაწნავებიანი რუსიკო რატომღაც ცალკე დამდგარა. დგას და თან გულში იხუტებს თითქმის მისოდენა დედოფალას, სადღაც უშნოდ მიჭედებულ ლურსმანს დედოფალასათვის მუცელი გამოუფატრავს და წვრილი ნახერხი გზაზე მიიპნევა. რუსიკო ამას ვერ ამჩნევს, მაგრამ რომც შეამჩნიოს, ალბათ ყურადღებას არ მიაქცევს, რადგან მთელი არსებით შეუპყრია გემზე მოხვედრის სურვილს.

ყველაზე მეტი აურზაური, ცხადია, შესასვლელთანაა. მოაჯირის რკინებს ჩაფრენილი ბავშვები ერთმანეთს აწვებიან, ყიჟინებენ, გაჰკივიან. არ მოსწონთ, რომ ასე ნელა მიიწევენ. ჭიშკართან ბავშვები ბურთივით შეკრულან და ეს ცოცხალი ბურთი განუწყვეტლივ ტრიალებს მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი კონტროლიორი ბიჭის წინაშე. იგი მშვიდად შეჰყურებს მისკენ გამოშვერილ ხელებს, მოუსვენრად ბილეთებს რომ აფრიალებენ, და ისე გულმოდგინედ აკვირდება, თითქოს რაღაც საძნელო არჩევანის წინაშე იყოს.

აი, მას გოგონამ გაუწოდა ორი ბილეთი. გოგონა უკვე კარებშია, მაგ-

რამ მის ძმას კონტროლიორი კიდევ არ უშვებს, თითქოს რაღაცაში ეჭვი ეპარება. ბოლოს ბიჭიც გაატარა. სახეგაბრწყინებული გოგონა მისდა შეუმჩნევლად ხელს უშვებს ძმას და გემისაკენ გარბის. მხოლოდ ტრაპთან გაახსენდა თანამგზავრი, თვალით მოძებნა და ხელი დაუქნია. იმანაც გაჰკურცხლა.

მათ ფეხდაფეხ მისდევს დათვის ბელივით ბუნჩულა ბიჭი, როგორც ეტყობა, საოცრად ცნობისმოყვარეა. რადგან გზადაგზა ყველაფერს ხელს უპოტინებს. ტრაპზე ასვლისას მან ხელი უყოყმანოდ შეჰყო ქვედა კაიუტის მრგვალ ფანჯარაში. არავინ უწყის რატომ: იმის გამო, რომ ხელი რაღაც მაგარს მოარტყა, თუ ვინმემ უჩქმიტა, ბიჭი უცებ დაიჯღანა და აღრიალდა.

შესასვლელთან კი წინანდებურად აურზაურია.

ჭიშკარი კიდევ ორმა ბიჭმა გამოიარა, მაგრამ ერთს, უმცროსს, მეტისმეტად შეწუხებული სახე აქვს.

— აი... აი... იქ... იქ... — შესჩივის იგი მეორეს და ხელს იშვერს ჭიშკრის გადაღმა, ბავშვებისაკენ.

უფროსი მანამ ვერაფერს ხვდება, სანამ პატარამ შიშველი მარცხენა ფეხი არ უჩვენა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ უფროსი მიდის ნავმისადგომის მორიგესთან და უხსნის, რომ პატარა მიშამ იმ ორომტრიალში სადღაც ცალი ფეხსაცმელი დაკარგა.

მორიგე ბიჭმა ერთი ამრეზილად კი გადახედა დაზარალებულს, მაგრამ უმალ საქმიანი გამომეტყველება მიიღო და ჭიშკრისაკენ გაემართა. მისი განკარგულება, რომ მგზავრების გაშვება ცოტა ხნით შეჩერებულიყო, კონტროლიორის მეტს აინუნში არ ჩაუგდია. მაშინ მორიგემ ჭიშკრის დაკეტვა ბრძანა. ამან გასჭრა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა და მორიგემ საქმის შინაარსი გამოაცხადა.

ბავშვებმა, მართალია, გაიგეს, რომ სადღაც მათ ფეხებქვეშ გდია და იჭყლიტება მიშას ფეხსაცმელი, მაგრამ ეს ამბავი ნაკლებმნიშვნელოვნად ეჩვენათ იმასთან შედარებით, რასაც ელოდნენ. ამიტომ კვლავ აწრიალდნენ და ჭიშკარს მოაწვნენ.

როცა თხოვნით არაფერი გაუვიდა, კონტროლიორი ზურგით მიეყრდნო ჭიშკარს, თითქოს ამდენი ბავშვების შეჩერება მის ღონეზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

მაგრამ ეტყობა ამან მაინც იქონია გავლენა. დახურული, ჩარაზული ჭიშკრის წინაშე უცებ ყველამ იგრძნო თავისი უღონობა. ბავშვების ზღვა ისევ შეინძრა და ნელ-ნელა უკან ბატორტმანდა. უკან მდგომთ გადაწყვიტეს ესარგებლათ ამით. ტალღა ისევ წინ წამოვიდა.

მორიგეს არ გამოპარვია ეს მოძრაობა და საქმის გართულება რომ თავიდან აეცილებინა, გამოაცხადა:

— სანამ ფეხსაცმელს არ იპოვნით, არც ერთს არ შემოგიშვებთ.

რა გაეწყობოდა! ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მიშას ფეხსაცმლის უპოვნელობა არ იქნებოდა. ბავშვებმა ტაატით დაიხიეს უკან და თან ფეხებს ბრმად აფათურებდნენ მიწაზე.

ბოლოს, მათი თავების ზემოთ აღიმართა პატარა ხელების ტყე, რომელზედაც ფრთხილად, მოწიწებით გადმოატარეს წითელი, ღილაწყვეტილი ფეხსაცმელი.

გახარებულმა მიშამ ტაში შემოკრა, ფეხსაცმელში ფეხი ჩაჰკრა და... ჰერიჰაა!

ჭიშკარი ისევ გაიღო, მაგრამ არა დიდი ხნით.

კაპიტნის ბრძანებით, ტრაპი ასწიეს და „პიონერი“ პირველ რეისში გავიდა.

ჭიშკრის იქეთ დარჩენილები ბავშვური სინანულითა და შურით შესცქეროდნენ გემის ბედნიერ მგზავრებს, გემბანიდან და კაიუტების ფანჯრებიდან ხელებს რომ იქნევდნენ...

ნახევარი საათის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ნესტორ მაღაზონია

* *

შენ რომ ცეცხლი წამიკიდე...

შემობრუნდი, თვალცქრიალავ.
მაცქერინე წამი კიდევ.
რა ვქნა, ჯერაც არ ჩამქრალა,
შენ რომ ცეცხლი წამიკიდე!

მერე რაა, თუ შენს ნაწნავს
შემოდგომა არხევს ქარში
და ჩიტები აღარც მე მყავს
ყმაწვილობის საბუდარში!

ჭაღარაო?
ზამთრის მიწას
სულს უხუთავს თოვლი თითქოს,
მაგრამ მიწის გულში იცავს
გაზაფხულის ფერს და სითბოს!

ჰოდა, მოდი, რა იქნება
მაცქერინო წამი კიდევ?
არ ჩაქრა და არც ჩაქრება,
შენ რომ ცეცხლი წამიკიდე!

მხოლოდ შენი სიახლოვე

ფრინავ, როგორც მეთოლია
იმ მთაში და ამ მთაში.
თვალი იის ფოთოლია,
ვარდები გაქვს კალთაში.

შენზე ფიქრმა დღე და ღამე
ჩემი გული დაფლითა.
გახსენ ბაგე, მითხარ რამე
შენი ენის თაფლითა.

სანამ ვიყოთ ასე უბრალდ,
ეს რა გული გქონია?
მარტო თვალით ვისაუბროთ,
საკმარისი ggონია?

ო, მალირსე ეგ ვარდები,
შეისმინე მუდარა,
და გახსოვდეს მე რაც გთხოვე:
მხოლოდ შენი სიახლოვე, —
სხვა გულს არა უნდა რა.

არ არის გვიან

ნუ გაიკვირვებ, ჩემო ლამაზო,
თუ ვერ დავაცხრე მღელვარე გული,
თუ ჩემ ხანდაზმულ გრძნობას გთავაზობ
ასე უდროოდ შეყვარებული.

ნუ გაიკვირვებ, დღემდე რომ ვერ ვთქვი...
ჩემ თავს რამდენჯერ მივეცი ფიცი —
არ ვიტყვი, გულში ჩავიკლავ-მეთქი,
მაგრამ გავბედე.
და რატომ — იცი?

წელს გაზაფხული მოვიდა გვიან,
სუსხი ბოლომდე გამოჰყვა მაისს,
იცადა,
სითბოს უცადა იამ
და გამოიღო ყვავილი ძაინც.

მეც გაზაფხულზე არ მქონდა დარი
და არც ზაფხული მქონია თითქოს.
სდუმდა გული და არ იყო მკვდარი,
იმ იასავით ელოდა სითბოს.

ჰოდა, დღეს ბოლო მოეღო ლოდინს,
და მეც ავმღერდი, როგორც ის ია...
თუ სიყვარული გულიდან მოდის,
ის არასოდეს არ არის გვიან!

ალექსანდრე ჩხაიძე

* *

გარდამავალი დროშა, რომელიც გამარჯვებულს არ გადაეცა

— უჰ, იწვის ყველაფერი... პირდაპირ შეუძლებელია მუშაობა!.. — ამოიხვნეშა ინსპექტორმა გვარჯალაძემ, დაბალმა და ძალზე მსუქანმა კაცმა, კალმისტარი მაგიდაზე მიაგდო და ვენტილატორს გაღეღილი გულმკერდი მიუშვირა.

ევგენი ბურდულმა, მახლობლად რომ იჯდა, საპასუხოდ რაღაც ჩაიდუდუნა, მაგრამ წერა არ შეუჩერებია.

გვარჯალაძე კი ნამდვილად არ იყო მუშაობის გუნებაზე და ცდილობდა საუბარი გაება ბურდულთან. ისევ წამოიწყო:

— დღეს ჩვენმა კომენდანტმა მითხრა, აგერ ორმოცი წელია თბილისში ვცხოვრობ და ასეთი გაგანია სიცხე ჯერ არ მომსწრიაო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ევგენის კიდევ უფრო დაცხა, მაგრამ მაგიდიდან თავი არ აუწევია.

— ეჰ!.. — წამოდგა გაწბილებული გვარჯალაძე. — ერთი ბუფეტში შევიარო, იქნებ ცივი ბორჯომი ექნეთ.

რადგან ამანაც არ გაჭრა, გვარჯალაძემ მოშილიფებული მკერდი შეიკრა, მელოტი თავი შეიმშრალა და ოთახიდან გავიდა.

ევგენიმ საათს დახედა. თორმეტს თხუთმეტი აკლდა. წერას მოუჩქარა. ოთახში მარტო კალმის წრიპინი და ვენტილატორის შრიალი ისმოდა.

კარებში თავი შემოყო მინისტრის პირადმა მდივანმა — შავთვალწარბა და ქერათმიანმა ელიკომ.

— ევგენი ყაისაროვიჩ, კოლეგია იწყება!

— ახლავე, ახლავე, გეთაყვა... — მიუგო ევგენიმ, ბოლო სიტყვასთან წერტილი დასვა და გაკრული ხელით ნაწერი თაბახები სწრაფად ჩაათვალიერა. ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ ერთი სიტყვა შეცვალა, ერთგანაც მძიმე ჩაამატა.

ევგენიმ ქაღალდები აკრიფა, შემდეგ აშლილი თმები შეისწორა და ის იყო ოთახიდან აპირებდა გასვლას, რომ კარებში გვარჯალაძეს შეეფეთა. მას ხელში დაღრთქლილი ბორჯომის ბოთლი ეკავა. ხახაგამშრალ ევგენის ერთი ჭიქა ცივი ბორჯომი ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ დრო აღარ იყო, მინისტრს არ უყვარდა დაგვიანებულები.

მინისტრის კაბინეტის კარები ყველაზე ბოლოს ევგენიმ შეაღო და ლურჯ მაუდგადაფარებულ გრძელ მაგიდასთან თავისი ადგილი დაიკავა.

— დავიწყოთ! — თქვა მინისტრმა.

სანამ მიმდინარე საკითხებს გადაჭრიდნენ, ევგენი ბურდულმა სათქმელი ერთხელ კიდევ ჩამოაყალიბა გონებაში.

— კომუნალური მეურნეობის საწარმოთა შორის სოციალისტური შეჯიბრების წლის პირველი ნახევრის

შედეგების შესახებ. — წაიკითხა მინისტრმა.

ევგენი წამოდგა, გადაშლილი საქაღალდე წინ დაიდო და დაიწყო.

— როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, მთელს რესპუბლიკაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს ზღვიანის აბანოს მეურნეობას, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ამხანაგი ცეცხლაძე. აი ციფრებიც: მოაბანავეთა გატარების ნახევარი წლის დავალება შესრულებულია 123,3 პროცენტით, ზეგეგმითი დაგროვებისა... — ევგენიმ კიდევ რამდენიმე ციფრი დაასახელა და საბოლოოდ ღაასკვნა: — ყველა მაჩვენებელი იმაზე ლაპარაკობს, რომ ზღვიანის აბანოს მეურნეობას უნდა მიეკუთვნოს პირველი პრემია და გარდამავალი წითელი დროშა.

— კი მაგრამ ზღვიანიდან მომხმარებელთა საჩივრები მოგვდის, აბანოების მუშაობას ემდურიან! — წამოიძახა საშემოსავლო განყოფილების გამგემ.

— ადგილობრივი გაზეთებიც გვწერენ ამის შესახებ. — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ევგენიმ მინისტრისკენ გააპარა მზერა, რაიმე გავლენა ხომ არ მოახდინაო ამ რეპლიკამ, მაგრამ მის სახეზე ვერაფერი ცვლილება შეამჩნია, ამიტომ რიხიანად განაგრძო:

— შესაძლებელია, ამხანაგებო, ადვილი შესაძლებელია... მაგრამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება შედარებითია... თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკლოვანებანი მუშაობაში ვის არ აქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზღვიანის მეურნეობა სხვებს ჯობნის ჩვენს სისტემაში...

— არა, რა თქმა უნდა, ეს ასეა...

— თუკი შედარებით ვიმსჯელებთ...

უკან დაიხიეს რეპლიკების ავტორებმა.

სოციალისტური შეჯიბრების საკითხი სხდომის დღის წესრიგში მეცამეტე იყო, კიდევ რჩებოდა რამდენიმე საკითხი, ამიტომ მინისტრმა დაასკვნა:

— მუშაობაში რომ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი, ამის უარყოფა შეუძლებელია.. რა თქმა უნდა, არც ზღვიანის კომუნალურ მეურნეობაშია ყველაფერი რიგზე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ამხანაგებო, რომ დღეს ჩვენ ვიხილავთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, ესე იგი იმას, თუ ვინ ვის ჯობნის, თუკი ზღვიანის აბანოს მეურნეობას სხვებზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს...

ერთი სიტყვით, კოლეგიის სხდომაზე საკითხი ისე გადაწყდა, როგორც ეს ევგენი ბურდულს პროექტით ჰქონდა გათვალისწინებული. მის განცხადებას, ზღვიანში ჩავალ და გამარჯვებულებს დროშას პირადად ჩავაბარებო, წინ არავინ დადგომია. ზოგიერთებმა, მართალია, შურით ახედეს ზღვისპირისკენ გასამგზავრებლად ატეხილ ევგენის, მაგრამ აქაც მინისტრის დასტურმა გადასჭრა საკითხი.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ევგენიმ ფოსტაში შეიარა და ზღვიანში ასეთი დეპეშა აფრინა: „აბანოს მეურნეობის დირექტორს ცეცხლაძეს. გილოცავთ პირველ პრემიას და გარდამავალ დროშას. ხვალ ჩამოვალ. ბურდული.“

იმავე საღამოს ევგენი ბურდულს მატარებელი ზღვიანისაკენ მიაქროლებდა. მონოტონურად რახრახებდნენ ვაგონის ბორბლები. სასიამოვნოდ ირწეოდა რბილ საწოლზე მოკალათებული ევგენი. მის გარდა ყველას

ეძინა. კუზეში ბნელოდა. სადგურებზე ფანჯარაში შემოჭრილი სინათლის შუქზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა საბურველში გახვეული დროშის სპილენძის თავი.

* * *

ვაგონის ფანჯარაში თავგამოყოფილმა ევგენიმ ჯერ კიდევ შორიდან ჰკიდა თვალი ბაქანზე მდგარ ზორბა ტანის მიტროფანე ცეცხლაძეს. მას ჩინური აბრეშუმის საზაფხულო კოსტიუმში ეცვა, ცალ ხელში ჭილის ქუდი ეკავა, მეორეში—ვარდისფერი ცხიირსახოცი, რომლითაც მალ-მალე იწმენდდა სიცხისაგან წამოჭარხლებულ სახეს და ორად ნაკეც კეფას.

ეტყობა, მანაც შეამჩნია ბურდულის თავი და მისკენ სწრაფად გაემართა. ცეცხლაძეს თან ორი კაცი გამოჰყვა. ევგენიმ იცნო ცეცხლაძის მოადგილე გერონტი ბზეკალავა და ტრესტის მთავარი ბუჰხალტერი — ჩია ტანის, ძალზე გამხდარი კაცი, რომელსაც ამ პაპანაქებაში ძველი მოღის შავი, ჟილეტიანი კოსტიუმი ეცვა და თან საყელო ეკეთა. ევგენი ბევრს ეცადა, მაგრამ მისი სახელი და გვარი ვერ იქნა, ვერ მოიგონა.

— ევგენი ყაისაროვიჩს ვახლავართ! — ზედ კიბესთან მიეგება მთვარესავით გაბადრული მიტროფანე ცეცხლაძე.

ევგენიმ მაშინვე შეაფასა სიტუაცია და ოამხვდურებთან ერთრო ოფიციალური ტონით საუბარი ამჯობინა, მაგრამ ისიც ისე ზომიერად, როგორც ეს სანატრელ სტუმარს შეეფერებოდა.

— გამარჯობა, ამხანაგო ცეცხლაძე! გამარჯობა, ამხანაგებო! — ევგენიმ ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

— როგორ იმგზავრეთ, ევგენი ყაისაროვიჩ? რა ამბავია თბილისში? — შეეკითხა ბზეკალავა.

— გმადლობთ! თბილისში საშინელი პაპანაქებაა, სამაგიეროდ აქ, თქვენთან, ზღვისპირას!..

— შესანიშნავი ამინდებია, — ჩაერია ცეცხლაძე. — ამდენი ტურისტი და დამსვენებელი ჯერ არ მინახავს. პლაჟი მობანავეებს ვერ იტევს.

— ვფიქრობ, ჩემთვის ერთი ადგილი გამოინახება.

— გამოვნახავთ, ევგენი ყაისაროვიჩ.

ამ ლაპარაკში ბაქანი გაიარეს და სადგურის წინ მოედანზე გავიდნენ.

ცეცხლაძემ გვიან შეამჩნია, რომ სტუმარს ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა. ერთ ხელში საკმაოდ გამობერილი პორტფელი ეჭირა, მეორეში — საბურველით დაფარული დროშა. ცეცხლაძემ უფრო მიზანშეწონილად სცნო დროშა ჩამოერთმია ბურდულისათვის, მაგრამ ევგენიმ არ დაანება, ღიმილით უთხრა:

— ეს დროშა დღეს საზეიმო ვითარებაში უნდა გადმოგცე ხელიდან ხელში.

მათ გვერდით ყავისფერი „პობედა“ გაჩნდა.

ცეცხლაძემ ევგენი შოფრის გვერდით მიიპატიჟა.

უკან მოთავსდნენ ცეცხლაძე და ბზეკალავა. კიდევ უფრო დაპატარავდა მათ შუა გამომწყვდეული მთავარი ბუჰჰალტერი, რომელსაც მთელი ამ შეხვედრის განმავლობაში „გამარჯობას“ გარდა არც ერთი სიტყვა არ დასცდენია.

შოფერს არაფერი უკითხავს, ისე დასძრა მანქანა ქალაქის შუაგულისა-

კენ. ეტყობა, წინასწარ იყო გაფრთხილებული, საით წასულიყო.

— საით მივდივართ? — უკითხაობა უხერხულად ჩასთვალა ევგენიმ.

— „ინტურისტში“. იქ თქვენთვის ნომერი მზადაა.

„პობედა“ ყვავილნარებითა და კვიპაროზებით მოხატულ ეზოში შესრიალდა და სასტუმროს მაღალ კარებთან შეჩერდა. შესანიშნავი შენობა ზედ ზღვისპირას იყო აგებული. პარკის ჩრდილებში მოჩანდა სკამლოგინებში ნებივრად ჩაწოლილი დამსვენებლები. ზღვიდან მონაბერი სიო საამოდ ესალმუნებოდა გახურებულ სახეს.

— აჰ, მართლაც სანატრელია აქ ყოფნა! — წამოიძახა ევგენიმ და ღრმად ჩაისუნთქა ზღვის ჰაერი.—ამის შემდეგ შენ თბილისში ყოფნა თქვი!

— მასპინძლები ვართ და ჩვენი ვალია... — დაიწყო ცეცხლაძემ, — ჩვენი ვალია შემოგთავაზოთ აქ კიდევ რამდენიმე დღეს დარჩენა.

— თუ სამსახური ნებას მოგცემთ, თავს არ შევირცხვენთ. — ჩაურთო გზეკალავამ.

მიუმარე ბუხჰალტერმაც თავის დაქნევით დაუჭრა კვერი.

— აჰ. რას ამბობთ! ზეგ რომ კოლეგიას არ დავესწრო, ყოვლად შეუძლებელია. — გაიპარტიკა ევგენიმ. უხერხული იყო, თორემ. ავადმყოფობის ფურცელი რომ ეშოვნა. რამდენიმე დღეს მართლაც დარჩებოდა ალაცი.

ადმინისტრატორთან სწრაფად გაიარეს გათორმების პროცედურა. შემდეგ მეორე სართულზე ავიდნენ. სადაც მორიგე „ლუქსის“ ოროთახიან ნომერში შეუძღვა. რბილ ავეჯს. მაცივარს და რადიომიმოებს რომ მოჰკრა თვალი, ევგენიმ წამსვე ის გაიფიქრა, რომ მისი სამივლინებო თანხები ვერ დაფარავდა ასეთი კომფორტის ხარჯს. მაგრამ დამხვდურები ისე მასპინძლობდნენ, რომ, ეტყობოდა, ისინი ამ მხრივ არ აპირებდნენ საპატიო სტუმრის შეწუხებას.

— სანამ ნამგზავრზე მოისვენებდეთ, ამ დილით მცირე საუზმე არ გვაწყენს, პატივცემულო ევგენი! — თქვა ბზეკალავამ.

ევგენის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ყველანი რესტორანისაკენ გაემართნენ.

ნოყიერი საუზმისა და ხუთვარსკვლავიანი კონიაკის შემდეგ ცხადი გახდა, რომ სტუმარს მოსვენება ესაჭიროებოდა. მასპინძლებმა ევგენი ბურდული ოთახამდე მიაცილეს და გამომშვიდობებას შეუდგნენ.

— მაშ, ასე, ამხანაგებო... დღის ბოლომდე. როგორ ფიქრობთ, როდის აჯობებს ხალხის შეკრება და დროშის გადაცემა?

— ვფიქრობ, საღამოს რვა საათისათვის, ევგენი ყაისაროვიჩ. — მიუგო ცეცხლაძემ.

— ძალიან კარგი, იყოს საღამოს რვა საათისათვის.

მასპინძლების წასვლის შემდეგ ევგენიმ ზედა ტანსაცმელი გაიხადა და სიცხისა და კონიაკისაგან გახურებული თავი ონკანს მიუშვირა. შემდეგ პიჟამო გადაიცვა და აივანზე გავიდა.

აქედან ხელის გულივით მოჩანდა ზღვის მთელი სანაპირო, მობანავეებით მოფენილი პლაჟი. მოჭყუმპალავე ხალხს ნაპირთან წყალი თეთრად აექაფებინა. ლურჯად მოლივლივე ზღვის ზედაპირს გარდი-გარდმო სერავდნენ ტილოსჩარსავიანი კანჯოები და ბაიადარები.

— უჰ! — გაიზმორა ამ საუცხოო სურათით დამტკბარმა ევგენიმ.

ვიღაცამ გვერდით ჩაახველა. ევგენის მარტო ეგონა თავი, ამიტომ ამ ხმაზე შეშფოთებით მოიხედა და მეზობელ აივანზე სკამლოგინში ჩამჯდარი ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი დაინახა. იგი წიგნს კითხულობდა. სახესა და ნახევრადშიშველ მხრებზე ეტყობოდა ზღვის ხშირი სტუმარი იყო.

ევგენის მოეჩვენა, რომ ქერათმიანი ქალი წიგნის ზემოთ ხანდახან ღიმილით შეეცქეროდა მას. გულში სასიამოვნოდ შეუღიტინა ახალგაზრდობაში კარგად ნაცნობმა გრძნობამ. თმაზე ხელი გადაისვა, რამდენადაც შეიძლებოდა მუცელი შესწია. მკერდი წინ გამოიშვირა და სხვათა შორის წარმოსთქვა:

— რა მშვენიერი ამინდია!

მეზობელი აივნიდან პასუხი გაისმა:

— დიახ, ამინდი მართლაც კარგია!

ევგენი არ მოელოდა საუბრის ასე იოლად გაბმას, ვითომ ახლა შეამჩნიაო, ქალს მიუბრუნდა და მოიბოდიშა:

— უკაცრავად, ვერ შეგამჩნიეთ.

— არაფრის. — თქვა ქალმა, ზღვასავით ლურჯი თვალები ერთი წამით მოაშორა წიგნს, ევგენის მზერა სტყორცნა და ისევ კითხვას დაუბრუნდა.

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ევგენის ისევ მოეჩვენა, რომ ქალი უგულისყუროდ დასცქეროდა წიგნს. ამიტომ გაბედა საუბრის გაგრძელება.

— ჩამოსული ბრძანდებით?

— დიახ. — თქვა ქალმა, წიგნი დაკეცა და მუხლებზე დაიდო.

ევგენი გათამამდა.

— ალბათ, ზღვის ხშირი სტუმარი ხართ?

— როგორც ყველა ჩამოსული.

— დღეს იყავით ზღვაზე?

— ჩვეულებისამებრ დილის შვიდიდან ათ საათამდე.

— ცივია წყალი?

— ყინულივითაა... — ჩაიცინა ქალმა.

ევგენი მიხვდა, რომ ვერაფერი შეკითხვა გამოუვიდა. უკან მაინც არ დაიხია.

— ვხედავ, თქვენ ჩემზე უფრო იცნობთ აქაურობას, ზღვის ხშირი სტუმარიც უნდა იყოთ. ხომ არ მეტყვით საღამოობით რომელ საათებში ჯობს ბანაობა.

— გააჩნია, ვის როგორ სურს. მე პირადად საღამოს ექვსი საათიდან ისევ ზღვაზე ვარ.

ევგენიმ სიამოვნებით გაიფიქრა, რომ ამ დროისათვის ისიც თავისუფალი იყო. რა კარგი ჰქნა რვა საათისათვის რომ დაანიშნინა კრება.

ქალი წამოდგა და ტანაღმართულს რომ შეავლო თვალი, ევგენის კიდევ უფრო მშვენიერი მოეჩვენა იგი.

— უკაცრავად, უნდა დაგტოვოთ. — თქვა ქალმა და ოთახის კარები შეაღო.

— იმედია ისევ შევხვდებით ერთმანეთს. — დააწია ევგენიმ და ახლა ნაჩქდვილად შეამჩნია, რომ ქალმა გაიღიმა.

ევგენი ერთხანს ისევ იდგა აივანზე, მაგრამ ქალი აღარ გამოჩენილა. თვითონაც შევიდა ოთახში და ხის რბილ საწოლზე ნებივრად გაიშოტა. მცირე ხნით დაავიწყდა კიდეც, თუ რისთვის იყო ჩამოსული, მისი ფიქრები ახალგაცნობილი ქალის გარშემო ტრიალებდა. მაგრამ ხუთვარსკვლავიანმა კონიაკმა თავისი გაიტანა და მალე ოთახში ევგენის გოლიათური ხვრინვა გაისმა.

...ევგენის მაშინ გაეღვიძა, როცა დასავლეთისაკენ გადაწვერილმა მზის სხივებმა ოთახში შეაღწია და ზედ თვალებში შიანათა. თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე საათს დახედა. ექვსი

სრულდებოდა. სწრაფად წამოიჭრა, პირზე წყალი შეისხურა და აივანზე გავიდა. თვალი გააპარა მეზობელი აივნისაკენ. იქ არავინ ჩანდა, არც ოთახიდან ისმოდა ჩუმი. ნამდვილად ზღვაზე იქნებაო წასული, მიხვდა ევგენი, ბევრი აღარ უფიქრია. გადაწყვიტა პლაჟისაკენ გაესეირნებინა, იქნებ იმ მომაჯადოებელ ქერათმიან ქალს წაწყდომოდა სადმე.

სანაპირო მობანაველებით იყო გაჭედილი. ერთმანეთში არეული ქალი, კაცი და ბავშვი თაკარა მზის ქვეშ იხრუკებოდნენ. კიდევ უფრო მეტი ზღვაში დგაფუნობდა. უფრო გაბედულნი შორს გასულიყვნენ და წყალს ზევით ოდნავ მოჩანდა მათი თავი და მოქანავე მკლავები.

ამდენ ტიტლიკანა ხალხში ადვილი არ იყო ნაცნობის ნახვა, მით უმეტეს, რომ ევგენი იმ ქალისაგან ნაკლებად მოელოდა შეხმიანებას.

ევგენიმ რამდენიმეჯერ აიარ-ჩამოიარა პლაჟზე, მაგრამ მალე დაჰკარგა იმ ქალთან შეხვედრის იმედი და გადაწყვიტა ებანავა მაინც. ტანზე გაიხადა, ის იყო წინდები უნდა გაეძრო, რომ ზედ მის გვერდით ლურჯ საბანაო კოსტიუმიანი ბრინჯაოსფერი ტანი შეირხა, გაზეთი ჩამოკიურდა სახიდან და ევგენის ის, ამ დილას გაცნობილი ქალი შერჩა ხელში.

მოულოდნელი შეხვედრისაგან ევგენიმ სიხარულიც იგრძნო და უხერხულობაც. ტანგახდილს ცალი წინდა ხელში შერჩა.

ქალმა მაშინვე იცნო ევგენი. შავი სათვალეები მოიხსნა და ღიმილით წარმოსთქვა:

— თქვენც აქა ხართ?

— დიახ... დიახ... — ძლივს წარმოსთქვა ევგენიმ. ცდილობდა როგორმე ატლეტური იერი მიეცა თავისი ტანისათვის, როგორმე მიემალა წინ შესამჩნევად წამოზიდული მუცელი. ახლა იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ამდენ გარუჯულ ხალხში ისე გამოირჩეოდა მისი მზედაუკრავი სხეული, როგორც თეთრი ბატი შავი იხვების გუნდში.

ქალმა ევგენის უხერხულობა შეამჩნია და გასამხნევებლად გაუღიმა.

— ჩადით, იბანავეთ, წყალი არაა ცივი. — უთხრა მან, თვითონ ისევ გაწვა მზის ქვეშ და სახეზე გაზეთი გადაიფარა.

ქალის შუქიანი თვალები რომ ჩამოშორდა, ევგენიმ შვება იგრძნო, მაშინვე ზღვას მიაშურა. შეუჩვეველს ფეხის გულები ატკინა კენჭებმა. რის ვაივაგლახით მიაღწია წყლამდე. პირველად შეაჯრჯოლა, მაგრამ არ შეიმჩნია, წელამდე შევიდა ზღვაში და ჩაჯდა.

წამსვე გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას წააწყდა. ახლა მოაგონდა, რომ ცურვასთან მწყრალად იყო. ყელამდე შევიდა წყალში: წინ წაწევა ვეღარ გაბედა, რადგან ზღვასა და რიონს შორის განსხვავება უკვე ნაგემი ჰქონდა. ევგენის უკვე გული მოსდიოდა თავის თავზე, რომ ასე აცეტდა და მაინცადამაინც ზღვისპირი შეარჩია იმ ქალთან შესახვედრად. ძალიან სანახავი კი იქნება ბავშვებში ნაპირთან მოჭყუმპალე ევგენი. ნაპირისკენ მიიხედა. ის ქალი ისევ წამომდგარიყო და ალბათ მობანავეთა შორის ევგენის ეძებდა. „შორს იყურება, მოკიურავეებში თუ მეძებს“, — გაიფიქრა ევგენიმ. ეჰ, რად ღირდა ახლა ერთი ავტომობილის კამერა! იქვე მახლობლად რამდენიმე გოგო და ბიჭი ჩამოკიდებოდა უზარმაზარ კამერას, მაგრამ განა ევგენის დაუთმობდნენ მას.

უცებ ევგენის სახე გაუბრწყინდა. სულ ოდესაც ხასევაოი ძეტოის ითითოეულით კაოგა ითსრდილი ხის ჯირკი ტივტივებდა. ფიქოის დოო ადარ იყო, ევგენიმ ფსკერს ფეხები მოაშორა და იმ ჯირკს ძლივს მისწვდა, მისწვდა, და ოოივე ხელით ჩაეღაუჭა.

ჯირკი ნახევრად ჩაიძირა წყალში, მაგრამ ევგენის ტანის სიმძიმეს მაინც გაუძლო. ახლა, თუკი ეს ძნელი ჯირკი არ გაუსხლტებოდა ხელიდან, ძეეძლო ნაპირს რამდენიმე ძეტრით მოცილებოდა. ერთხელ კიდევ გააპარა ძხეოა საპოოიაკეი და ითეოვეია, ოოი ქალი მისკენ იცქირებოდა. გაბედა, ჯირკს ცალი ხელი მოაცილა და ნაპირს ცოტათი მოშორდა.

ევგენი ყველა მხრიდან ევლებოდა ჯირკს — ხელიდან არ უშვებდა. მუცლით აწვებოდა, აჯდებოდა. ჯირკმა ყველა ვითარებაში ბრწყინვალედ ჩაბარა გამოცდა. ევგენის ენანებოდა მისი მიტოვება. ისიც კი გაიფიქრა, ნეტავი ხვალაც აქ დამხვდებოდესო.

როგორც იქნა გული იჯერა ბანაობით, ფეხქვეშ მყარი ნიადაგი რომ იგრძნო, ჯირკს სინანულით გაუშვა ხელი და ნაპირს მიაშურა.

— ბიძია, ბიძია! — გაისმა უკნიდან ბავშვის ხმა, მაგრამ ევგენიმ ყურადღება არ მიაქცია, პირდაპირ ტანსაცმელს მიაშურა. უცებ შეცბა, რადგან მის დანახვაზე ქალს თვალები გაუფართოვდა და სიცილისაგან თავი რომ შეეკავებინა, სახე მარაოში ჩამალა.

ევგენი ვერაფერს მიხვდა.

— შეხედე, თემურ, რა მალე გაშავებულა! — ჩაილაპარაკა მის გვერდით ვიღაცამ.

ევგენის გულში გაკენწლა. სწრაფად ტანზე დაიხედა და... ამ გაგანია სიცხეში ციმა ჟრუანტელმა დაუარა — მთელი მუცელი, მკლავები, ბარძაყები ალუბალივით აეოიდა ძოთხუპნული. თეთრ ტანზე შაიიც განსაკუთრეიულად ძოჩანდა ყავისფერი ლაქები.

გამწარებული ევგენი გვძან მიხვდა, თუ რამ ძოხატა ძისი ტანი ასე საძინლად. გაშმაგებით მიიხედა ზღვისკენ. ტალღებზე არხეინად ირწეოდა შავი ჯიოკი, ოოძელიე ხეიივრობაც ასე ძვირად დაუჯდა ატრუებულ ევგენის.

ევგენის გარშემო ხალხმა მოიყარა თავი.

— რა ამბავია? რა მოხდა? — ისმოდა ირგვლივ და თანდათან იზრდებოდა ცნობისძოყვარეთა წრე, რომლის შუაგულში უმწეოდ იდგა მაზუთში ამოსვრილი შიშველი ევგენი ბურდული.

ბავშვები სიცილს ვერ იკავებდნენ. უფროსების სახეზე თანაგრძნობა იხატებოდა. ზოგიერთები რჩევა-დარიგებას იძლეოდნენ:

— ბენზინი ახლავე, სხვა არაფერი უშველის მაგას.

— ამ სიცხეში ბენზინი გაგიგონია, შე კაცო? ცხელი წყალი და საპონია მაგის წამალი.

ვიღაც კვიმატმა გაიხუმრა:

— ბუმბულში აგორება. სწორედ მისწრებაა ახლა.

მზის სხივებმა ევგენის სწრაფად შეუშრო ტანი. ახლა კიდევ უფრო მწარედ იგრძნო, თუ როგორ ეწებებოდა ტანზე ბალანი. მერედა, თითქოს განზრახ, ყველაფერი ეს ხდებოდა იმ ქალის თვალწინ, რომელთან ნაცნობობას უნდა დაეგვირგვინებინა სიამტკბილობით აღსავსე მივლინების დღეები.

სიმწრის ოფლმა გამოეონა შუბლზე.

ქალი მიხვდა ევგენის გაჭირვებას და ურჩია:

— სასწრაფოდ ჩაიცვით და სასტუმროში თბილი აბაზანა მიიღეთ. ნუღარ

დააყოვნებთ, თორემ უფრო შეგაწუხებთ.

იძულები თანაგრძნობა იყო ქალის ხმაში, რომ ალბა ევგენი ადგილიდან გარდა აოაფეოს გრძნობდა მის ციცაოთ.

— დიახ... დიახ... თქვენ ბოთალი ბრძანდებით... ახლავე თბილ აბაზახას ბრინეულ. — ხანალადევი ღიმილით ბუტბუტებდა ევგენი და სწრაფად იცვამდა ტანზე. ძველვარებისაგან ვერ იქსა, ბარვალის ცალ ტოტში ფეხი ვერ გაუყარა. როგორც იქსა ტანზე გადაიცვა. — ბოდიში... თქვენთან დიდი ბოდიში! — მიუბრუნდა იგი მასზე არახალებ შეწუხებულ მეზობელს და ჩქარი ნაბიჯით ბოსცილდა პლაჟს.

სულმოუთქმელად აირბინა მესამე სართულზე, ოთახის კარები შეაღო თუ არა, მაშინვე მორიგე იხმო.

— თუ შეიძლება აბაზანა გამიმზადეთ.

— სიამოვნებით, მხოლოდ საღამოს რვა საათს შემდეგ. — მიუგო ოდნავ გაკვირვებულმა მორიგემ — ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ დაჭირდა მობინადრეს ამ სიცხეში აბაზანა.

— რაგორ თუ რვა საათზე? — ძლივს ამოილაპარაკა ევგენიმ და ახლა უფრო მწვავედ იგრძნო, თუ როგორ მიეწება პერანგი კანს.

— ზაფხულობით ასეთი წესი გვაქვს. ზღვა ყურის ძირშია. მობინადრეებს იშვიათად ჭირდებათ აბანო და ამიტომ მხოლოდ საღამოობით ვახურებთ ქვაბს.

ლაპარაკის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ევგენიმ მორიგე გაისტუმრა, კარები ჩაიკეტა და ტანი ონკანს მიუშვირა. მაგრამ ცივმა წყალმა ვერაფერი გააწყო მაზუთის ლაქებთან.

ევგენიმ საათს დახედა. კრების დაწყებამდე საათნახევარი რჩებოდა. „აბანოში, სწრაფად აბანოში!“ — გადაწყვიტა ევგენიმ, საპონი და პირსახოცი სარქაროდ გაზეთში შეახვია და ქვემოთ დაეშვა.

ოაღაც ალბალად სასტუმროს ეზოში ტაქსი შემოსრიალდა, საიდანაც ახალგაზრდა ყვავილი გადმოვიდა.

იქვე ახლოს ჩემოდნებით მდგომი ხნიერი ქალი აფუსფუსდა, ბაგრამ სანამ იგი ტაქსამდე მიაღწევდა, ევგენიმ სწრაფად შერგო მანქანაში თავი და შოფერს მოკლედ მიუგდო:

— სწრაფად, მაგვიანდება!

შოფერმა თავი მოაბრუნა და კითხვის ნიშნით მიაჩერდა მგზავრს.

— უახლოესი აბანოსაკენ.

მანქანა ეზოდან გავიდა, მარჯვნივ შეუხვია და ლარივით სწორ ქუჩას გაჰყვა.

სულ რაღაც ორიოდე საათის წინ ზღვისპირა ქალაქის ბუნების სიმშვენიერით დამტკბარი ევგენი ბურდული ახლა მის გარშემო ვეღარ ხედავდა აშოტილ კვიპაროზებს და მარაოსავით გადაშლილ პალმებს, ნაირ-ნაირი ყვავილებით მოფარდაგებულ გაზონებს და მხიარულად მოსეირნე ხალხს. ხასიათწამხდარი ევგენი ახლა იმაზე ფიქრობდა, დაუბრუნებდა თუ არა ცხელი წყალი და საპონი მის ტანს ბუნებრივ ფერს, მოუსწრებდა თუ არა კრებას.

თითქოს განგებ მანქანამ აბანო-საპარიკმახეროების ტრესტის წინ ჩაიარა. ევგენი კუთხეში მიიყუჟა. ერთ ფანჯარაში თვალი მოჰკრა ბზეკალავას. იგი ხელით რაღაცას ანიშნებდა კლუბის სცენაზე გასულ რამდენიმე კაცს, რომლებიც პრეზიდიუმის მაგიდას და ტრიბუნას ყვავილებით რთავდნენ.

მანქანამ კიდევ რამდენჯერმე შეუხვია და ბოლოს ფართოკიბეებიან კუთხის შენობასთან შეჩერდა.

ევგენიმ თავისუფლად ამოისუნთქა, შოფერი გულუხვად გაისტუმრა და უთხრა:

— მეგობარო, შეგიძლია ზუსტად ერთ საათში მომაკითხო?

— კარგი კაცისათვის ყველაფერი შეგვიძლია. — გულღიად მიუგო შოფერმა.

— მაშ გელოდები. — თქვა ევგენიმ და აბანოს კარი შეაღო. ირგვლივ არც მიუხედავს, პირდაპირ სალაროს მიაშურა.

— თუ შეიძლება ნომერი მომეცით!

მოლარე ქალი თვალებგაშტერებული დასცქეროდა გადაშლილ წიგნს, რომელსაც ეტყობოდა, გასულ საუკუნეში იყო გამოცემული. ალბათ საინტერესო ადგილს კითხულობდა, რადგან ვერც ევგენი შეამჩნია და არც მისი ხმა გაუგონია.

ევგენიმ კითხვა რომ გაუმეორა, მოლარემ მხოლოდ მაშინ ასწია თავი და კითხვითვე უპასუხა:

— რა გნებავთ?

— გთხოვთ, ნომერი მომცეთ!

— ხვალ დილით რვა საათზე შემოიარეთ.

ხომ არ დამცინისო, გაიფიქრა ევგენიმ და ხმა აუმაღლა:

— ამხანაგო, მე ვგონებ გასაგებად გითხარით, რომ ნომერი ახლა მჭირდება.

— რა გაყვირებთ, მოქალაქევ, — არ ჩამორჩა მოლარე, — მეც გასაგები ენით გაგეცით პასუხი, რომ ნომრებს ვანაწილებთ დილის რვა საათიდან. დღეისათვის ყველა ნომერი გაცემულია.

ეს თქვა და ამით ევგენისთან საუბარი დამთავრებულად ჩათვალა, წიგნს დაუბრუნდა. ამ დროს ტელეფონმა დაიწკრიალა. მოლარე ყურმილს მიწვდა.

— გისმენთ. დიახ, აბანოა. ვინ ბრძანდებით?.. მახარაძე? აა... მობრძანდით, ჩემო ბატონო, მობრძანდით. დიახ, თავისუფალია...

ევგენიმ ვეღარ მოითმინა:

— აკი ნომრები არ გვაქვსო.

— ეს, მოქალაქევ, დაჯავშნული გახლავთ.

— კი, მაგრამ ეს დაჯავშნული ნომერი ჯერჯერობით ხომ თავისუფალია.

— ასეა მითითება, აძხანაგო. ერთი სოფერი ყოველთვის მზად უნდა იყოს. ჩვენ ხოლ ზიხასწარ არ ვიცით, როდის დარეკავს რომელიმე პასუხისმგებელი აძხანაგი. — ეს ისეთი დამაჯერებლობით წარმოსთქვა მოლარემ, თითქოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რომელიმე კანონი მოიყვანაო არგუმენტად.

ევგენიმ უმწეოდ მიიხედ-მოიხედა. როგორ მოიქცეს? საერთო აბანოში არც ახსოვს როდის იყო უკანასკნელად, დღეს მაინც ასე როგორ შევიდეს! ჯერ იყო და პლაჟზე ააგდებინა ხალხს სასაცილოდ თავი, ახლა კიდევ ვინ იცის აქ რამდენი ოხუნჯი და ცნობისმოყვარეა. არა და რა ქნას, დრო არ ითმენს! ჯანი გავარდეს, რაც იყოს იყოს!

— კარგი, მაშინ საერთოში მომეცით.

— მოცდა მოგიწევთ, ხომ ხედავთ, საერთოში ცოცხალი რიგია. — წიგნიდან თავი არ აუღია, ისე უპასუხა მოლარემ.

ევგენიმ ახლა შეამჩნია, რომ იმ კარებთან, რომლის ზემოთ ეწერა — „საერთო“, გრძელ სკამზე რამდენიმე კაცი იყო ჩამომჯდარი.

ტელეფონმა ისევ გაიწკრიალა.

— ალო... გისმენთ. აბანოა. ვინ

ბრძანდებით? — პასუხი რომ მოისმინა. მოკლედ მოსჭრა: — არ. გვაქვს, — და ყურიილი დასდო.

ევგენის შეწუხებული სახის დანახვამ მოლარეს, ეტყობა, რაღაც თანაგრძნობის მსგავსი აღუძრა გულში, ოდნავ მოლბა.

— დაელოდეთ საერთოში. ამასობაში შეიძლება ვინმე ნომრიანი არ მოვიდეს და იქნებ შევძლო თქვენი გატარება.

ევგენი ჩამოჯდა. ახლა იგი ველარ გრძნობდა მაზუთით გახურებულ ტანს და კანზე მიკრულ პერანგს. ევგენი ბურდულს სხვა ფიქრები აწვალებდა. რაც ახლა მას აბანოში გადახდა, შეიძლება სხვა დროს არც გაკვირვებოდა. ვინ იცის მასაც რამდენჯერ დაურეკავს აბანოში, მისთვისაც დაუჯავშნიათ ნომერი, მაგრამ ამაში ურიგოს არაფერს ხედავდა. დღეს მან სხვა თვალით შეხედა ამ სურათს.

ამ ფიქრებში იყო ევგენი, როცა დარბაზში შემოვიდა სათვალიანი შუახნის მამაკაცი პატარა ჩემოდნით ხელში. იგი სალაროს მიადგა.

— გთხოვთ, ნომერი მომცეთ!

ევგენის უნებურად გაეღიმა.

სათვალიანმა ჩვეულებრივი პასუხი მიიღო, მაგრამ უკან არც დაუხევია, პირიქით, განაწყენებულმა წარმოსთქვა:

— კი მაგრამ, თქვენ ახლა არ მითხარით, ნომერი გვაქვსო?!

— როდის?! — გულწრფელად გაუკვირდა მოლარეს.

— სულ რაღაც თხუთმეტი წუთის უკან გელაპარაკეთ ტელეფონით.

— ბოდიში, თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

— მახარაძე.

— მე თქვენ მინისტრის მოადგილე სილიბისტრო მახარაძე მეგონეთ. ვერ გამაგებინეთ ტელეფონში ადამიანურად ვინცა ხართ? — გაღმა შეედავა მოლარე.

შემდეგ დიალოგი სალაროსთან უფრო მაღალ რეგისტრში წარიმართა, რასაც ის მოჰყვა, რომ მოქალაქე მახარაძემ აბანოს დირექტორის კაბინეტს მიაშურა, მაგრამ კარები გამოკეტილი დახვდა და მანაც ბუზღუნით ევგენის გვერდით დაიკავა რიგი.

მოლარე ქალი კი ისევ წიგნის გაყვითლებულ ფურცლებზე მონავარდე გმირებს აედევნა.

სალაროდან ზოგჯერ მოისმოდა ტელეფონის წკრიალი და საპასუხო „ალო“, რომელსაც ყოველთვის მოსდევდა აუცილებელი შეკითხვა — „ვინ ბრძანდებით?“ პასუხის მიღებაზე მოლარის ხმა და სახე საოცარ მეტამორფოზას განიცდიდა — ხან წარბშეკრული იმ წუთსავე დებდა ყურმილს, ხან კიდევ შაქარივით დნებოდა და ყოველ ორ სიტყვას „ჩემო ბატონოს“ ადევნებდა.

ევგენიმ შეამჩნია, რომ როგორც იქნა დაჯავშნული ნომრის კარი გაიღო და შიგ ვიღაც უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული ახალგაზრდა ვაჟი შევიდა.

— ხომ არ იცით ის ვაჟი რა თანამდებობის კაცია? — მორიდებით შეეკითხა ევგენი ჯერ კიდევ ბრაზდაუმცხრალ მახარაძეს.

— თანამდებობის!.. — ჩაიცინა მახარაძემ, — დიდი კაცის ბედოვლათი შვილია. სამი წელია ეწყობა უმაღლესში და არ დაადგა საშველი. დაყიალობს უსაქმოდ და მამამისით გააქვს ყველგან თავი.

რიგი თანდათან მიიწევდა წინ. ის იყო ევგენის წინ მხოლოდ ერთი კაცი

დარჩა, რომ იღლიაში პორტფელამოჩრილი შუახნის მელოტი კაცი შემოვიდა, დირექტორის კაბინეტი გააღო და შიგ შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ის კარები ევგენიმაც შეაღო.

— შეიძლება?

— მობრძანდით! — უპასუხა დირექტორმა ისე, რომ წერა არ შეუწყვეტია.

ევგენიმ თვალი მოჰკრა ქაღალდზე მსხვილი ასოებით გამოყვანილ სიტყვას „ამხანაგებო!“. „ნამდვილად ამ საღამოს კრებაზე წარმოსათქმელ სიტყვას ამზადებს.“ — გულმა უაზრა ევგენის.

— რას გვიბრძანებთ? — შეეკითხა დირექტორი საქმეებით გადატვირთული კაცის კილოთი.

ევგენი წინათაც იყო ნამყოფი ამ ქალაქში და უნდოდა შეემოწმებინა, ხომ არ იცნობდა მას აბანოს დირექტორი. მაგრამ დირექტორის სახე მოუთბენლობის გარდა არაფერს გამოხატავდა. მაშინ ევგენიმ დაიწყო:

— მე პირველად ვარ ამ ქალაქში და რასაკვირველია, თქვენს აბანოშიც, შეიძლება ამიტომ მე განსაკუთრებით მომხვდა თვალში, რომ თქვენთან აბანოების მხრივ ვერაა ყველაფერი რიგზე.

— საიდან გამოიტანეთ ეს დასკვნა? — ირონიულად შეეკითხა დირექტორი და სათვალეები მოიხსნა, რომ კარგად შეეხედა კლიენტისათვის.

— საკუთარი გამოცდილებიდან,

— მერედა თქვენ ამით გინდათ შეაფასოთ აბანოს კოლექტივის მთელი მუშაობა? მართლაც გეტყობათ, რომ ჩამოსული ბრძანდებით და არც იცით, რომ ჩვენი აბანო ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ანაღდებს საწარმოო გეგმებს. აი შეხედეთ! — წამოდგა იგი და თითი მიაბჯინა ვეებერთელა დაფას, რომელზედაც ეწერა — „მობანავეთა გატარების გეგმა — 110 პროცენტით; შემოსავლის გეგმა — 106 პროცენტით; მოგება — 150 პროცენტით; სათბობის, ელექტროენერგიის და წყლის ხარჯვის ეკონომია—5 პროცენტით.“ დაფის ზემოთ კედელზე მთელი სიგრძით გადაშლილი იყო დროშა ოქროსასოებიანი წარწერით — „ქალაქის მოწინავე აბანოს კოლექტივს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის“.

ევგენის კიდევ ჰქონდა იმედი, სხვა აბანოში მაინც წესიერება იქნებაო, მაგრამ ამ დროშის დანახვამ სულ მოუღო ბოლო.

დირექტორი კი ალტკინებით განაგრძობდა:

— თქვენ, ალბათ, ჯერ კიდევ არ იცით, რომ ჩვენი ქალაქის აბანოს მეურნეობას რესპუბლიკის მასშტაბით სამინისტროს გარდამავალი დროშა და პირველი პრემია მიენიჭა... რესპუბლიკის მასშტაბით! — გაიმეორა დირექტორმა და მრავალმნიშვნელოვნად აიშვირა საჩვენებელი თითი ჭერისაკენ. — ამის შესახებ თქვენ წაიკითხავთ ხვალინდელ გაზეთში. ჰო, მართლა, კარგ დროს არ გამახსენდა! ბოდიში! — იგი ტელეფონს დასწვდა: — ქალიშვილო, რედაქციას შემაერთე! რედაქციაა?.. ქუხილაშვილი მინდა. პეტრე, გამარჯობა! ამბაკო ვარ... დღეს, ხომ იცი, ჩვენთან დიდი კრებაა. ჰო... პირველი პრემია და სამინისტროს დროშა... დაესწრები ხომ? აბა შენ იცი, როგორ გააფორმებ გაზეთში. კაცია სპეციალურად ჩამოსული თბილისიდან. ხომ დაესწრები? კრების შემდეგ?.. რა თქმა უნდა... ჰა, ჰა, ჰა...

აბანოს დირექტორს ლაპარაკი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ევგენიმ კარები გაიხურა.

საერთო ნომრიდან თავი გამოჰყო ჭოლოკვით გამხდარმა და მაღალმა, ხის ქოშებიანმა მეაბანოვემ. ევგენიმ ყური არ ათხოვა მის ძახილს, ამხანაგო, თქვენი რიგიაო, და გარეთ გავიდა.

საათს დახედა. რვა დაწყებულიყო. კიბეები ჩაათავა და მის წინ ტაქსიც შეჩერდა.

— გაამოთ! — შემოესმა ევგენის.

მანქანიდან ნაცნობი შოფერი უღიმოდა.

— გაამოთ! სიტყვა — სიტყვაა. ერთი საათი გავიდა და მეც აქა ვარ.

— ოჰ, თქვენ ხართ?—გაეხარდა ევგენის, „გაამოთზე“ გუნებაში ჩაიცინა, მაგრამ მადლობა მაინც გადაიხადა.

— საით? — შეეკითხა შოფერი.

— სასტუმროსაკენ.

ევგენი ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მას ახლა მაზუთიან ტანზე მეტად სხვა რამ აწუხებდა. შოფერს შეეკითხა:

— აბანოს მხრივ მაინცადამაინც სატრაბახოდ ვერ გქონიათ საქმე აქაურებს.

— რატომ? — ჩაიცინა შოფერმა. — ჩვენი აბანოს მეურნეობა ყოველ წელიწადს ღებულობს პრემიებს. მერე და რატომ, არ იკითხავთ? — გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ვინმემ მართლა რომ გადაწყვიტოს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება და ქალაქში ორი ან სამი აბანო-სამრეცხაო ააშენოს, მაშინ ხომ გაფუჭდა საქმე, გეგმის შესრულება გაჭირდება. ახლა კი ტრესტის მუშაკებს თავი ქუდში აქვთ, პროცენტულად ყველაფერი რიგზეა და პრემიაც არ შორდებათ.

ევგენი ბურდულს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა როგორ მოქცეულიყო.

სასტუმროსთან რომ შეჩერდნენ, ევგენიმ შოფერს უთხრა, აქ დამელოდე, ხუთ წუთში მოვალო, და კარებში მიიმალა.

* * *

რვის ნახევარზე მიტროფანე ცეცხლაძემ სასტუმროში „პობედა“ გაგზავნა, თვითონ კი ბურდულის მოსვლამდე გზეკალავასა და მთავარ ბუხჰალტერთან ერთად კაბინეტში განმარტოვდა.

ის იყო საღამოს ჩატარების გეგმა ერთხელ კიდევ ჩაათვალიერეს და ერთ-ერთი მოწინავე აბანოს მექისეს კრებაზე წარმოსათქმელი სიტყვა შეუდგინეს, რომ შენობას „პობედა“ მოადგა.

ცეცხლაძე და გზეკალავა საპატიო სტუმრის შესაგებებლად მოემზადნენ, მაგრამ კარებში მხოლოდ შოფერი შერჩათ ხელში.

— რა ამბავია, ოვანეს? — შეეკითხა ცეცხლაძე.

— სტუმარი ადგილზე არ დამხვდა, მიტროფან ივანიჩ!

— როგორ თუ არ დაგხვდა?! ვერ გაიკითხე, სად არისო?

— გავიკითხე, მიტროფან ივანიჩ, და ასე მითხრეს: ერთი საათის წინ სასტუმროდან ამოეწერა და წავიდაო.

— წავიდაო?! — თვალები გაუფართოვდა ცეცხლაძეს და გზეკალავას მიუბრუნდა: — თუ ძმა ხარ, გამაგებინე, რას ამბობს ეს კაცი!

— ალბათ, ფეხით წამოვიდა და სადაცაა აქ გაჩნდება. ან იქნებ ქალაქგარეთაა გასული. ხომ იცით, ჩამოსული კაცია და... როგორ იქნება, რომ ამხანაგ ბურდულს დაავიწყდეს კრებაზე მოსვლა, ან დაგვიანოს.

რადიოში რვა საათის მაუწყებელი სიგნალი გაისმა.

აქამდე უხმოდ მჯდარი მთავარი ბუ-ხჰალტერიც კი ძეწუხდა და სავარ-ძელში შეიშმუშნა.

ოთახში თავი შემოყო ადგილკომის თავმჯდომარემ.

— ხალხი შეიკრიბა, მიტროფან ივა-ნიჩ!

— ახლავე. — მოკლედ გაისტუმრა იგი ცეცხლაძემ და უკვე მეხუთეჯერ გაიმეორა: — ერთი გამაგებინეთ, რა-შია საქმე? — შემდეგ ისევ შოფერს შეუტია: — რა მოგარბენინებდა! ვერ დაელოდე ცოტა ხანს! გაფრინდი ახლა-ვე ისევე სასტუმროში, სადაც გინდა, ამ-ხანაგი ბურდული მონახე და აქ გააჩინე.

— მე საიდან მოვნახო, მიტროფან ივანიჩ? წასვლით კი წავალ, თქვენ-ნებაა. — ჩაიბუზღუნა ოვანესმა და ის იყო გასვლას აპირებდა, რომ ბზეკალა-ვა ფანჯარას მიეარდა და წამოიძახა:

— ხომ ვამბობდი, ამხანაგი ბურდუ-ლი მოვა-მეთქი!

ცეცხლაძეც წამსვე ფანჯარასთან გაჩნდა, ოვანესმა თავისუფლად ამოი-სუნთქა, მთავარ ბუხჰალტერსაც დაუბ-რუნდა სახეზე ბუნებრივი ფერი.

ტრესტის შესასვლელთან ტაქსი შე-ჩერდა, მაგრამ იქიდან მარტო შოფერი გადმოვიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან მმართველის კაბინეტის კარები შე-მოაღო, დამხვდურთ მიესალმა და ჯიბი-დან კონვერტი ამოიღო.

— რომელი იქნება აქ ამხანაგი ცეცხ-ლაძე?

— მე გახლავართ.

— ეს წერილი თქვენს სახელზეა.

ცეცხლაძეს გულმა რენჩხი უყო, მაგრამ არ შეიმჩნია, შოფერს წერილი ისე ჩამოართვა, მადლობაც არ უთქვამს, ფანჯარასთან მიდგა და კონვერტს თავი წაახია.

ოვანესმა შეამჩნია როგორ ეცვალა ფერი სახეზე მმართველს და შეუმჩ-ნევლად გაილალა ოთახიდან.

ცეცხლაძე ბზეკალავასა და მთავარი ბუხჰალტრის დაფეთებულ გამოხედვას წააწყდა, წერილი მათ უხმოდ გაუწო-და, თვითონ კი წელმოწყვეტილივით ჩაესვენა სავარძელში.

„ამხანაგო ცეცხლაძე! — კითხულობ-და ბზეკალავა. — ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს დროშის გადაცემა არ შესდ-გება. თუ რატომ? — ამას თვითონ მიხვდებით. დაწვრილებით კი გამო-კითხეთ თქვენი ყველაზე მოწინავე აბანოს დირექტორს, რომლის გვარი არ ვიცი...

— სამაგიეროდ მე ვიცი მაგის!.. — დაახრჭიალა კბილები ცეცხლაძემ.

...„დამნაშავე, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მე ვარ. რადგან შეცდო-მაში შევიყვანე მინისტრი, კოლეგია, მეორე ვარღვევ კოლეგიის გადაწყვეტი-ლებას და პასუხსაც ვაგებ. ბოდიშს ვიხდი ხალხის წინაშე, მაგრამ იმედი მაქვს კრება არ ჩაიშლება, რადგან სალაპარაკო ბევრი გექნებათ. ნახ-ვამდის. ვფიქრობ, სულ მალე ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ბურდული“.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. პირველი სართულიდან კრებაზე შეგროვილი ხალხის ჩოჩქოლი ისმოდა მხოლოდ. სამივე სდუმდა და ერთმანეთს თვალს არიდებდა.

სავარძელში ჩახვავებულ ცეცხლაძეს თავი ისე ჩაექინდრა, რომ ცხვირი ზედ ლიპზე მიბჯენოდა.

ბზეკალავა ისევ წერილს ჩასცქეროდა, მაგრამ კი არ კითხულობდა, იმაზე ფიქრობდა, მას, როგორც მოადგილეს, რა სასჯელს აკმარებდნენ.

მთავარ ბუხჰალტერს კი კისერი სულ მთლად წაგრძელებოდა და ძლივსღა იმაგრებდა ცხვირის წვერზე ჩამოცურებულ პენსნეს. გარდამავალი დროშის ხათრით კიდევ აპატიებდნენ საბანკეტო ხარჯებს, მაგრამ ახლა?..

სადგურის მხრიდან ელექტრომავალმა დაიგუგუნა. ცეცხლაძემ უნებურად საათს დახედა. სწორედ იმ დროს, როცა გარდამავალი დროშის საზეიმო გადაცემა უნდა შემდგარიყო, თბილისის მატარებელს ქალაქიდან გაჰყავდა ევგენი ბურდული, მას კი უკან მიჰქონდა სანატრელი დროშა, რომელიც მხოლოდ ცალი თვალით დალანდეს საღერღელაშლილმა ცეცხლაძემ და ბზეკალავამ.

ფანჯრიდან გამოჩნდა, თუ როგორ ჩაიქროლა მატარებლის ვაგონებმა. მალე მინელდა მისი გრუხუნი, ქვემო სართულიდან კი თანდათან მატულობდა კრების დაგვიანებით გამოწვეული ჩოჩქოლი, რაც ასე აშინებდათ კაბინეტში განმარტოებულ დამფრთხალ ადამიანებს.

მამია ვარშანიძე

* *

გაზაფხულის ბალნარიდან

მე მეგობრად ვინ არა მყავს
— ოსი, კახი, ხევსური,
გოგონები, ჭაბუკები,
ზოგი ხანში შესული,
ზოგი ცაში დანავარდობს;
ზოგი ბაღში ნერგს უვლის.
მე მეგობრად ვინ არა მყავს,
— ოსი, კახი, ხევსური.

მე მეგობრად ვინ არა მყავს,
მოგითვალო რამდენი,
ჩინელი და ინდოელი,
რუსი, სამარყანდელი.
ცაზე ვარსკვლავს როგორ დათვლი,
მე ძმები მყავს ამდენი,
ჩემი ქვეყნის ცაზე ელავს
ძმობის დიდი კანდელი.

გაზაფხულის ბალნარიდან
მე ზაფხულში შესული,
შემოდგომის მოლოდინში
ლექსებს ვატან ჩემს სურვილს...
ჩემსავით არ დაბერდება
მარად ხოტბა შესხმული:
ტკბილი ჩანგი კახური და
ჩვენი ჩანგი მესხური.

დაბერდება ბუმბერაზი
მთები წყაროს წყლიანი,
დაბერდება დიდი მუხა.
ვეფხის ბასრი ბწკლიანი,
მაგრამ როდი დაბერდება
თარის ამო წკრიალი.
ძმობის ჰანგით აოგზნებული
საზი ნაპერწკლიანი.

მაგრამ როდი დაბერდება
ჭიანურის სიმები,
ფშავი მწყემსის სალამური
მოხატული სირმებით...
ჩონგურით და ფანდურებით
გულით გულზე მივებით.
ჩვენი ძმობის სიმღერები,
ლარზე აკემსილები,
იცოცხლებენ მარადისად,
როგორც მზე და სხივები.

ისე როგორც რუსი, კახი,
სომეხი თუ ხევსური,
ულამაზეს ჩვენს ქვეყანას
მეც ვუმღერი, მეც ვუვლი,
მას მივუძღვნი ჩემს სიცოცხლეს,
ჩემს ფიქრებს და ჩემს სურვილს,
გაზაფხულის ბაღნარიდან
მე ზაფხულში შესული.

მ ა რ ა დ ი დ ი

ჭოროხის და მთების ახლო
ჩემი მარადიდია,
შველი წამში შემოირბენს,
არ გეგონოთ — დიდია.

დანგრეულა დიდი ჯამე,
დანგრეულა მინარე,
ყველა ხოჯა და შეიხი
წაულია მდინარეს.

იმ ფერდობს რომ გადაივლი,
ო, ისეთი კლუბია,
ვერ დავხატე, თუმცა ასი
ფუნჯი შემიტყუპია.

ჩემთან წამო! მპატიჟებენ
ნებით, ხან დაჩემებით,
პურადები, გულადები
მასპინძლები ჩვენები.
კეთილ სტუმრის მოლოდინში
ძილფხიზლობენ ქვევრები.

დაღამდა და უცებ ელვა,
მთის კალთებზე აიჭრა,
ეს ილიჩის ნათურაა,
სიბნელე რომ დაისრა.

ო, ამ სოფლის სიყვარული
ჩემში მარად დიდია,
ჩახჩახა მზით ანთებული
ჩემი მარადიდია.

მშობლიურო ჩემო კერავ

შენთან მოველ ჩემო მთაო.
ჩიტუნები მეძახიან.
ყველაფერი მომენატრა,
ბალჩაა თუ ვენახია.
მოუმატა გულმა ძგერას,
ერუანტელმა შემარხია.
ოცი წელი გაფრენილა
ეს მხარე არ მინახია.
აგერ ბიჭმა ნარ-ეკალზე,
შარვლის ტოტი შეახია,
მეც ხომ ასე მიცელქია,
ამ ბილიკზე მიცეკვია
ვაჟებთან და გოგონებთან...
გულს მიხარებს მოგონება.

ჰო, იქ იყო დიდი ჯამე,
არასოდეს ედო რაზა,
მახსოვს ხოჯა წვერცანცარა
გასძახოდა სოფელს აზანს.
მახსოვს ჯუმა, მლოცველები,
არაბულად თქმული ფრაზა.
ახლა ჩემო მეზობლებო,
ეს სოფელი მელამაზა,
ხოჯა არსად არ მინახავს
და ჯამესაც ადევს რაზა.
აქეთ კლუბი, იქით სკოლა,
გამიხარა გული ვაზმა.
თქვენ ილიჩის ნათურებით
ღამე ელვით გაგიხაზავთ.
აქეთ მორბის ეს შარაგზაც,
მეფინება ფიანდაზად.
შენი წყარო რომ დავლიე,
მკლავში ძალა გავიოცე,
შენ პოეტად არ მიცნობდი,
ლექსი ხომ არ გაიოცე?
ქებას გკადრებ, ნუ დამძრახავ
და სტრიქონი დამილოცე.

გამახარა შენმა ნახვამ,
გული ტკბილად ამიძგერა.
შენ გეკუთვნის ჩემი სუნთქვა,
ჩემი ლექსის ყველა ბგერა,
მუდამ თბილო, გაუმქრალო,
მშობლიურო ჩემო კერავ!

ნანა გვარიშვილი

* *

ლამისყანის ბროლის წყაროვ!

დღესაც ჩქეფს წყარო, საიდანაც 20 წლის დ. გურაბში-
შვილმა უკანასკნელად დალია წყალი სამშობლოში.

გათოკილი ჭაბუკ მგოსნის კვნესა როცა ისმინე,
ლამისყანის ბროლის წყაროვ, თვალი დარდით მიხუჭე?
დაღისტნისკენ გააპარეს დაღესტანის ნისლივით,
ზედაზენის ქარი წეწდა გიშრის დალალ-ხუჭუჭებს...

...უკრაინამ იშვილა და მაინც ვერ დაივიწყა
მის ბედსავით ნაწამები საქართველოს ლურჯი ცა.
ბევრი ქვეყნის წყალი უსვამს, შენ კი ვერ დაგივიწყა,
ლამისყანის ბროლის წყაროვ, ბოლოს შენ დაგიფიცა.

შენს ნაპირზე ნისლად იქცა მისი სევდა ჩუმჩუმი,
ორ სამშობლოს ნათელ ცაზე ასე რომ გაიელვა.
მის სიყვარულს უკრაინა სასოებით ინახავს
მიძინების ტაძრის ახლოს, მაღალ თელის ჩურჩულში.

ლამისყანის ბროლის წყაროვ, დაუამებ იარებს —
შენი სუნთქვის მონატრულთან ჩადი, ჩაიჩხრიალე,
საქართველოს ერთი მუჭა მიწა გულზე აყრია,
არაფერი არ აკლია... შენი წვეთი აკლია!

ზღვა და თოლია

თეთრი როგორც მაგნოლია,
ზღვას გაექცა თოლია,
ლურჯ ნისლებში გადიკარგა
ტოლი გაიყოლია...

ზღვა აღელდა... მე ვუყვარდი...
მას სხვა სარტფო ჰყოლია?!
ასე როგორ გამიმეტა
იმ პატარა თოლიამ?!

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარო!

გალაკტიონ ტაბიძეს

წყალტუბოდან ქუთაისში
მოჰქრის ცელქი ქარი...
ქარო, ლურჯი ოცნებიდან
საით მიიჩქარი?!

განა შენ არ მოგიპარა
დაისების მწუხრმა?
და გაქცია ჟრუანტელად
მგოსნის ერთმა წუთმა...

ქარი იყავ, ლექსად იქეც,
ფრთაჩურჩულა ქარო.
საყვარელი სიმღერა ხარ,
ყველა ტკბილად გგალობს.

რიონისპირს ლექსად იქეც,
მგოსნის სუნთქვა ხარო,
წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო.

რაჭველებო, გაგიმარჯოთ!

ჩემი ფიქრიც დაიხვიე,
მოჭრიალე ურმის თვალო.
გაგიმარჯოთ რაჭველებო,
რაჭის გზაზე მიმავალნო.

ალიონის დასალოცად
მტრედისფერი ნისლი მოდის.
ჰე, მეურმევ! შემოგყურებ,
წამოიწყებ ურმულს როდის?

დილის ბინდ-ბუნდს შოლტი აკრთობს
შვენის ქნევა გამრჯე მარჯვენს.
მშვიდობის გზა მეზობლებო,
რაჭველებო, გაგიმარჯოთ!

ნუ გამიჯავრდები

ნუ გამიჯავრდები, ნუ მეტყვი ცუდს,
მე შენგან წყენას ვეღარ ავიტან.
მოდი გავეცნოთ თავიდან ერთურთს,
და ზეგიყვარო, მოდი, თავიდან.

შეხედე ჩემს თმებს და დაიჯერე,
რომ სიყმაწვილე უკვე წავიდა...
მოდი ამ ზილფებს კვლავ მოეფერე.
წვიმას აპირებს ჩემს წამწამიდან.

როდისღა გადიდარებს

ოცნებას ანაზებს,
ფიქრებს მილამაზებს.
მას ვეტრფი ძლიერ, ძლიერ!
იმ ლამაზ შავ თვალებს,
უნდა შევუთვალო,
რა ვქნა, დარდს ვეღარ ვძლიე...

შორეულ სიხარულს,
დამალულ სიყვარულს,
მაწვდიან იდუმალ ცქერით
დავკარგავ ვეღარ ვძლებ,
და ისევ დავეძებ,
სათუთი გულის ძგერით.

მოგძებნის ეს ლექსი,
თავს დახრის ალერსით
შეხვდება მაგ ლამაზ თვალებს...
ნუ ნამავ ცის წვიმით,
უთხარი ციმციმით,
როდისღა გადიდარებს?

ისევ ჩემს გოგონას

ნაწვიმარ თვალებს აეცისარტყლე
ჩემი ცხოვრების მწუხრზე...
დიდი გოგო ხარ, რა ვუყოთ მერე,
მოდი, დამიჯექ მუხლზე...

მომეკარ გულზე, შფოთვარე გულზე,
უნდა გაკოცო თვალში.
დიდი გოგო ხარ? მაინც ვიძახი:
— ჩემი პატარა ბავშვი. —

ტკბილი ოცნებით გირწევდი აკვანს,
მალე დედიკო გეთქვა...
ახლა რა დიდი გოგო გამხდარხარ,
ჩემი მაჯების ფეთქვა...

მომეკარ გულზე, მღელვარე გულზე,
უნდა გაკოცო თვალში.
უნდა ჩაგიკრა, ჩაგიხუტუნო
ჩემი პატარა ბავშვი...

პარმენ ღორია

* *

შემოქმედებითი აზრის გამარჯვება

ნარკვევი

1

ჭიშკარში რომ შევედი და მრავალნაირი ხეებითა და ვარდ-ყვავილებით დამშვენებულ სერს ბილიკით მივყვებოდი, ერთი უბრალო შემთხვევა მომაგონდა. ეს იყო ოცდახუთი წლის წინათ. ქალაქ იალტაში ნიკიტინის სახელობის ბოტანიკურ ბაღს ვათვალიერებდით. მაღალი ხეების ხეივანში რომ შევედით, ჩემს თანამგზავრს გადავულაპარაკე, ძალიან ლამაზი და მომხიბვლელია აქაურობა-მეთქი. ჩვენს წინ მიმავალ ექსკურსანტთა ჯგუფიდან ხანდაზმული კაცი მომიბრუნდა და ისე შემომხედა, როგორც უსაბაბოდ აღტაცებულ ბავშვს შეხედავენ ხოლმე.

— ალბათ პირველად ნახულობთ ბოტანიკურ ბაღს! — მითხრა მან. — თუ ასეა, ძალიან გირჩევთ ნახოთ ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

— ბათუმის ბოტანიკური ბაღი? — გამეღიმა. — მე ხომ ბათუმელი ვარ!

— მართლა? — ესიამოვნა უცნობს.— მე კი როსტოველი ბახლავართ, მრავალჯერ ვყოფილვარ ბათუმში და იქაურ ბოტანიკურ ბაღს კარგად ვიცნობ. ამიტომაც აქაურობის სილამაზით თქვენი აღტაცება გადაჭარბებული მეჩვენა. ალბათ თქვენს მახლობლად მდებარე საუნჯეს ჯეროვნად არ იცნობთ.

მისი შენიშვნა სამართლიანი იყო. მე ისე, როგორც მრავალი ჩემი თანამემამულე, მართლაც რომ ცუდად ვიცნობ იმ შესანიშნავ ადგილს, რომლის სანახავად ჩვენი თუ უცხო ქვეყნებიდან ათასობით მოდიან და მეტად კმაყოფილი და ნასიამოვნები რჩებიან.

მას შემდეგ მეც ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხშირი სტუმარი გავხდი. თუ ყოველ თვეში არა, წელიწადში ორ-სამჯერ მაინც მოვინახულებ, მაგრამ მუდამ და ყოველ ნახვისას მრავალ ახალსა და სასიამოვნოს ვხედავ, როგორც აქ მცხოვრებ მცენარეთა განვითარებაში, ისე აქ მომუშავე მეცნიერი მუშაკების მიღწევებსა და საქმიანობაში.

აქ მე ვტკბები ბუნებისა და ადამიანის შემოქმედების სიდიადით, ვტკბები მომჯადოებელი მშვენიერების ცქერით და იმ მოგონებებით, ამ ბაღის წარსულსა და ჩემს ბავშვობასთან რომ არის დაკავშირებული. მართალია, ის დღეები სუსხიანი და მტანჯავი იყო იმ დროს ჩემთვის, მაგრამ მოგონებაში რატომღაც მაინც ტკბილად შემონახულა და ერთგვარ კმაყოფილებასაც კი მგვრის.

მახსოვს: ამ ადგილას ბარი დაჰკრეს... უზარმაზარი ეკალ-ბარდით დაბურული ცეცხლმოდებული წიფელი ხევში რომ გადავარდა, ჯოჯოხეთური ხმით დაიმქუხარა.

— ეს იყო 1911 წელს. მაშინ პირველად შეიჭრნენ ამ უღრან ტყეში ცულებითა

და ხერხებით შეიარაღებული ადამიანები და აქაურობას დასაპყრობად შეუტიეს.

— ბიჭო, აქ ბაღს აშენებენო. — მითხრა ერთხელ ამხანაგმა, როცა ბათუმიდან ჩაქვში ფეხით მიმავალნი გვირაბს გავცდით.

— იქნებ აჯობოს სამუშაოდ აქ გადმოვიდეთ? — შევეკითხე მე ამხანაგს და ახალგაკაფული სერი შევათვალიერე.

მაშინ ჩვენ ათი-თორმეტი წლის ბავშვები ვიყავით, მაგრამ ჩაქვის ჩაის პლანტაციებში მუშაობის ორი წლის სტაჟი გვქონდა.

— გავიგოთ! ვიკითხოთ! — გადავწყვიტეთ ჩვენ და მეორე დღიდანვე შევუდექით გადაწყვეტილების შესრულებას.

იმ დროს მცირეწლოვანებს უფრო სიამოვნებით ღებულობდნენ სამუშაოზე. ხელსაყრელი იყო მათთვის. მცირე ხელფასით იმდენსავე აკეთებინებდნენ, რამოდენსაც მოზრდილებს.

ხუთ ბიჭთაგან სამნი — უფრო ჯანმაგარი და ძალმსხვილი შეგვარჩიეს და მიგვიყვანეს. მოგვცეს ბარები და სამუშაო მიგვიჩინეს. ვმუშაობდით დილის ექვსიდან საღამოს ექვს საათამდე. ვიყენებდით მშრალი პურითა და ტარანით. ან ყველით. ვსვამდით ანკარა მთის წყაროს და ვფიქრობდით, რომ ეს იყო ყველაფერი, რაც ჩვენს ბედში მყოფთათვის პურნებას გაუმეტებია.

ჩემი სურვილი, რომ აქ სამუდამოდ დავრჩენილიყავი და მიმუშავნა. საშინელმა ციებ-ცხელებამ შეკვეცა, წელში გამწყვიტა, მუხლები მომკვეთა. ზაფრანასავით გამაყვითლა და არაქათგამოლეულს აქაურობა დამატოვებინა.

დავშორდი აქაურობას, ლუკმაპურის საძებნელად ბედმა უფრო შორს გამტყორცნა, მაგრამ ჩაქვის ჩაის პლანტაციები. ბათუმი, მწვანე კონცხი და მისი ლამაზი მიდამოები მუდამ იზიდავდა და იტაცებდა ჩემს ბავშვურ გულს.

ათას ცხრაას თორმეტ წელს საზეიმოდ გახსნეს ბათუმის ბოტანიკური ბაღი. მისი დაარსების ინიციატორმა და ამ საქმის პატრიოტმა პროფესორმა კრასნოვმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

«В глубокой древности смелый аргонавт Язон похитил из Колхиды золотое руно. С тех пор Колхида обеднела и влачит жалкое существование. Ни греки со своими маслинами, ни русские, с делающими зиму тополями и акацией, ни грузины с их фруктовыми деревьями не смогли ей вернуть потерянного достатка.

Позвольте выразить пожелание, чтобы золотое руно вернул колхам Батумский ботанический сад, став той рощей царя Аэта, в которой по преданию это руно когда-то висело».

ანდრია ნიკოლოზის-ძე კრასნოვი, საკმაოდ დიდი ბოტანიკოსი და გეოგრაფი იყო. იგი იცნობდა თითქმის ყველა ტროპიკულსა და სუბტროპიკულ ქვეყნებს, შემოვლილი ჰქონდა ინდოეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ბათუმში ჩამოსულს ისე მოწონებია აქაურობა, რომ მისი მშვენიერების ტყვე გამხდარა და გადაუწყვეტია სამუდამოდ აქ დარჩენა.

ერთერთ თავის სიტყვაში იგი ამბობს:

«Как мне эти тополи напоминают меня самого, ведь для Кавказа тополь — растение чуждое, пришлое, так же, как и я — пришелец из Донских степей. Но эти лианы так сковали эти тополи, что не вырваться им из власти Кавказа. Не находите ли аналогию со мной?

Меня тоже сковал Кавказ своими чудными красотами, я не уйду отсюда».

მართლაც არ წასულა იგი აქედან, მაგრამ არც დიდი ხანი დასცლია, უკურნებელი სენით შეპყრობილი 1914 წლის დეკემბერში იგი გარდაიცვალა ქ. თბილისში.

იმ დროს საშინელი ომი მძვინვარეპდა. დასავლეთიდან დაძრული ვილჰელმის ჯარები გააფთრებით აწვებოდნენ რუსეთის საზღვრებს, მისი მოკავშირე თურქეთი სამხრეთისაკენ მოიწევდა და საქართველოსა და სომხეთს საფრთხეს უქმნიდა. ბიოლოგიისა და ბოტანიკისათვის აღარავის ეცალა. ბათუმი სამხედრო ბანაკად გადაიქცა და მისი ლამაზი მიდამოები თხრილებითა და სანგრებით დაისერა. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მდგომარეობა სავალალო გახდა.

მას შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა. შეიცვალა ტირანი მეფის ხელისუფლება, გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მშრომელი ხალხი ქვეყნის ავლა-დიდებას დაეპატრონა, ახალი, ბედნიერი ცხოვრების შენებას შეუდგა.

2

ივნისის ცინცხალი დილაა. მოლივლივე ზღვიდან დაძრული ნიავი ქურდულად შემოპარულა ხეივანში და პალმების გაშლილ ფოთლებს მარაოსავით არხევს. ბილიკები სველია, ღამით დაყრილი ნამი კიდევ არ ამშრალა მაგნოლიის ფოთლებზე. მზე ნელ-ნელა მიიწევს მაღლა და დღეს სითბოს ჰმატებს. თვალი ბუნებისა და ადამიანის ნახელავის ხილვით ტკბება, დაჰქრის ვარდ-ყვავილების სურნელება, ისმის ბულბულებისა და სხვა მგალობელი ფრინველების სტვენა.

ჭიშკარში შემოდიან ექსკურსანტების ახალ-ახალი ჯგუფები და ბილიკებით სხვადასხვა მიმართულებით მიეშურებიან.

— ეს რა ხეა? — კითხულობს ერთი ტანმაღალი კაცი და ცამდე აშოლტილ ხეს აჰყურებს. მეორე, უფრო ახალგაზრდა, სათვალიანი ვაჟი ხესთან მიდის და ზედ შებმულ პატარა ფირფიტაზე წარწერას კითხულობს.

— ევკალიპტი! — ყველას გასაგონად იძახის იგი. ექსკურსანტები უბის წიგნაკში იწერენ ხის სახელს.

— ეს რა მცენარეა?

— ეს რა ვარდია?

— ამას რას ეძახიან? და გამყოლის პასუხს იწერენ, მას ახალ უამრავ შეკითხვას აძლევენ. ზოგიერთი დამოუკიდებლად გებულობს ყველაფერს, თვითონ მიდის ამა თუ იმ ხესთან, ან მცენარესთან და მასზე მიკრული წარწერებით იღებს პასუხს მისთვის საინტერესო კითხვებზე.

არიან უფრო ცნობისმოყვარენიც. მათ განუზრახავთ ჩაიწეროს ყველა ხისა და მცენარის სახელი, რასაც ამ ბოტანიკურ ბაღში შეხვდებიან. ისინი ბეჯითად იწერენ:

პალმა ვაშინგტონია, პალმა იუბეია, დაფნა კეთილშობილი, დაფნა ველური, მაგნოლია, ფეიხოია, სოჭი, ნაძვი, მანდარინი, ფორთოხალი, ნეკერჩხალი, წიფელი, ლიმონი, ხურმა, მუშმულა, თუთა, წაბლი, ლეღვი... მაგრამ შეძლებს კი ერთი ადამიანი ერთი დღის განმავლობაში ჩაიწეროს უბის წიგნაკში ყველა ხისა და ბუჩქის სახელწოდება? ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ხომ ათას ასსამოცი სახელწოდების ხე და ბუჩქია.

ცდილობენ ვარდებისა და ყვავილების სახელები მაინც ჩაიწერონ ზუსტად... მაგრამ აქაც არ ყოფნით დრო

და მოთმინება. ხუმრობაა სამასი სახის სხვადასხვა ვარდი და ყვავილი ნახო, ყველას გაეცნო და მათი სახელები ჩაიწერო?

— ეს რა მცენარეა? — ბეჯითად დასცქერის ერთი ექსკურსანტი ლაღად ფოთლებგადაშლილ მცენარეს.

— ეს ადგილობრივი მცხოვრები სარეველა, მავნე მცენარე გახლავთ. — პასუხობს გამყოლი. — მისი სახელი გვიძრაა. არავის არ უყვარს იგი ჩვენში, პირუტყვიც კი არ ეკარება ახლოს.

— მართლა? — უკვირს სტუმარს. — მე კი ვფიქრობ, ქოთანში ჩარგული ოთახს დაამშვენებს. შეიძლება ერთი ტოტი მოვწყვიტო კოლექციისათვის?

ძიუხედავად ადძინისტრაციის სასტიკი გაფრთხილებისა, მცენარეებს ხელი არ ახლოთო, გამყოლი ექსკურსანტს ნებას აძლევს, თუ სურს მის მიერ მოწონებული გვიმრის მთელი კონა წაიღოს.

— ნუთუ მართლა ასე უსარგებლოა ეს მცენარე? — ახლა სხვები დაინტერესდნენ. — ხომ არ შეიძლება ადამიანმა მისგან რაიმე სარგებლობა მიიღოს?

— ჯერ არ გვიცდია. — პასუხობს გამყოლი. — თუმცა ამ ბაღის დამაარსებელი პროფესორი კრასნოვის თქმით ამ მცენარიდან საუკეთესო ხარისხის სახამებლის დამზადება შეიძლება.

მივყვები სერს. ერთი ბილიკიდან მეორეზე გადავდივარ, შემდეგ შარაგზაზე და მაღლობზე ვჩერდები. ჩემს თვალწინ უმშვენიერესი პონორამა იშლება.

— ვფიქრობ, აქაურობის დასახატავად გენიალურ მხატვარსაც არ ეყოფა საღებავები. — თქვა ერთხელ აქ მოსულმა რუსმა საბჭოთა მწერალმა ნოვიკოვ-პრიბოიმ. მართლაც იმდენად მრავალფეროვანია აქაურობა, რომ მისი ტილოზე გადატანა დიდოსტატის ფუნჯსაც გაუძნელდება.

ქვემოდან ტანდაბალი კაცი მოიჩქარის. იღლიაში ქაღალდები ამოუდვია, ეტყობა დაღლილა — ხშირად იწუნდს შუბლს ცხვირსახოცით.

მომიახლოვდა. ვიცანი. იგი ძველი სპეციალისტი, აქაური ენერგიული მეცნიერი მუშაკი გიორგი გაბრიჩიძეა.

ჩემთან ცოტა ხანს ჩერდება. ბოდიშს იხდის, რომ უდროობის გამო საშუალება არა აქვს საუბარი განაგრძოს და მიდის.

საბოდიშო არაფერია. ის აქაური მასპინძელია და ამავე დროს ურიცხვი მცენარისა და ნარგავის მომვლელი. მისთვის ყოველი წუთი ძვირფასია. ჩვენ კი დღევანდელი დღე აქაურობის გასაცნობად გამოგვიყვია და უზრუნველად ვგრძნობთ თავს.

ბოტანიკური ბაღის დირექცია მაღლობზე წამომდგარ ორსართულიან სახლშია მოთავსებული.

დირექტორი დავით მანჯავიძე თავის კაბინეტში ღია ფანჯარასთან ზის. მისი მაგიდა დატვირთულია სხვადასხვა წიგნებითა და ხელნაწერებით. ეს ხელნაწერები აქაური მეცნიერი მუშაკების შრომებია. მეტად საინტერესო მასალებია თავმოყრილი ამ ნაშრომებში. გრძელ მაგიდაზე სამეცნიერო ჟურნალები და ალბომები ალაგია. მეცნიერი მუშაკები თავისუფლად შედიან, საჭირო საკითხებზე თათბირობენ, რჩევა-დარიგებას ღებულობენ და მიდიან.

ამხანაგი დავითი საბჭოთა სპეციალისტია. მას 1936 წელს დაუმთავრებია ინსტიტუტი, რამდენიმე წლის შემდეგ ლენინგრადში ხარისხი დაუცავს და დღეს ჩვენი ქვეყნის ამ მნიშვნელოვან უბანს ხელმძღვანელობს.

ამჟამად თხუთმეტამდე მეცნიერი მუშაკი მუშაობს აქ. ბეექვსე ხუთწლიანი გეგმა ამ კოლექტივს მეტად საპასუხისმგებლო საქმეს აკისრებს.

— ამ ხუთწლედში უნდა დავამთავროთ უცხოეთიდან შემოტანილ მცენარეთა სრული აკლიმატიზაცია, — ამბობს დავითი, — მოვამრავლოთ და კოლმეურნეობებში გავიტანოთ ყველა ის სასარგებლო მცენარე და ნერგი, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, შემოვიტანოთ საზღვარგარეთიდან ახალი ჯიშები, შევაგუოთ ჩვენს ნიადაგსა და ჰავას და შევძლოთ მათი მომრავლება, მჭიდრო კავშირი დავამყაროთ უცხო სახელმწიფოებთან, გავეცნოთ ბოტანიკაში ახალ მიღწევებსა და აღმოჩენებს... უფრო ლამაზი და მიმზიდველი გავხადოთ ქაურობა.

— ამაზე ლამაზი და მომხიბვლელი? — და ფარდებით მორთულ აივანზე გამოვდივარ.

— დიახ, მაზე ულამაზესი. — ღიმილით მეუბნება ამხანაგი დავითი.

ჩვენ კაბინეტის გვერდით მოთავსებულ ბიბლიოთეკაში შევდივართ. ბიბლიოთეკარი, მაღალი და სანდომიანი სახის ქალი, ერთ-ერთ მეცნიერ მუშაკს წიგნს აწვდიან.

ბიბლიოთეკაში შვიდი ათასი ტომია, თერთმეტი ათასამდე ჟურნალი. ამ წიგნებისა და ჟურნალების მეტი ნაწილი მეცნიერული ხასიათისაა. მათში განხილულია ბოტანიკისა და ბიოლოგიის საკითხები. აქვე შეხვდებით ჟურნალ „რუსკიე სუბტროპიკის“ ნომრებს. ეს ჟურნალი გარდიოდა ბათუმში 1907 წლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი მეტწილადზოგადი ხასიათის წერილებს ბეჭდავდ, შიგადაშიგ ვხვდებით მეტად საინტერესო და სასარგებლო მასალებსაც. ესეთი წერილების ავტორები არიან ბიბილეიშვილი, ნარკინი, ლაუ-ჯონ-ჯაუ, გორდეზიანი და სხვები. განსაკუთრებით საინტერესოა ჩინელი ლაუ-ჯონ-ჯაუს წერილები. ეს კეთილშობილი ჩინელი ძალიან დაინტერესებულია საქართველოში და კერძოდ, აჭარაში ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოშენებით. 1900 წელს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების პირველ სხდომაზე მან შეიტანა წინადადება საქართველოში ჩაის კულტურის ფართოდ მოშენების, საცდელი სადგურების აგებისა და ჩაის ტექნიკუმების გახსნის შესახებ. რასაკვირველია, მაშინ მისი წინადადებები უყურადღებოდ დარჩა, მაგრამ მისი ავტორი მოესწრო იმ დღეს, როცა საბჭოთა მთავრობამ დადგენილება მიიღო საქართველოში ჩაის კულტურის ფართოდ გაშლის შესახებ და ამ საქმის პატრიოტი ჩინელი ლაუ-ჯონ-ჯაუ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა.

ლაუ-ჯონ-ჯაუ 1893 წლიდან ცხოვრობდა საქართველოში და მის ბუნებას, ნიადაგსა და ჰავას ძალიან კარგად იცნობდა. იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩაქვის ჩაის ფაბრიკას და საუკეთესო ხარისხის ჩაი გამოჰყავდა.

ბიბლიოთეკარი შეკითხვებზე ქართულად პასუხობს, საუბარს რუსულ ენაზე ატარებს. ეტყობა პირველი უჭირს, მაგრამ სრულიად არ ეჩოთირება ეს.

— შემიძლია გერმანულ ენაზედაც გესაუბროთ! — ღიმილით ამბობს იგი.

— კი, მაგრამ?..

— ეროვნებით გერმანელი გახლავართ, აქ დაბადებული და აღზრდილი.

— აკლიმატიზებული? — გავეხუმრე.

— ასე გამოდის. — და ვერონიკა ჰენრიხის ასული ზელგეიმი ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ გვესაუბრება.

ბევრი რამ საინტერესო იცის მან აქაურობის შესახებ. ზოგი წაუკითხავს, ზოგი გაუგონია, ზოგი კი საკუთარი თვალით უნახავს და შეუთვისებია.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღს ბევრი ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც სისხლხორცეულად აინტერესებთ აქაურობის ბედ-იღბალი, მის აკ-კარეს უშუალოდ განიცდიან.

3

ბათუმის ბოტანიკური ბაღი ას რვა ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული. (სწორი არაა დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოთავსებული ცნობა, თითქოს ამ ბაღს ათი ჰექტარი ფართობი ეკავოს). ოცდარვა ჰექტარი დეკორაციულ განყოფილებას უჭირავს, ოცდაოთხი — საცდელს, სამი ჰექტარი სანერგეს, დანარჩენი ადგილობრივ ტყეს. ბაღში არის ამიერკავკასიის სუბტროპიკული, ხმელთაშუა ზღვის, აღმოსავლეთ-აზიური, ჩრდილო-ამერიკული, სამხრეთ-ამერიკული, მექსიკის, ჰიმალაის, ავსტრალიის და სხვა განყოფილებები. აღსანიშნავია, რომ ეს სხვადასხვა ჯიშის, ქვეყნისა და მატერიკის მცენარეები, მშვენივრად შეგუებიან ჩვენი კუთხის ჰავას, ნიადაგსა და ერთმანეთის გვერდით არხეინად გრძნობენ თავს. ერთმანეთის სიახლოვე და ერთნაირი მიწიდან საკვების მიღება სრულიად არ აფერხებს მათს ზრდასა და განვითარებას. ურთიერთ მეგობრობისა და თანაარსებობის პრინციპი ყველაზე უკეთ მათ ცხოვრებაში განხორციელებულა და გამოხატულა.

ბოტანიკურ ბაღში ყველაზე საინტერესო სელექციური განყოფილებაა. ვისაც მცენარეების ცხოვრება და მათი გარდაქმნის საქმე აინტერესებს, ამ განყოფილებას უნდა გაეცნოს. ბათუმის ბოტანიკური ბაღის სელექციის განყოფილებას დიდი ხანია უფროსი მეცნიერი მუშაკი ვასილ შანიძე ხელმძღვანელობს. მე ბევრჯერ მინახავს იგი თავის ნერგებთან მოფუსფუსე, ბევრჯერ მომისმენია მისი საუბარი მცენარეების უცნაურ თვისებებსა და ცხოვრებაზე, მაგრამ, რადგან იგი ყოველთვის ახალ აღმოჩენებსა და მიღწევებზე გაგიბამს ხოლმე საუბარს, მისი შეხვედრა მუდამ სასურველი და სასიამოვნოა.

— ვასილ მარკოზის-ძე ქვემოთ მუშაობს. — მეუბნება ერთი ახალგაზრდა, რომელსაც გორაკზე ასვლისას შევხვდი. — თუ მისი ნახვა გსურთ წამობრძანდით, მეც მასთან ვმუშაობ აგროტექნიკოსად.

ჩვენ ბილიკით დავეშვით გადმობურულ ხეივანში. ჩემი თანამგზავრი, მაღალ-მაღალი ოდნავ ქერა ყმაწვილი, ენაწყლიანი და მჭევრმეტყველია. მას ჩაის ტექნიკუმი დაუმთავრებია და ამჟამად ვასილთან აგროტექნიკოსად მუშაობს.

მწერლისათვის ადამიანის ბიოგრაფია იგივეა, რაც მოქანდაკისათვის თიხა. თვითეული პიროვნება თავისი ცხოვრებით დიდი მოთხრობა და რომანია. მეც გადავწყვიტე ჩემი თანამგზავრის ბიოგრაფიის გაცნობა.

— ვასილ ივანეს-ძე ტარტილოვი ვარ. — მპასუხობს იგი გრული აქცენტით და იღიმება. — უკრაინელი ვარ ოდესის ოლქიდან. პატარა ვყოფილვარ მამა რომ იქედან წამოსულა და შრომის სოფლსაბჭოში დასახლებულა. იქ ვიზრდებოდი, იქ დავამთავრე საშუალო სკოლა, იქედან გადმოვედი ჩაის ტექ-

ნიკუმში. დავამთავრე და აქ დავიწყე მუშაობა აგროტექნიკოსად.

ვასილს მამა სამამულო ომში დაღუპვია, დედას ორი ვაჟიშვილი გამოუზრდია და დღეს მათი იმედით ცხოვრობს. შრომის კოლმეურნეობა მეგობრობის სიმბოლოდ ითვლება და გასაკვირი არაა თუ იქ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებული სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ტკბილად და მეგობრულად ცხოვრობენ.

— კი, მაგრამ შანიძეს აქეთ რა უნდა, მისი უბანი ხომ ზემოთ იყო? — ვეკითხები ჩემს თანამგზავრს, როცა ფერდობი ჩავიარეთ და ღელისპირად ჩავედით.

— ვასილ მარკოზის-ძეს ყველა უბანზე ნახავთ! — მპასუხობს ახალგაზრდა აგროტექნიკოსი. — ასეთი კაცის მნახველი არა ვარ. მისთვის სულ ერთია რა დრო და რა საათია. განუწყვეტლივ სანერგეში და სათბურებშია. აი ისიც — და ჩემმა თანამგზავრმა ხელი გაიშვირა.

ვასილი სიყვარულით გადაჰყურებდა მის წინ პატარა ნაკვეთზე აბიბინებულ ჩვენებური ზამბახის მსგავს რომელიღაც მცენარეს.

— ამხანაგო ვასო, ეს რა ბალახი მოგიშენებია ამ ფართობზე?—შევეკითხე.

— ბალახიო? — უკმაყოფილოდ მომიბრუნდა ვასილი. პაპიროსი მაგრად მოქაჩა, ძირამდე დაიყვანა, ნამწვი გადააგდო, მეორეს მოუკიდა, ისიც გააბოლა და შემდეგ დაუმატა. — ბალახი კი არა, ეს ჩემი ბედნიერებაა. ნამდვილი ბედნიერებაა. აი გახედე, რამდენია, რა ყოჩაღებია, რა ლამაზებია. ორი წლის წინათ კი მხოლოდ ექვსი ძირი იყო. მოსკოვში მაჩუქა ერთმა პროფესორმა. იმ ექვსი ძირიდან რამდენიმე ათასი ძირი წარმოიშვა. მერე, რა ლამაზი ყვავილების მოსხმა იცის! პირველი ივლისიდან იწყებს ყვავილობას. უსათუოდ უნდა ნახოთ. გაცნობებთ იმ დროს. — და ვასო ამ მცენარის შესახებ მესაუბრება. მისი სახელი ვლადიოლუსია. ერთ დროს იგი ველურ მცენარედ ითვლებოდა. გადმონერგვისა და შეჯვარების შემდეგ მიღებულ იქნა რამდენიმე ჯიში. დღეს იგი ზამბახზე ულამაზეს ყვავილს იძლევა.

გლადიოლუსის ნორჩ ფოთლებს სამკურნალოდაც იყენებენ. მისი ფოთლიდან ხუთასიდან ათასხუთასამდე მილიგრამ ვიტამინ „ც"-ს მიღება შეიძლება.

იქიდან ციტრუსების სანერგისაკენ გავემართეთ. შანიძის მიერ ჩატარებული ცდები აქ უფრო თვალსაჩინო ხდება.

ტრიფოლიატი, რომელიც ციტრუსების სამყენ საძირე მასალას წარმოადგენს, ფოთოლცვენა ბუჩქია. ეს თვისება თავის გავლენას ახდენს ციტრუსების ნაკლებ ყინვაგამძლეობაზე. შანიძის აზრით შეიძლება ჯობდეს საძირედ გამოყენებული იქნას მარადმწვანე ფოთლოვანი იუნუზიმა, რომელიც ტრიფოლიატზე უფრო ამტანი და გამძლეა.

— ნახეთ, როგორ მიიღო და შეითვისა მან მანდარინის კვირტი. მალე ამ ნაშვილევს ნამდვილ დედად გაუხდება და თავის სიცოცხლეს ანაცვალებს. დაკარგავს თავის სახელსა და შთამომავლობას. შეიქნება სხვისი მასაზრდოებელი და მარჩენალი. ვერავინ იტყვის, რომ ის მწარე იუნუზიმა ან ტრიფოლიატი იყო და არა გემრიელი მანდარინი, ან ლიმონი. ასეთია ადამიანის განაჩენი ბუნების ქმნილებათა მიმართ.

ამ ლაპარაკში ვასილი მეათე ნამწვს აგდებს მიწაზე და მეთერთმეტე პაპიროსს აბოლებს.

იმ ადგილას, სადაც ახლა შანიძის საცდელი ნაკვეთია, ორი წლის წინათ გაუვალი ეკალ-ბარდი, ჯაგნარი და ჭაობი იყო. ბოტანიკური ბაღის დირექციას მიუღია გადაწყვეტილება, ეს ადგილი გამოეყენებინა და ამ საკითხის მოგვარება შანიძისათვის მიუნდვია.

მუშაობა მალე გაუჩაღებიათ ეკალ-ბარდი და ჯაგნარი გაუკაფავთ, არხები გაუჭრიათ, ღელე კალაპოტში მოუმწყვდევიათ, სათბურები გაუკეთებიათ, გზა გაუყვანიათ და თესლეულობისა და სხვადასხვა მასალების შესანახად და მეცნიერული მუშაობის საწარმოებლად ლამაზი შენობაც აუგიათ.

— ამ მუშაობაში ვხედავ მე ბედნიერებას! — აღტაცებით ამბობს ვასილი.

— კი, მაგრამ თქვენი სამუშაო საათი? — ვეკითხები.

— საათს არ ვატარებ. — მიპასუხებს იგი. — სამუშაო დრო კი მაშინ თავდება, როცა სიბნელე ჩამოდგება და მოვიქანცები.

უცნაური კაცია ვასილ მარკოზის-ძე. თითქმის ყველაფერი დავიწყებია გარდა თავის საყვარელი ნამყენ-ნარგავებისა.

— ასეც არ შეიძლება, ამხანაგო ვასო. — ვუმტყუნებ მე. — თავის დროზე დასვენება და გართობაც საჭიროა. თქვენ კი...

— ვიცი, ვიცი. — სიტყვას მაწყვეტინებს ის. — ყველაფერი საჭიროა, თეატრი, კინო, გართობა, დასვენება მაგრამ უნდა მადროოთ ცოტა. ხომ უნდა ვნახო რა შედეგს მივიღებ ამ ცდებისაგან. ახლა როგორ შემიძლია სხვა რამეზე ვიფიქრო! არა, არა, მე ვიცი თქვენ რაც უნდა მიბხრათ. ერთი წუთითაც არ შეიძლება დატოვოს ადამიანმა ასეთი საქმე. აქ უბრალო ამბავი არ არის. საქმე ეხება გამოგონებას. ახალი ჯიშების მიღებას. დედა რომ ობლებს მიატოვებს და პირადი სიამოვნებისათვის სხვას გაჰყვება, იმას ემსგავსება ჩემი აქედან რამდენიმე საათით გასვლაც კი.

— კი, მაგრამ აქ ხომ ასეთი პროცესები განუწყვეტლივ მიმდინარეობს. ცდებს ცდები მოსდევს, ახალ ჯიშებს — ახალი ჯიშები.

— მართალია, — დამეთანხმა ის. — მაგრამ ერთი მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? ახალგაზრდა კადრები ზანტად მოდიან. ჩემმა ვაჟმა მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და უნივერსიტეტში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე შევიდა. რასაკვირველია, ჩვენში ყველა პროფესიის სპეციალისტია საჭირო, მაგრამ მე მერჩია იგი მამის პროფესიას გაჰყოლოდა. მიწასთან და მცენარეებთან ახლოს ყოფნას რა ჯობს. დედა მიწაო, ვიძახით და ბევრ ჩვენთაგანს საძრახისად მიაჩნია, როცა მასთან ახლოს არის. ზოგიერთ ახალგაზრდას ქვაფენილებზე და მოასფალტებულ ქუჩებში სიარული ურჩევნია ყანაში, ბაღჩაში და ბაღში მუშაობას. განა იმაზე უკეთესი არის რამე, როცა შენი ხელით დარგული ნერგი ნაყოფს მოისხამს და შენ, მის ქვეშ დამდგარი, გემრიელად შეექცევი მას. განა მარტო შენ! სხვებიც, შენი მეგობრები და ამხანაგები, შენი შვილები და შვილთაშვილები. ფრინველიც კი მადლიერია შენი. ფუტკარიც კი გილოცავს მარჯვენს, რომ შენმა ნაშრომმა მას თაფლით სავსე ყვავილები არ მოაკლოს.

4

ვასილ მარკოზის-ძე შანიძე, ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოვიდა. მამა ადრე გარდაეცვალა. დედას ორი ვაჟი დარჩა აღსაზრდელი. ვასილი უმცროსი იყო. იმ დროს სწავლა-განათლების მიღებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მაგრამ საბრალო ქვრივმა დიდი ხვეწნა-ვედრებით მოახერხა ვასოს სკოლაში მიბარება და იმდენი ივაგლახა, რომ გიმნაზიის ხუთი კლასი დაამთავრებინა. ეს იყო 1917 წელს. რადგან სწავლის გაგრძელებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა, ვასილი მასწავლებლად მოეწყო და ერთ-ერთი სოფლის დაწყებითს სკოლაში ასწავლიდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვასილმა შესძლო სწავლის გაგრძელება, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაიწყო მუშაობა. ის აქ ოც წელზე მეტია მუშაობს, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი, მიღებული აქვს ბოტანიკის მეცნიერების კანდიდატის ხარისხი და ამჟამად სადოქტორო შრომას ამზადებს.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ბევრი ერთგული და თავდადებული მუშაკია. თავთავიანთ უბნებზე ისინი დიდ წარმატებებს აღწევენ. ჩვენ ვიცნობთ მათ მუშაობას, მათ მოღვაწეობას, მაგრამ მე მაინც მაინტერესებს, როგორი შეხედულებისაა ამხანაგი ვასილი თავის კოლეგებზე.

— ჩემი შეხედულება? როგორ გითხრათ, ძალიან კარგი კოლექტივი გვყავს. — ასახელებს ზოგიერთებს. — მაგალითად, ანა ნიკოლაევნა ზალატევსკაია, სრულიად უბრალო ადამიანია, ჩემი მარჯვენა ხელია. უიმისოდ მუშაობა ვერ წარმომიდგენია.

მივდივართ ახალ სანერგეესთან და ვეცნობი შანიძის „მარჯვენა ხელს". იგი ხანდაზმული, შეჭაღარავებული ქალია. ენერგიული და საქმიანი გამომეტყველების. ერთ დროს მას გიმნაზია დაუმთავრებია, ოჯახს მოჰკიდებია, შვილები დაუზრდია და ამჟამად მცენარეთა ოჯახში გადმოსულა, რათა სიბერის ტკბილი წლები ბუნების წიაღში გაატაროს.

— ასეთივე რიგითი მუშაკია, — ამბობს შანიძე, — ტრიფონ ჯამბურია. ეს უბრალო გლეხი, რომელმაც 1937 წელს წერა-კითხვაც არ იცოდა, დღეს საუკეთესო თესლმცოდნეა. ეს სამოცი წლის კაცი თექვსმეტი წლის ყმაწვილივით მიცოცავს ხოლმე მაღალ ხეებზე და თესლს აგროვებს.

ჩვენ მაღლობზე ავედით. იქ, სადაც ყველაზე უფრო გაუმარჯვნია მიჩურინულ მეთოდებს. დიდი რუსი მეცნიერის მიჩურინის მიმდევარს შანიძეს კარგად შეუთვისებია მისი მასწავლებლის მეთოდი, რომლის საშუალებით ჩვენი ქვეყნის ბოტანიკა ახალი ექსპონატებით გაუმდიდრებია.

— აი, ერთი ამას შეხედეთ. აშოლტილ ნერგზე მანიშნებს ვასილი. — მაღლა-მაღლა მიიწევს და ნაყოფის მოცემაზე კი არ ფიქრობს. თქვენ ამას იცნობთ. ადგილობრივი ჯიშის წაბლია. ამაყი, თვითნება, ზარმაცი. მაგრამ აბა ამასაც მიაქციეთ ყურადღება, — ყვავილებით დატვირთულ ტოტზე მანიშნებს. — ეს მე მაგ ზარმაცს ვაშვილე. იაპონური ჯიშის წაბლია. ასე პატარაა, მაგრამ ნახე როგორ დატვირთულია ნაყოფით. მეორე წელია, რაც ესენი შეჯვარებული მყავს.

— ეს რა სეა, კომში რომ გამოუსახსნ? — ვეკითხები ძე და ხაყრფით დატვირთულ ხერგზე ვანიძნებ.

— ეს? — ახლოს ძოდის ვასილი. — ეს ძუძმულა გახლავთ. წაომოშობით ჩიხელია და რადგან ასე კარგად შეეთვისა ჩვენს ქვეყანას, გადავწყვიტე, ჩვენებური კომში შეშვილებია ბისთვის. ბესაძე წელია შეჯვარებული მყავს და ნახეთ როგორ ბეგობრულად ცხოვრობენ. ნახევარი ხე მუშმულაა, ნახევარი — კომში. ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი. შეძლებენ თუ არა ასე ერთ ძირზე ცხოვრებას, თუ რომელიმე ბათგანი თავისას დასთმობს და მეორეში გადაიზრდება, ესაა ჩემი ნამდვილი ბედნიერება.

— ახლა ამ თავხედსაც დამიხედეთ! — ასეთი ლანძღვით მიადგა ვასილი მეორე ნერგს. — მესამე წელიწადია ვწვალობ და, წარმოიდგინეთ, ერთი კვირტიც ვერ მივაღებინე. საშინლად ძუნწია, ღორმუცელა. სხვისთვის არაფერი არ ემეტება. ადამიანებშიაც არიან ასეთები. ისე ჩავლენ საფლავში, რომ ერთ ბეწვ ნაამაგარს არავის დაუტოვებენ. ცხოვრობენ თავისთვის და თავისი მუცლისათვის. მადლობა ღმერთს, ასეთები ცოტანი არიან, თორემ ქვეყანა გადაშენდებოდა. — ვასილმა მაკრატლით რამდენიმე ხმელი ტოტი შეაცალა ნერგს, ფესვებთან ამოყრილი ყლორტები გამოწმინდა და შემდეგ ლამაზად აქოჩრილ ბუჩქთან მივიდა.

— ეს კი ნამდვილი გულკეთილი დედაა. — ბუჩქს მაკრატლით წვეროები შეულამაზა. — ვისაც მიუყვან და აშვილებ, ყველას სიამოვნებით ღებულობს.

ვდგევარ და ვუსმენ ამ ბუნების მესაიდუმლეს და მიხარია, რომ ჩვენ ასეთები ბევრი გვყავს. ბევრი გვყავს ენერგიული და თავდადებული ადამიანი, რომელიც პირად ბედნიერებას საზოგადოებრივი სარგებლობის მოტანაში ხედავს.

— გეტყობათ, თქვენ ამ უსულო მეცნიერებს ისე უცქერით, როგორც სულიერსა და მეტყველს? ხომ ასეა?

— სწორია, სწორი. — სერიოზულად მიპასუხებს ვასილი. — მე ესენი სულიერ არსებებად მიმაჩნია. მე მათი ყველაფერი მესმის და გამეგება. როდის უჭირთ, როდის ულხინთ, როდის საკვები აკლიათ, როდის სასმელი. ასე მგონია ჩემიც ესმით მათ. ამიტომაც აკეთებენ ჩემს გასახარელ საქმეს.

ამასთან დაკავშირებით ვასილი ერთ ამბავს მიყვება.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის დიდ პატრიოტად ითვლებოდა სერგო გინკოლი. იგი ახალგაზრდობის დროს მოსულა და აქვე მოხუცებულა ბოტანიკური მეცნიერების სამსახურში. ერთხელ ამ მოხუცს ბაღის შემოვლისას ორი ძირი პალმა მოჭრილი უნახავს. იმდენად შეწუხებულა, რომ ტირილი დაუწყია და დირექციაში გაქცეულა. როცა ტირილის მიზეზი უკითხავთ, უპასუხნია, იქ, ქვემოთ ორი მოუკლავთ, ორი სიცოცხლე მოუსპიათო. როცა გაუგიათ რაშიაც იყო საქმე, გულგრილად გაუცინიათ. ამან თურმე ძალიან გააბრაზა მოხუცი მებაღე. განა ადამიანზე ნაკლებ შესაბრალია მცენარეები, რომ არაფრად აგდებთო, საყვედურით უთქვამს მას.

— საბრალო გინკოლი. — სინანულით ამბობს მარკოზის-ძე. — ოცდაცხრამეტში გარდაიცვალა. მის საყვარელ ადგილას დავასაფლავეთ.

— მაშ, თქვენი აზრით ბათუმის ბოტანიკურ ბაღს კარგი კოლექტივი ჰყავს? — ვუბრუნდები მიტოვებულ

საკითხს, რადგან მსურს გავიგო ამ მეცნიერი მუშაკის აზრი სხვების შესახებ. სათითაოდ ვუსახელებ ყველას.

— რასაკვირველია, ყველა ერთნაირი უნარისა და ცოდნის პატრონი არაა, — მპასუხობს ვასილი. — გვყავს ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები, რომლებიც იმედებს იძლევიან. კარგად მუშაობენ თავიანთი ცოდნის გასაღრმავებლად, კითხულობენ, წერენ, ცდებს აწარმოებენ. ძველებშიც ბევრი კარგი მეცნიერი გვყავს. მაგალითად, გ. გაბრიჩიძეს მზადა აქვს შრომა და საცაა ხარისხს დაიცავს. რაც შეეხება ანა დიმიტრევას საქმიანობას, იმას რომ გაეცნოთ, განცვიფრებაში მოხვალთ. საკვირველია, ამ პატარა და კაფანდარა ქალში სად არის ამდენი ძალა და ენერგია. მთელი აჭარა ფეხით აქვს შემოვლილი და ყველა ხესა და მცენარეს იცნობს. ბოტანიკის განყოფილებას განაგებს და უნდა ითქვას, რომ უკეთესი წარმოუდგენელია.

— ხარისხი აქვს?

— ჯერ არა, მაგრამ შრომა დაწერილი და ჩაბარებული აქვს. იგი ჩვენ ბევრად გვჯობნის.

ვასილის სიტყვები მესიამოვნა. კარგია, როცა ამხანაგი ამხანაგზე კარგს ამბობს. როცა მის ნაკლოვანებასთან ერთად კარგსაც ხედავს და უხარია.

— არც ვსევოლოდ ანგელსკია ნაკლები სპეციალისტი. იშვიათი ბოტანიკოსია, ბეჯითი და თავდადებული. დღე რომ ვერ ასწრებდა, მთელ ღამეებს ლაბორატორიაში ატარებდა და იპე აწარმოებდა დაკვირვებებს. შრომა იმასაც დაწერილი აქვს.

ჩვენი საუბარი რამდენიმე საათს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში გ. შანიძემ ორმოცამდე ნერგი გამოაშენა, ასამდე მცენარეს ფესვები გამოუწმინდა, თავის დამხმარე მუშებს დავალებები და საქმე გაუნაწილა, ბილიკზე გადმოშვერილი ეკლის ყლორტები შეჭაფა, თან მრავალი ახალი ჯიშის ხეები და მცენარეები გამაცნო და მათი მნიშვნელობა ამიხსნა.

მზე გადაიხარა. ჩვენ მოვრჩით საუბარს. მადლობა გადავუხადე და გამოვეთხოვე.

ბოტანიკური ბაღი სავსეა ექსკურსანტებით. ისინი ხარბად ათვალიერებენ ყველაფერს. თვითეულ ნერგსა და ბუჩქს აკვირდებიან. დროებით მეც მათი თანამგზავრი გავხდი. ერთად ავედით გორაკზე, სადაც ამ ბაღის დამაარსებელი პროფესორი კრასნოვია დასაფლავებული. გამყოლი მოქანცული იმდენ შეკითხვებზე პასუხის გაცემით, — შემკითხველი ორმოცზე მეტია, პასუხის გამცემი კი ერთი — მაინც დაუზარებლად ასრულებს თავის მოვალეობას.

ერთ-ერთ ექსკურსანტს აინტერესებს გაიგოს, რატომ დაკრძალეს აქ პროფესორი კრასნოვი?

— მისი სურვილის თანახმად.

— მისი სურვილის? — ახლა სხვებიც დაინტერესდნენ.

— დიახ. მისი სურვილის. — და გამყოლი იმეორებს პროფესორის სიტყვებს:

«Сделайте от могилы просеку, чтобы мне видна была Чаква, с окружающими ее снеговыми горами, кусочком моря, где я в первые начал работу: Там тоже осталась частичка моего я...».

— საინტერესოა. საინტერესოა ასეთი სიცოცხლე და ასეთი სიკვდილიც. — ამბობს ერთი ახალგაზრდა. — ამას ჰქვია საკუთარი ხელით უკვდავი ძეგლის აგება.

მას ეთანხმებიან.

მზე მოლივლივე ზღვაზე უზარმაზარ ოქროს ბურთივით დაეშვა. ხეივნებში აგრილდა. ბულბულები სტვენაში ერთმანეთს გაეჯიბრნენ. შაშვმა ჭახჭახით გადაუარა ხეობებს და შორს მთის ფერდობზე ბარდებში დაეშვა.

ვარდ-ყვავილების სურნელი უფრო გაძლიერდა და გრილ ნიავთან ერთად მწვანე კონცხის ლამაზ გარემოს მოეფინა.

* * *

ეს ნარკვევი დაწერილი მქონდა რომ ასეთი შინაარსის ბარათი მივიღე:

„თუ დროს იშოვით, ძალიან გთხოვთ ინახულოთ ჩვენი გამოყვანილი გლადიოლუსის ახალი ჰიბრიდული ფორმები.

პატივისცემით ვ. შანიძე“

ეს თხოვნა დიდი სიამოვნებით შეასრულე და გავიზიარე შემოქმედებითი აზრის კიდევ ერთი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული.

ჯემალ ჯაყელი

* *

ლენინის დროშით

დიდება დროშას, ცად აწვდენილს,
მის უხრელობას,
ცხოვრების ხომალდს,
გრიგალების მკერდზე დარწეულს.
დიდება დროშას, ნაომარს და
დიდ სახელოვანს,
ძარღვიან ხელით ცამდე აწეულს!

დიდება დროშას,
ლენინური აზრების გრიგალს,
მრავალათასჯერ ნაამბორალს,
რწმენის მოცემას,
მისი ფრიალი მაისების
შემოსვლას მოჰგავს,
მისი ნათელი ამზიანებს
ხალხთა ოცნებას.

დიდება დროშას,
სასოებას ყველა მართალის,
ამ ძლევამოსილ საუკუნის
ალმართზე გამწევს,
პარტიის სიბრძნე,
ყველა დროის მთავარსარდალი
მის დიდ კალთაზე
ძმობასა და მშვიდობას აწერს.

ბათუმისადმი

ზღვასთან მოვედი,
სიცოცხლე მაქვს ზღვასავით დიდი.
ჭაბუკურ მხრებით ლამის ზეცა
უფრო ავსწიო.
ჩამოვიტანე სიყვარული,
მთაში რომ ვზრდიდი
და მინდა იგი გაგინაწილო.

შენ გაგიცნია უამრავი
ალალი გული,
წრფელი სიმღერით
სათუთად რომ აახმიანე
და ცისარტყელა,
ფერადებით გადახატული,
გზად დაუფინე
ჩვენი ქვეყნის ადამიანებს,

მობრძანდით, ძმებო!..

ბელორუსკელ კოლმეურნეებს

გამაწევინეთ მასპინძლობა
ქართველკაცური,
ნახეთ მთა-ბარი, ლაჟვარდები,
რძისფერი ნისლი.
გასინჯეთ ჩემი ოჯალეში,
ციცქა, საწური,
დამათვრეთ ძმობით,
სიყვარულით, სიდარბაისლით.

მობრძანდით, ძმებო!..
საქართველოს ცისკარი ნახეთ
და ჩამაყენეთ სასურველი
სტუმრობის ვალში
ბარს თუ ინებებთ.
სურნელების ბურანში გაგხვევთ,
მთას თუ ისურვებთ, —
ძმობის კარავს გაგიშლით მთაში.

რად უნდა გერქვას მტირალა?

მტირალას ქედის რიჟრაჟო,
პირდაბანილო ასულო,
თავნაკადულო გიჟმაჟო
და მთაო ჩამოხავსულო,

რად უნდა გერქვას მტირალა,
მას გული ვერ შევურიგე
შენ ხომ სიცილის ცრემლები
ყველა ტოტს ჩამოურიგე.

შენთან მოვდივარ გულდაგულ
ბერმუხაო და ფრიალო...
ვაჟაის თქმისა არ იყოს,
რა ლამაზი ხარ ტიალო.

ნოდარ ჯაღაღონია

* *

ძმობის სიმღერა

ჩვენში ადრეეეც უმღერდნენ ძმობას,
დიად მიზნისთვის ბევრჯერ ვეწამეთ,
სისხლისგან ბევრჯერ დაგვცალა მტრობამ
და ოდიდანვე ძმობა ვიწამეთ.

ვაგლახ! — სტუმრისთვის ყველა ქართველი
ხელებს კი არა გულსაც გაშლიდა,
როცა ურცხვენდნენ ალალ პურ-მარილს,
მაშინ ილებდა ხმალს ქარქაშიდან.

თუკი ბრძოლაში ცეცხლი ვიყავით —
ვიცოდით ქვეყნად ძმების გატანაც,
თუმც მიწა გვქონდა ერთი მტკაველი,
როდი ვყოფილვართ გულით პატარა.

ოა მაშინ მორჩა ყველა იარა,
მაშინ დაადგა ცხრა ძმას ნათელი,
მაშინ შეაშრა დედას ცრემლები
როდესაც რუსმა იძმო ქართველი.
გულს — გული იცნობს, უთქვამთ წინაპართ
და ჩვენი გულიც მტკიცედ შეერთდა,
თუ ერთად ვლეწეთ ყველა მომხვდური
ძველ ცხოვრებასაც შევებით ერთად.

მართლაც იმ დღიდან
რუსი,
ქართველი
ყველა ჭირ-ვარამს ერთად ხვდებოდა,
გულით ვიწამეთ
— უოქტომბეროდ,
აქ თებერვალიც არ იქნებოდა.

ქსენია მჟავია

* *

დედისადმი

მომნატრებია მაგ თვალების უხმო ალერსი,
თმების სურნელი, ჯერ ჭაღარა დაუთოველის,
თითქოს ბავშვი ვარ, გულს ძახილი შენი ჩამესმის
და შენი მკერდის სითბოს მოველი...

სიყრმიდან გდევდა სევდა, ცრემლი;
ესეც ბედია!
ორნი დავრჩითო ათ და-ძმაში —
გითქვამს მოწყენით.
პატარამ მიწას მიაბარე სათნო მშობელი...
და რაც ჩვენ გავჩნდით, მოსვენება არ გღირსებია,
გენატრებოდა ძილიც მშვიდი და უშფოთველი.

მაინც ღიმილი დაგნათოდა მუდამ ბაგეზე,
გულის კაეშანს არ ამხელდი ტკბილმოალერსე,
თავს გვევლებოდი, შეგვხაროდი დიდს და პატარას,
ჩვენ რომ გვიცქერდი, თითქოს ქვეყნად არა გაკლდა რა,
ო, როგორ შევძლებ ეს ამაგი რომ დაგიფასო,
დედავ, ძვირფასო!

მე არაფერი შემშურდება ადამიანის,
არ შემშურდება და სიხარბით არ ავინთები,
ვინ გამაკვირვებს ულამაზეს თვალთა ციალით,
ვინ დამატყვევებს ფასდაუდებ მარგალიტებით,
მე მხოლოდ მშობლის ტკბილ ღიმილს ვარ დახარბებული,
რა ვქნა, თუ გულში ზოგჯერ ცეცხლი ვერ ჩავატიე?!
ო, შენი გული,
ყოვლისშემცნე გული დედური,
ხომ მაპატიებს?

შენი ხმა მესმის, ნეტარებით დამატკბობელი,
ვგრძნობ, გზა სავალი არასოდეს გამიმრუდდება,
მე ამ მთა-ველებს მშობელივით ვარ მინდობილი
და ფეხიც არსად დამიცურდება.

დედავ, ამ მიწის სიყვარული შენით ვიგრძენი,
შენით ვიგრძენი სიძულვილიც დაუნდობ მტერთა,
შენს წყნარ თვალებში წამიკითხავს მგონი იმდენი,
რასაც ტომებიც ვერ დაიტევდა.

და დავალ, როგორც შენმა ტკბილმა ნანინამ მზარდა,
(შენც ამ სურვილში ილეოდი, ღამეებს ტეხდი),
ისე მართალი, ისე წმინდა, შენ რომ გიყვარდა,
ვიქნები, დედი.

ნიკოლოზ თაღაკვაძე

* *

დიდება მაისს!

დილაა. ბრწყინავს ცვარნამი წმინდა,
ცა ულრუბლოა, დღე არის კარგი.
მზე ისე მოჩქეფს ლაჟვარდი ციდან,
როგორც გულიდან საამო ჰანგი.

ყელყელაობენ ვარდები შვებით,
თავს ხრიან, მაისს მიუძღვნან მადლი
და გაზაფხულის ქებათა-ქებით
დედამიწაზე ხალისი დადის.

მაისის მოსვლას ვუმღერით ქებას,
ის აგვირგვინებს დიდ ხალხთა კავშირს,
ის აქვითკირებს მილიონთ ნებას
და სამერმისოდ არწივურ ფრთას წლის.

ძმური ღრმა განცდა დღეს გულებს ტვირთავს
და სამშვიდობოდ გმირთა ზღვა იძვრის;
ეს ზეიმია სანუკვარ ფიქრთა,
ეს ზეიმია ლენინურ სიბრძნის!

დიდება მაისს, მშვიდობის ფარად
დღეებს გაჰყვება ნათელი მისი;
კიდით კიდემდე, მთაში და ბარად
მშვიდობის დიდი სიმღერა ისმის.

როგორც კაშკაშა მზე ნათელ ზეცას...

რა ვუყოთ, თუმცა აგვაგზნებს ბევრი
სახემწყაზარი ქალწულის ხილვა,
გვხიბლავს წარბთა და წამწამთა ტევრი,
ვეალერსებით მათ სახელს ფრთხილად.

და როს მიაგნებს საკუთარ მერცხალს,
გული შეფრფინვას დაუსვამს წერტილს;
როგორც კაშკაშა მზე ნათელ ზეცას,
ვულს სამუდამოდ შერჩება ერთი.

სუდიკო ჟღენგი

* *

ნათელა

მოთხრობა

მთელი სამი დღე გადაუღებლად წვიმდა. წვიმის მქრქალი ფარდის მიღმა ბუნდოვნად მოსჩანდა ტყე და მინდვრები. გრილი ქარი ზღვიდან მრუმე ღრუბლებს ერეკებოდა. ბინდი ჩამოწვა ტყეების თავზე.

დომენტის ყველაფერი საშინლად მობეზრდა: ფანჯარასთან ჯდომაც, ოთახში ბორიალიც და წიგნების თვალიერებაც. ახლა ლოგინზე იწვა, სახე ბალიშში ჰქონდა ჩარგული და საცოდავად კვნესოდა. მაინც როგორ გაგრძელდა ეს დღე! ერთი ხმის გამცემი ყველაფერს ერჩია დომენტის. იქნებ საუბარში ოდნავ მაინც მიევიწყებინა ტვინისგამხვრეტი კბილის ტკივილი. გარეთ არ გაისვლებოდა ასეთ დელგმაში. ან რა უნდა გაეკეთებინა გარეთ? პატარა ფიცრული სახლი, რომელშიაც გეოლოგიური ექსპედიცია ცხოვრობდა, დაბიდან თვრამეტი კილომეტრის დაშორებით იდგა. გარშემო უკაცრიელი, ჭანჭრობით დაფარული ველები და წვიმაში გაწუწული ტყეები გადაშლილიყვნენ.

განთიადისას სამუშაოზე გასულმა გეოლოგებმა შებინდებისას იწყეს სახლში დაბრუნება. ფანჯარასთან ნაბიჯების ხმის გაგონებამ ბალღივით გაახარა დომენტი. იგი ფეხის ხმაზე და კარის გაღებაზე შეუმცდარად გამოიცნობდა ხოლმე მოსულს. აი, კიბის სახელურს მძიმედ დაეცა ხელისგული, ათსაფეხურიანი კიბე ორი ისეთი ნახტომით ამოათავა მოსულმა, რომ სახლის კედლებმა დაიჭრიალეს. იმავე წამში მკვეთრი მოწევით გაიღო წინა ოთახის კარი.

— „ეს გაიოზია!“ — გაიფიქრა დომენტიმ და ოთახში შემოსულ ახალგაზრდას ცალი თვალით გახედა.

— აბა, დომენტი, როგორ არის კბილის საქმე? — თანაგრძნობის გამომხატველი ღიმილით იკითხა გაიოზმა. დომენტის თვალი დარჩა გაიოზის თეთრად მოკიაფე კბილებზე.

— შავად. — ამოოხვრით წარმოსთქვა მან.

— არაფერია, გაივლის.

რამდენიმე ხნის შემდეგ კიბეებზე ნაბიჯები აბრახუნდა. ერთმანეთისაგან საკმაო შუალედებით დაშორებული ათი მძიმე ნაბიჯი დაითვალა დომენტიმ. წინა კარი გაბმით აჭრიალდა, ბოლომდე გაიღო და მერე ისევ ნელა და აუჩქარებლად დაიხურა.

— „კოსტა მოვიდა“ — დაასკვნა დომენტიმ.

კოსტა ერთხანს წინა ოთახში დაფათურობდა და ხვნეშით იხდიდა რეზინის წამოსასხამს. ოთახში რომ შემოვიდა, ჩვეულებისამებრ ჯერ სარკეს მიაშურა, კეფაზე და საფეთქლებთან შემორჩენილი ჭაღარაგაურეველი თმა ხელისგულივით მოტიტვლებულ თავზე უდიდესი მზრუნველობით გაანაწილა.

მერე სავარცხელს სული შეუბერა, გულის ჯიბეში ჩაიდო და დომენტის ძიუ-ბრუნდა.

— ისევ გტკივა?

— მტკივა. — კვნესით ამოთქვა დომენტიმ.

— უნდა გაუძლო! — მტკიცედ და დაბეჯითებით, თითქოს დავალებას აძლევსო, უთხრა მას კოსტამ. — გახსოვდეს, — მარადიული ამ ქვეყნად არაფერია. ღამეს დღე ცვლის, ცუდს — კარგი...

უკვე საგრძნობლად ბნელოდა, როდესაც სახლს ექსპედიციის უფროსი შალვა ბარბაქაძე მოადგა. შუა კიბეზე, ან ბოლო საფეხურზე ამოსული შალვა ჩვეულებისამებრ მცირე ხნით შეჩერდებოდა, სახლს, ეზოსა და თავლას თვალს მოავლებდა. შალვას თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვა რევაზი. მან კიბის საფეხურები ბაგა-ბუგით ამოირბინა და ოთახში შალვას შემოასწრო.

— კიდევ გტკივა, კაცო?! — შეწუხებული კილოთი ჰკითხა მან საწოლზე ჩამხობილ მნეს; კარადას მიადგა და ცარიელი თეფშები ააჩხარუნა. დომენტი მიხვდა, რომ რევაზს მნეს კბილის ტკივილზე მეტად სხვა რამ აწუხებდა.

— ცოტა ხორცი და კარტოფილი შეგიწვით. — თქვა დომენტიმ. — ჭამეთ, სანამ არ გაციებულა.

ნავახშმევს ყველანი გამხიარულდნენ. ტექნიკის ახალ მიღწევებზე, საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეებზე, ანკესით თევზაობაზე, ფეხბურთზე დაწყებული საუბარი, როგორც ყოველთვის, დღესაც ქალებზე მსჯელობით დამთავრდა. როგორც კი ამ თემაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, კოსტამ მაშინვე მიატოვა მოსაუბრენი; ცხვირზე სათვალეები წამოიდვა, ლოგინზე პირაღმა წამოწვა და ფურცლებგაცრეცილი, ყდაშემოცლილ წიგნის კითხვას შეუდგა. ასე ხდებოდა მუდამ. საკმაო იყო საუბარი ქალებს შეხებოდა, რომ სხვა საკითხებზე გულმხურვალედ მოსაუბრე და მოკამათე კოსტა საუბარს გამოთიშოდა. ყველამ იცოდა, რომ კოსტა ამ რამდენიმე წლის წინათ გაშორდა ცოლს და ამიტომ ქალებისადმი მისი ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება ამხანაგებში არავითარ დავას არ იწვევდა.

შუაღამე გადასული იყო, დასაძინებლად რომ დაწვნენ. ქარტეხილში მობობოქრე ტყეების ხმაურში და სახლის კედლების ჭრიალში ჩქარა ჩაეძინათ. მაგრამ გეოლოგების ტკბილი ძილი დიდხანს არ გაგრძელებულა. საშინელმა შეყვირებამ უეცრად მთელი სახლი შესძრა:

— ვაიმე!.. თავი მომძვრა!.

საწოლებიდან წამოცვენილი გეოლოგები სიბნელეში შიშველი ფეხებით დაბაგუნობდნენ და რაღაცას დაეძებდნენ. ბოლოს ისევ შალვამ მოიფიქრა ლამპის ანთება.

— რა მოგივიდა, დომენტი? — ჰკითხა მან ლოგინში წამომჯდარ მნეს, რომელსაც გაწამებულ სახეზე ორთავე ხელი შემოეჭირა.

— ვკვდები, კაცო!.. — უმწეოდ გაასავსავა თავი დომენტიმ. — კოსტა, თუ ძმა ხარ, სიმართლე მითხარი, ჩემი გულის არ შეგეშინდეს, კბილები გამიფუჭდა, თორემ გული კი მაქვს მაგარი. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ კბილის ტკივილს კაცი მოეკლა?

— რას ბავშვობ, კაცო!

— ჰოდა თუ არ ყოფილა, ჩემს შემდეგ იქნება, ვაი, რა სამაგალითოდ და სანიმუშოდ ვიღუპები?!

წამოსიებული ყბა თბილად შეუხვიეს ავადმყოფს. როგორც შეეძლოთ

ანუგეშეს და ისევ საწოლებს დაუბრუნდნენ.

— დილამდე გაუძელი. ვაჟკაცი არა ხარ? — გაამხნევა იგი შალვამ. — დილით ექიმს მოვიყვანთ. გაიოზ, დილით დაბაში წახვალ და ექიმს მოიყვან!

— უეჭველად გაიოზი უნდა წავიდეს. — აბუზღუნდა საბნისქვეშ გაიოზი. — სხვებმა ჩემზე კარგად იციან ცხენის ტარება...

საწოლებიდან ისმოდა წუნარი, ზომიერი სუნთქვა. მხოლოდ კოსტა წრიალებდა დიდხანს ლოგინში. ყოველ წუთს ბალიშს ისწორებდა თავქვეშ და უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა:

— ეჰ, რა უდროო დროს გამაღვიძე! ახლა დილამდე აღარ დამეძინება.

დარიანი დილა გათენდა. ათასფრად კაშკაშებდნენ წვიმით გადარეცხილი ტყეები და მინდვრები.

გაიოზმა ექსპედიციის ცხენი „ელვა“ შეკაზმა და დაბისაკენ გზას გაუდგა. ნიჩვჩამოვარდნილი და თვალწირპლიანი ჯახრაკი მთელი თავისი გარეგნობითა და თვისებებით მისთვის მიკუთვნებული სახელის სასტიკ უაზრობას გამოხატავდა.

— ფრთხილად, გაიოზ, სადავე არ გამოგტაცოს!

— მათრახი არ გადაჰკრა, თორემ თავს ვეღარ დაუჭერ!

— დონ გაიოზ ლამანჩელო, მშვენიერ დულცინესაკენ ხომ არ მიისწრაფვი ასე ქარივით? — ხარხარებდნენ ეზოში გამოფენილი გეოლოგები. გაიოზს „ელვაზე“ გადაჰქონდა მთელი გულისწყრომა, მაგრამ ჯახრაკი ზღაპრული მოთმინებით იტანდა შოლტის მწვავე დარტყმებს. ყოველ დარტყმაზე მხოლოდ ყურებს აპარტყუნებდა; ფლოქვებს კი ისეთი სიფრთხილითა და მორიდებით ადგამდა თითქოს შიშობდა, რომ მისი სიძძიმით დედამიწა არ ჩაენგრია.

— რა მოგვივიდა შე უპატრონო! — გამწარებით სცრიდა კბილებში გაიოზი და ბოღმა ყელში ებჯინებოდა. — დაბაში მისვლამდე ოცდაათ ამისთანა ჯოხს მაინც გადაგამტვრევ ზურგზე!..

შუადღისას ყველანი დაბრუნდნენ სამუშაოდან და აქამდე მიყრუებული ფიცრული სახლი კვლავ მხიარული ხმებით აივსო. ხელსაწყოებს ხმაურით ალაგებდნენ წინა ოთახში, მერე სათითაოდ მიდიოდნენ დომენტისთან და ჯანმრთელობის მდგომარეობას ეკითხებოდნენ.

— ეჰ, ბიჭო!.. რა ბედნიერი ვიყავი თურმე, როცა არაფერი არ მტკიოდა? კბილით ატმის კურკას ვფშვნიდი. სულელი და გამოთაყვანებული არ ვიყავი, ასეთ კბილებს რომ ვერ ვაფასებდი? სად იყო ჭკუა, თორემ სულ უნდა მეცეკვა და მემღერა...

— შენი სიმღერის მოსმენას ისევ ის მირჩევნია შენმა კვნესამ შემაწუხოს. ამას უფრო გაუძლებს კაცი. — ხუმრობით შენიშნა რევაზმა.

— ეჰ, არ, გჭირს შენ ახლა ისეთი მართლა რომ გაძლება უნდა, თორემ ვნახავდი შენს ვაჟკაცობას. — წუწუნებდა დომენტი. იგი ამ ორი დღის მანძილზე საგრძნობლად გამხდარიყო. ლამაზნაკვთებიან სახეზე მკრთალი ფერი გადაჰკრავდა. ცოცხალსა და მუდამ მხიარულ თვალებში წუხილი და მოწყენილობა ჩაგუბებოდა.

— ცოტაც მოითმინე და ჩქარა ექიმი მოვა. — შალვამ მხარზე ხელი დაჰკრა დომენტის, გამამხნევებელი და მზრუნველი შემოხედვით მიუალერსა.

— ექიმების საქმეა ავადმყოფობას რამე სახელი შეარქვან. — ჩვეული სიდინჯით ამბობდა კოსტა, თან საოცარი

სისწრაფითა და მოხერხებულობით კარტოფილს ფცქვნიდა. — ბედიცისას უბრალო სურდოც კი ვერ მოურჩენია.

— ვაიმე, ველარც ექიმი მიშველის?! — სასოწარკვეთილებით ალმოდა დომენტის.

— ტკივილებისაგან ხსნის საშუალება მხოლოდ და მხოლოდ თვითდაჯერებაშია. — დოქტორახული ტონით განაგრძო კოსტამ. — ეცადე სხვა რამეზე იფიქრო. მოიგონე სასიამოვნო ამბავი. ეს ტკივილებს გადაგავიწყებს.

— ამას რა დამავიწყებს, კაკო! — იყვირა დომენტიმ. — მილიონი მანეთი რომ მქონდეს გასესხებული, მის დავიწყებას შევძლებ, მაგრამ ამას რა ჯანდაბა დამავიწყებს?!

— დომენტი, შეხედე შენს მდგომარეობას ფილოსოფიურად. — მოთმინებით განაგრძობდა შეგონებას კოსტა. — აბა, კარგად დაუფიქრდი, თუ რა არის ფიზიკური ტკივილი?

— ამაზე კიდევ დაფიქრება მინდა?!

— სწორედ ამიტომაც იტანჯები. ამ საკითხს უფრო ღრმად, ასე ვთქვათ, ფილოსოფიურად უნდა შეხედო...

— მიხსენი თუ რამე შეგიძლია! — დაიღრიჯა დომენტი, რომელსაც უეცრად დაებადა იმის რწმენა, რომ კოსტა მას თავისი „ფილოსოფიით“ მართლაც განკურნავდა.

— განა ჩვენ გაგვეგება, როგორც ეს საჭიროა, თუ რა არის ფიზიკური ტკივილი და ფიზიკური სიამოვნება? სრულიად დასაშვებია, რომ უდიდესი ფიზიკური სიამოვნება სწორედ ის არის, რასაც ჩვენ ფიზიკური ტკივილის სახით განვიცდით. ამიტომ საჭიროა შეგრძნებათა პრიზმის ისეთნაირი შეტრიალება, რომ ეს განცდა ჩვენში ჩვენთვის საჭირო ასპექტით მივიღოთ. და, როდესაც...

— თუ კაცი ხარ, მითხარი, — შენ კბილის ტკივილი გამოგიცდია? — გაუწყდა მოთმინების ძაფი დომენტის.

— პირადად არა.

— მაშინ გაჩუმდი!.. ამ კბილის ტკივილმა ნახევარი თავი წაიღო, მეორე ნახევარი კი შენმა აბდა-უბდამ...

გაიოზი იგვიანებდა. რევაზმა თეფშები ჩამოარიგა მაგიდაზე. კოსტამ სამზარეულოდან ოხშივრიანი ქვაბი გამოიტანა.

— კერძი მზად არის! — საზეიმო ტონით განაცხადა მან და ქვაბში სიამაყით ჩაიხედა.

— აბა, მზარეულთუხუცესო კონსტანტინე, ძევ მანუჩარისა, გაშალე სუფრა სანადიმო! — პათეტურად შესძახა შალვამ. რევაზმა კი თეფშის კიდეზე დანა-ჩანგალით საზეიმო მარში დაუკრა. დომენტის ლოგინში მიართვეს ადუღებული რძე და ნამცხვარი. იგი ჯერ სასტიკ უარზე იდგა, მაგრამ ამხანაგების დაჟინებულმა თხოვნამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და მან მთელი სუფრის მოწონების გამომხატველ ყიჟინში და შეძახილებში შესვა რძე. და ნამცხვრებიც ზედ მიაყოლა. შალვამ ისე შეაქო დომენტი თითქოს მას საარაკო ვაჟკაცობა გამოეჩინოს:

— აი, ყოჩაღ! ეს მესმის! ორგანიზმი უნდა გააძლიერო და მაშინ იგი სნეულებასაც ადვილად დასძლევს.

— მართლა მომიხდა, ხომ იცი! — მოღონიერებული ხმით თქვა დომენტიმ. მერე ომახიანად ჩაახველა, კისერი წაიგრძელა და სუფრას თვალი გადაავლო. კოსტას არ გამოეპარა მის თვალებში გაელვებული მსუნაგური ნაპერწკალი.

— კერძს ხომ არ სჭამ?

დომენტიმ ნერწყვი გადაყლაპა და, მცირე ხნის დუმილის ‘ძეძდეგ, მორცხვად გამოტყდა:

— კაცო, ის რძე ბეღურას არ გააძღებდა. ცოტა დამისხი...

მაგიდასთან მსხდომნი ხმამაღალი სიცილით შეხვდნენ დომენტის სიტყვებს.

საერთო ხმაურში არავის გაუგია კარის გაღება. უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში. დომენტის თეფშისაკენ გაწვდილი ხელი ჰაერში დარჩა გაშეშებული; კოსტა რქის დიდ სათვალეებს დაბნეულად ისწორებდა ცხვირზე; ალვას მოულოდნელობისაგან ლუკმის ნამცეცი სასულეში გადასცდა და უდიდესი დაძაბულობით ცდილობდა დახველებისაგან თავის შეკავებას; რევაზს პურის ნაჭერი ღიად დარჩენილ პირთან ვეღარ მიეტანა.

ზღურბლზე მოხდენილად გამოწყობილი ლამაზი ქალიშვილი იდგა.

— ბოდიში... ბევრი ვაკაკუნე, მაგრამ ვერ გაგაგონეთ... — ქალიშვილმა ოთახს თვალი მოავლო და მიპატიჟებას დაელოდა.

მოულოდნელად გამოცხადებული ქალიშვილის გულისწამღებმა სილამაზემ ყველანი დაარეტიანა. კოსტა პირველი გამოერკვა:

— მობრძანდით, მობრძანდით!..

თითქოს ამას ელოდნენო, ყველანი სკამების ხრიგინით წამოიშალნენ მაგიდიდან.

— როგორ არის ავადმყოფი? — მისალმებისთანავე იკითხა ქალიშვილმა და პატარა ჩემოდანი მაგიდაზე დადო.

ოთახში გაიოზი შემოვიდა. მის მოღლილ სახეს გამარჯვების საზეიმო ელვა გადაჰკროდა, „ხომ ხედავთ ვინ მოვიყვანეო!“ თითქოს ამბობდნენ მისი სიხარულითა და სიამაყით გაბრწყინებული თვალები.

— ამხანაგო გაიოზ, — საქმიანად ეკითხა მას ქალიშვილმა,—თქვენ შპრიცის გამოხაოშვაში მომეხმარეთ.

ყველამ შურით გადახედა გაიოზს. ახალგაზრდა ექიმმა ჩემოდნიდან მედიკამენტები ამოალაგა. დომენტის მაშინვე თვალში მოხვდა კბილის ამოსაძრობი მონიკელებული ხელსაწყო და ტანში გააჟრჟოლა...

ნახევარი საათის შემდეგ ყველაფერი დამთავრდა. დომენტის კოხტად და მოხერხებულად ჰქონდა ყბა შეხვეული თოვლისფრად მოქათქათე ბანდით. როდესაც საქმე პენიცილინის შეშხაპუნებაზე მიდგა, დომენტი პატარა ბიჭივით გაწითლდა და ორჭოფული გამომეტყველებით შეხედა ახალგაზრდა ქალს. მაგრამ ქალიშვილის სახეზე შარავანდედივით მოციაგე სათნო ღიმილმა და მისი უძირო თვალების მშვიდმა გამოხედვამ უარის თქმა გადააფიქრებინა.

გეოლოგები ხმის ამოუღებლად ისხდნენ ოთახში და თვალს ვერ აშორებდნენ დომენტის საწოლთან მოფუსფუსე ექიმს. მოხდენილ ტანზე გემოვნებით შეკერილი, ფაქიზად დაუთოებული აბრეშუმის ვარდისფერი კაბა ეცვა ქალიშვილს. შხვართი, ფაქიზი თითებით მოხერხებულად ხმარობდა ბრჭყვიალა ინსტრუმენტებს. მისი მოელვარე დიდრონი სათისფერი თვალები თითქოს შუქს ჰფენდნენ ოთახს. იგი ამ ოთახში მართლაც წარმოადგენდა რაღაც საოცნებოს და შეუსაბამობას. ერთბაშად ყველამ უხერხულობა იგრძნო ოთახში გამეფებული უწესრიგობის გამო. ნივთებზე თითქოს ახლა გაჩნდაო მტვერი; მხოლოდ ახლა შენიშნეს, რომ კედელზე ერთი ლურსმნით ჩამოკინწიალებული ფოტორეპროდუქცია შიშკინის სურათისა „დილა ფიჭვნარში“ დამშვენების ნაცვლად კედელს აუშნოებდა.

ფანჯრებზე ჩამოშვებულ ფარდებს რომ ჟანგისფერი გადაკრავდა, ესეც არავის ეეუნიშნავს აკაძდე. რევაზმა სწრაფად გადასწია ფარდები, ვიყოოდ დაგრაგნა და ფანჯრის გვერდით მიაშაგრა. მაგრამ შეუძლებელი იყო ყველაფრის დაფარვა. როდესაც ქალიშვილი თვალებს დაჰხრიდა, ყველანი წითლდებოდნენ ხმელი ტალახით გადალესილი იატაკის გამო; როდესაც იგი მაღლა აიხედავდა, — გული უჩქროლავდათ, — ჭერის კუთხეში გაბმული ობობას აბლაბუდა არ შენიშნოსო. თან გულში შეუბრალებლად წყევლიდნენ ამ არამკითხე ფეიქარს, რომელიც ახლა, თითქოს ოთახში მყოფთა გამანადგურებელი გამოხედვა იგრძნოო, ერთი ვაიუშველებელით ჭუჭრუტანისაკენ მიფორთხავდა.

— შეგიძლიათ დამშვიდებით იძინოთ. — ღიმილით უთხრა ქალიშვილმა დომენტის. შუბლზე ხელი გადაუსვა მას და ლოყაზე ბანდი გაუსწორა. გულიდან დაძრული სისხლი სახეზე თბილად მოეფინა დომენტის. ქალიშვილის უცნაურად რბილი და ნაზი ხელის მიკარებამ თითქოს ტკივილები გაუქრო. თვალები დახუჭა, რომ უეცრად მოძალებული მღელვარება დაეფარა...

ექიმი ჩემოდანში მედიკამენტების ჩალაგებას შეუდგა. მადლობის თქმაც კი ვერავინ მოახერხა. ბოლოს ისევ კოსტამ შესძლო უხერხული დუმილის დარღვევა:

— ბოდიში, რომ ასეთ უბრალო რამეზე შეგაწუხეთ და ამდენი გზა გამოგატარეთ.

— აბა, ერთი ავადმყოფსაც ჰკითხეთ თუ ეს უბრალო ამბავი იყო. — ღიმილით თქვა ქალიშვილმა. მერე ოთახში მყოფთ გადახედა და სერიოზული კილოთი დასძინა: — ყბის ძვლის ანთებას, შესაძლებელია, მეტად სერიოზული გართულება მოჰყოლოდა.

ლოგინზე წამომჯდარმა დომენტიმ ამოიოხრა და სასიკვდილო საფრთხეს თავდაღწეული კაცივით გადააქნია თავი.

გაიოზმა ჩემოდნიდან ახალთ-ახალი პირსახოცი ამოიღო.

— ნათელა, მობრძანდით...

როგორც კი ქალიშვილი ხელის დასაბანად გავიდა, ოთახში მყოფნი მაშინვე გამოცოცხლდნენ.

— ნათელა რქმევია! — ისეთი აღფრთოვანებით წარმოსთქვა კოსტამ, თითქოს ამ სახელში რაღაც განსაკუთრებით და უაღრესად მნიშვნელოვანი რამ იყო ნაგულისხმევი.

— კოსტა, თუ ძმა ხარ, სამზარეულოში რამე მოძებნე. — აღელვებით მიმართა შალვამ ამხანაგს. — რამდენიმე ვაშლი მეგულება. იქნებ ცოტა კონიაკიც იყოს ჩარჩენილი ბოთლში...

— ერთი წვეთი არ არის. — ნაღვლიანად თქვა დომენტიმ. — სანამ იყო, გაიოზი არ მოეშვა, ყოველ დილით სვამდა და ვაშლსაც ზედ აყოლებდა...

— მერე შენ რას უყურებდი! როგორ შეიძლება მნე მომჭირნეობისადმი ასეთ გულგრილობას იჩენდეს! — ისეთი სიმკაცრით თქვა შალვამ, რომ დომენტისათვის ცხადი შეიქნა — მას უკვე ავადმყოფად აღარ თვლიდნენ.

— მოკლედ, რამე უნდა მოვახერხოთ. სირცხვილია... — ჩურჩულით განაგრძობდა შალვა. თან ხელსაბანის ხმაურს უგდებდა ყურს, რომ ნათელას მოულოდნელად არ შემოესწრო.

ღრმად დაფიქრებული კოსტა სამზარეულოსაკენ წავიდა. რევაზმა და შალვამ კი მაგიდა აალაგეს.

— რა მშვენიერ ადგილზე ცხოვრობთ! — თქვა ქალიშვილმა ოთახში

შემოსვლისას. — რა ხელუხლებელი ტყეებია!.. მინდვრები კი — ნამდვილი ყვავილნარებია.

— დიახ, ძალიან კარგი ბუნებაა. — ხალისით დაეთანხმა შალვა. მერე ხახგასმით დასძინა: — ჩვენც თითქმის დღედაღამ ამ ბუნებაში გვიხდება ყოფნა. სახლში იშკიათად თუ შემოვალთ.

კოსტამ სამზარეულოდან დიდი თეფშით ხუთიოდე პანტა ვაშლი გამოიტანა.

— გთხოვთ. ბევრი არაფერია, მაგრამ... — მაგიდისაკენ მიიპატიჟა შალვამ სტუმარი.

გაიოზი სხვებზე უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს. ქალიშვილთან ისე საუბრობდა, თითქოს მისი დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყოს. იგი თავს ბედნიერების მწვერვალზე გრძნობდა, მაგრამ საკმაო გახდა თეფშისათვის შეეხედა, რომ ამ საცოდავ სანახაობას იგი ნეტარების მწვერვალიდან მოეგლიჯა და შეუბრალებლად ძირს დაენარცხებინა. ხოლო, როცა სამზარეულოს კარებიდან კოსტამ მას ცარიელი კონიაკის ბოთლი და მუშტი დაანახა, გაიოზს ერთბაშად წაერთვა ლაპარაკის ხალისი.

— იცით, მე ოდესღაც გეოლოგობაზე ვოცნებობდი. — თქვა ნათელამ, მაგიდასთან რომ ჯდებოდა.

— მერე რატომ არ შეასრულეთ თქვენი ოცნება? — ჰკითხა შალვამ.

— ოცნება ცვალებადია... — ქალიშვილმა ფიქალ შუბლზე ჩამოღვრილი თმის ჭავლები უკან გადაიწია და ფიქრიანად გაიღიმა. — ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ცვალებადია თვით მიზანიც, რომლისაკენაც ცხოვრებაში მივისწრაფით.

— თქვენ ერთ და იმავე ცნებად მიგაჩნიათ ოცნება და მიზანი? — გამოცოცხლდა კოსტა.

— რამდენადმე, მაგრამ არა ყოველმხრივ. ოცნება, — ეს დიდი მიზანია... რატომ თქვენც არ მიირთმევთ? — უეცრად შესცვალა საუბრის თემა ნათელამ.

შალვა აჩქარებით წაეტანა დაჭიანებულ ვაშლს, რომელიც მიზანში ჰქონდა ამოღებული და შიშობდა, რომ იგი ნათელას არ აეღო.

წასვლის წინ ნათელამ აქაური გარემოს დათვალიერების სურვილი გამოთქვა, რასაც უდიდესი ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი. შალვა და რევაზი ფოტოაპარატებით შეიარაღდნენ. ნათელასთან ერთად მხიარული საუბრით შემოიარეს სახლის მახლობლად ამწვანებული კორდები და ქალიშვილს ველის ყვავილები დაუკრიფეს. მერე გეოლოგების სამუშაო უბანს ჩაუარეს. ნათელა ინტერესით კითხულობდა კოლხეთში გეოლოგიური ძიების პერსპექტივებზე. ამასთან დაკავშირებით არგონავტების მითიც მოიგონა. კოსტამ დრო იხელთა და ბერძნულ ენაზე მთელი სტროფი წაიკითხა აპოლონ როდოსელის „არგონავტიკიდან“.

შალვა და რევაზი ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ განუწყვეტლივ, ნათელას სურათს უღებდნენ. კოსტას უკვე რცხვენოდა იმ სიტყვებისა, რომლებითაც იგი ჯერ კიდევ ორი საათის წინ მედიცინის არარაობაზე ლაპარაკობდა. შალვა კი უკვე ნანობდა, რომ გაიოზის ნაცვლად თვითონ არ წავიდა დაბაში ექიმის მოსაყვანად.

ყველანი ბავშვებივით გამხიარულდნენ. ყველა მოხიბლა და დაიმორჩილა ლამაზი ქალიშვილის უბრალოე-

ბამ და უშუალობამ. ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ მის წინაშე.

მუდამ დინჯი და სიტყვაძუნწი კოსტა სრულიად გამოიცვალა. მხიარული, ამბების მოყოლით, გონებამახვილობითა და ნამდვილი ელეგანტური ქცევით მან ყველანი დაჩრდილა.

მეგობრები თანდათან გამოითიშნენ საუბრიდან. მთელი ინიციატივა კოსტამ იგდო ხელთ და, რამდენადაც მეტად ენაწყლიანობდა იგი, იმდენად პირქუში ხდებოდნენ შალვა, გაიოზი და რევაზი. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა კოსტას ბედნიერება. შურისძიების საშუალება, რომელიც კოსტას წინააღმდეგ მიმართეს, უაღრესად მკაცრი და ულმობელი იყო: თითქოს მზის სხივებისაგან ობიექტივის დასაფარავად, რევაზმა მას უეცრად ქუდი მოხადა. კოსტამ ელვის სისწრაფით უკანვე გამოსტაცა ქუდი და თავზე დაიხურა. მაგრამ ნათელამ მაინც შეასწრო თვალი კოსტას. მოტიტვლებულ, პრიალა თავს. ქალიშვილის ბაგეთა შორის მხოლოდ ერთი წამით გამოკრთომილი ღიმილი კოსტას მელოტზე სუსხივით მოხვდა და ენა ჩაუგდო. რევაზს ისეთი თვალით გადახედა, რომ იგი მაშინვე მიხვდა, — კოსტა ამ წყენას სიკვდილამდე არ დაივიწყებდა.

უსიერმა ტყემ აღტაცებაში მოიყვანა ნათელა. ნაწვიმარ ფოთლებს მარგალიტებივით ცვივოდა წვეთები. ქალიშვილი უზარმაზარ რცხილაზე დახვეულ ლიანებს აჰყვა და ხეებს შორის გაბმულ გრეხილზე ჩამოჯდა.

— აქ განსაკუთრებით კარგია... ვის სურს ჩემთან ერთად სურათის გადაღება?

ლიანებს ერთდროულად ოთხი წყვილი ხელი ეემოეჭდო. სურათის გადამღები დაბლა აღარავინ რჩებოდა...

ტყიდან რომ გამოვიდნენ, მზე უკვე იხრებოდა ნათელი ფერებით მოქარგული მინდვრების ბოლო ლურჯად ბრწყინავი ზღვისაკენ. გაიოზი დაწინაურდა და სახლში დაბრუნებულთ შუა ეზოში „ელვაზე“ ამხედრებული დახვდა. უნდა ითქვას, რომ მისი ასეთი წინდახედულება არ იყო მთლად უსაფუძვლო. გარდა იმისა, რომ გაიოზმა კარგად იცოდა თავისი ძერნის ამბავი, ნათელას გაცილებას ალბათ სხვაც მოისურვებდა. წასვლის წინ ნათელამ ერთხელ კიდევ მოინახულა დომენტი. მერე ეზოში ჩამოვიდა და კოხტად მოქვლო ცხენს. კოსტამ მას ყვავილების კონა მიაწოდა. შალვა და რევაზი გარშემო უვლიდნენ ნათელას და აპარატებს აჩხაკუნებდნენ. ქალიშვილი მოხდენილად იჯდა უნაგირზე. იგი ყველას ხელისჩამორთმევით დაემშვიდობა და მკერდმაღალი იაბო ადგილიდან დასძრა.

— დაიცადეთ, მე გაგაცილებთ!—წამოიძახა გაიოზმა. მან გამწარებით ამოჭრა ფერდში ქუსლები „ელვას“, მაგრამ ჯაგლაგმა მხოლოდ ღრმად ამოისუნთქა და ფეხიდან ფეხზე გადაინაცვლა. — ნათელა, დაიცადეთ!

ქალიშვილმა ეზოში დარჩენილ, უეცრად დასევდიანებულ გეოლოგებისაკენ მიიხედა და უბრალოდ თქვა:

— რა საჭიროა. გზას უკვე ვიცნობ. კისერდაძაბულ ცხენს სადავე მიუშვა და გააქანა.

ეზოში დარჩენილები უხმოდ გაჰყურებდნენ მხედარს, სანამ იგი მთლად არ შთაინთქა იისფერ ბურუსში.

დომენტი თითქმის ყოველდღე დადიოდა დაბაში ფოსტისა და პროდუქ-

ტების მოსატანად. ერთ საღამოს მთელმა გეოლოგიურმა ჯგუფმა გადასწყვიტა ნათელასთვის სურათების გაგზავნა საბაბად გამოეყენებინათ და მისთვის წერილობითი მოკითხვა შეეთვალათ. წერილის შედგენაში ექსპედიციის ყველა წევრი მონაწილეობდა. ამ საკითხში რომ უპირატესობა არავის მისცემოდა, წერილს ხელი ალფაბეტის მიხედვით მოაწერეს. მერე სურათების მთელი გროვა გადაათვალიერეს და იქედან ყველაზე უკეთესები ნათელასთვის შეარჩიეს. მერე სურათები და წერილი დომენტის ჩააბარეს.

— პირდაპირ ნათელას გადაეცი. ხომ იცი სად მუშაობს?

— ჰმ, როგორ არ ვიცი. — დაფიქრებით გაიღიმა დომენტიმ და მეგობრებს სახე მოარიდა.

* * *

მეორე დღეს დაბიდან მოგვიანებით დაბრუნებულმა დომენტიმ ორი სასიხარულო ცნობა მოიტანა. პირველი იყო დეპეშა, რომლითაც სამინისტრო მადლობას უთვლიდა ექსპედიციის მონაწილეებს ძიების წარმატებით მიმდინარეობისათვის, მეორე — ნათელასაგან მონაწერი პატარა ბარათი იყო. გეოლოგებმა მრავალჯერ და სხვადასხვა ინტონაციით გადაიკითხეს ქალიშვილის ხელით ნაწერი სტრიქონები. ყოველმხრივ აწონ-დაწონეს თვითეული სიტყვა. მთელი იმ ღამინდელი საუბარი ნათელას მიეძღვნა...

გადიოდნენ დღეები. სახლიდან უთენია გასული გეოლოგები შებინდებისას ბრუნდებოდნენ სამუშაოდან. თანდათან იხსნებოდა ჯოლხეთის მიწის საიდუმლოებანი და საოამოობით ნავთის ლამპის შუქთან მჯდარ შალვას თბილისში გასაგზავნ მოხსენებით ბარათში გადაჰქონდა ამ მიწის წიაღში მიგნებულ სიმდიდრეთა ზუსტი ადგილსამყოფელი, რაოდენობის ვარაუდი, გამადნიანების პროცენტიანობა. მერე კი ვარსკვლავებით განათებულ ეზოში მორზე ჩამომჯდარი გეოლოგები გვიან ღამემდე ბაასობდნენ. შორს, მინდვრების დასასრულთან ციმციმებდნენ დაბის ელნათურები. ეს შორეული სინათლე მათში ნათელას მოგონებას იწვევდა. იგონებდნენ იმ მზიან დღეს, როდესაც მათ ნათელა ეწვია...

ერთხელ, საღამოთი, როდესაც საუბარი ჩვეულებისამებრ ქალთა საკითხს შეეხო, კოსტამ თავი მიანება ჭადრაკის ეტიუდების ამოხსნას და საუბარში ჩაება. რატომღაც არავის გაკვირვებია, რომ კოსტა, რომელიც ამ თემაზე არასდროს სიტყვას არ დასძრავდა ხოლმე, ახლა უჩვეულო სინაზითა და სიწრფელით ლაპარაკობდა მშვენიერი სქესის შესახებ. ბოლოს კი, მართალია მიკიბულ-მოკიბულად, და ერთგვარი უხერხულობით, მაგრამ მაინც საკმაო სიცხადით გამოსთქვა თავისი გულისტკივილი იმ შეცდომის გამო, რომელიც მან ცოლთან გაშორებით ჩაიდინა.

დომენტი ერთხანს დაფიქრებული ყურს უგდებდა მეგობრების საუბარს, მერე სახლში შედიოდა და გვიან ღამემდე წიგნებს კითხულობდა. სულ რამდენიმე დღე იყო დარჩენილი დაუსწრებლად მოსწავლე სტუდენტთა სესიებამდე. დომენტი წელს განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა გამოცდებისათვის. მეგობრები, როგორც შეეძლოთ, მას საგნების დაძლევაში ეხმარებოდნენ.

დომენტი ახლა ყოველდღე დადიოდა დაბაში. იქიდან მზის ჩასვლისას ბრუნდებოდა უჩვეულოდ სერიოზული და ჩაფიქრებული. როგორც კი მეცადინეობას მორჩებოდა, გიტარას ჩამოიღებდა კედლიდან და დაბალ ხმაზე მღეროდა. მეგობრებს უკვე აშფოთებდათ მასში მომხდარი ცვლილებები, მაგრამ კოსტამ ყველანი დააშშვიდა:

— „ელვაზე“ ყოველდღე დაბაში მგზავრობა, ისიც ვაჟკაცი კაცისათვის, რა თქმა უნდა, გამტანჯველია. თანაც სესიებიც მოახლოვდა...

ბოლო ხანებში დომენტი ისე არ წავიდოდა დაბაში, რომ წვერი არ გაეპარსა და საგანგებოდ არ გამოკოხტავებულიყო. ყოველ საღამოს უთო ეჭირა ხელში და შარვალს გულდასმით აუთოებდა.

— ბიჭო, შენ იქ სატრფო ხომ არ გყავს? — გაეხუმრა ერთხელ მას რევაზი.

დომენტი ისე დაიბნა, თითქოს მისთვის აუგ საქმეზე წაესწროთ. მზედაკრული სახე შეუფაკლდა.

— რატომაც არ ეყოლება, კაცო. ის კი არა, თურმე. მთელი დაბის ლამაზები მაგაზე არიან შეყვარებული და სულ იმას გაიძახიან, — ნეტავ ვინ არის ის მოყმე, ტარიელის მერნით რომ დაჰქრის დაბაშიო. — გაიცინა გაიოზმა.

— „ელვაზე“ მჯდარი მხედარი მართლაც ვის არ მოხიბლავს! — სიცილითვე დაუმატა რევაზმა.

გეოლოგებმა ოთახის ერთ კედელზე ცისფერი ქაღალდი გააკრეს და იგი ნათელას სურათებით მორთეს. აქ ქალიშვილს ნახავდით გაცინებულს, დაფიქრებულს ყვავილის მოსაწყვეტად დახრილს, ლიანების გრეხილზე ღიმილით მდგარს, ყვავილებით ხელში ცხენზე მჯდომარეს... პირველ ხანებში არავინ ამხელდა იმ გაურკვეველსა და თბილ სევდას, თავისი ხანმოკლე სტუმრობით რომ დაუტოვა ნათელამ პატარა ფიცრულის ბინადართ. გავიდა დრო და ოთახში დადგმულ ნივთებს კვლავ დაეფინა რუხი მტვერი. იატაკი გაჭუჭყიანდა. შიშკინის პეიზაჟი კედელზე კვლავ თავდაყირა ეკიდა. ნათელას სტუმრობის შემდეგ წესრიგში მოყვანილი ოთახი თავის ძველებურ სახეს იბრუნებდა. სურათებიდან გამომზირალი ქალიშვილი კი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ლამაზი და საოცნებო ხდებოდა თავისი გაუხუნებელი მიმზიდველობით...

ერთხელ გაიოზმა ხუმრობით თქვა, — ნეტავ კიდევ ვინმეს ასტკივდებოდეს კბილი! და როგორ ფიქრობთ! იმავე დღეს სამუშაოდან დაბრუნებულ გაიოზს ყვედრებით შეხვდა ლოგინში მწოლი რევაზი:

— შევარცხვინე შენი სიდიადი! რა ენამწარე ყოფილხარ!..

— კბილი აგტკივდა? — ცოტა არ იყოს უნდობლად ჰკითხა მას გაიოზმა.

— არა, რაღაც ტანში მამტვრევს. ტიფი არ იყოს ეს ოჯახქორი!

— რას სულელობ, რა დროს ტიფია! სიცხე გაისინჯე?

— ჯერ არა. ახლა მიკეთია თერმომეტრი.

მალე შალვა და კოსტაც მოვიდნენ და ყველანი რევაზს შემოეხვივნენ გარშემო. საბანს მზრუნველად უსწორებდნენ, შუბლზე ხელს ადებდნენ და მაჯისცემას უსინჯავდნენ. მიუხედავად სიტყვიერად გამოთქმული წუხილისა და შეშფოთებისა, მათ სახეებზე და

მოქმედებაში ცუდად მიჩქმალული სიხარული მჟღავნდებოდა. რევაზმა ეს შენიშნა და გული მოუვიდა.

— კარგი, კაცო, დახრჩობას ხომ არ მიპირებთ, თავზე რომ მეხვევით!—დაუცაცხანა მან მეგობრებს. მერე ბალიშზე მიესვენა და მწარე ღიმილით დასძინა: — ტყუილა ნუ შიშობთ და ნუ ღელავთ, — ნამდვილად ვარ ავად, ნამდვილად. გიხაროდეთ...

თერმომეტრი 37 გრადუსს და ორ ხაზს უჩვენებდა.

— ეს რა სიცხეა! — თქვა დომენტიმ. — ასეთი სიცხით ქორწილში თამადად ვყოფილვარ.

— ელაპარაკე ახლა ამას შენ! — უეცრად გაბრაზდა კოსტა. — იცი თუ არა შენ, რომ 37 გრადუსი უკვე ავადმყოფის ტემპერატურაა!

შალვა დომენტის მიუბრუნდა:

— დომენტი, ხვალ, როგორც კი ინათებს, დაბაში წახვალ და ექიმს მოიყვან.

ყველას ნათელას სურათისაკენ გაექცა თვალი.

— არ არის საჭირო! — უეცრად წამოიძახა რევაზმა. — მე არ ვარ ისე დასუსტებული, რომ ცხენზე ჯდომა ვერ შევძლო. მე თვითონ წავალ ექიმთან.

— კაცო, შენ ამ ამბავს ვინ გკითხავს. — დატუქსა იგი კოსტამ. — შენ ავადმყოფი ხარ და შენი საქმეა ლოგინში წოლა. დანარჩენს ჩვენ მოვაგვარებთ.

გვიან ღამემდე წმენდნენ, რეცხავდნენ და ასუფთავებდნენ ოთახს. საწოლქვეშ მიგდებული მოლისფერი ფიანდაზი ეზოში გაიტანეს, გაბერტყეს და ოთახში დაჰფინეს.

— ასე ჰო, წამლის ნაცვლად მტვერი მაყლაპინეთ ამ ავადმყოფ კაცს! — ბუზღუნებდა რევაზი.

დომენტი გადაჭარბებული უხალისობით მონაწილეობდა მთელს ამ აურზაურში. იგი დაფიქრებით ეწეოდა პაპიროსს და ვარდისსახეებიანი სუფრით დამშვენებულ მაგიდაზე დადგმულ მინდვრის ყვავილების თაიგულს ათვალიერებდა. თაიგულს გარს ეკრა ქაღალდის ფართო სალტე, რომელზედაც ფერად-ფერადი ასოებით გამოყვანილი იყო სიტყვები: „ბუნების გვირგვინის — ადამიანის სიცოცხლის დაუძინებელ გუშაგს!“ ამ ტექსტის ავტორი, ცხადია, კოსტა იყო. ნაშუაღამევს დამთავრდა ოთახის წესრიგში მოყვანა. კარადის თავზე სხვადასხვა მინერალები, მადნეულის ჭიშები და ქანების ნიმუშები ჩაამწკრივეს. ნახოს ნათელამ, რა ხალხთან აქვს საქმე! შემდეგ უთოს მოკიდეს ხელი. ფრუტუნით ასხამდნენ წყალს მაგიდაზე გაფენილ ხალათებსა და ფერად ჰალსტუხებს. კოსტამ მშვენიერი ზღვისფერი შლიაპა ამოიღო ჩემოდნიდან და თავზე ქვაბივით დაიდგა. ყველას ხალისიანი განწყობილება დაეუფლა. იცინოდნენ უბრალო რამეზე, ხან კი სრულიად უმიზეზოდაც.

— ოჰ, ბიჭო, რა მეგობრები მყავს! ოხრავდა საბანში გახვეული რევაზი. — რა გიხარიათ, თქვე უსინდისოებო, რა? ჩემი ავადმყოფობა?

ჰორიზონტს ამომცდარი მზე ლალისფერ ბურუსში ხვევდა მინდვრებს და გაღვიძებული ჩიტების ჟრიამულით ახმაურებულ ტყეს, როდესაც ყველანი საწოლებიდან წამოიშალნენ. მთელი ექსპედიცია მხურვალედ მონაწილეობდა „ელვას“ შეკაზმვაში. თავჩა-

ქინდრული „ელვა“ ქვეშ-ქვეშად ათვალიერებდა მის გარშემო მოფუსფუსე გეოლოგებს, თან ცდილობდა ზეზეურად განეგრძო თვლემა.

— შემიკლა ხელში ამ უჯიშომ! — ბრაზით ამბობდა დომენტი. — დაბაში ჩასვლისას მაინც მთლად ეღება ბოლო. თუ უკან არ ამოუდექი და კამეჩიანით არ გადენე, ისე ფეხს არ გაადგამს.

სამუშაოზე წასვლის წინ შალვამ რევაზი გაამხნევა:

— ყოჩაღად იყავი. შუადღეზე მოვალთ და გინახულებთ.

— ისიმაც შენდით, როგორც ჩემი მონახულება თქვენ გაწუხებდეთ! — ჩაიბუტბუტა რევაზმა.

შუადღისას სახლისაკენ თითქმის სირბილით ბრუნდებოდნენ შალვა, გაიოზი და კოსტა. ჯერ კიდევ შორიდანვე შენიშნეს ეზოში დაბმული ორი ცხენი. ერთი „ელვა“ იყო, მეორე კი ის მკერდმაღალი, თეთრფეხება იაბო. უცნაურად აუძგერდათ გული... ეზოში შარვლის ტოტებზე მოდებული სუმბული დაიბერტყეს და კიბეს მიაწყდნენ.

დომენტი ამაოდ შეეცადა ნაბიჯების ხმაზე მოსულთა გამოცნობას. კიბის საფეხურები ყველამ სწრაფი ნახტომებით ამოათავა. ერთხანს წინა ოთახში ფეხაკრეფით მიმოდიოდნენ და ჯაგრისით ტანსაცმელს იწმენდნენ. შემდეგ მოწიწებით შემოაღეს ოთახის კარი. შემოაღეს და იქვე გაქვავდნენ, წინასწარ მომზადებული ღიმილი სახეზე შეაცივდათ...

რევაზი საწოლზე იჯდა, შაღლა აწეული პერანგი ნიკაპთან შემოეკეცა და შუბლქვეშიდან დამცინავი თვალებით გამოჰყურებდა ოთახში შემოსულთ. მის მოშიშვლებულ ზურგს მოკლეწვერიანი მოხუცი სტეტოსკოპით მიყრდნობოდა, ვიწრო თვალები მელასავით მოეჭუტა და სუნთქვას ისმენდა. გაიოზი, შალვა და კოსტა გაშტერებული იდგნენ კარებთან. მოხუცმა ექიმმა გასინჯვა დაამთავრა, ახალმოსულთა დაძმარებულ სახეებს შეავლო თვალი და გამამხნევებელი კილოთი სთქვა:

— ისეთი არაფერია. გაციებულხართ. ორ დღეში ყველაფერი გაივლის. — იგი რეცეპტის დასაწერად მაგიდას მიუჯდა. მისი ყურადღება მიიპყრო თაიგულმა წარწერით.

— გმადლობთ, ყმაწვილებო, გმადლობთ, ასეთი ძვირფასი საჩუქრისათვის!..

— პატივცემულო ექიმო, — ძლივს მოახერხა ენის დაძვრა გაიოზმა. — ნათელა რატომ არ წამოვიდა?

— რომელი ნათელა? — ვერ გაიგო ექიმმა. მერე ფართოდ გაიღიმა. — ჩვენი ნათელა?.. ნათელა ხომ შვებულებაშია... ჰო, მართლა, — თქვენ შესანიშნავი სურათების გადაღება გცოდნიათ. მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, ცოცხალი ბუნების ფონზე ერთი სურათიც არა მაქვს გადაღებული...

— სიამოვნებით გადაგიღებდით, მაგრამ ფირი გაგვითავდა. — უხალისოდ იცრუა შალვამ.

ეზოში დაღვრემილები გამოჰყვნენ ექიმს, რომელსაც ორთავე ხელით თაიგული მოჰქონდა. მოკლედ შეკრეჭილი წვერი ყვავილებში ჩაერგო და სახეზე ნიტარების ღიმილი გადაჰფენოდა. დომენტი ცხენზე შეჯდომაში მიეშველა მას.

— გმადლობთ, გმადლობთ, ყმაწვილებო! — ექიმმა მხარზე ხელი მოუტყაპუნა დომენტის. მერე ცხენიდან გადმოიხარა და ეშმაკური გამომეტყველებით ჰკითხა: — ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ქორწილი როდის იქნე-

ბა? იცოდე, უქორწილოდ ისეთ გოგოს არ გაგატანთ!.. თქვენ რას იტყვით, ყმაწვილებო?

— დიახ, რა თქმა უნდა... — დაფანტულად დაიწყო კოსტამ. მერე უეცრად გონს მოეგო და სწრაფად იკითხა: — რომელ გოგოზე ლაპარაკობთ, პატივცემულო ექიმო?

— როგორ თუ რომელზე! რა თქმა უნდა, ნათელაზე... მთელი პოლიკლინიკის სიამაყე გამოგვტაცა ამ ყაჩაღმა, ამან! — უქიმმა გულკეთილად გაიცინა და ცხენს მათრახი გადაჰკრა.

დიდხანს დაბნეულად იდგნენ მეგობრები და არ იცოდნენ რა ეთქვათ დომენტისათვის, რომელიც პაპიროსის სქელ კვამლში დამნაშავესავით იღიმებოდა. მერე სათითაოდ მივიდნენ მასთან და მოეხვივნენ.

— მოგილოცავ, დომენტი! მშვენიერი გოგონაა... ყოჩაღ! — გულითადი ღიმილით უთხრა მას შალვამ.

— ჩვენ რატომ გვიმალავდი, შე უსინდისო! — საყვედურობდა გაიოზი.

კოსტა, ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო და დაბნეულად სათვალეებს ისწორებდა, თან ხელების შლით გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— კი, მაგრამ ეს როდის, ან როგორ... ა?

— ქორწილს როდის აპირებთ? — საქმიანად იკითხა შალვამ.

— სესიების დამთავრების შემდეგ. ჯერჯერობით მხოლოდ ხელი მოვაწერეთ...

ფოთლებისა და ბალახების სურნელებით გაჟღენთილი თბილი ნელქარი ანცობდა მინდვრებში. ხორშაკის მოტრფიალე კალიების კრუტუნით ავსილიყო გარემო.

კოსტამ საგარეოდ გამოკოხტავებული შალვა და გაიოზი შეათვალიერა. მერე თავისი შესანიშნავი ზღვისფერი შლიაპა მოლზე დააგდო, ყელზე შემოჭერილი ჰალსტუხი მოიფონა და შვებით მოითქვა სული.

— ასეთი უტნაურობითა და იდუმალებით არის დახერგილი სიყვარულისაკენ მიმავალი გზები — ფილოსოფიურად დაასკვნა მან.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲝᲧᲕᲐ

⁂ ⁂

ჩვენი მადლობა

პარტიას ჩვენსას მადლობა ჩვენი,
რომ სამშვიდობოდ ზეცა კამკამებს.
აწმყოს ხალისით,
მომავლის რწმენით,
რომ ჩვენ შევყურებთ კრემლის ვარსკვლავებს.

მადლობა მისთვის, დროშა გაშლილი
რომ გვიძღვის მარად და მიგვინათებს,
რომ ყვავის ძმათა დიდი კავშირი
სარფიდან ვიდრე სახალინამდე.

რომ მოაშორა კაცის გულს ნისლი
და მისცა ბედი წალმა მბრუნავი,
ადამიანი რომ არის მისი
პირველი სიტყვა და საზრუნავი.

მადლობა მისთვის, რომ გვყავს ერთგული
ძმა მახლობელი, თუ უშორესი,
თვალგამჭრიახი მაო ძე-დუნი,
ვილჰელმ პიკი თუ მორის ტორეზი.

პარტიას ჩვენი მადლობა ერთხმად,
რომ გაზაფხულით მიწა ირთვება,
მადლობა მისთვის, რაც დღეს გვაქვს ქვეყნად,
და იმისთვისაც, რაც ხვალ იქნება!

აჭარის გზებზე

1. ᲓᲐᲜᲓᲐᲚᲝᲓᲐᲜ ᲓᲝᲚᲝᲒᲜᲐᲛᲓᲔ

დანდალოდან დოლოგნამდე
სულ კაკლები, კაკლები...
აჭარისწყალს ვესიტყვები —
საით მიიკლაკნები?

დანდალოდან დოლოგნამდე
ასფალტია კრიალა,
მანქანიდან კოხტა გოგოს
თვალმა გაიკრიალა.

„ადესას“ რომ თვალი ვკიდე,
გზისპირებზე გაბარდნილს,
გაკმახსენდა მშობლიური
ჯუმათი და მამათი.

ეს სოფლები ჰგავს ჩემს სოფლებს
როგორც მისხალს — მისხალი, —
დოლოგანი — ნაგომარსა,
სუფსას — აჭარისწყალი.

დანდალოდან დოლოგნამდე
ასფალტია კრიალა,
სიხარულის გზები მოდის,
აბა, სევდის კი არა!

გულიც მიტომ ამიტოკდა,
თავს ვგრძნობ თითქოს შინ მივალ,
მე სტუმარი კი არა ვარ,
ამ სოფლების შვილი ვარ!

2. ხულოსაკენ

გზები,
გზები,
ისევ გზები...
გზები აღარ თავდება...
აკეცილან.
დაკეცილან
მთები ჩოხისკალთებად.
ისეთ ქარაფს წაადგები,
გული შეგიქანდება.
ქედზე მერცხლის ბუდესავით
სჩანან ოდა-სახლები.
დაილოცოს საქართველოს
მინდვრები და ბაღები,

ვენახები,
ვენახები,
მერე რა ვენახები!

სილამაზის გულისათვის,
სულ ვიყავით მტრიანი...
ამ მთა-ველის დასაცავად
ისევ ისე მზადა ვართ.
მტერი ისევ თუ შემოვა,
ცოცხალი ვერ გადავა!

საქართველო დღეგრძელობდეს
ბარიანი,
მთიანი!..

ჯ. ციხეები

გზაზე ყველგან ციხე მხვდება,
ციხე კლდეზე, ციხე მთაზე,
მათ დაუცავს ჩემი ქვეყნის
ძველთაძველი სილამაზე.

სულ ციხეს რომ აშენებდი,
მუდამ ქვას რომ დებდი ქვაზე,
ვინ უვლიდა, საქართველოვ,
შენს დიდ ველებს, მინდვრებს, ვაზებს?

ცალი ხელით ყანას მკიდი,
მეორეში გეპყრა ხმალი,
რომ დაგეცვა შენი დიდი
წარსული და მომავალი!

ახლა თავის დასაცავად
არ გჭირდება ციხე ძველი,
სხვა სიმაგრე ავაშენეთ
ურყევი და უძლეველი.

ვერ აიღოს თუნდაც მტერი,
გარს მოერტყას გაშმაგებით,
ეს სიმაგრე ხალხის ხელით
დუღაბურად ანაგები.

მიწისაგან აღიგვება,
ვინც გაბედავს მასთან მტრობას,
ჩვენს სიმაგრეს აუღებელს
ჰქვია ხალხთა მეგობრობა!

4. რთველი და წვიმა

ზღვიდან მთებისკენ წამოღებულმა
ქოროხზე დაგვცხო შხაპუნა წვიმამ.
აქ რთველი ჯერაც არ დაწყებულა,
გაბადრულ ვაზზე მტევნები ბრწყინავს.

ვარსკვლავებივით ჩახჩახა მტევნებს
ვაზების მწკრივში გააქვთ ბრიალი,
შემოგცინიან და გატყვევებენ
მარცვლები მჯიღა და შაქრიანი.

— ეს დალოცვილი ადრე სად იყო,
ვაზს ავნებს წვიმა, ზვარი დაწდება,
დაშაქრულ მტევნებს წაართმევს სიტკბოს, —
იწყინა გლეხმა წვიმის დაწყება.

— უკეთესია! შემორეცხს მთაჯბარს,
ამდენ ნადარევს მტვერსაც შემოლევს,
როგორც პატარძალს, ვენახს პირს დაბანს, —
დაბეჯითებით ამბობს მეორე.

თავმჯდომარე კი... ისმენს და ღელავს,
ამ წვიმის ოინს ველარ მიმხვდარა,
უეცრად, თითქოს გვისმინა ყველას,
გადიღო წვიმა და გადიკარა.

გამოიდარა და ტყე ნაწვიმი
ხარბად სუნთქავდა ორთქლით და თქორით,
და ცისარტყელა მოხრილ ყანწივით,
იწვა ზვარსა და საწნახელს შორის.

ბორის შენგელია

* *

ა კ ვ ა ნ ი

ბაბუა ესტატემ შვილიშვილის დაბადების ამბავი გაიგო თუ არა, გული სიამით აევსო, სიხარულით ვერ ისვენებდა, კმაყოფილებით ისვამდა ხელს მკერდამდე დაფენილ თოვლივით თეთრ წვერზე, რომელიც უფრო მიმზიდველ იერს აძლევდა მის ნათელ სახეს.

ესტატეს კიდევ ჰყავდა ერთი შვილიშვილი — გელა, რომელსაც მამა ომში დაეღუპა და ახლა თვითონ ედგა ოჯახს ბურჯად. იგი კოლმეურნეობის მოწინავე აგროტექნიკოსი იყო. ახალშეძენილი კი პირველი შვილი იყო ბაბუა ესტატეს ერთადერთი ქალიშვილისა, რომელიც ქმართან ერთად ქალაქში ცხოვრობდა.

ესტატემ გამოცდილ ოსტატს აკვანი გააკეთებინა და შემოდგომის ერთ მშვენიერ დილას საჩუქრებით ქალაქისკენ გასწია შვილიშვილის სანახავად. ადრე დილით გავიდნენ სოფლიდან და ღამის ბინდი წვებოდა, როცა ქალაქს მიუახლოვდნენ. ქალაქის გაჩირაღდნებულ ფართო ქუჩაზე გელას „პობედა“ სწრაფად მიქროდა. ერთ-ერთ გზაჯვარედინზე შუქნიშანი უეცრად წითლად გაბრწყინდა. მანქანა შედგა. მიუთითეს; „პობედა“ განაპირას დაეყენებინათ.

— თქვენ წესრიგი დაარღვიეთ, განა შეიძლება ასეთი სისწრაფით მანქანის ტარება ქალაქში?

— ჩვენ შორი სოფლიდან მოვდივართ, ღამემ მოგვისწრო და... გვაპატიეთ, გზა დაგვითმეთო მიუგო გელამ მორიგე მილიციელს, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა, მძღოლის ბილეთს თხოვდა. ამასობაში ბაბუა ესტატეც გამოვიდა კაბინიდან, მივიდა მილიციელთან და უთხრა:

— შვილო, აი ნახე, აკვანია, აკვანი, შვილიშვილის სანახავად მიგვეჩქარება და ნუ დაგვაბრკოლებ.

კოხტა სამხრეებიანი ვაჟკაცი წამით შედგა, თვალის ქუთუთო ჯუთამაშდა და ღიმილით თქვა:

— აკვანი?!

...გელას „პობედა“ ისევ გასრიალდა ასფალტზე.

ინეზა ბერიძე

* *

ავდარში

ჭექა-ქუხილი დაუვლის ზეცას
და შემდეგ ხმელეთს რისხვით აავსებს.
მოულოდნელი გრიგალი მერცხალს
ჩემს ფანჯარაზე შემოანარცხებს.

ელვა დასერავს ღრუბელს მთვლემარეს,
შავი ნაბადი ცას მოედება.
შემიპყრობს შიში... და როგორც გარეთ,
ისე ჩემს სულშიც ჩამობნელდება.

კოკისპირული წამოვა წვიმა,
დაეძგერება ფოთლებს და რტოებს.
ხან ალმასებად მოლს დააცვივა,
ხან ნიაღვარის ნაკვალევს ტოვებს.

გული მოისმენს ფოთლების შრიალს,
გული მათ ჩივილს ჩაწვდება თითქმის.
უამინდობას არ დაუხშია
ამღერებული სიცოცხლის რიტმი.

ღრუბელთა ჯარი დატოვებს ქედებს,
სველი ფოთლები იწყებენ ციმციმს:
სიხარულმაც ხომ კაეშნის შემდეგ
სწორედ ამგვარი ღიმილი იცის.

ჩემს ქალიშვილს — იზოლდას

გელოდებოდი, მაგრამ ამაოდ...
ეს სიხარულიც არ გაიმეტე!
გახსოვს? აგვისტოს იმ თბილ საღამოს,
გესტუმრებიო, დამაიმედე.

დღესასწაულზე მსურდა საოცრად
შენს ძმებთან ერთად აგეღო ჭიქა,
თუმცა სათქმელი შენს დასალოცად
დედის გულს ყოფნის აქაც და იქაც.

მე უშენობის მიმძიმს ატანა,
მომნატრებიხარ გულის ტკივილით...
როგორ მეგონა, ჩემო პატარავ,
ცხოვრების გზაზე ცალკე ვივლიდით!

ალბათ სიზმარშიც იმიტომ მოხველ,
რომ შენთან ახლო არ მიგულებდი
და დედის კუთხე სათუთად მორთე
ქრიზანტემების თაიგულებით.

რა ტკბილი იყო შენთან ბაასი,
იმ ორ თაიგულს რა ძალა ჰქონდა,
ვით სიხარული ცრემლთა ალმასი
შემჭკნარ ფურცლებზე ცვარ-ნამი კრთოდა.

დედის ნაღველი შენელდა წამით —
ჩემთან იყავი აქაც და იქაც:
დღესასწაულის მჩქეფარე ღამით
ჩვენ მაინც ერთად ავიღეთ ჭიქა!

შალვა შუბლაძე

* *

პალმის ქვეშ

გზაჯვარედინზე მოგვისწრო წვიმამ,
ხეს ავეკარით შენაშფოთებნი;
პალმამ გვიშველა. იმ დალოცვილმა
ქოლგად გაშალა ფართო ფოთლები.
წვიმდა,
სისველეს მაინც ვერ ვგრძნობდით,
ფოთლები ფარდად ჩამოგვებარდნა:
სუნთქვაშეკრული, ნეტავ, რად თრთოდი,
ან ჩემი გული ტყვედ რისთვის გყავდა?
არ ვიცი, ახლა რამ მომაგონა
გაფრენილ დღეთა ერთი ფურცელი:
წყვილნაწნავება, თეთრი გოგონა,
თვალები ზღვა და ფირუზის ფერი...

მზესუმზირა

მწვანე ეზოში, ღობის იქით,
სულ გზის ნაპირად,
ტანჯანიერი, ატყორცნილი
დგას მზესუმზირა.

ახლად გაფურჩქნილს თავს გვირგვინი
ადგას ყვითელი,
მზისა და მიწის სიყვარულით
ნაჩუქურთმევი.

ალბათ იმიტომ უმზეობას
ვერ უძლებს გული,
ქვეყნის მნათობზე გაგიჟებით
შეყვარებული...

დღე ერთია და მეც ამ ქუჩას
ასჯერ ჩავივლი,
ის კი მოაჯირს მიყრდნობია
ახალ აივნის.

აღანთო გული, სიყვარულის
ჩამოჰკრა სიმებს,
ვით მზესუმზირამ, მეც მზის ძალა
ვერ ავიცდინე.

წამით დავშორდე მას, თვალები
არ დამაცლიან;
ჩანს სიყვარულმა მზესუმზირად
გადამაქცია.

ვარდთან

ვარდთან მგოსანს ფიქრები აქვს სანუკვარი,
ვარდს ბზუილით დასტრიალებს თავს ფუტკარი.
რად მოსულან,
რა ათრთოლებს აქ მათ გულებს?
ყვავილებში დაეძებენ ნექტარს თურმე.
აჰა,
სიბრძნის ნაპერწკალმა გაჰკრა მგოსანს,
და ფუტკარმაც ყვავილს სიტკბო დაულოცა.
გულით მაძღართ, ბაღს დარჩენა არ ისურვეს,
დატვირთულნი შინისაკენ გაეშურნენ,
რომ ნექტარის მადუღებლად იქცეს გული,
და ქვეყანას თაფლი მისცენ დიდებული.

იაკობ მეღია

* *

აგერ მტკვარი და არაგვი

მოდი, სარკმლის ფარდას ავწევ,
გზა მიეცი ღიმილს.
აგერ, მტკვარი და არაგვი!
შესაფერი წყვილი!

მიგვაქროლებს ელმავალი,
კილომეტრებს კეცავს,
ყველაფერი, ყველაფერი,
საოცნებოდ მეჩვენა:

ხეობაში მანდილივით
ჩავარდნილი ნისლი...
სიო, სიო, ქართლის სიო,
ზღაპარივით ისმის.

განა მართლა ზღაპარია?
ეს გულის ხმა არის.
მე ხომ შენი არაგვი ვარ, —
შენ კი ჩემი მტკვარი?

ბუხარი

ო, რარიგ ღვივის შენი ბუხარი!
ცეცხლის ენებით მოღუღუნარი!..
ვუმზერ შენს კერას,
    და მინდა გითხრა: —
ნეტავ შენ რად ხარ, ასე მდუმარი?
გული გაიხსენ, გადამარჩინე;
მე, ორ ცეცხლს შუა მდგარი სტუმარი.

მიხეილ გორგილაძე

* *

უნდობლობის მიზეზი

მოთხრობა

მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ვაგონის სხვადასხვა მხრიდან ახალგაზრდა ქალ-ვაჟი კუპეს ერთსა და იმავე დროს მიადგა.

ვაჟმა უცნობ ქალიშვილს თავაზიანად გზა დაუთმო, ჩემოდანი ჩამოართვა და თაროზე შემოდგა.

— შორს მიემგზავრებით?

— მწვანე კონცხზე.

— მაშ ერთი გზა გვქონია.

ქალიშვილმა ნათელი, მშვიდი თვალებით გადახედა ვაჟს და ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

მატარებელი დაიძრა.

ისინი ფანჯარასთან მივიდნენ და მხარიმხარ დადგნენ, ბაქანი გამცილებლებით იყო სავსე, ისინი ფუსფუსებდნენ, ხელებს იქნევდნენ, მიმავალთ ეთხოვებოდნენ.

უკან დარჩა მშობლიური ქალაქი, ნაცნობი გარეუბნები. მტკვრის ხეობაში შემოჭრილი გრილი ნიავი ანელებდა ზაფხულის მხურვალებას.

ვაჟმა ჩქარა გაიგო, რომ მისი თანამგზავრი ლამარა მესხი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი იყო და სანატორიუმში დასასვენებლად მიემგზავრებოდა. შემდეგ თავისი ვინაობაც გააცნო, ის — გივი გვენეტაძე — უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასპირანტია, მწვანე კონცხზე დეიდა ჰყავს და თითქმის ყოველი წლის ზაფხულის ერთ თვეს მასთან ატარებს.

ასე გააბეს გულითადი საუბარი. გივის იზიდავდა თანამგზავრის ნარნარი, სულში ჩამწვდომი ხმა. თითქოს წინასწარ მოფიქრებული შინაარსიანი ფრაზები, შინაგანი სითბოთი და სიცოცხლით აციმციმებული ჟუჟუნა თვალები, სანდომიანი სახე, წაბლისფერი ტმა, ფანჯარასთან მდგარს ნიავი ჯიუტად რომ უწეწავდა.

ყოველ დიდ სადგურზე გივის ხილი, ნაყინი და ცივი წყალი ამოჰქონდა. ლამარა მას ღიმილით აცილებდა, დაბრუნებულს ღიმილითვე ეგებებოდა, თუკი მატარებელი დაიძროდა და გივი ისევ ბაქანზე იდგა, ლამარა მღელვარებით უქნევდა ხელს, შიშითა და მზრუნველობით აღსავსე განცდა, რომელიც იმ დროს იპყრობდა, მის სახეს უფრო მომხიბვლელს ხდიდა.

რამდენიმე საათში ისინი ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს, როგორც თანშეზრდილი მეგობრები. ვაჟის თვალების მშვიდი, კეთილი გამოხედვა, მისი მაღალი შუბლი, ჩაფიქრებული, თავისებურად რაღაც ზრუნვით შეპყრობილი სახე, თავმდაბლობა და მოკრძალება ქალიშვილში პატივისცემასა და ნდობას იწვევდა. ლამარას ოდნავადაც არ უგრძვნია შეშფოთება იმის გამო, რომ ახალგაცნობილ ვაჟთან ღამით მარტო დარჩა. ის მშვიდ ძილს მიეცა.

გივის მოუსვენრობა დიდხანს იპყრობდა, ელექტრონის მკრთალ შუქზე ხარბად აკვირდებოდა ქალიშვილის ლამაზ სახეს, ძილში ღიმილით ოდნავ გახსნილ ვარდისფერ ტუჩებს, ისმენდა, თითქოს ითვლიდა მის ზომიერ, ძლივს გასაგონ სუნთქვას. არიან ადამიანები, რომელთაც პირველი შეხვედრიდანვე ისე შეეთვისები, რომ განშორება გიძნელდება, ისინი შენთვის მახლობელნი და ძვირფასნი ხდებიან, მათზე ფიქრი სიამოვნებაა, მათთან სიახლოვე ნეტარებაა.

დილით ლამარამ მზეს დაასწრო გაღვიძება. დილამშვიდობისაო, მიესალმა ვაჟს და გულთბილად შეჰღიმა.

ისინი ისევ ფანჯარასთან დადგნენ. თვალწინ იშლებოდა დასავლეთ საქართველოს ამწვანებული ბაღები, აბიბინებული სიმინდის ყანები. ჯიუტი ნიავი ლამარას ისევ დაუდეგრად უწეწავდა თმებს და გივის სახეში აყრიდა. ქალიშვილის სურნელოვანი, წაბლისფერი დალალების უნებური ალერსი ვაჟს უცნაურად აღიზიანებდა, თავისებური დამათრობელი სიამოვნებით ავსებდა.

— აი, ზღვა! ოჰ, რა კარგია, რა კარგია ზღვა. — ლამარამ ხელები ფანჯრიდან სივრცეში გაიწოდა, თითქოს ცდილობდა ჩახუტებოდა, მთელი არსებით შეცურებულიყო წყნარ, მთვლემარე სტიქიაში. ზაფხულის დილის მშვენიერება, შოკამკამე ზღვის უსაზღვროება და სილამაზე. რომელთაც გივი ლამარას ეუბნა, სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე თვალებში ხედავდა, ერთბაშად გაჰქრა... მწვანე კონცხის გვირაბის წყვდიადმა დაჰფარა ყოველივე.

მატარებელმა თანდათან უკლო სიჩქარეს და ბოლოს გაჩერდა.

ბაქანზე ჩამოვიდნენ.

— ნება მომეცით შემდეგი შეხვედრისას ნათესავი წარმოგიდგინოთ, სპეციალობით ექიმია — შოთა ნინუა. თბილისიდან გუშინწინ გამოემგზავრა ბინაზე ერთად ვიქნებით. მხიარულ ყმაწვილია, გართობა უყვარს.

— კეთილი, მობრძანდით.

გივიმ თანამგზავრი სანატორიუმის ავტობუსამდე მიაცილა.

* * *

მეორე დღეს ლამარა სანატორიუმის ბაღში სეირნობდა, როცა გაზონების მხრიდან შენიშნა უცნობი ვაჟის თანხლებით მომავალი გივი. ვაჟების მოახლოებამდე ლამარამ მოასწრო დაკვირვებოდა მათ. სიმაღლით ისინი ტოლები იყვნენ, მხოლოდ გივი უფრო კუნთმაგარი და ჯანსაღი ჩანდა, მისი მზემოკიდებული სახის მტკიცე გამომეტყველებას, შავ, დიდრონ თვალებს შვენრდა ღიმილი, რომელიც თითქოს თანაბრად განაწილებულიყო მთელ სახეზე. თანამგზავრი გვერდით მოჰყვებოდა, ნიავისაგან აწეწილ, კეფაზე გადავარცხნილ თმებს ხშირად ისწორებდა, ფერმკრთალ სახეზე ქალური სინაზე ალბეჭდოდა. მოუსვენარი, ცისფერი თვალები შეუმჩნეველს არაფერს სტოვებდა.

ლამარა ხელგაშლით მიეგება ვაჟებს.

— თქვენ, ალბათ, შოთა ნინუა ხართ, გივის ნათესავი და თანშეზრდილი მეგობარი, აი, ხომ ხედავთ, მე უკვე გიცნობთ.

— ო, გმადლობთ, თქვენ ყურადღებიანი ყოფილხართ. წარმოიდგინეთ, გივის წყალობით არც ჩემთვის ხართ უცნობი.

საუბარი კარგად აეწყო, გამოიკითხეს აგარაკზე ჩამოსვლის შემდგომი ამბები, პირველი შთაბეჭდილებანი.

ლამარა ვაჟებს შორის ჩადგა, ხეივანი გადასჭრეს და გრძელი კიბით ზღვისკენ დაეშვნენ. ზღვა ისევ წყნარი და გამჭვირვალე იყო, სუსტი ტალღები უშფოთველად იმსხვრეოდნენ ნაპირზე და ფერად ქვიშას აჩხრიალებდნენ. იალქნიანი და მოტორიანი ნავები სერავდნენ ზღვის სივრცეს. უფრო შორს, სიღრმეში გემი ბათუმისაკენ მიცურავდა და უკან თეთრ, აქაფებულ ზოლს ტოვებდა.

შემდეგ კონცხზე ავიდნენ, პარკი დაათვალიერეს. მაგნოლიის ხეების ჩრდილში პატარა სავაჭროსთან დაისვენეს, ნაყინი და ტკბილი სასმელები მოითხოვეს. შოთა ერთობ ენაწყლიანობდა, მოხდენილად ხუმრობდა.

— თქვენ ესტრადის მსახიობი უნდა გამხდარიყავით და არა ექიმი. — შენიშნა ლამარამ. იგი ჩინებულ განწყობილებაზე იდგა, კმაყოფილი იყო ახალი ამხანაგებით. ლოდზე ასვლისას, ან ნაკადულზე გახტომისას არ ერიდებოდა ვაჟებს ხელი შეეშველებინათ, მათთან თავისუფლად ეჭირა თავი.

ისევ სანაპიროზე დაბრუნდნენ, მშვიდი და უშფოთველი ზღვა ერთობ შეცვლილიყო, უზარმაზარი ტალღები გუგუნით ერთმანეთს აწყდებოდნენ.

— მე არ მიზიდავს აბობოქრებული ზღვა. — შოთამ თვალი გადაავლო მქუხარე ზვირთებს.

— პირიქით, მთელი სიამოვნება ისაა, როცა აბორგებულ ტალღებს...

— ორთაბრძოლაში შეეჭიდები.—გივის მიერ დაწყებული ფრაზა ლამარამ დაამთავრა.

— ოჰო, — შოთამ იჭვნეულად გადახედა გივისა და ლამარას, — ვითომ გაბედავთ შებრძოლებას?

— მარტოს იქნებ გამიძნელდეს, ყოველ შემთხვევაში, შორს ვერ წავალ. თანამგზავრი თუ მეყოლება...

ქალიშვილს გივიმ გამამხნევებლად შეჰღიმა.

— ოღონდ ისურვეთ და მზად ვარ ზღვის მეორე ნაპირამდე გამოგყვეთ.

— ექიმს უცნაურად თუ არ მოეჩვენება, თქვენს დახმარებაზე უარს არ ვიტყვი.

— რაკი თქვენ გსურთ, მე რა უფლება მაქვს წინ აღგიდგეთ. — შოთა ნაძალადევად დაეთანხმა, თმები გადაივარცხნა, სანამ გივი და ლამარა ტანსაცმელს იხდიდნენ, მანამ მათთან ზურგშექცევით იდგა.

ტალღები მძლავრად აწყდებოდა ნაპირს, პირდაპირ მისვლა შეუძლებელი იყო, ისინი სიღრმეში ნავმისადგომი ბაქნიდან გადაეშვნენ. ლამარა მსუბუქად მიცურავდა, ყალყზე შემდგარ ზვირთებს უშიშრად ხვდებოდა, გივის სიახლოვე, რატომღაც, გამბედაობითა და ახალი ძალით ავსებდა. წათამამებული ლამარა ცდილობდა აქაფებულ ტალღებში გაუჩინარებულიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა, ვაჟი აღვილად ეწოდა.

— აი, ხომ ხედავთ, ჩემს იქეთ გზა არ გაქვთ. — ხუმრობით უთხრა გივიმ. ერთხელაც გივიმ ღრმად ჩაყვინთა და უკვალოდ გაიჭრა. ლამარა ირგვლივ ამაოდ დაეძებდა, ვერსად შენიშნა, მხოლოდ აქაფებული ზღვა მოჩანდა და ბობოქარი გუგუნი ისმოდა. „ხომ არაფერი შეემთხვა?“ — შიშით გაუელვა. უბედურების წარმოდგენამ ისე შეაკრთო, რომ ძალღონე ერთბაშად წაერთვა. „შეუძლებელია ასე ხანგრძლივად ზღვის სიღრმეში იყოს, რა მოუვიდა?“ შეშფოთებული ყოველ მხარეს აწყდებოდა, ეძახოდა, ნერვი-

ულობდა, სისუსტე და დაქანცულობა უფრო და უფრო ეუფლებოდა.

— გივი! — აღფრთოვანებით აღმოხდა, როცა მოახლოებულ ტალღაში შენიშნა ვაჟი. — აბა, ამიხსენ, სად დაიკარგე?

— ჩვენს შორის მუდამ ტალღა იყო, როცა ტალღის ზემოთ შენ მოექცეოდი, მე სიღრმეში ჩავდიოდი, როცა ტალღა გვყოფდა, მაშინ სიღრმიდან ამოვდიოდი.

— ოი, რა ეშმაკი ყოფილხარ—ზღვის ხმაურთან ერთად გაისმა ლამარას მხიარული სიცილი. — დავიღალე, დროა წავიდეთ.

გივიმ ლამარა მზრუნველობით, საოთუთად თითქმის ხელში აიტაცა და ნაპირისაკენ გააცურა.

მოლოდინით თავმობეზრებული შოთა ნაპირზე მოუსვენრად სცემდა ბოლთას.

* * *

შოთა მთელი ღამე მაცთურ აზრებს თავს ვერ აღწევდა, ძილი არ ეკარებოდა. ლამარაზე ფიქრი არ ასვენებდა. ნუთუ ის ისეთი სუსტი ნებისყოფის არის, რომ ცთუნებას აჰყვება? ნათესავს სიყვარულში შეეცილება? ეს ხომ საშინელი სულმდაბლობაა; გივი ლამარაზე თიქრობს. როგორც ცხოვრების მოდმივ თანამგზავრზე, ფიან. ლამარა ფნაკლო არსებაა, საკმარისია მასთან დაჰყო ერთი საათი, რომ გამოიცნო მისი მდიდარი ბუნება... და რაც მთავარია, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის შვილია. ცხოვრება იმდენად ვერაგი და დაუნდობელია, რომ მასთან მუდმივი ბრძოლაა საჭირო. ის, ვინც შიშველი ხელებით მოუმზადებელი იბრძვის, მუდამ დამარცხებული რჩება. შოთა მუდამ ხელქვეითი იყო, თითქოს ვერ ამჩნევდნენ, არავის არ უცდია მისი დაწინაურება. კმარა, უკვე აღარ სურს სხვის საამებლად მორჩილებით წელში იხრებოდეს, თუკი ყოვლისშემძლე შფარველი ეყოლება, თავს დააღწევს რკინიგზის საავადმყოფოს და რიგითი ექიმიდან ერთი ნახტომით მაღლა მოექცევა, ვთქვათ, განყოფილების გამგედ, საექიმო უბნის, ან ბედნიერ შემთხვევაში, მთელი კლინიკის უფროს ექიმად. რა ჯობს მბრძანებლობას, ერთმმართველობას, შენი სურვილები სხვისთვის კანონი იქნება, აი, რა შეუძლია ძალას, მფარველს, მწყალობელს... გივი წინდახედული ყმაწვილია, მარტოდმარტო გაიტანს ცხოვრების ლელოს, არც ერთი ქალიშვილი უარს არ იტყვის თანაგრძნობა გაუწიოს, როგორც ჩანს, ლამარათი ჯერ ისე არ არის გატაცებული, რომ აღძრული გრძნობა გულში ვერ ჩაიკლას. „თუ შევძელი სასურველის დაუფლება, შემდგომ ყველაფერი თანდათან გამოსწორდება, ჩემი საქციელით გამოწვეულ უხერხულობას დრო დავიწყებას მისცემს.“ — ხანგრძლივი მეყოფობის შემდეგ თავისთვის დაასკვნა ექიმმა.

შემდგომში შოთა გივისთან ერთად ყოველდღე ხვდებოდა ლამარას, დასეირნობდნენ ბაღებში, პარკებში, მახლობელ სანატორიუმებსა და აგარაკებზე, ესწრებოდნენ საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობთა კონცერტებს, ნახულობდნენ ახალ კინოსურათებს. შოთა ახერხებდა გამოეწვია ლამარას ყურადღება, ართობდა ათას გვარი ამბის მოყოლით, ცდილობდა გამოეცნო და შეესრულებინა მისი სურვილები. ერთი რამ მაინც ვერ გაეგო, ვერ ჩაწვდენოდა — ლამარა გივის რატომ ეპყრობოდა უფრო მე-

კრბრუტლად, მხოლოდ მას რატომ დაჰ-ყვებოდა მკლავგამოდებული, როცა გივი მოწყენილი ან ჩაფიქრებული იყო, მასაც რატომ იპყრობდა სევდა? ნუთუ მათ უკვე უყვართ ერთმანეთი? როგორ დაიმსახურა ასეთი თანაგრძნობა? რატომ იჩენს ასეთ გულისხმიერებას რაღაც „ვარიაციათა აღრიცხვის საკითხებით“, რომელზეც ახლა გივი მუშაობს? არა, არა, შოთა ჯერ განზრახულზე ხელს არ აიღებს. თვითონაც შესძლებს მოაწონოს თავი, ლამარა მისთვის მომავლის გზა და ხიდი უნდა გახდეს.

* * *

გაცნობიდან ორი კვირის შემდეგ შოთა ლამარასთან სანატორიუმში მარტო მივიდა.

— რატომ აჩქარებულხართ? გივი სად არის? — გაკვირვებით მიეგება ლამარა.

შოთამ მშვიდი ღიმილი შეაგება, ხელი გამოსდო და ხეივანში გააცარა.

— ამხანაგები ეწვია, მაშინვე რაღაც გრძელი. მოსაწყენი ფორმულების გამოყვანა დაიწყეს.

— ჰო, ვიცი. მითხრა, ელოდა მათ, რეცენზიას სწერენ, მაგრამ განა მთელი დღე იმუშავებენ?

— დიახ, დღეს ვერ გეახლებათ, ხშირად ისინი მთელი ღამე კამათობენ და დაუსრულებლად სწერენ. ასე იყო შარშან, ალბათ, ასე გაგრძელდება ამ ზაფხულსაც.

— გასამართლებელი მიზეზი აქვს, ესეც არ იყოს, მასპინძელი ვალდებულია სტუმრის წინაშე ვალი კეთილსინდისიერად მოიხადოს.

შოთას განზრახული არ ჰქონდა საუბარი გივიზე გაეგრძელებინა, პირიქით, მისი მიზანი იყო ლამარას ყველა დაევიწყებინა და ეფიქრა მხოლოდ მასზე, ეგრძნო მხოლოდ მისი სიახლოვე, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყვნენ ერთად.

— ციხისძირში წავიდეთ, იქ დასასვენებელ სახლში ჩემი ამხანაგი მუშაობს, გარწმუნებ ძლიერ გაუხარდება. — შესთავაზა შოთამ. ლამარა დათანხმდა, მას იტაცებდა მოგზაურობა, უცხო ადგილების დათვალიერება.

შოთას ამხანაგი, ლამაზი სახის, პატარა, სუსტი აგებულების ექიმი ქალი სტუმრებს ხელგაშლილი მიეგება, შემდეგ ეზოში გამოვიდნენ და მიდამო დაათვალიერეს. დასასვენებელი სახლი კორპუსებითა და პარკით კონცხზე იყო გაშენებული. ძველი ციხის ხავსმოდებული ნანგრევები, დეკორაციული ხეივნები, ამწვანებული გარემო ზღაპრულ მშვენიერებას ქმნიდა. ლამარა ხარბად აკვირდებოდა სუროშემოხვეულ უზარმაზარ ლოდებს, ვენახის გრძელ ტალავერს, ყვავილნარის მაღალ გაზონებს, ის ქლდის ქიმზე ავიდა, ქვევით ზღვა ბობოქრობდა, გუგუნებდა, აზვირთებული ტალღები გოლიათური ძალით სალ ქლდეს ეხეთქებოდა.

— რა დიდებული სანახაობაა! — აღტაცებით წამოიძახა მან. — რა გამეხებული ბრძოლაა გაჩაღებული, ერთი ნაბიჯიც და... ასე მგონია ჰაერში ვარ გამოკიდული.

შოთა არასოდეს არ ყოფილა ვატაცებული ბუნების უდაბურებითა და შიშისმომგვრელი სურათებით. მას მშვენიერებად მიაჩნდა მხოლოდ ის, რაც წყნარი, უშფოთველი და ნაზია. ეს ქალიშვილი კი, გივის მსგავსად, მუდამ დაუმორჩილებლისაკენ, სახიფათოსაკენ მიილტვის. საიდან უჩნდებათ ადამიანებს ასეთი მიდრეკილება? მაგრამ ახლა კამათის, დარწმუნების

დრო არ არის, ჯერ მთავარია დაეუფლოს, შემდეგ შესძლებს მის შეგნებაში გარდაქმნას, მოსპოს ახირებული სურვილები.

სეირნობის შემდეგ მასპინძელმა სტუმრებს სუფრა გაუშალა, შოთამ გიტარაზე დაამღერა რამდენიმე ახალი რომანსი. ვაჟის ლირიკული ტენორი, მუსიკის საამო მელოდია, ზღვის შორეული გუგუნი ქალიშვილს ოცნებით აღსავსე სამყაროსაკენ იტაცებდა. — კიდევ, კიდევ გვიმღერეთ, თქვენ მშვენიერი ხმა გქონიათ.—ეუბნებოდა ლამარა.

შოთამ ისე გაართო მსმენელნი, რომ დრო შეუმჩნევლად გაიპარა, ვაჟი თავს ნახევრად · გამარჯვებულად თვლიდა. ქალიშვილი ახლა მეტი თანაგრძნობით ეპყრობოდა. „რამდენიმე ასეთი შეხვედრა და სასწორი საბოლოოდ ჩემკენ გადმოიხრება“, თავისთავს სიამოვნებით უმხელდა.

აგარაკზე უკანასკნელი მატარებლით გაემგზავრნენ. ლამარასთან გამოთხოვების შემდეგ შოთამ მარტოდ დიდხანს იხეტიალა. სახლში მაშინ შევიდა, როცა დარწმუნდა, რომ ყველას ეძინა. რაღაც უჩინარი ძალა, უფრო სწორად, გივის მიმართ განზრახული დანაშაული აიძულებდა მორიდებოდა მასთან შეხვედრას, საუბარს, ყოველ შემთხვევაში, მანამ მაინც, ვიდრე მიზანს მიაღწევდა, შემდეგ წინ ველარავინ აღუდგებოდა.

დილით შოთა მხოლოდ მას შემდეგ ადგა, როცა გივის ამხანაგები მოვიდნენ და მუშაობა განაგრძეს. ის დარწმუნებული იყო, რომ გივი სხვების თანდასწრებით გამოკითხვას არ დაუწყებდა. არც უსაუზმია, ტანთ ჩაიცვა და წავიდა.

წუხელ, განშორების წინ შოთა და ლამარა შეთანხმდნენ, მეორე დღეს გივისთან ერთად ბათუმში წასულიყვნენ. გივი ამხანაგებთან კვლავ თუ გააგრძელებდა მუშაობას, შოთას განზრახული ჰქონდა შემთხვევით ესარგებლა და მთელი დღე ლამარასთან გაეტარებინა.

— გივი სად არის? — მისალმების უმალ მღელვარებით შეეკითხა ლამარა. შოთამ ჯერ უაზროდ შეათამაშა მხრები, შემდეგ ბუნდოვნად გასცა პასუხი.

— რა ვიცი, როგორც ხედავთ, ფორმულებთან დარჩა, ამხანაგებთან ერთად ისევ თავაუღებლად ჩაჰკირკიტებს რიცხვებს, მუშაობის დროს მასთან შესვლა აკრძალული გვაქვს.

— მას, ვინც იბრძვის, ქმნის და გამარჯვებას აღწევს, ეპატიება ასეთი „დანაშაული“, არა უშავს რა, ხვალ თვითონ ვეწვევი, შევიტყობ, რამ გაიტაცა ასე თავდავიწყებით.

— ვშიშობ, ცუდ დროს არ მიხვიდეთ.

— როგორ, გავიგო თქვენი ნათქვამი? — გაკვირვებით მიუბრუნდა ლამარა.

— თუ ის თქვენს მიმართ გულგრილია, სამაგიეროდ ქალიშვილი, რომელთანაც რვა წლის ურთიერთობა აქვს...

შოთამ არ დაამთავრა დაწყებული ფრაზა, ისედაც მოახერხა თანამოსაუბრეში ეჭვი აღეძრა. ლამარას მხიარულ სახეს სევდა გადაეფარა, ვარდისფერი ლოყები გაუფითრდა, ვაჟს სახე მოარიდა, რომ თავისი განცდა დაეფარა. ნუთუ გივი ატყუებს? არა, წარმოუდგენელია! გივი იმათ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მხოლოდ სიმართლეს ამბობენ, შეიძლება მას ცდი-

ან, მაგრამ რატომ, რა საჭიროა? მაშინ, როცა ის წმიდა გრძნობის შემბლალავ უბრალო სიტყვასაც ვერ იტანს?— დაფარული წუხილი ტანჯავდა ლამარას.

— ჩემს გვერდით დგას, სხვაზე ფიქრობს, თითქოს მე ვერ მამჩნევდეს, შეიძლება ისინი ხვალ შეხვდნენ ერთმანეთს, მაწასადამე, ჩემს განკარგულებაში ერთი, უკანასკნელი დღე დარჩა, ვნახოთ რა მოხდება საღამომდე.— გაიფიქრა შოთამ. მან ქალიშვილს ურჩია გამგზავრება არ გადაედოთ, ბათუმში პატარა გემით წასულიყვნენ, რომელიც ყოველ ორ საათში მწვანე კონცხზე გავლით ქობულეთიდან ბათუში ბრუნდება. ლამარა მაშინვე დაეთანხმა, ის დარწმუნებული იყო, რომ ზღვით მოგზაურობა, უცხო ხალხთან შეხვედრა ცუდ განწყობილებას გაუფანტავდა.

ქალაქში ისეირნეს, პარკი დაათვალიერეს, ტბაზე სპორტული ნავებით ერთმანეთს შეეჯიბრნენ. პიონერთა პარკი ხალხით იყო სავსე, კარნავალი მთელი დღე გრძელდებოდა. ევროპული ცეკვების დროს შოთა ლამარას ისე ფაქიზად ეაჭარებდა, ისე მოხდინილად ასრულებდა ყოველ ილეთს, რომ ლამარა გაკვირვებული და აღფრთოვანებული დარჩა. მან აღიარა, რომ ასე სასიამოვნოდ არასდროს არავისთან არ უცეკვია. გახალისებული შოთა მუსიკას ან უსიტყვო კრინს აყოლებდა, ან დაბალი ხმით ტკბილად უსტვენდა. ლამარა დღეს მხოლოდ მას ეკუთვნოდა, მისი სილამაზით ტკბებოდა. მისი სითბოთი და სიახლოვით თვრებოდა.

დღის ბოლოს საღილისათვის „ინტურისტში“ შევიდნენ. რესტორანში დიდხანს დარჩნენ, შოთა არ ჩქარობდა.

სადილის შემდეგ მთავარი ქუჩით სადგურისაკენ წავიდნენ, შოთა ჩვეულებრივ არ ოხუნჯობდა, საგონებელს იყო მიცემული. დრო გადიოდა, ლამარასათვის კი ჯერ ერთი სიტყვითაც არ გაემხილა. ბოლოს და ბოლოს საჭირო იყო გაბედული ნაბიჯის გადადგმა.

— ძვირფასო ლამარა! — ხანგრძლივი დუმილი გაბზარული ხმით დაარღვია, ცდილობდა პათეტიური სახე მიეღო, მაღალფარდოვან სიტყვებს იშველიებდა, აღგზნებით ლაპარაკობდა სიყვარულზე, რომელიც წინათ წიგნებში ამოეკითხა, ახლა კი ამ გრძნობას მთელი არსებით თვითონ შეეპყრო. ვინ უყვარს? ეს ძნელი გამოსაცნობი როდია, ადამიანი, რომელიც ცნობიერებიდან წუთითაც არ სცილდება, ახლაც მის გვერდით იმყოფება.

განცვიფრებული ლამარა მაშინვე შეჩერდა და ისე გამომწვევად დააკვირდა შოთას, თითქოს არ სჯეროდა მოსმენილი სიტყვებისა.

— მე ისე გენდეთ, როგორც ძმას, თქვენ რა გიფიქრიათ!

— აჰ, მაპატიეთ. — შოთამ ორივე ხელი მღელვარებით იტაცა მკერდზე. — თქვენ რომ იცოდეთ აქ რა ცეცხლი ღვივის, ან რომ შეგეძლოთ წარმოიდგინოთ, რა უბედურ ადამიანად ჩავთვლი თავს, თუ თქვენ...

მაგრამ ლამარა აღარ უსმენდა, ვაჟი მიატოვა, აჩქარებული ნაბიჯით დაწინაურდა, მას სხვა ტკივილი აწუხებდა, ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გივი არ ფიქრობდა მასზე. „ჩვენი ურთიერთობა დროის მოსაკლავად ხანმოკლე თლირტი ყოფილა. დიახ, ასეა, თორემ ნათესავი ნათესავს, თანშეზრდილი მეგობრები ერთმანეთს მეტოქეობას როგორ გაუწევენ?“

შოთა ხედავდა, რომ გადამწყვეტი წუთი დადგა. უკან დახევა შეუძლებელი იყო, როგორმე მიზნისთვის უნდა მიეღწია, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავდა არა მარტო ლამარას, არამედ სამუდამოდ ჰქრებოდა ოცნებით ნაგები დიდება, კარიერა.

ექიმი ლამარას უნებლიეთ ფეხდაფეხ მიჰყვა, გამოსაუბრებას არ ჩქარობდა, უნდოდა თანამგზავრი დამშვიდებულიყო, საღად განესაჯა მოსმენილი, ბოლოს და ბოლოს მან სიყვარული და ბედნიერება შესთავაზა. ეს დანაშაული როდია, პირიქით, ქალებს სიამოვნებთ, როცა ერთგულებაზე ეფიცებიან, ცას და ქვეყანას ჰპირდებიან.

შოთა ცდილობდა სასოწარკვეთილი, მწუხარებით გატანჯული ადამიანის გამომეტყველება მიეღო, მთელი გზა თავს აბრალებდა, თანაგრძნობას სთხოვდა, ზღაპრულ ბედნიერებას ჰპირდებოდა, მაგრამ მუდარა უშედეგო აღმოჩნდა, ლამარას მისი სიტყვების მოსმენაც არ სურდა, განშორებას იჩქაროდა... განშორება კი თანდათან ახლოვდებოდა, ბაქანზე ჩამოვიდნენ, ქვაფენილს აჰყვნენ, აჰა, გამოჩნდა ნათურებით გაჩირაღდნებული კორპუსები. ამ აღმართის ავლა შოთას ასე არასდროს გასჭირვებია. საშინლად აღელვებული, ფეხებს ძლივს იმორჩილებს, უკანასკნელად მიაცილებს, ეს აშკარაა, ხვალ ლამარა გივის შეხვდება და ყველაფერს ეტყვის. მის სულმოკლეობას ნაცნობები გაიგებენ, ოი, სირცხვილო, მაგრამ... შოთამ აკვიატებულ აზრსა და სურვილს გზა ერთბაშად მისცა, ქალიშვილს წინ გადაუდგა.

— ლამარა, გესმის, ნუ გამაგიჟე, შენ ჩემი უნდა გახდე. მხოლოდ ჩემი! — შეჰყვირა ისტერიული ხმით, თან მთელი ძალღონით ქალიშვილი მკერდში ჩაიკრა და ანგარიშმიუცემლად დაუწყო კოცნა.

— რას სჩადი, თავხედო! — ლამარამ თავგანწირვით გაიბრძოლა, ვაჟს ხელიდან გაუსხლტა. შოთამ ისევ სცადა მისთვის გზა გადაეჭრა, მაგრამ ამჯერად ლამარამ გაშლილი ხელი ისე მძლავრად გააწნა სახეში, რომ დარეტიანებული ვაჟი გაზონებში გადაიჭრა.

* * *

ამხანაგების წასვლის შემდეგ დაღლილი გივი სასეირნოდ გამოვიდა, ის დარწმუნებული იყო, რომ შოთა და ლამარა სადმე მახლობლად იქნებოდნენ, მაგრამ მათ ვერსად მიაგნო.

გივი ზღვისაკენ დაეშვა. დასავლეთის ქარი ჰქროდა, ზღვა ისე ბობოქრობდა, როგორც მაშინ, როცა ლამარასთან პირველად იბანავა. ის დღე წარუშლელად აღებეჭდა მეხსიერებაში, ქალიშვილი იმედიანად მიჰყვებოდა გვერდით, ხანაც წინ მიისწრაფოდა, მაშინ გამჭვირვალე ტალღებზე მოჩანდა მისი სხეულის სალუქად თლილი ნაკვთები, წინ გაწვდილი ხელით ისე ეგებებოდა ზვირთებს, თითქოს საყვარელ არსებას მკერდში ეკვროდა, მხიარული, სიცოცხლით აღსავსე თვალებით ვაჟს სხივებს ჰფენდა. — დავიქანცე, — იტყოდა ხშირად, გივის მიუახლოვდებოდა, მხარზე, ან მკლავზე ეყრდნობოდა, ისვენებდა, ცილქობდა, წყალს სახეში აშხეფებდა, ან აქაფებულ ტალღებში უჩინარდებოდა. შეხვედრის სხვა დღეებიც ასევე დაუვიწყარი იყო; მხოლოდ ახლა შეიპყრო გამოუცნობმა სევდამ, ვერ ნახა ის, ვისთანაც მიუხაროდა. სახლში დაბრუნდა. მეცადინეობა განაგრძო, გვიან ღამემდე ელოდა შოთას, მაგრამ შოთა არ ჩანდა, დილით შენიშნა, რომ შოთა თვალს არიდებ-

და, არც გამოლაპარაკებია, წასვლას იჩქაროდა, ეტყობოდა, რაღაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ან დანაშაულისათვის ემზადებოდა.

გივი საღამოს მეორედ ავიდა სანატორიუმში, შოთა და ლამარა კვლავ ვერსად ნახა. „აშკარაა, ისინი ჩემგან განმარტოებას ცდილობენ, მაგრამ რატომ? ნუთუ შოთა ფიქრობს ლამარას დაუფლებას?“ აღძრული ეჭვი გივიმ გულში ჩაიკლა, თავისთავს სიტყვა მისცა, რაიმე გადაწყვეტილება მანამ არ მიეღო, სანამ მათ ფარულ მოქმედებაში მთლიანად არ დარწმუნდებოდა.

ბათუმიდან სახლში დაბრუნებული შოთა ვერ ახერხებდა თვისი განცდა დაეფარა, სახეზე შეშფოთება აღბეჭდოდა, კვლავ უძნელდებოდა გივისათვის თვალი გაესწორებინა, ნაძალადევად შესვა ერთი ჭიქა ჩაი და ოთახში დასაძინებლად გავიდა.

გივის შეეძლო ადამიანის გამომეტყველებით გამოეცნო მისი გულისთქმა. მან ღრმად, ჩაფიქრებით განსაჯა ყოველივე და შეუცდომლად ჩაწვდა ჭეშმარიტებას. „შოთას ისეთი ფერი ადევს, ისე დამფრთხალი აცეცებს თვალებს, ლამარას წინაშე სულმდაბლობა თუ გამოიჩინა, ეტყობა სასჯელიც მიუღია“, დაირწმუნა თავი.

* * *

როცა ლამარა გონს მოვიდა, უკვე თავის ოთახში იყო, სავარძელში იჯდა, გაშეშებული ერთ წერტილს მისჩერებოდა. ფიქრობდა გივიზე, შოთაზე, თავისთავზე, ფიქრობდა იმაზე, რაც მოხდა. ოჰ, რა კარგად მოიქცა! ისე მძლავრად გააწნა, რომ ხელი უხურდა, ახლა კი თავს თავისუფლად. მსუბუქად გრძნობს, თითქოს მხრებიდან მძიმე რამ ტვირთი მოიხსნა. ბურუსი გაიფანტა, ნათელმა, მაცოცხლებელმ მზემ გამოასხივა. ისევ გივისთან არის. ხელიხელჩაკიდებული ზღვას კი არა, ცხოვრების ტალღებს მიარღვევენ. მათ ურთიერთობას, მათ სიყვარულს ცილისწამება ვერაფერს დააკლებს, ნეტავი ჩქარა გათენდებოდეს, გივისთან შეხვედრა ისე უხარია, როგორც არასდროს.

დილით ლამარა ზღვისაკენ დაეშვა. აჩქარებით მიმავალ ქალიშვილს შოთამ გზა გადაუჭრა. ვაჟის მოულოდნელი გამოჩენისაგან ლამარა შეკრთა, მაგრამ უმალვე სიმტკიცის, სიამაყის გრძნობით აღივსო, მან მოპირდაპირეს გაბედულად, მკაცრად გაუსწორა თვალი.

— გემუდარებით, ერთი წუთით მომისმინოთ, მხოლოდ ერთი წუთით, გეფიცებით, უკანასკნელად, გარწმუნებთ, დღეიდან სამუდამოდ ჩამოგეცლებით.

ლამარა იძულებული გახდა შეჩერებულიყო; ვაჟის მთრთოლვარე ხმა, რომელსაც ორი დღის წინ აღფრთოვანებით უსმენდა, ახლა ყალბი, ყინულივით ცივი ეჩვენა.

— დიახ, წუხელ დანაშაული ჩავიდინე, გაკიცხვის ღირსი ვარ, — განაგრძო შოთამ, — მაგრამ უნდა გამიგოთ, ცნობიერება მქონდა წართმეული, ესეც არ იყოს, რაც თქვენ გაგიცანით მას შემდეგ... ჯობდა არასდროს შეგხვედროდით, ახლა რაღა ვქნა? დაგკარგეთ არა მარტო თქვენ, არამედ მთელი სანათესაო, იყავით სულგრძელი, ნუ გამცემთ გივისთან, დიახ, მე ვტყუოდი, მას სხვა კი არა, მხოლოდ თქვენ უყვარხართ, მაგრამ თქვენით იმდენად ვიყავი გატაცებული, მთელ სამყაროს შევაქცევდი ზურგს.

ლამარა რაც უთრო მეტს უსმენდა შოთას, მისდამი მეტი ზიზღითა დ-

მძულვარებით იმსჭვალებოდა, „აი, ხარბი, დაუნდობელი ადამიანი. ვინ იცის სხვების წინაშე რამდენი ასეთი სცენა გაუთამაშებია, იქნებ თბილისში საცოლეც ჰყავს, აქ კი ფარულად მზად არის სხვას მთელი ქვეყანა დაჰპირდეს, შეჰხედავ, უნაკლო ახალგაზრდად წარმოგიდგება, გული კი...“

— გაიღეთ მოწყალება, საიდუმლოდ შეინახეთ ის, რაც წუხელ ჩვენს შორის მოხდა, მე და გივი დიდი ხნის მეგობრები ვართ, გამოიჩინეთ დიდსულოვნება, ნუ მოსპობთ ჩვენი ოჯახების ნათესაურ დამოკიდებულებას.

— მე არასდროს ვისურვებ გივის ისეთ სულმდაბალ ადამიანებთან ჰქონდეს ურთიერთობა, როგორიც თქვენ ხართ. — შეგუბებული ბოღმა ლამარამ ვერ შეიკავა. — ვეტყვი თუ არა მას, რაც ჩვენს შორის მოხდა, არ ვიცი, ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, სამწუხაროდ ადვილად არ შემიძლია დავივიწყო თქვენი თავხედობა, როცა დანაშაულს ჩადიოდით შედეგზეც მაშინ უნდა გეფიქრათ. ახლა გზა მომეცით!

ლამარას სიბრაზით ანთებულმა თვალებმა შოთა აიძულა ნაბიჯი გვერდით გადაედგა. გაწბილებული, დამცირებული შოთა თვალს ვერ აშორებდა თავდალმართში მიმავალ ქალიშვილს. „მათ გზა ხსნილი აქვთ, ერთმანეთისაკენ მიუხარიათ, მე, მე საით წავიდე, ან როგორღა შევხვდები მათ? მინისტრის მოადგილის მფარველობაზე ვოცნებობდი, სანაცვლოდ სასტიკი რისხვა დამატყდება თავს.“

ლამარამ პატარა სააგარაკო სახლისკენ გაუხვია, სახლის წინ მაგნოლიის ხის ქვეშ გრძელ სკამზე გივი იჯდა, ზღვას გასცქეროდა. ლამარა ფეხაკრეფით მივიდა და თვალებზე ხელი ჩამოაფარა.

გივიმ ქალიშვილის ნაზი, თბილი ხელი ფრთხილად, სათუთად თვალებიდან ჩამოიცურა და ბაგით შეეხო.

ლევან გელაძე

* *

შენახული ნაღვერდალი

შემოგვიღამდა, ვეშაპივით ჩამოწვა ბინდი,
ხელის ფათურით ძლივს მივაბიჯებთ.
სულერთიანად დაგვისველდა შარვალი, წინდა,
ღონე გვეცლება თანდათან ბიჭებს.

ხევიდან ხევში ყრუ გუგუნი ისმის გაბმული.
თუმცა ხიფათით სავსე არის ყოველი წამი,
მაინც მივდივართ. ქარს და წვიმას მივარღვევთ სამნი
და უცებ მხსნელად მოგვევლინა გამოქვაბული.

დაგვსველებოდა ასანთი და აღარ აინთო,
ცეცხლის იმედი სხვა აღარც არი.
ბნელში ბიჭებმა მხიარულად მიხმეს, აქითო,
თან ყიჟინებდნენ: — ბიჭოს, ნაცარი!

როცა გავჩხრიკეთ ნაღვერდალმა გამოაშუქა
და უცეცხლოდაც გათბა სხეული,
თითქოს ვიღაცამ ფასუდები განძი გვაჩუქა,
ამ თბილ ნაცარში გამოხვეული.

დილით ღრუბლიდან კაშკაშა მზემ გამოიხედა,
გაგვიღიმა და გვანიშნა დარი,
ქარიც დაწყნარდა. ახლა გრიალს ვეღარა ბედავს...
ცეცხლი ჩავაქრეთ და დავტოვეთ ცხელი ღადარი.

ხვალ სხვა გაითევს, შეინახავს ნაღვერდალს იქვე,
გამოქვაბული არ გაცივდება.
დასაბამითვე ცეცხლი ასე შემოგვრჩა იქნებ,
ასე ღვივდება,
ასე ინთება.

გაფრინდი გულო!

ყვავილის სურნელი დაგათრობს,
მთებისკენ გაფრინდი გულო.
ვერ ნახავ ამაზე ლამაზ დროს,
გაზაფხულს შესცინის ხულო.

აპრილის ყუჟუნა წვიმები,
ნაზ ყლორტებს ასველებს, შაქრავს,
წყაროებს გაუბამთ სიმები,
გაზაფხულს ვეახლოთ მაყრად.

სიმღერა მოვპაროთ ჩანჩქერებს,
სინაზე ენძელას, იას,
სიმარდე — მდინარის ლაღ ჩქერებს,
და ფრენით გავასწროთ ნიავს.

იქ შრომის ზეიმი გაჩაღდა,
ტყეების შრიალი გესმის?
გუშინ რომ ფიქრებში ჩასახლდა,
წავიღოთ ის ტკბილი ლექსი.

გადავცეთ თბილისის ამბორი,
მაღალ მთის ჭიუხებს, ბექებს,
ხავერდით მორთულა ზამბორი,
ჩვენც მწვანედ შეგვმოსოს ეგებ.

ასი მზე სხივს აფენს მაღლიდან,
მთებისკენ გაფრინდი გულო,
თორემ დრო, კარგი დრო წავიდა,
გაზაფხულს შესცინის ხულო.

გიზო ჯეღიძე

* *

ჩემი სალამი ტაიგავ!

დიდი პარტია გვავალებს, სამშობლოს ვენაცვალები,
ვაჟკაცობა და ქართველი ძმებია — ტყუბისცალები.
რუს ძმებთან ვკვეთდით გრიგალებს, დე, ოფლიც ძმებთან
დავღვაროთ,
ჩვენმა მარჯვენმაც აშენოს აღმოსავლეთში, მაღარო!

გზა დაგვილოცეთ გვრიტებო, ცეცხლი რომ გიკრთით თვალებში,
თქვენი ტრფიალი თან გაგვყვეს, გაგვათბოს იმ ცივ მხარეში.
მივდივართ, შრომის წყურვილმა გულში ფესვები გაიდგა.
ნახვამდის ქართლის ველებო, ჩვენი სალამი ტაიგავ!

ᲕᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲜᲐᲫᲘᲠᲐᲫᲔ

⁂ ⁂

ᲥᲣᲠᲥᲘ

დგას გასასვლელთან ვაჟი მხრებფართო
და სილამაზით იქვე მყოფთ ჩრდილავს,
მეგარდერობე მას აცმევს პალტოს,
შემდეგ საყელოს უსწორებს ფრთხილად

...აი, გაშალა მან ქურქი ჩემი,
მომიახლოვდა ღიმილით მხართან,
მე შემრცხვა მისი ჭაღარა წვერის,
და ქურქი ჩემსკენ მოვსწიე მარდად.

არა, მამილო, არ ვარგა ასე,
ნუ ფიქრობ, ჩაცმას ვერ შევძლებ თითქოს,
ახალგაზრდა ვარ, ჯანღონით სავსე,
ნუ შეწუხდებით, ჩავიცვამ თვითონც.

ის ცხოვრებაშიც იქნება ურგი,
ვინც დახმარებით ჩაცმასაც ფიქრობს.
მე ჩემი შრომით ვიშოვე ქურქი
და შევძლებ იგი ჩავიცვა თვითონ!..

მეგობარი

წვიმდა...
საათი მაგიდაზე ითვლიდა წამებს.
ის გვერდით მეჯდა.
ჩურჩულებდა: — ხომ არ გსურს რამე?

გენისლებოდა თვალები და სცურავდი ოფლში
და ვერ ამჩნევდი შენს ოთახში შემოსულ დაისს.
სწუხდა, როდესაც გიყურებდა ავადმყოფ ძმობილს.
— როგორ ხარ?
— კარგად.
მაგრამ იგი ღელავდა მაინც.

შენ ავად იყავ,
მძიმე იყო მეგობრის განცდა.
შენ ავად იყავ,
ის კი შენზე გამხდარი ჩანდა.

„სტილიაგა“

წვიმაა, დგას.
დარია, დგას.
პროსპექტზე გამვლელებს ადევნებს თვალს.
მას ტანზე ყვითელი პიჯაკი აცვია.
თოვს.
— გცივა?
— ჰმ?!.
„სტილნია“, არ სცივა.
წვიმაა, დგას.
დარია, დგას.
გამვლელებს ჰალსტუხით უჭრელებს თვალს.
სად ნახა ნეტავი ასეთი წარვალი,
ან ეს ფეხსაცმელი, წითელი, მაღალი.
თმები აბურძგვნია.
ეს ახლა ხშირია.
არვინ გაიკვირვოს, მოდაა, სტილია.

მზე ჩადის...
ვუყურებ, დგას გაუნძრეველად,
ეგრეთ წოდებული „მინდვრის სარეველა“.
მის ირგვლივ ცხოვრება დუღს, ჩქეფს და ინთება,
ის კი სისხლსავსე ზედმეტად ითვლება.

აი, მეეზოვემ ქუჩა გამოხვეტა,
და მის წინ მიმოყრილ ნაგავსაც მოჰხედა.
— ძვირფასო, „სტძლის კაცს“, ზანტად რომ აბოლებს,
ყარგს იზამ ამ ნაგავს თან თუ გააყოლებ.

ვლადიმერ სეიდიშვილი

* *

ვეფხვების მოქმთვინიერებელი

ერთად ვუმზერდით
სანახაობას;
მადლი მის გამჩენს
და მის ქალობას.

აღარ იშლიდა მათრახი ქადილს,
მას საქმე ჰქონდა განა ბავშვებთან;
ვეფხვს არენაზე პატარა ქალი
კატის კნუტივით ათამაშებდა.

დარბაზი სუნთქვა შეკრული დუმდა...
ზოგჯერ მაღალი წამოძახება
ავსებდა ცირკის ცარიელ გუმბათს
და უძლურებას ჩვენსას ამხელდა.

უცებ განრისხდა
ვეფხვი საზარი,
რკინის სვეტებმა
იწყეს ზანზარი.

განრისხდა ქალიც, ღრიალი ვეფხვის
არარად ჩანდა იმის იერთან;
თავზე დაესხა ქალი, ვით მეხი,
ერთიც და მხეცი მოთვინიერდა;

თითქოს დამშვიდდა უდაბნოს ქარი;
ჩაჯდა, ჩაფიქრდა მხეცი, ვით ბრძენი;
ალბათ მოუნდა ალერსი ქალის,
რომ აუბრწყინდა თვალებზე ცრემლი.

და მე გავიგე
შენი სურვილი,
გინდოდა შენაც
იმ ქალწულივით

ვეფხვთან თამაში, მათრახის გაშლა...
განა ვერ შეძლებ რაც დაიჯინე?
მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვმა
ვეფხვზე ჯიუტი დამიმორჩილე.

მონადირენი და ქაღწული

მოინადირეს საჯიხვე მთები,
ნანადირევი გაინაწილეს;
ერთად მოდიან ცხენდაცხენ, ფრთები
შურით ეშლებათ მაღლა არწივებს.

ვაჟკაცობაში არ ეთქმით წუნი;
უამისოდ კი მთაც გულს იცივებს...
ამბავს უყვება პაპას ქალწული,
ჯიხვი მოუკლავთ ძმადშეფიცულებს.

პაპა ჯიხვის რქებს ხელში სიმძიმით
შეათამაშებს, გასინჯავს სადად...
ქალწული დგას და ჩუმი სიცილით
ძმადშეფიცულებს უწუნებს ნადავლს.

ორხან ქემაღი

* *

ღ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

მოთხრობა

მატარებელი რომ სადგურში გაჩერდა, საათი უკვე ღამის თორმეტზე მეტს უჩვენებდა.

ქალმა ვაგონის ფანჯრიდან ჩემოდანი და კალათები გადააწოდა ბაქანზე მდგომ ქმარს, უძილო ღამეების შემდეგ კაცი ისე მოქანცულიყო, რომ ვეგონებოდათ ეს-ესაა წაიქცევაო.

ქალმა პატარა გოგონა, შემდეგ კი ჩვრებში შეხვეული თვენახევრის ბიჭიც მიაწოდა ქმარს და ვაგონიდან ჩამოვიდა.

სადგურში ბლომად იყო ხალხი. ერთმანეთში ირეოდნენ ჩამოსული და წამსვლელი მგზავრები. გოგონა ფეხზე შემოხვეოდა მამას და ძილმორეული თვალებით გაკვირვებით შესცქეროდა მოჩოჩქოლე ხალხს.

გაისმა ზარის ხმა, ორთქლმავალმა მკვახედ დაიკივლა და მძიმე ქშენით, გასცილდა სადგურს.

გოგონა თვალს არ აშორებს ბოლო ვაგონის წითელ სინათლეს, რომელიც ხან დაიკარგებოდა ორთქლმავლის კვამლში, ხან ისევ გამოჩნდებოდა. სინათლე თანდათან მიილია და უცბად თითქოს წყვდიადმა შთანთქაო, სულ გაქრა.

სადგური მიწყნარდა.

დამლაგებელი ქალები გრძელი ცოცხებით სადგურის დარბაზის დაგვას შეუდგნენ, ცოლ-ქმარმა ისე, რომ ბავშვს არაფერი გაეგო, ჩუმად გადაულაპარაკეს ერთმანეთს.

— ჩვენ მხოლოდ სამოცდათვრამეტი ყურუში დაგვრჩა. — თქვა, ქმარმა მორიდებულად.

— რა უნდა ვქნათ? — შეეკითხა ქალი დაღვრემილი სახით, რომელიც კარგად მოჩანდა მახლობელი ელექტროფარნის შუქზე.

— არ ვიცი. — წყნარად უპასუხა კაცმა.

გოგონას არაფერი ესმოდა მათი ლაპარაკისა, მას მხოლოდ ეძინებოდა. ოო... როგორმე დაიძინებდეს.

კაცმა კალათები და ჩემოდნები ხის გრძელ სკამზე გადაზიდა. ქალი ჩვილი ბავშვით და გოგონა ერთად დასხდნენ. კაცმა მოათავა ბარგის გადმოზიდვა და ისიც ჩამოჯდა გოგონას გვერდით. დაღლილმა ღრმად ამოისუნთქა. გოგონას ჩვეულებრივ დედა უფრო ეცოდებოდა, ვიდრე მამა, მაგრამ ახლა, როდესაც მამის ნაღვლიან სახეს შეხედა, ძლიერ შეებრალა. გოგონას მოუსვენრობა ეტყობოდა, ვერ ძლებდა ერთ ადგილზე. მან ნერვიულად გაჰკრა დედას.

— რა მოგვიდა? — გაბრაზებით შეეკითხა დედა.

— არაფერი, შემთხვევით მოგახვედრე ხელი.

— სანამ უნდა ვისხდეთ აქ? — სურდა ეკითხა დედისათვის, მაგრამ მამის

შეეშინდა, ვაითუ გაბრაზდეს და გამიწყრესო. გოგონა გუმანით ხვდებოდა, რომ სახლში არ წავიდოდნენ. იგი სკამზე წამოწვა, თავი მამის გამხდარ მუხლებზე ჩამოდვა, მაგრამ ასეც ვერ მოისვენა. თავქვეშ პატარა ძმის საგები ჩვრები ამოიდო, დედაც სკამის კიდეში გადაჯდა. ახლა ბავშვმა თავისუფლად გამართა ფეხები და უფრო მოხერხებულად გაწვა დასაძინებლად.

— ხომ ხედავ როგორ უჭირს მამაშენს. შენ კი აწუხებ შენი წრიალით. — წყრომით მიმართა დედამ ბავშვს.

გოგონამ დედის სიტყვებზე ასადგომად წამოიწია, მაგრამ მამამ შეაჩერა.

— იწექი, იწექი, სრულებით არ მიშლი.

ბავშვმა ისევ ჩამოდო თავი მამის მუხლებზე და მალე ჩაეძინა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც სადგურში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. აღარ ისმოდა დამლაგებელთა ცოცხების ხმა. აქა-იქ სინათლეც ჩაქრა. სადგურის წინ მედუქნეებმა დაკეტეს სავაჭროები, დამლაგებელმა ქალებმა თავშალი მხრებზე მოიხურეს, თუთუნი გააბოლეს და შინისაკენ გასწიეს.

ძილმორეულ მამაკაცს დამძიმებული თავი ხან გვერდით უვარდებოდა, ხან კი წინ, მკერდზე და ყოველ გაღვიძებაზე ცდილობდა გამართულიყო.

ქალს, სკამის ზურგზე — ...ყვი ჩამოედო და მრგვალი სახით ხელისგულს დაყრდნობოდა. მისი თვალები, რომელსაც საიდანღაც მონაფენი მკრთალი შუქი ანათებდა, ქმრის გაყვითლებულ სახეს მისჩერებოდნენ. ეტყობოდა, რომ ძალიან ეცოდებოდა ქმარი. მას ხომ სამი დღეა არ უძინია. ხალხით გაჭედილ ვაგონში ცოლ-შვილი რომ არ შეწუხებოდა და უფრო მოხერხებულად ემგზავრა, ყოველ ღონეს ხმარობდა. ზოგ მგზავრთან შელაპარაკებაც კი უხდებოდა ადგილისათვის, ზოგთან კი ტკბილი სიტყვა გაუდიოდა.

ქალმა იცოდა, რომ მის ქმარს ძალიან აწუხებდა ამდენი ხნის უმუშევრობა და ისეთ პირობებში ყოფნა, როგორიც მათ შეექმნათ.

კაცმა მოულოდნელად თავი სკამის ზურგს ჩამოჰკრა, შეკრთა და უმალვე გამოეღვიძა.

—მისმინე,—მიმართა ცოლმა ქმარს,— ბავშვს ჩემს კალთაზე გადმოადებინე თავი და ცოტა მაინც დაიძინე.

— არა, ასეც კარგად ვარ. — კაცი ყოველნაირად ცდილობდა, რომ მისი მოქანცულობა და შიმშილი ცოლს ვერ შეემჩნია, მაგრამ ქალი ყოველთვის გრძნობდა ქმრის ტანჯვას.

ქალმა მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და არასასიამოვნო ფიქრმა გაუელვა თავში.

„ნეტავ ხომ არ გაგვაძევებენ აქედან? სად უნდა წავიდეთ ასეთ დროს? ისიც სამოცდათვრამეტი ყურუშით... ბარგის თრევა ხომ ისევ მას მოუხდება...“

ქალი შეაკრთო ფიქრმა, მაგრამ თავი შეიკავა და შეეცადა ქმრისათვის არ გაემხილა თავისი შიში.

ამ დროს მის წინ ამაყად ჩაიარა შავმა კატამ. სადღაც მახლობელ ოთახიდან მოისმა ტელეფონის ზარის ხმა. აგერ ღამურამაც ჩაიქროლა. ქალმა ნაღვლიანად ამოიოხრა.

— ვაითუ გვითხრეს, აიბარგეთ აქედანო, — გაიფიქრა ისევ მან. შემდეგ გახედა ქმარს და დიდხანს, დიდხანს დაჰყურებდა მის გამხდარ მკლავებს, რომლებიც იდაყვამდე აწეული პერანგიდან მოუჩანდა.

— რა გამხდარია! — ქალმა საშინელი სიბრალული იგრძნო.

ამ დროს მოულოდნელად დერეფანში ადამიანის აუჩქარებელი ფეხის ხმა მოისმა. ფიქრში გართული ქალი გამოფხიზლდა.

„ვაითუ გვითხრეს, აიბარგეთ აქედანო“, დაუყოვნებლივ ისევ ამ აზრმა გაუელვა თავში. მის პირდაპირ ნახევრად ჩამობნელებულ დარბაზში ადამიანის შავი ლანდი გამოჩნდა, იგი თანდათან ახლოვდებოდა. ქალს გულის ცემამ უმატა. შეშინებული მზერა მალულად გააპარა ქმრისაკენ, შემდეგ ლანდისაკენ გაიხედა და ისევ გაიფიქრა.

„ვაითუ ვვითხრეს, აიბარგეთ აქედანო“.

კაცს თავი გამხდარ ხელებზე დაედო და ტკბილად ეძინა. ლანდი კი თანდათან ახლოვდებოდა, აი, სულ მოახლოვდა და მათ წინ გაჩერდა.

— რას აკეთებთ აქ?

— წყნარად, თორემ გამოეღვიძება.— მიმართა ქალმა.

— მერე რაა რომ გამოეღვიძება. — აუწია ხმას მოსულმა. — აქ ჯდომა აკრძალულია!

— წყნარად-მეთქი, — გაფიცხდა ქალი. — სამი დღეა არ უძინია.

მოსულმა განგებ დააბაკუნა ფეხები.

— ეგ რა ჩემი საქმეა თუ არ უძინია, აქ ხომ სასტუმრო არაა.—დაიღრიალა მან. და რამდენჯერმე ფეხი მიარტყა სკამს, რომელზედაც ქმარი იჯდა. ქალი შეშინებული თვალებით ხან ქმარს უყურებდა და ხან კაცს. უცნობმა რამდენჯერმე კიდევ მიარტყა სკამს ფეხი.

ქმარი შეაკრთო ხმაურმა და გამოეღვიძა.

— რა ამბავია, რა მოხდა? — გაურკვეველი გამომეტყველებით იკითხა მან.

— ადექით, აქ ყოფნა აკრძალულია!

კაცი გაკვირვებით უყურებდა ცოლს, რომელიც შიშით ხმას ვერ იღებდა უკვე.

— რატომ უნდა ავდგეთ? — ბრაზმორევით იკითხა ქმარმა.

— ასეთია ბრძანება, აქ აკრძალულია ღამის თევა!

ქალი მზად იყო გაერტყა კაცისთვის, რომელიც მომაბეზრებლად გაიძახოდა — „აქ ყოფნა აკრძალულია“, მას უნდოდა, რომ ქმარი გაბრაზებულიყო, ეყვირა, ხალხი შეგროვილიყო და ყველას გაეგო მათი ამბავი, მაგრამ...

ქმარი ბუზღუნით დაიღუნა და მძინარე გოგონა აიყვანა ხელში. ქალმა გულისტკივილით გახედა ქმარს და ცრემლი მოერია, როდესაც კაცი დაბარბაცდა ბავშვის ხელში აყვანისას.

— როგორ გახდა საწყალი, ულმერთოები. — ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა, ჩვრებში შეხვეული ბავშვი ხელში აიყვანა და ქმარს ქუჩაში გასასვლელი კარებისაკენ გაჰყვა. დაუძლურებული კაცი ძლივს მიათრევდა ტანს, მას ბავშვის წაყვანაც კი უჭირდა. ქალმა ხელით შეაჩერა ქმარი.

— ეგ მე მომეცი, შენ კი ეს პატარა წაიყვანე.

— არა. არა, ასე სჯობია.

— მომეცი-მეთქი, გეუბნები!—გაუმეორა ცოლმა.

— მე კი გითხარი, ასე სჯობია-მეთქი!

ქალს პასუხი აღარ გაუცია... წყნარად გაჰყვა ქმარს.

კიბეები ჩაიარეს და ქუჩაში გავიდნენ. თბილი და ნათელი ღამე იყო. მოწმენდილ ცის ქვეშ, მთვარის შუქზე მოჩანდა მიწყნარებული სახლების სილუეტები. ქალაქს მშვიდად ეძინა.

კაცმა გოგონა სადგურის წინ, დღის განმავლობაში მზით გახურებულ ასფალტზე დააწვინა, ცოლს რაღაც გა-

დაულაპარაკა და ბარგის გადმოსატანად სადგურის დარბაზისაკენ გასწია. ცოტა ხნის შემდეგ სადგურის რკინის კარებიც მძიმედ დაიხურა და ყველაფერი ისევ მიწყნარდა.

მთვარის შუქზე ცოლ-ქმარი კარგად ხედავდნენ ერთმანეთს.

კაცმა ჯერ მოწმენდილ ცას მოავლო თვალი, შემდეგ კი მძინარე ქალაქს გაჰხედა, სადაც ხეებისა და ერთმანეთზე მიდგმული სახლების შავი სილუეტები მოჩანდა.

— რა მშვენიერი ღამეა. — წარმოთქვა მან.

ქალი გაცქეროდა ფაბრიკის აკვამლებულ მილს, რომელიც შორს ქალაქის ბოლში მოჩანდა.

— მე მუშაობის დაწყება მმართებს, გაიფიქრა ქალმა.

— ხომ მშვენიერი ღამეა?

ქალმა მძიმედ ამოიოხრა და პატარა პაუზის შემდეგ უპასუხა. — მშვენიერია.

კაცი გადაიხარა ცოლის სახისაკენ, რომელსაც მთვარის შუქი ანათებდა.

— ალბათ ძალიან წუხხარ!

ქალი ოდნავ შეაკრთო შეკითხვამ.

— არა, არა! — რას ამბობ!

— შენ ფიქრობ, რომ ყველაფერი ეს ბედია, მე კი შემთხვევა მგონია — წარმოთქვა კაცმა.

— არა, მე არ ვამბობ ბედია-მეთქი. მეც შემთხვევითობას ვაწერ ყველაფარს და ამიტომაა, რომ ბედს არ ვუჩივი.

— კარგად ვიცი, რომ ყველაფერი ეს ჩემი ბრალია.

— მე ხომ გითხარი, ბედს არ ვუჩივი-მეთქი, რადგან...

კაცი დადუმდა, ყელში მობჯენილი ბოლმა სულს უხუთავდა.

— დაწექი, შენც ხომ მოსვენება გინდა. — მიმართა ცოლმა მზრუნველობით.

— შენ არ დაიძინებ? — თავის მხრივ შეეკითხა ქმარი.

— ჯერ არ მეძინება. — იცრუა ქალმა.

— არ შეიძლება რომ არ გეძინებოდეს. — უთხრა ქმარმა და დამძიმებული, დაღლილი ტანით გაწვა თბილ ასფალტზე. მალე ჩაეძინა კიდეც.

ქალმა ატირებულ ბავშვს ძუძუ ჩაუდო პირში, ბავშვი დაეწაფა დედის გამშრალ ძუძუს, მაგრამ როგორც კი მოტყუება იგრძნო, ისევ ტირილი მორთო. ქალი ნელა არწევდა და ნანას უღიღინებდა ბავშვს, რომ მის ტირილზე ქმარს არ გამოღვიძებოდა. როგორც იქნა, პატარასაც ჩაეძინა.

კოლოები საშინლად იკბინებოდნენ.

ქალმა ვარდისფერი მანდილი ამოიღო, ქმრისაკენ გადაიხარა და კოლოების მოგერიება დაიწყო.

მოწმენდილი ცის თაღზე უკვე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ქროდა გრილი ნიავი. ქალი ისევ ფაბრიკის მილს გაჰყურებდა და ახალგაზრდობის წლები აგონდებოდა: ფაბრიკა, სართავი საამქრო, თეთრი მანდილით თავწაკრული ახალგაზრდა ქალები, რომლებიც ოხუნჯობდნენ თმადავარცხნილ, ჯერ კიდევ უწვერულვაშო ყმაწვილებთან, მასრების დამტარებელ ხანდაზმულ მუშებს კი ქალალდის კუდებს ჩამოკიდებდნენ ხოლმე უკან.

ასეთ ოხუნჯობაში ყველაზე მეტად ხატიჯე გამოირჩეოდა, რომელიც კუნძულ კრეტიდან იყო. ეს ცხვირაპრეხილი ცელქი გოგონა ბოლოს ერთ ახალგაზრდა არაბს მითხოვდა და ორთავენი გაქრნენ ქალაქიდან.

ქალს ხატიჯე თავის თავზე უფრო ბედნიერი მიაჩნდა. რას წარმოადგენდა ახლა ის...

ქალი უცბად შეკრთა, გააჟრჟოლა.

გაახსენდა შუაღამე, გზა ფაბრიკიდან სახლამდე, წვიმა, ტალახი. მისი უბნელი თეთრმანდილიანი გოგონები, რომლებიც მუშაობის შემდეგ ჟივილ-ხივილით და მხიარულობით ერთად ბრუნდებოდნენ სახლში.

ერთ ასეთ საღამოს ქარხნის პატრონის ძმისწული დაედევნა. ის ტანდაბალი ჩამრგვალებული ბიჭი იყო. ისინი ერთად მიდიოდნენ. შემდეგ მან ხელი წაავლო მკლავში...

ქალი შეშინდა და აკანკალდა, შემდეგ კი მათ ბნელ, მიყრუებულ ქუჩაში შეუხვიეს...

ქალს აღარ უნდოდა ეფიქრა, თუ რა მოხდა შემდეგ, თუმცა ქარხნის პატრონის ძმისწულს ძალა არ დაუტანებია, აკოცა მხოლოდ...

ქალმა შეხედა ქმარს. ის ახლა უფრო გამხდარი მოეჩვენა. როგორ უმწეოდ გამოიყურებოდა მისი ფერმკრთალი გაუპარსავი სახე და გულზე ჯვარედინად დაწყობილი ხელები.

ქმრის შეცოდებამ მძიმე ტკივილი აგრძნობინა.

— ცოტა მოითმინე და უეჭველად მუშაობას დავიწყებ... შენ კი სახლში იქნები, წიგნებს იკითხავ... ბავშვებს მოუვლი... — ფიქრობდა ქალი და მძინარე ქმარს მზრუნველობით უგერიებდა კოლოებს.

თურქულიდან თარგმნა
ნ. ჩიჯავაძემ

სერგეი ესენინი

* *

ანა სნეგინა

ნაწყვეტი პოემიდან

1

აი წისქვილიც...
ნაძვნარის ჩრდილებს
ციცინათლების ფანტავს სანთლები,
სიხარულისგან ჩემს მეწისქვილეს
ვერ მოუნახავს სიტყვა სათქმელი.
„სერგიავ, ბიჭო!
ნუთუ ეს შენ ხარ!
გაცივდი, არა? ჩაი ხომ გინდა?
შენ, დედაბერო, რაღას უდგეხარ?
სამოვარი და ქადა მოიტა.“
არ გაცივდები აპრილში კაცი,
თვის ბოლოს მაინც, მაისს რომ ელი.
საღამო იყო ისე წარმტაცი,
როგორც მეგობრის ღიმილი წრფელი.
ამ მეწისქვილის მოხვევნისაგან
ალბათ დათვიც კი იკადრებს ღრიალს.
მაგრამ როს გიჭირს და იმედს კარგავ,
მეგობრის ყოლა მაინც კარგია.
„ხშირად განატრობდი და მერე როგორ!
დიდხანს თუ რჩები?“ —
„ერთი წლით მოველ“. —
— „მაშ დრო ვატაროთ!
მარწყვი და სოკო
წელს იმდენია, ვერავინ მოლევს.
ფრინველს და ნადირს აბა ვინ მოთვლის,
თოფის ლულასთან თვითონ მოდიან.
რაც წახველ, წელი გავიდა ოთხი...
და ოთხი წელი ცოტა როდია...“

. . . . . .

. . . . . .

საუბარს მოვრჩით
და ჩინებულად
ჩვენ სამოვარი დავცალეთ მთელი.

ქურქში ვეხვევი კვლავინდებურად...
დილით რამდენი სიამე მელის!
მივდივარ ბაღში გახარებული,
იასამანი ეხება სახეს.
კვლავ ჭაბუკურად აენთო გული,
ნაცნობი ლობე რომ დავინახე.
აი ჭიშკარიც. აქ ერთხელ ღამით,
თექვსმეტის ვიყავ და მახსოვს მარად,
გოგონამ თეთრი წამოსასხამით
ალერსიანი ხმით მითხრა: „არა!“
რა კარგნი იყვნენ — გულში კვლავ ელავს,
საყვარელ სახეს კვლავ ვხედავ მღიმარს...
ასეთ ასაკში გვიყვარდა ყველას,
მაგრამ ნაკლებად ვუყვარდით იმათ.

2

„სერგიავ, ბიჭო, ადექი ჩქარა!
ჯერ განთიადის სხივიც არ ჩანდა,
ჩემმა ბებერმა არ დაიზარა
და სიფრიფანა დაგიცხო ქადა.
მე კი მივდივარ. სნეგინა მიცდის,
უნდა მივართვა ძღვენი ამ დილით.
გუშინ დავხოცე ღალღები მისთვის,
რომ სანაქებო ჰქონდეს სადილი“.

სალამი შენდა, სიცოცხლის დილავ!
ვდგები, ვიცმევ და მივდივარ ლაღი.
ვაშლის ხეები გადაპენტილან,
ცვარის მძივებით ელვარებს ბაღი.
მე ვფიქრობ:
ძლიერ კარგია მიწა,
მიწაზე კიდევ — ადამიანი.
ომმა კი ბევრი დაასახიჩრა.
რამდენი მხვდება ყავარჯნიანი!
რამდენი წინათ ორმოში დაფლეს!
რამდენი ახლა მიწაში წვება!
რამდენ ჯარისკაცს ყუმბარა დაფლეთს!
ვფიქრობ და ლოყა ამელეწება.

არა!
არ წავალ ჩემს სიცოცხლეში!
მე ხეიბრობა როდი მწყურია!

ვიღაც წუნკალი ტალახში მესვრის
სამოწყალებო ორშაურიანს.

„დილა მშვიდობის, ძვირფასო-ბები!
გატყობ, ცოტათი გიმტყუნა ჯანმა“.
ხველით მომიგო:
„დღე-დღეზე ვდნები.
იმან გამტეხა, მოცლა რომ არ მაქვს.
ახლა ცხოვრება ჩვენშიც ავდება,
სანთლით ვერ ნახავ კეთილისმყოფელს.
ეს გლეხთა ომიც აღარ თავდება,
გადაეკიდა სოფელი — სოფელს.
გავიგე, ვიღაც გამვლელებს უთქვამთ,
რომ დასტურ ხშირად გვინახავს ესო:
ხან კრიუშელი რადოველს ურტყამს,
ხან რადოველი სცემს კრიუშელსო.
მა რას გვიზამდა უმთავრობობა?
მეფე განდევნეს და დავრჩით ასე...
აყალ-მაყალი. შური და მტრობა
ყველა უბირ ხალხს დაგვატყდა თავზე.
რატომღაც ციხე გააღეს ფართოდ,
ავაზაკები გაჰყარეს გარეთ.
ახლა დიდ გზაზე ვერ გახვალ მარტო
და მაგრად უნდა რაზავდე კარებს.
აი თუ გინდა კრიუშელები...
ჭვეყნად ვის ნახავ იმათზე საშიშს...
მაგრამ გაუხსნეს ყველას ხელები
და ეს ქურდები დაბრუნდნენ სახლში.
იმათში ერთი აგლობლინია.
ჩხუბისთავს პრონი ჰქვია სახელად,
არაყი უყვარს ლოთს და ჟინიანს,
წვეთს არ დასტოვებს, თუ წაახელა.
სამი წლის წინათ (წაუწყდეს სული),
ა, იმ წელს, ომი რომ გამოცხადდა,
მამასახლისი მოგვიკლა ცულით,
თვალწინ მოგვიკლა აშკარად, ცხადად.
ათასი ვინმე პრონობას ცდილობს,
გაავაზაკდა ხალხი სრულიად.
დაღუპულია რუსეთი, შვილო,
დედარუსეთი დაღუპულია...“

მეეტლის სიტყვებს ვიგონებ ახლა.
ავიღე ჩემი ჯოხი და ფეტრი.
წავალ სტუმარი და გლეხებს ვნახავ,
ვით ძველ ნაცნობებს მათ სალამს ვეტყვი.
ცისფერ შარაზე მიმყვება ქარი,
ირგვლივ ყველაფერს ბავშვურად ვეტრფი.
ჩემს მეწისქვილეს თვალი მოვკარი,
სოველ ყამირზე რომ მოჰქრის ეტლით.
„სერგიავ, ბიჭო! კარგი რომ შეგხვდი.
მახლას! ახლავე გიამბობ რაღა.
ჯერ გავასწორო სადავე ერთი,
მერე კი გითხრა ისეთი რაღაც...
რატომ დილითვე არ გახსენ გული.
მე დღეს სნეგინებს შევატყობინე,
მესტუმრა-მეთქი ახირებული
და მხიარული ჭაბუკი ვინმე.
(პატივს მცემენ და უბრალოდ განა?
ათი წელია, რაც მაგათ ვიცნობ).
იმათმა ქალმა — ქმრიანმა ანამ
მკითხა,
პოეტი ხომ არ არისო.
— პოეტი გახლავთ. — მე ვეუბნები.
— ქერაა?
— ქერა, ნამდვილად, დიახ!
— შუბლზე დაყრილი ხუჭუჭა თმებით?
— მერე როგორი დარდიმანდია!
— დიდი ხანია გესტუმრათ?
— გუშინ.
— ახ, დედიკონა, სწორედ ის არი!
ოდესღაც ბინა მქონდა მის გულში,
ვიყავი მისი დასაფიცარი.
მახსოვს ჭაბუკი მორიდებული.
ახლა კი...
დახე...
სახელი ჰპოვა...
გახდა მწერალი ყველგან ქებული...
თუ არ მივწერეთ, ისე არ მოვა.“
და მეწისქვილემ ნიშნისმოგებით
თვალი ჩამიკრა. დაიძრა ეტლი:
„წავალ, სადილად დაგელოდები,
ჰოდა დანარჩენს შემდეგში გეტყვი.“
კრიუშისაკენ გავუდექ შარას.

გზადაგზა ჯოხით ჯეჯილს ვაწვენდი.
გულს არაფერი არ გაეკარა,
არ ამიტოკდა ძარღვი არც ერთი.
სურნელოვანი ნიავი ჰქროდა,
ფიქრმა დამათრო და გამიტაცა...
რა ჯობს, სალდათის მშვენიერ ცოლთან
ახლა რომანი გაჩარხოს კაცმა.

* * *

აი კრიუშაც...
სამი წლის წინათ
უკანასკნელად ვნახე ეს მხარე.
იასამანის ყვავილთა წვიმა
აიფსამნებს წყნარ არე-მარეს.
არც ერთ ეზოში, არც ერთ ჭიშკართან
არ ჰყავს დაბმული ძაღლი არავის, —
დამპალ ქოხებში, ღუმელებს გარდა,
არაფერია მოსაპარავი.
პრონის პარმაღზე ყაყანებს ხალხი —
გლეხები ახალ კანონზე ბჭობენ.
სჯიან: ჭვავი და პირუტყვი რა ღირს
და რა მოელის საერთოდ სოფელს.
„სალამი, ძმებო!“ —
„შენც გაგიმარჯოს!
სანადიროდ ხარ სოფელში, არა?
ბვერდით დაგვიჯექ, მოცლილო კაცო.
ყური დაუგდე გლეხკაცის ვარამს.
გეცოდინება ამბავი ბევრი,
მინისტრებს იცნობ პიტერში ალბათ.
შენი ღდინი და ბაბუას წვერი,
ტყუილად გზარდა კულაკმა აბა!
მაინც არ გლანძღავთ, გვიგულე ძმებად,
გამოთლილი ვართ ჩვენ ერთი ხიდან.
ვიცით, დიდ რამედ არ აგდებ ქებას,
არ გაიმეტებ გულს გასაყიდად.
გვახსოვს, იყავი ჭკვიანი მეტად,
თანაც ალალი, წრფელი და მტკიცე...
თქვი:
თუ მოგვცემენ უფასოდ ნეტავ
გლეხებს ბატონთა საყანე მიწებს?
ნიწას — ხელიო!

ბრძანება ისმის, —
ჯერ საამისო დრო არ დამდგარა. —
თუ ასე არი, ფრონტებზე სისხლი
ჩვენი და სხვისიც რად მიდის ღვარად?"
ყველა მათგანი მწარე ღიმილით
პირდაპირ თვალში მომჩერებოდა.
მე კი ვიდექი დამეხილივით
ხმას ვერ ვიღებდი, ენა მებმოდა.
და შუბლზე სიმწრის ოფლდადენილი
ველარ ვარჩევდი ვერც პარმაღს, ვერც ხალხს.
მკითხეს:
„ვინ არის, გვითხარ, ლენინი?"
წავიჩურჩულე:
„ლენინი — თქვენ ხართ."

3

დაძრწოდა ჭორი კარიდან კარად,
იყო მსჯელობა ჩუმი, ფარული.
ჭორი ჩემამდეც აღწევდა ჯარად
დედაბრის პირით შემოპარული.

ერთხელ დავბრუნდი ნადირობიდან,
დივანზე მივწექ მოსასვენებლად.
ჭაობის ნისლმა ჭვალი მომკიდა
და შემეყარა ციებ-ცხელება.
ხან სიცივისგან მაცახცახებდა,
თითქოსდა ყინულს მაყრიდა ვიღაც,
ხან კიდევ ცეცხლის ალში მახვევდა.
ასეთ ყოფაში ოთხი დღე ვიყავ.

ეს მეწისქვილე გაგიჟდა ალბათ.
წავიდა.
მოჰყვა ვიღაცა ქალი...
მე მხოლოდ თეთრი ვიხილე კაბა
და აპრეხილ ცხვირს მოვკარი თვალი.
შემდეგ ცოტათი შვება მეღირსა.
აღარ მიწყებდა სხეული ცახცახს.
მეხუთე დღეზე, შეღამებისას,
ავადმყოფობა სრულიად დაცხრა.
ვდგები.
ტაატით ვიწყებ სიარულს
(მე ეს წუთები ყოველთვის მახსოვს)

ყური მოვკარი ძახილს მხიარულს:
„ა!
გამარჯობათ, ჩემო ძვირფასო!
ჩვენ ერთმანეთი თითქოს დავკარგეთ,
ბავშვობა გაქრა, ვით ზღვაზე ბური.
მე ქალბატონი გავხდი მას აქეთ,
თქვენ კი — პოეტი სახელქებული.

. . . . . .

დავსხდეთ.
ცრემლამ ხომ გაგიარათ?
რად შეიცვალეთ ნეტავი ასე?
ამოვიოხრე მე კიდეც წყნარად,
როდესაც ხელი შეგახეთ მკლავზე.
რაც იყო, იყო...
წარსულს მიჰბარდა.
წლები მორევში ჩაჰყარა დრომა.
მახსოვს, ოდესღაც ძლიერ მიყვარდა
მე თქვენთან ერთად ჭიშკართან ჯდომა.
ოცნებით ციდან ვარსკვლავებს ვკრეფდით.
და თქვენ დიდების შეაღეთ კარი.
მე კი ერთ ჭაბუკ ოფიცერს შევხვდი
და ის ოცნება გაქრა, ვით ქარი.“

* * *

მე მას ვუსმენდი და წარა-მარა
ლამაზი სახის ნაკვთებს ვუმზერდი.
მინდოდა მეთქვა:
გაჩუმდით, კმარა!
ნუ გავიხსენებთ წარსულს ნურც ერთი!

მაგრამ გულს სითბო მოაწყდა ტალღად.
დავიბენი და ვთქვი ალალ-ბედად:
„დიახ... სწორია...
ვიგონებ ახლა...
გთხოვთ, რომ დაბრძანდეთ,
მიხარის მეტად.
მე სამიკიტნოს რუსეთზე გეტყვით
ლექსებს,
არც ისე ბევრს და ურიგოს,
ახმიანებულს ბოშური სევდით,
ისე ჩამოქნილს, რომ ყველამ მიქოს“.

„სერგეი!
რად ხართ ცუდი ესოდენ.
მე მებრალებით,
მე გული მწყდება.
ქვეყანას რატომ უნდა ესმოდეს
თქვენი ლოთობა და ცემა-ტყეპა.
ცხოვრება ასე რად მოიშხამეთ?“ —
„არ ვიცი“—
„აბა ვინ იცის ნეტავ? —
„ჩანს შემოდგომის ნესტიან ღამეს
მე გამაჩინა ამ ქვეყნად დედამ“. —
„რა ხუმარა ხართ!“ —
„ო, თქვენაც, ანა“. —
„შეყვარებული არა გყავთ?“ —
„არა.“—
„ჰოდა, ვაჟკაცი არ ნაღვლობთ განა,
რომ მისული ხართ დაღუპვის კარად.
თქვენს წინ გზა არის თვალისმომჭრელი...“

ჩაქრა დაისი.
სივრცე ბინდს დარჩა...
არ ვიცი რისთვის შევახე ხელი
იმის ხელთათმნებს და იმის თავშალს.

. . . . . .

მთვარე ხარხარში გავდა მასხარას.
თუმც გულში განცდა არ დამრჩა ძველი,
მე ამ საღამომ კვლავ გამახარა,
ისევ მომაწყდა თექვსმეტი წელით.
განთიადისას გამოვეთხოვე,
გულისნადები გასთქვეს თვალებმა...

ზაფხული ტურფად გარდაქმნის ყოველს,
და ჩვენც გვავალებს ფერისცვალებას.

თარგმნა **გიორგი სალუქვაძემ**

ლევან დავითაძე

* *

სოციალისტური კულტურის მძლავრი აღმავლობა აჭარაში

წარმატებით ახორციელებს რა XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყანა მიჰყავს კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ. საშინაო დარგში პარტიასა და მთავრობას ძირითად ამოცანად დასახული აქვთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა, რაც განპირობებულია თვით სოციალისტური საზოგადოების ბუნებით. ძირითადი ეკონომიური კანონი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს, უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელ აღმავლობას.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა კულტურული რევოლუცია.

სოციალისტური კულტურის იდეურ საფუძველს შეადგენს მარქსიზმ-ლენინიზმი — მილიონობით მშრომელთა დროშა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტური პარტიის რევოლუციური მსოფლმხედველობაა. ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა კულტურის წარმატებით განვითარების პირობაა. სოციალისტური საზოგადოების პირობებში მშრომელები გამოდიან ახალი სოციალისტური კულტურის მშენებლებად. გადამწყვეტ როლს სოციალისტური კულტურის განვითარებაში ხალხი თამაშობს. ეს როლი მით უფრო იზრდება, რაც უფრო მაღლდება ხალხის კულტურული დონე და რაც უფრო თავისუფლდება იგი კაპიტალისტური გადმონაშთების გავლენისაგან.

საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ დიდი წარმატებები მოიპოვა კულტურის დარგში.

საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრებაზე თბილისში 1940 წლის 27 მაისს, ახასიათებდა რა ქართველი ხალხის მიღწევებს კულტურის დარგში, მ. ი. კალინინი ამბობდა, რომ ქართველი ხალხი კულტურის მხრივ ერთ-ერთი უძველესი ხალხია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანაში. იგი ვითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს კულტურებთან ურთიერთმოქმედებაში. ვგონებ ჩვენს ქვეყანაში არც ერთ კულტურას არ აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას. ჩვენში პირადად ყოველთვის აღტაცებას იწვევდნენ ქართული სიძველის ძეგლები, ქართული ხელოვნება, ქართული ლიტერატურა. რუსთაველს რომ კითხულობ, ფიქრობ: ბევრი არ მოიძებნება ისეთი მწერალი, რომელიც 700 წლის წინათ ცხოვრობდა, როგორიცაა ქართველი ხალხის ეს კეთილშობილი გენია. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ქართველ ხალხს ძველთაგანვე ახასიათებს უდიდესი ინტელექტუალური ნიჭი და ამიტომ შესძლო მან შექმნა ასეთი ინტელიგენცია.

მ. ი. კალინინის ეს სიტყვები მთელი სისრულით ასახავენ ქართული კულტურის ტრადიციების სიდიადეს და მის მდიდარ აწმყოს.

საბჭოთა საქართველოს განუყოფელი ნაწილის აჭარის მაგალითზეც ნათლად ჩანს, რომ სოციალისტური კულტურა გახდა მისაწვდომი ხალხის ფართო მასებისათვის, რომ თვით ხალხის ფართო მასები ჰქმნიან ამ კულტურას.

* * *

1878 წელს ქართველი და რუსი ხალხების დასმარებით აჭარა განთავისუფლდა თურქი დამპყრობლების ბატონობისაგან. აჭარის დაბრუნებას საქართველოს შემადგენლობაში და რუსეთთან შეერთებას დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ბოლო მოეღო აჭარის მშრომელთა აუტანელ ჩაგვარას და დაიწყო საწარმოო ძალების განვითარება.

აჭარა წარსულში წარმოადგენდა ცარიზმის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ განაპირა მხარეს. მის ეკონომიკას შეადგენდა კუსტარული მრეწველობა და ჩამორჩენილი, ფეოდალური სოფლის მეურნეობა. ხალხს წართმეული ჰქონდა აჭარის მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების უფლება. ამ სიმდიდრით სარგებლობდნენ ერთი მუჭა გაბატონებული კლასები, ბეგები და კაპიტალისტები. აჭარის მშრომელები ფიზიკური გადაშენებისათვის იყენენ განწირულნი. ისინი განიცდიდნენ მძიმე სოციალურ და ეკონომიურ ჩაგვრას, საშინელ ექსპლოატაციას, ცხოვრობდნენ აუტანელ სიღარიბეში. გაბატონებული კლასები მათ ამყოფებდნენ უუფლებო მდგომარეობაში, გზას უხშობდნენ ცოდნისა და კულტურისაკენ. აჭარის სოფლებში იშვიათად შეხვდებოდით წერა-კითხვის მცოდნეს. ბევრ სოფელში წერა-კითხვის მცოდნე სრულიად არ იყო. მეფის მთავრობა ყოველნაირი ღონისძიებით ცდილობდა მოესპო ქართული ენა.

მეფის მთავრობა განზრახ თესავდა ერთა შორის შუღლსა და მტრობას, მაგრამ მან ვერ შესძლო ქართველ ხალხში ჩაეკლა დიდი რუსი ხალხისადმი სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობა. ქართველი ხალხი მუდამ იჩენდა და ახლაც იჩენს მხურვალე სიყვარულსა და დაუცხრომელ მისწრაფებას დიდი რუსული კულტურისადმი, რომლის მდიდარი ტრადიციები კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ ქართული კულტურის განვითარებაზე. მთელი მე-19 საუკუნე ნათლად მოწმობს, თუ როგორი მონდომებით ეუფლებოდნენ რუსულ კულტურას ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავენ წარმომადგენლები. დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ: „არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს ზონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამოწარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურკვევია" (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 285, 1928 წ.).

რუსეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით დამხობილ იქნა ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობა. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თავისუფლება მიანიჭა ჩაგრულ ერებს. დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოს მშრომელებმა ალაგმეს ქართველი ხალხის უბოროტესი მტრები მენშევიკები. საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარის მშრომელებს. საც მოუტანა თავისუფლება და იხსნა ისინი ფიზიკური მოსპობის საფრთხისაგან. ხალხის წინაშე დაისახა თავისუფალი, შეძლებული და კულტურული ცხოვრების ნათელი პერსპექტივები.

1921 წლის ივნისში შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. აჭარის მშრომელები დიდად აფასებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას, ისინი აღსავსენი არიან სიხარულით, კმაყოფილებთ, რომ ცხოვრობენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან ოჯახში.

ისტორიულად მოკლე დროში სახე იცვალა აჭარამ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში. აშენდა მსხვილი სოციალისტური საწარმოები: ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, გემთშემკეთებელი, მანქანათმშენებელი ქარხნები, სამკერვალო, ფეხსაცმლის, თამბაქოს ფაბრიკები. წარილ გლეხურ მეურნეობათა ნაცვლად სოფლად შეიქმნა მსხვილი კოლექტიური მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგური. ჩამორჩენილი განაპირა კუთხიდან აჭარა გადაიქცა ყველაზე ულ ავტონომიურ რესპუბლიკად.

მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში მოპოვებულ წარმატებებს აჭარის მშრომელები უმადლიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, დიდი რუსი და სხვა მომძმე ხალხების მეგობრულ დახმარებას და მხარდაჭერას.

საბჭოთა ხელისუფლებამ მილიონობით მშრომელები გამოაღვიძა და საშუალება მისცა მათ ეზიარონ კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს, დაეუფლონ ცოდნას. ამ მისწრაფებაში ვ. ი. ლენინი ხედავდა სოციალისტური კულტურის ძალას. „...ხალხის მასები, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — არსად ისე არ არიან დაინტერესებული ნამდვილი კულტურით, როგორც ჩვენში; არსად ამ კულტურის საკითხები არ ისმება ისე ღრმად, ისე

თანმიმდევრად, როგორც ჩვენში; არსად, არც ერთ ქვეყანაში, სახელმწიფო ძალაუფლება არ არის მუშათა კლასის ხელში, რომელსაც მასობრივად მშვენივრად ესმის თავისი. არ ვიტყვი კულტურულობის, ვიტყვი მსოლოდ —წიგნიერობის ნაკლი; არსად ეს კლასი არ არის მოწადინებული გაიღოს და არც იღებს ხოლმე იმდენ მსხვერპლს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ამ მხრივ, როგორც ჩვენში" (ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 546).

სოციალისტური კულტურა ვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, გამსჭვალულია ღრმა ჰუმანიზმის, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ამაშია სოციალისტური კულტურის უპირატესობა ბურჟუაზიულ კულტურასთან შედარებით. ბურჟუაზიული კულტურა განიცდის დაცემას. მას აღარ ძალუძს დაკმაყოფილოს ხალხის სულიერი მოთხოვნა. ბურჟუაზიული კულტურის დაცემა განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის გაღრმავებასთან და მისი პირდაპირი შედეგია იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზია კულტურის შტერბ ხდება. ცნობილია, თუ გერმანიის ფაშიზმმა რა დიდი საფრთხე შეუქმნა მსოფლიო კულტურას. ამ საფრთხისაგან კაცობრიობა საბჭოთა არმიამ იხსნა, რომელმაც გაანადგურა გერმანიის ფაშიზმი. ამჟამად რეაქციული ბურჟუაზიული წრეები ცდილობენ ხალხთა შორის დანერგონ მხეცური ნაციონალიზმი და მტრობა. ამისაგან განსხვავებით საბჭოთა კულტურა ადამიანებს ზრდის ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით, კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „დაზგის ხელმოკლე პროლეტარს და გუთნის გლეხს უნივერსიტეტის დამთავრება არ შეეძლოთ არც მეფე ნიკოლოზის, არც რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილსონის დროს. მეცნიერება და ტექნიკა მდიდრებისათვის, შეძლებულთათვის; კაპიტალიზმი კულტურას იძლევა მხოლოდ უმცირესობისთვის" (ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 65-66).

კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, გამეფებულია უმუშევრობა და სიღატაკე. მილიონობით ბავშვები მოკლებული არიან სწავლის საშუალებას. ბურჟუაზიულმა წყობილებამ მათ დაუხშო გზა სინათლისა და ცოდნისაკენ. მაგალითად, 1957 წლის ბიუჯეტის პროექტით ამერიკის შეერთებული შტატების ხარჯები განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გათვალისწინებულია 2,3 მილიარდი დოლარის რაოდენობით, ე. ი. ბიუჯეტის მხოლოდ 3,5 პროცენტი. სპეციალურ მიმართულებაში კონგრესისადმი განათლების შესახებ ეიზენჰაუერი იხოულობს ფედერალურმა მთავრობამ ყოველწლიურად გაიღოს განათლების საქმეზე 400 მილიონი დოლარი „დახმარების" სახით. ეს თანხა ამერიკის პირდაპირი სამხედრო ხარჯების ერთ პროცენტს შეადგენს, ეს იმ დროს, როცა დაახლოებით ერთი მილიონი სასკოლო ასაკის ამერიკელი ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისწავლოს სკოლაში სასკოლო შენობების სიმცირის გამო.

ღასავლეთ გერმანიაში საოკუპაციო ჯარების ერთ ეფრეიტორზე ყოველწლიურად იხარჯება 9.640 გერმანული მარკა, პოლიციის მოხელეზე — 7.054, პოლიციის ძაღლზე — 360, ხოლო სახალხო სკოლის ერთ მოსწავლეზე — 40-დან 60 მარკამდე. ბრაზილიაში 1956 წელს სკოლაში არ დადიოდა 14 მილიონი ბავშვი.

ინგლისში გამოქვეყნებულია წლიური ანგარიში, რაც ლაპარაკობს ინგლისის მრეწველობაში ბავშვთა ექსპლოატაციის გაძლიერებაზე. რის შედეგადაც გაზშირდა უბედური შემთხვევები. ანგარიშში ლაპარაკია, რომ 1955 წელს ინგლისის ფაბრიკებსა და ქარხნებში დასახიჩრდა 13 ათასი ბავშვი და მოზარდი. ეს ყველაზე დიდი ციფრია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. ქარხნების მთავარი ინსპექტორი მიუთითებს, რომ უბედური შემთხვევების ზრდა გამოწვეულია შრომის ინტენსიფიკაციისა და მეპატრონეების მიერ ტექნიკის უსაფრთხოების ელემენტარული წესების დაუცველობით. ასეთია ბავშვთა ბედი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. უარეს მდგომარეობაში არიან ბავშვები კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. მაგალითად, ტაილანდში, რომლის მოსახლეობა შეადგენს 19,5 მილიონს, წერა-კითხვის უცოდინარია მოსახლეობის 68,9 პროცენტი. მთავრობის ხელმძღვანელთა განცხადებით ქვეყანას ჭირდება 30 ათასი სკოლის აშენება, რათა მოთხოვნილება დაკმაყოფილოს, ეს იმ დროს, როდესაც ამ ქვეყნის ბიუჯეტის 70 პროცენტზე მეტი იხარჯება სამხედრო საქმეზე.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, აჭარაშიც შექმნეს ყველა პირობა სახალხო განათლების საქმის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამჟამად აჭარის დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო სკოლებში 44.700-მდე მოსწავლეა.

სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი სკოლაში სწავლობს. ძირითადად განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სავალდებულო სწავლება. უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად იზრდება საშუალო სკოლების რაოდენობა. 1955-1956 სასწავლო წელს აჭარაში ითვლებოდა 56 საშუალო სკოლა.

ყოველწლიურად იზრდება ასიგნებანი სახალხო განათლებაზე. დიდი ყურადღება ეთმობა სასკოლო შენობების მშენებლობას, მათი კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობას და სრულყოფას. აჭარაში ფართოვდება სასკოლო შენობების აგება ოვით მშრომელთა ხახსრებით. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 1955-1956 სასწავლო წლისათვის ააგო ახალი სასკოლო შენობა, რაც ნახევარ მილიონზე მეტი მანეთი დაჯდა. ასეთი ფაქტები აჭარაში ბევრია, რაც მკაფიოდ მოწმობს ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდისათვის მშრომელთა დაუცხრომელ ზრუნვას.

დიდი ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას სპეციალურ სკოლებში. ამ საქმეს ემსახურება ქ. ბათუმისა და ხულოს პედაგოგიური სასწავლებლები, ქ. ბათუმის საზღვაოსნო და სახელოსნო სასწავლებლები, სამედიცინო სასწავლებელი, სავაჭრო და სუბტროპიკული ტექნიკუმები და სხვ., რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის ამზადებენ საშუალო სპეციალური განათლების კადრებს.

აჭარაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი. ამჟამად წარმატებით მუშაობს შ. რუსთაველის სახელობის ქ. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც უმაღლესი განათლების პედაგოგიურ კადრებს ამზადებს. თავისი არსებობის მანძილზე მან გამოუშვა სამი ათას ხუთასზე მეტი პედაგოგი. განმტკიცდა ინსტიტუტის სასწავლო-მატერიალური ბაზა, შეიქმნა პროფესორ-მასწავლებელთა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი, რომელიც წარმატებით უძღვება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საპატიო საქმეს.

სახალხო განათლების დარგში დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მასწავლებელთა კადრების მომზადება. მასწავლებელთა კადრები ძირითადად შედგება მუშებისა და გლეხების შვილებისაგან, რომლებსაც სისტემურად უყვართ თავიანთი საქმე და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. მასწავლებლებს გარდა აჭარაში მუშაობენ ექიმთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მეცნიერთა, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც დაუღალავად შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. და აქტიურად მონაწილეობენ პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებაში.

პარტია და მთავრობა უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების დანერგვას. ახალი ამოცანები სახალხო განათლების განვითარებაში მოითხოვენ სკოლებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას როგორც განათლების ორგანოების, ასევე ადგილობრივი პარტიული ორგანოების მხრივ. უკანასკნელ პერიოდში უფრო მეტი ყურადღება ექცევა სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ზოგად-საგანმანათლებლო სკოლის როლის ამაღლებას.

* * *

სოციალისტური კულტურის ზრდის ერთ-ერთი უაღრესად მკაფიო მაგალითია ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების უმაგალითო აყვავება. საბჭოთა მეცნიერება მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის შემოქმედებითს საქმიანობასთან. საბჭოთა მეცნიერებას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს საბჭოთა ეკონომიკას განმტკიცებაში. მეცნიერება და კულტურა ჩვენს ქვეყანაში ხალხის კუთვნილებაა და მის ინტერესებს ემსახურება.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია ამოცანა, რომ შემდგომ განვავითაროთ საბჭოთა მეცნიერება, რაფა მან მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავოს; უფრო ეფექტიურად და სწრაფად გადავჭრათ ჯერ კიდევ გადაუწყვეტი პრობლემები, ყოველმხრივ განვამტკიცოთ კავშირი პრაქტიკასთან. საბჭოთა მეცნიერები ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამ საპატიო ამოცანების შესასრულებლად. ამის ნათელი დადას-

ტურებაა მსოფლიოში პირველი ელექტროსადგურის ამუშავება ატომური ენერგიით, ახალი ტიპის რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავების შექმნა და ბევრი სხვა მიღწევა მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

წინათ ოცნება თუ შეიძლებოდა აჭარაში სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების შექმნაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ოცნება სინამდვილედ აქცია. ამჟამად აჭარაში მუშაობს ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, რომლებსაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, გარკვეული წვლილი შეაქვთ სამეცნიერო-საკვლევი პრობლემების გადაწყვეტაში, მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო მიღწევების წარმოებაში დანერგვის საქმეში.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით მნიშვნელოვან მეცნიერულ ძალად გადაიქცა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი. აქ დიდი ყურადღება ექცევა როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას; გამოვიდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო შრომების მე-5 და სტუდენტთა შრომების 1-ლი კრებულები. ინსტიტუტში სისტემატურად ეწყობა როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა სამეცნიერო სესიები. 1955 წლის სამეცნიერო - კვლევითი გეგმით შესრულებული შრომებიდან გამოირჩევა პ. პატარაიას შრომა „ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობის საკითხისათვის“ და ნ. ჭეიშვილის შრომა „მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის.“ უკანასკნელი წლების მანძილზე თავიანთი შრომები მონოგრაფიის სახით გამოაქვეყნეს აგრეთვე დოცენტებმა კ. ბაბილოძემ, ვ. ჭანტურიამ, ნ. ჭეიშვილმა, ალ. ჩავლეიშვილმა. ვლ. ქემხაძემ, ბ. ქიქოძემ, ა. ბეგიაშვილმა, მეცნიერების კანდიდატმა ნ. დუმბაძემ და სხვებმა.

დიდი ყურადღება ექცევა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებას. თუ ინსტიტუტის დაარსების პირველ წლებში სამეცნიერო ხარისხი რამდენიმე ლექტორს ჰქონდა, ამჟამად პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის 50 პროცენტს სამეცნიერო ხარისხი აქვს. უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა 16 ლექტორს. ამჟამად საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე მუშაობს 10 ლექტორი. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა მ. ფარტენაძემ, ა. ბერიძემ და ნ. შარაშიძემ წარმატებით გაიარეს საასპირანტურო კურსი ქ. მოსკოვისა და თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებში, დაიცვეს დისერტაცია და ამჟამად მუშაობენ ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ისინი პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევიან. მაგალითად, მ. ფარტენაძის ნაშრომმა ძველ სლავურ ენაში, ხოლო ა. ბერიძის ნაშრომმა გეომეტრიაში მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

* * *

1926 წელს შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი. მას 100 ჰექტარზე გაშენებული აქვს ჩაი და სხვა სუბტროპიკული მცენარეები, მის განკარგულებაშია კარგად მოწყობილი ლაბორატორია. ფილიალში მუშაობს 6 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ქ. ბახტაძე. ფილიალში წარმოებს სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების დარგში.

მრავალი წლის მუშაობის შედეგად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ქ. ბახტაძემ გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიშები „ქართული № 1“ და „ქართული № 2“. რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მოსავლიანობითა და ხარისხით. ამასთან ფილიალში მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს სასუქების ეფექტური გამოყენებით ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

* * *

სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გააჩნია ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, რომელიც აერთიანებს 15-მდე მეცნიერ მუშაკს. ბოტანიკური ბაღის მეცნიერი მუშაკები მუშაობენ სუბტროპიკული მცენარეების აკლიმატიზაციისა და ინტროდუქციის, აჭარის ფლორის, სელექციისა და სხვა საკითხებზე. სამწუხაროდ, ბოტანიკური ბაღის მეცნიერმა მუშაკებმა მუშაობა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს ახლებურად, ისე, როგორც ამას პარტია და მთავრობა მოითხოვს.

* * *

1943 წლიდან ბათუმში მუშაობს საკონსერვო და ბოსტნეულსაშრობი მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილება, რომელიც საკონსერვო მრეწველობის

განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული მცენარეულობის ნაყოფისა და ხილის გადამუშავებას. ამ მიმართულებით გამომუშავებულია მთელი რიგი ტექნოლოგიური მეთოდები და შექმნილია მანდარინის, ხურმისა და თესლოვანი ხილის გადამმუშავებელი მოწყობილობა.

* * *

ბათუმში მუშაობს თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის აზოვ-შავი ზღვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც სწავლობს შავ ზღვაში გავრცელებული თევზების ბიოლოგიას, მარაგს, შათი გავრცელების პირობებს.

* * *

დიდია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორების როლი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. რაციონალიზატორებთან მუშაობა კარგად არის დაყენებული ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში. 1956 წლის 4 თვის მანძილზე შემუშავებული და დანერგილია 50-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტიანობა ათიათასობით მანეთს შეადგენს. სულ მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში შემოსულია 1.298 რაციონალიზატორული წინადადება, მათგან წარმოებაში დანერგილია 835. რამაც სახელმწიფოს მისცა 8.603 ათასი მანეთის ეკონომია. ბევრი ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადება განხორციელდა მანქანათმშენებელ, კოფეინის, მომთუთიებელ, ლუდისა და სხვა ქარხნებში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი პარტიის XX ყრილობის გადწყვეტილებების შესაბამისად. გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მუშაობა წარმოებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორების გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და წარმოებაში დანერგვის დარგში.

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მთელი რიგი აქტუალური პრობლემის გადაჭრას. არადამაკმაყოფილებლად დგას სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა სუბტროპიკული კულტურების დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში, თითქმის არაფერი კეთდება ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანისათვის. სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში თავმინებებულია კარტოფილის, სიმინდის, მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნის, პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების საკითხები. სათანადო სიმაღლეზე არ დგას ბუნებრივი სათიბების და საძოვრების მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის საკითხების შესწავლა. ეს საკითხები კი მოითხოვენ გადაუდებელ ყურადღებას და ზრუნვას.

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები აქტუალური პრობლემების დაყენებისა და გადაჭრისათვის სუსტად იყენებენ მათ განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებს. სათანადოდ არ არის გამოყენებული სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესების ისეთი ნაკადი მეთოდი, როგორიც არის კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამით უპირველეს ყოვლისა აიხსნება ის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც ჯერ კიდევ გააჩნიათ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს. ბევრი მეცნიერი მუშაკი წლების მანძილზე არ იძლევა ვარგის პროდუქციას სახალხო მეურნეობისათვის. მათი ასეთი უმოქმედობა არ ხდება ფართო სამეცნიერო საზოგადოების მსჯელობის საგნად. ამის მიზეზი მნიშვნელოვანწილად ისიც არის, რომ ჯერ კიდევ საკმაო კონტროლი არ არის დაწესებული მეცნიერთა მუშაობაზე.

საჭიროა კიდევ უფრო გავამახვილოთ ყურადღება სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისადმი, აღვზარდოთ მეცნიერი მუშაკები სამშობლოს წინაშე პატრიოტული მოვალეობის სულისკვეთებით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება აღმოვფხვრათ სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენმა მეცნიერმა მუშაკებმა აქტუალური პრობლემების გადაჭრით ხელი შეუწყონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

* * *

კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მზრუნველობით ვითარდება საბჭოთა პრესა. იგი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების ნათელ, დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. საბჭოთა ხელისუფლებამდე აჭარაში არ იყო არც ერთი მასობრივი გაზეთი, ამჟამად კი აჭარაში გამოდის 2 საოლქო და 5 რაიონული გაზეთი, რომელთა ტირაჟი 10 ათასს აჭარბებს. საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა" გამოდის ქართულ ენაზე, ხოლო „ბა-

ტუმსკი რაბოჩი" — რუსულ ენაზე. გარდა ამისა, აჭარის მშრომელები ყოველთვიურად იწერენ 50 ათასზე მეტ ეგზემპლარ ჟურნალ-გაზეთს. საშუალოდ ყოველ 4-5 კაცზე მოდის ერთი ჟურნალი ან გაზეთი.

ხორციელდება ღონისძიებები პერიოდული პრესის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. სათანადო ყურადღება ექცევა რაიონული გაზეთების ხარისხისა და მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესებას. ამჟამად ყველა რაიონული გაზეთი უზრუნველყოფილია საკუთარი პოლიგრაფიული ბაზით.

აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში დიდ პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს ბათუმში აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის არსებობა. 1921 წლიდან აჭარაში წარმოებს წიგნის ბეჭდვა. დღემდე აჭარაში გამოცემულია 411-ზე მეტი სახელწოდების წიგნი ერთი მილიონზე მეტი ტირაჟით. მარტო 1955 წელს გამოიცა 35 სახელწოდების წიგნი 98.400 ტირაჟით. აქ იბეჭდება მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ხასიათის ლიტერატურა, რაც მნიშვნელოვნად გვეხმარება როგორც ადგილობრივ ავტორთა კოლექტივის ზრდაში, ასევე ჩვენი მკითხველის სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა ჯერ კიდევ ცოტას უშვებს პოპულარული ხასიათის საინტერესო ნაწარმოებებს. ზოგიერთი წიგნი შეიცავს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგჯერ დამაკმაყოფილებელი არ არის წიგნის პოლიგრაფიული გაფორმება.

დიდია ჩვენი მკითხველების მოთხოვნილება წიგნზე. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ 1956 წელს აჭარაში გაიყიდა 2 მილიონზე მეტი მანეთის წიგნი. მიუხედავად ამისა, წიგნით ვაჭრობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა რაოდენობით ვღებულობთ ძვირფას გამოცემებს, რუსეთისა და უცხოეთის გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებებს.

ამოცანა ის არის, რომ გავაძლიეროთ წიგნის პროპაგანდა, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მივაწოდოთ საინტერესო წიგნი ჩვენს მკითხველებს, განსაკუთრებით რესპუბლიკის ცენტრიდან დაშორებულ სოფლებს. შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის თემატიკა და წიგნების პოლიგრაფიული გაფორმება.

* * *

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურებაში დიდ როლს ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფას. პარტია მოითხოვს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები: კლუბები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები ნამდვილად გახდნენ მასობრივი პროპაგანდისა და მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაჩაღების ცენტრებად, აგრეთვე ჯანსაღი დასვენებისა და კულტურული გართობის კერებად. ამჟამად როცა ჩვენი ქვეყანა ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში კიდევ უფრო იზრდება. თვითონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შინაარსში ამჟამად მთავარია პარტიისა და მთავრობის მიერ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში დასახული ამოცანების პროპაგანდა. მათ ამის ყველა პირობები გააჩნიათ.

* * *

ამჟამად აჭარაში არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. მუშაობს 102 სასოფლო კლუბი, 43 სასოფლო ბიბლიოთეკა, 7 კულტურის სახლი, საჯარო ბიბლიოთეკა, 5 საქალაქო, 8 საბავშვო, 5 რაიონული ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი; სულ აჭარაში 176 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლებშიც მუშაობს 500-მდე მუშაკი.

თუ რა ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ეს ნათლად ჩანს აჭარის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მაგალითზე.

ბიბლიოთეკა არსებობს 1902 წლის ოქტომბრიდან. იმ დროს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგებოდა სულ რაღაც 2 ათასამდე წიგნისაგან. ბიბლიოთეკას ცოტა მკითხველი ჰყავდა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აჭარის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ნამდვილად გადაიქცა სახალხო უნივერსიტეტად. აქ ათასობით მშრომელი იძენს ცოდნას და იმაღლებს კულტურას.

საჯარო ბიბლიოთეკა სისტემატურად აწყობს გამოფენებს სხვადასხვა საინტერესო თემაზე, ატარებს მოხსენებებს, ლექციებს, ლიტერატურულ საღამოებს, მკითხველთა კონფერენციებს, შეხვედრებს მწერლებთან, მოწინავე ადამიანებთან, და სხვ., საბიბლიოთეკათშორისო აბონენტით ემსახურება ქალაქის, სოფლის, სამეცნიერო, საუწყებო და სასკოლო ბიბლიოთეკების მკითხველებს, საჭირო მეთოდურ დახმარებას უწევს ბიბლიოთეკებს. ამჟამად საჯარო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში არის 100 ათასზე მეტი ტომი. ბიბლიოთეკას ჰყავს 5 ათასზე მეტი მკითხველი. მარტო 1955 წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 163.112 მკითხველს. ამავე პერიოდში გაცემულია სხვადასხვა სახის 252.106 წიგნი. განუწყვეტლივ მდიდრდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და უმჯობესდება მკითხველთა მომსახურება.

* * *

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა კინო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს პარტიას მასების დარაზმვაში კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირეულად გაუმჯობესდა და განვითარდა მოსახლეობის კინომომსახურების საქმე. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფლის მოსახლეობა მოკლებული იყო კინომომსახურებას. არც გასაბჭოების პირველ წლებში იყო ამ საქმის ძირეულად გაუმჯობესების შესაძლებლობა. მაგალითად, 1925 წელს აჭარაში მხოლოდ ერთი მოძრავი კინო არსებობდა, რომელსაც არ შეეძლო მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამჟამად აჭარის ქალაქებსა და სოფლებში მუშაობს 13 კინოთეატრი, 22 სოფლის კინოდანადგარი, 23 მოძრავი კინო. მარტო 1955 წელს აჭარაში ჩატარდა 19.212 კინოსეანსი, რომელსაც 2.038.700 მაყურებელი დაესწრო.

* * *

1947 წლიდან აჭარაში არსებობს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, რომელსაც ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი არმიის საშუალებით პოლიტიკური განთლება შეაქვს ხალხის ფართო მასებში. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით საზოგადოება გადაიქცა მძლავრ პოლიტსაგანმანათლებლო ორგანიზაციად. განყოფილებას ყველა რაიონში აქვს თავისი განყოფილება. საზოგადოებაში სალექციო მუშაობას ეწევა 100-ზე მეტი ლექტორი. ბევრი მათგანი კვალიფიციურ ლექციებს კითხულობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საზოგადოების აჭარის განყოფილება აერთიანებს 400-ზე მეტ წევრს. მათ შორის არიან მეცნიერებათა დოქტორები, კანდიდატები, სოციალისტური შრომის გმირები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, ხელოვნების მუშაკები.

1955 წელს საზოგადოების აჭარის განყოფილების ლექტორთა ძალებით ჩატარებულია 2.272 ლექცია, რომლებსაც დაესწრო 186 ათასზე მეტი კაცი. ლექციები იკითხება მარქსიზმ-ლენინიზმის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის და სხვა საკითხებზე.

ამის მიუხედავად, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებები, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ იშვიათი როდია უკულტურობის, ჩამორჩენილობის ფაქტები, შემორჩენილია კაპიტალიზმის ბევრი გადმონაშთი. საჭიროა ყოველივე ამას გადაჭრით ვებრძოლოთ და ახალი ძალით გავაჩაღოთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

* * *

პარტიისა და მთავრობის მიერ კულტურული მშენებლობის დარგში გატარებულმა ღონისძიებებმა ძირეულად შეუცვალეს სახე ჩვენს ქვეყანას, ქალაქებსა და სოფლებს, სადაც ამჟამად მძლავრად ჩქეფს კულტურული და შეძლებული ცხოვრება. ამაღლდა მუშათა კლასის, გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის კულტურული ცხოვრების დონე. სულ უფრო და უფრო იზრდება მათი შრომის ნაყოფიერება, იქმნება სათანადო პირობები ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციისათვის.

კულტურული რევოლუციის განხორციელების შედეგად ამაღლდა საკოლმეურნეო სოფლის კულტურული დონე. ცხოვრება შეძლებული და კულტურული გახდა. საბჭოთა ადამიანები შეგნებულად, აქტიურად აშენებენ ახალ ყოფას, ახალ ცხოვრებას, თავიანთი მსოფლმხედველობით, ცოდნის ჰორიზონტით, საერთო კულტურული დონით ისინი ძირეულად განსხვავდებიან რევოლუციამდელი სოფლის ადამიანებისაგან, რომელთა ხვედრი იყო უკულტურობა, სიბნელე, ცრუმორწმუნეობა და სიღატაკე. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ შრომა მძიმე, მომაბერზებელი ტვირთიდან ღირსების, გმირობისა

და მამაცობის საქმედ აქცია. სოფელში აშენდა ახალი საზოგადოებრივი შენობები, თვით კოლმეურნე გლეხობა ცხოვრობს ლამაზად აგებულ, კეთილმოწყობილ სახლებში. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას აქვს ორსართულიანი შენობა კანტორისათვის, კარგად მოწყობილი კლუბი, სადაც სისტემატურად ეწყობა საღამო-კონცერტები, კოლმეურნეებს უჩვენებენ ახალ-ახალ კინოფილმებს. კოლმეურნეობას აქვს თავისი ბიბლიოთეკა, საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდით. სკოლის სამოქმედო ტერიტორიაზე განხორციელებულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ათწლედის ფარგლებში. ამ სოფლის მკვიდრთაგან 100-ზე მეტ კაცს დამთავრებული აქვს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის არიან პედაგოგები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ექიმები, იურისტები, გეოლოგები და სხვ. ამას გარდა, ამ სოფლის 200-ზე მეტ ახალგაზრდას დამთავრებული აქვს საშუალო სასწავლებელი. ისინი აქტიურად მუშაობენ კოლმეურნეობაში.

არსებითად შეიცვალა მაღალმთიანი რაიონების — ქედის, შუახევისა და ხულოს სოფლების ცხოვრება. რესპუბლიკის ცენტრიდან ყველაზე უფრო დაშორებულ სოფელ ხიხაძირშიც მკაფიოდ იგრძნობა მშრომელთა კულტურული დონის ამაღლება. საბჭოთა ხელისუფლებამდე უგზოობის გამო ბევრ გლეხს ქ. ბათუმიც კი არ ჰქონდა ნახული. ამჟამად ხიხაძირში გაყვანილია საავტომობილო გზა, კოლმეურნე გლეხს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ავტომანქანით იმოგზაუროს ქალაქამდე და უკან. სულ ცოტა ხნის წინათ აქ სულ ვერ ნახავდით საშუალო სკოლადამთავრებულს, ახლა ხიხაძირში არის კარგად მოწყობილი საშუალო სკოლა, რომელსაც ჰყავს კვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი. ყველა კომლი რადიოფიცირებულია. აქ სისტემატურად აჩვენებენ ახალ კინოფილმებს, მშრომელები ყოველდღიურად იღებენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს და სისტემატურად არიან ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის კურსში.

ამას წინათ ხიხაძირელმა მშრომელებმა ახალი საჩუქარი მიიღეს. აქ გაიხსნა კულტურის სახლი, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კულტურული ცხოვრების ახალ აღმავლობას.

* * *

მუსიკალური განათლების მნიშვნელოვანი კერაა ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელი (დირექტორი კომპოზიტორი ა. ფარცხალაძე). ხანგრძლივი არსებობის 25-ზე მეტი წლის განმავლობაში სასწავლებელმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალგაზრდობაში მუსიკალური ცოდნის პროპაგანდას. სასწავლებელს აქვს ვოკალური, საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო და საორკესტრო განყოფილებები. დღემდე სასწავლებელმა გამოუშვა 300-ზე მეტი საშუალო განათლების სპეციალისტი, რომლებიც ამჟამად ეწევიან მუსიკალური განათლების ფართო პროპაგანდას. კურსდამთავრებულთაგან 37 მუშაობს სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგად. ბევრი კურსდამთავრებული ამჟამად განაგრძობს სწავლას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების კონსერვატორიებში. სამუსიკო სასწავლებელს ჰყავს თავისი მომღერალთა გუნდი და სიმფონიური ორკესტრი, რომლთა საშუალებით სისტემატურად იმართება კონცერტები. მუშაობს აგრეთვე სამუსიკო სკოლა, რომელშიც 400-მდე მოსწავლე ითვლება.

* * *

მშრომელთა იდეური და მხატვრული აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია საბჭოთა ლიტერატურა. განვითარების ყველა ეტაპზე იგი ასახავდა სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარ დიად გარდაქმნებს, საბჭოთა ხალხის ბრძოლას მტრებთან ბრძოლაში, მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მწერლებთან ერთად აჭარაში მომუშავე ქართველ მწერლებს გარკვეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. მათ შექმნეს მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებშიც სწორადაა ასახული საბჭოთა სინამდვილე.

მალე თბილისში მოეწყობა აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები სერიოზულად მოემზადნენ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი. დეკადის დღეებში დედაქალაქის ათასობით მშრომელი გაეცნობა აჭარის მიღწევებს კულტურის დარგში, რაც პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მოვიპოვეთ. მოეწყობა აჭარის მწერლებისა და მსახიობების გამოსვლა თეატრებში, საკონცერტო დარბაზებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში, საწარმოებში. დეკადის დღეებში მოეწყობა აჭარის მწერალთა წიგნების გამოფენა და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებების განხილვა. დეკადაზე წარმოდგენილი იქნება: პროზა, პოეზია, დრამატურგია, კრიტიკა, საბავ-

შვო ლიტერატურა. განხილვაში მონაწილეობას ეიღებენ დედაქალაქის ლიტერატურული ძალები.

ლიტერატურის განვითარებას აჭარაში არა აქვს ხანგრძლივი ისტორია. ის ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. მიუხედავად ამისა, მან შეიძინა მნიშვნელოვანი გამოცდილება სინამდვილის სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით ასახვაში. იგი, როგორც ქართული საბჭოთა ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი, ვითარდებოდა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის გავლენით, მის ტრადიციებზე და მასთან თანამშრომლობაში.

ჩვენმა მწერლებმა ცხოვრების ღრმა ცოდნით უნდა ასახონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგში საბჭოთა ხელისუფლების დროს მომხდარი დიადი გარდაქმნები, საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობა კომუნიზმის მშენებლობაში, უნდა გვიჩვენონ ნაკლოვანებები და ჩამორჩენა. — აი, რა მოეთხოვებათ ჩვენს მწერლებს.

გასაგებია, რომ დიკადა მარტო ლიტერატურის მიღწევების ჩვენება როდი იქნება, არამედ გამოავლინებს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებსაც, აჭარაში მომუშავე მწერლების ყურადღებას გაამახვილებს ახალ ამოცანებზე. პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩებიან ცხოვრებას, განსაკუთრებით სერიოზული ჩამორჩენა იგრძნობა თანადროულობის ასახვაში. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არაფერი დავწეროთ ისტორიულ მოვლენებზე. მაგრამ მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ თანამედროვეობას, ჩვენი დიადი ცხოვრების შინაარსში ღრმად ჩაწვდომას და რეალისტურად ასახვას.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად საბჭოთა მწერლებს იმის ყველა პირობა აქვთ, რომ მაღალი გემოვნების მქონე ჩვენს მკითხველს მიაწოდონ მაღალმხატვრული, იდეურად გამართული ნაწარმოებები. მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურას შეუძლია ღრმად ჩაწვდეს სინამდვილეს, რადგანაც საბჭოთა მწერლები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ცხოვრებასთან, ხალხთან. ეს აუცილებელი პირობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველმა დამოკიდებულებამ ლიტერატურის განვითარებისადმი ხელი შეუწყო აჭარაში მწერალთა კადრების აღზრდას, მათი ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას.

საბჭოთა მწერლების ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მწერალთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. აჭარის მწერლებმა გარკვეული დასკვნები გააკეთეს ყრილობის შედეგებიდან. ამჟამად ისინი მეტი მონდომებით ზრუნავენ იმისათვის, რომ საბჭოთა მკითხველს მიაწოდონ იდეურად გამართული, მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა ადამიანების მჩქეფარე ცხოვრება.

ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევიან აჭარაში მომუშავე მწერლები პ. ლორია, ნ. მალაზონია, ფ. ხალვაში, პ. რურუა, ვ. კანდელაკი, გ. სალუქვაძე, ა. შერვაშიძე, მ. ვარშანიძე, ნ. გვარიშვილი, კ. რუსიძე და სხვები.

მწერალ პ. ლორიას რომანები „ჩაი", „განთიადი ხევში", „მაღაროებში" და სხვ. გულთბილად მიიღო მკითხველმა. ახლახან გამოიცა მისი ახალი რომანი „შვილები", რომელშიც ასახულია მუშათა კლასის ცხოვრება.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული დრამატურგიაში. საბჭოთა მაყურებლის ყურადღება დაიმსახურა დრამატურგ ვ. კანდელაკის პიესამ „მაია წყნეთელმა", რომელიც ბათუმის თეატრს გარდა დაიდგა საქართველოს ბევრი თეატრის სცენაზე. ამ ნაწარმოების ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში საკმაო დამაჯერებლობითაა გადმოცემული წარსულში ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. პიესაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას.

რამდენიმე საინტერესო პიესის ავტორია დრამატურგი ა. შერვაშიძე.

ამასთან ჩვენი მწერლების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ხასიათის ნაკლია.

აჭარას აქვს საკმაოდ განვითარებული მრეწველობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი მუშათა კლასი. მიუხედავად ამისა, ჩვენი მწერლების შემოქმედებაში სათანადოდ არ არის ასახული ეს ზრდა. ფაბრიკებსა. ქარხნებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მუშაობს ბევრი ნოვატორი, სოციალისტური შრომის გმირი, რომელთა დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები ჩვენს მწერლობას ჯერ არ შეუქმნია.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენმა დრამატურგებმა შექმნეს რამდენიმე პიესა, რომლებსაც წარმატება ხვდათ, ამ უბანზე ჯერ კიდევ იგრძნობა სერიოზული ჩამორჩენა. იწერება ბევრი სუსტი პიესა, რომლებშიაც სრულყოფილად არ არის ასახული თანამედროვეობის ტიპობრივი ნიშნები. დრამატურგები ნაკლებად ზრუნავენ თანა-

მედროვე თემებზე პიესების შექმნისათვის, არ იწერება სატირული პიესები.

ამ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზია ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენა. ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული დონე, გავაძლიეროთ მწერალთა როლი საბჭოთა ადამიანების იდეური აღზრდის საქმეში. ამისათვის საჭიროა არსებითად გავაუმჯობესოთ მწერლებთან მუშაობა, დავეხმაროთ მათ მხატვრული ოსტატობის დაუფლებაში, მწერალთა შორის კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა მკითხველმა ჩვენი მწერლებისაგან მიიღოს მაღამხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც მთელი სიმართლით იქნება ასახული საბჭოთა ადამიანების — მუშების, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული, ბრძოლა კომუნიზმის აშენებისათვის.

* * *

აჭარაში სოციალისტური კულტურის აყვავებას ნათლად მოწმობს ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის არსებობა და მისი მიღწევები. 1932-1933 წლებში აჭარიდან თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალურ სტუდიაში გაიგზავნა ახალგაზრდობის ჯგუფი, რომელმაც 1937 წელს სტუდია დაამთავრა, ქ. ბათუმში ჩამოვიდა სამუშაოდ და პირველად წარმოადგინა გ. მდივნის პიესა „ბრმა". ამ დღიდან ნიჭიერი თეატრალური კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს და თავისი წვლილი შეაქვს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დიდ საქმეში. თავისი არსებობის მანძილზე ბათუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ბევრი საინტერესო სპექტაკლი. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული დადგმებიდან აღსანიშნავია ჰ. ჯაკომეტის „დამნაშავის ოჯახი", ნ. პიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე", ა. შტეინის „პერსონალური საქმე", ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი", ლ. გოთუას „მეფე ერეკლე", გ. ივანიშვილის „ვიღაცამ დარეკა" და სხვ.

მოკლე დროში თეატრში შეიქმნა საკმაოდ ძლიერი მსახიობთა კოლექტივი, რომელიც წარმატებით ართმევს თავს თეატრის წინაშე დასახულ სერიოზულ ამოცანებს. მაყურებელთა სიყვარულით სარგებლობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ი. კობალაძე და მ. ხინიკაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ა. მგელაძე, ნ. თეთრაძე, ხ. მეგრელიძე, ზ. ღლონტი. აგრეთვე აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ლ. აფხაზავა, ლ. გურგენიძე, თ. სულხანიშვილი, პ. ინწკირველი, გ. იმნაიშვილი და სხვები.

მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ თეატრის კოლექტივი ხშირად აწყობს გამსვლელ სპექტაკლებს უშუალოდ მუშათა კლუბებში, კულტურის სახლებში და სოფლის კლუბებში. 1955-1956 წლების სეზონში ბათუმის სახელმწიფო თეატრმა გამართა 47 გასვლითი სპექტაკლი და მომსახურება გაუწია ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონების 30 ათასზე მეტ მაყურებელს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, საჭიროა უფრო გავაძლიეროთ სოფლის მოსახლეობის მხატვრული მომსახურება.

ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი გაზრდილი პასუხისმგებლობით მოემზადა დეკადისათვის. თბილისის მაყურებლის წინაშე გამოსვლა ჩვენი თეატრის შემოქმედებითი ძალების ნამდვილი დათვალიერება იქნება. თეატრს განზრახული აქვს თბილისელ მაყურებლებს უჩვენოს დიდი ინგლისელი დრამატურგის უ. შექსპირის „ჰამლეტი". ჰამლეტის დადგმა ბათუმის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ზრდაზე მეტყველებს. გარდა „ჰამლეტისა", დეკადისათვის თეატრს მომზადებული აქვს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე", ვ. კანდელაკის პიესა „მაია წყნეთელი", ა. შტეინის „პერსონალური საქმე", პ. ლორიას „დინარა" და სხვ.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ჩვენი თეატრის მუშაობა, აუცილებელია გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა და დახმარება, სერიოზულად მოვეკიდოთ რეპერტუარის შერჩევას, გავაძლიეროთ საზოგადოებრივი კონტროლი სპექტაკლების ხარისხისადმი, მივაღწიოთ, რომ საზოგადოების წარმომადგენელთა სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები სპექტაკლების გარშემო უშედეგოდ არ დარჩეს, არამედ გაითვალისწინოს თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა. მხოლოდ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა დაგვეხმარება პარტიის მიერ მოთხოვნილ სიმაღლეზე ავიყვანოთ თეატრის მიერ მომზადებული სპექტაკლების ხარისხი.

* * *

საკმაო ისტორია აქვს აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გარდაქმნა თავისი მუშაობა, შეავსო რეპერტუარი და აამაღლა მხატვრული მომსახურების დონე. გასულ წელს მას წილად ხვდა საგასტროლო მოგზაურობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. რამდენიმე კონცერტი გამართა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. ანსამბლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს გასტროლები ჩატარდა მაღალ იდეურ-მხატვ-

რულ დონეზე და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი ანსამბლის კოლექტივი სისხლსავსე კოლექტივია, რომელსაც გააჩნია ყველა საშუალება დეკადაზე თბილისელი მაყურებლის წინაშე წარდგეს ახალი წარმატებებით.

* * *

1939 წლიდან აჭარაში არსებობს საბჭოთა მხატვრების კავშირი. ამჟამად აჭარაში 20-ზე მეტი მხატვარია. ნაყოფიერად მუშაობენ მხატვრები შ. ხოლუაშვილი, დ. იმნაიშვილი, გ. მეგრელიძე და სხვები. ახლახან მოეწყო აჭარის მხატვრების ნამუშევართა გამოფენა. გამოფენამ გვიჩვენა, რომ აჭარის მხატვართა კოლექტივში არიან ნიჭიერი მხატვრები, რომლებსაც შეუძლიათ კიდევ უფრო მეტის გაკეთება.

დეკადის დღეებში მოეწყობა აჭარის მხატვრების ნამუშევართა გამოფენა. წარმოდგენილი იქნება მათი საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებშიაც ასახული იქნება აჭარის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგში მოპოვებული წარმატებები. რაც მთავარია, მხატვართა ნაწარმოებებში ასახული იქნება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობა.

* * *

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათლადაა განსაზღვრული ჩვენი საზოგადოების კომუნიზმისაკენ წინსვლის გზები. ყრილობამ მთელი ძალით გაუსვა ხაზი იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების, საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით აღზრდის გაძლიერების აუცილებლობას.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მთელი საბჭოთა ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის ბაზაზე სულ უფრო და უფრო ავითარებს მეცნიერებასა და კულტურას. იქმნება ახალ-ახალი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები, წარმოებს ახალი აღმოჩენები მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რაც ამდიდრებს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების წარმატებებს.

ვ. ი. ლენინი 1918 წელს საბჭოების სრულიად მესამე ყრილობაზე ამბობდა, რომ „წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისთვის კი მოესპო უსაჭიროესი რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილება, და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 563). ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები მთელი სიცხადით ხორციელდება ჩვენს დიად ეპოქაში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აჭარის მშრომელები ფართოდ სარგებლობენ ყველა იმ სიკეთით, რაც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა — ცხოვრობენ შეძლებულად და ეწაფებიან მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტურ კულტურას.

შოთა ქუჩიძე

* *

აკაკი წერეთელი — ხალხთა მეგობრობის მომღერალი

დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი დიდი ქართველი პატრიოტიც იყო. მთელი მისი უმდიდრესი შემოქმედება გამსჭვალულია სამშობლოსადმი უღრმესი სიყვარულით. იგი ათასგვარი უხილავი სულიერი ძაფებით იყო დაკავშირებული ხალხთან, ესმოდა და იზიარებდა მის გულისთქმას, მის საუკეთესო ფიქრებსა და მისწრაფებებს,

სწორედ იმიტომ, რომ განუწყვეტლივ ხალხში ტრიალებდა და შეუსისხლხორცდა მას, აკაკიმ შეძლო უბადლო მხატვრული ოსტატობით გადმოეცა ხალხის მოწინავე იდეები. ამით აიხსნება აკაკის უდიდესი, მანამდე არნახული პოპულარობა. დაბეჭდვისთანავე ხალხი სიმღერად აქცევდა საყვარელი პოეტის ბევრ ლექსს. აკაკის ლექსებს თავის დროზე მთელი საქართველო მღეროდა და ახლაც მღერის, ხოლო ბევრი მათგანი დიდი ხანია გასცდა საქართველოს და საბჭოთა ხალხის კუთვნილებად იქცა.

თავისი მოღვაწეობის უმაღლეს მიზნად აკაკის სამშობლოს სამსახური, მშობლიური ხალხის ბედნიერება მიაჩნდა. იგი მზად იყო არა მარტო კალმით, არამედ ყველა საშუალებით მიეღო მონაწილეობა იმ დროს ჩაგრული საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, იმ საქართველოსი, რომელიც მან კავკასიის მთებზე მიჯაჭვულ ამირანს შეადარა, გულმკერდს რომ უკორტნიდნენ ურიცხვი მტრები.

ცნობილია, რომ სრულიად ჭაბუკი აკაკი ოცნებობდა სამხედრო საქმე შეესწავლა და წინ გასძღოლოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ თანამემამულეებს. იგი მოხიბლული იყო იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ბელადის ჰარიბალდის მოღვაწეობით და ერთხანს ე. წ. ჰარიბალდის ქუდსაც კი ატარებდა.

და ეს როდი იყო მარტო ყმაწვილური გატაცება. აკაკის მიაჩნდა, რომ თვითეული პატრიოტი ვალდებულია რითაც შეუძლია ემსახუროს სამშობლოს, ხოლო თუ საჭიროებამ მოითხოვა, ზვარაკად შეეწიროს მას, სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას.

ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო.

ასე ჩამოაყალიბა აკაკიმ პატრიოტის მოვალეობა ცნობილ ლექსში „თემურ-ლენგის ტყვე“.

მაგრამ აკაკის ვიწროდ, შეზღუდულად, შოვინისტურად როდი ესმოდა სამშობლოს სიყვარული. გიყვარდეს სამშობლო — ეს სრულიადაც არ ნიშნავს შეიძულო სხვა ქვეყნები, სხვა ხალხები და შეეცადო სამშობლომ ბედნიერება მოიპოვოს სხვა ხალხთა გაუბედურების გზით. არა! სამშობლოს ასეთი „სიყვარული“ დიდ პოეტს სამართლიანად მიაჩნდა შოვინიზმად, ხოლო შოვინიზმი — საძაგლობად. თავის ერთერთ სიტყვაში აკაკიმ პირდაპირ განაცხადა: „შოვინისტობა, ესე იგი სამშობლოს უკეთმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვალებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობაა!“ ასეთივე აზრი გამოთქვა დიდმა პოეტმა თავისი პატარა მეგობრებისადმი მიძღვნილ ლექსში:

მაშ, გიყვარდესთ სამშობლო!
სხვისიც ნუ შეგძულდებათ!
იყავით მოთმინებით,
ნატვრა აგისრულდებათ.

მომავალს აკაკი იმიტომ ეტრფოდა, რომ იგი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც სხვადასხვა ერების ძმური კავშირი, როცა აღარ იქნებოდნენ არც ჩაგრული და არც მჩაგვრელი ხალხები, როცა ყველანი იზრუნებდნენ ერთმანეთის დაწინაურებისა და წინსვლისათვის. თავისი ეს იდეალი შესანიშნავად გამოთქვა პოეტმა ლექსში „საქართველოს დღევანდელი სახე“.

ნეტავ. იმ დროს და მის დამსწრეს!
ზეზეულ გრძნობს ცხონებასა:
არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმეს მონებასა.
აღიარებს, მხოლოდ ძმობას,
თანსწორობას, სიყვარულსა,
და საზღვარი არ ექნება
მის უმანკო სიხარულსა!

შემთხვევითი. როდი იყო, რომ 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში აკაკიმ გადმოაქართულა ცნობილი პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი". ხალხთა ძმობის, მეგობრობისა და მშვიდრო კავშირის იდეა მისი შემოქმედების ლეიტმოტივს. ერთ-ერთ წამყვან იდეას წარმოადგენდა. მაგრამ აკაკის სიყვარულს სხვა ერებისა და მთელი კაცობრიობისადმი საერთო არა ჰქონდა რა ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმთან, რასაც, სხვათაშორის, ასე დაჟინებით ქადაგებენ დღეს რეაქციული ამერიკის იდეოლოგები. მას სულითა და გულით, მთელი არსებით ძაგდა უგვარტომო კოსმოპოლიტები. პოეტს ღრმად სწამდა, რომ კაცობრიობის სიყვარული მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც უანგაროდ და პატიოსნად ემსახურებოდა მშობლიურ ხალხს. ყველა ერს, დიდსა თუ პატარას, თავისი წვლილი შეაქვს კაცობრიობის განვითარებაში და ყოველი პატრიოტი უნდა ცდილობდეს საკუთარი ერის დაწინაურებას, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს მთლიანად კაცობრიობის წინსვლას.

ამის თაობაზე პარიზელ ქართველ სტუდენტთა მისალმების პასუხად აკაკიმ თავის სიტყვაში თქვა: „ნურავინ იტყვის, რომ არის კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო და მეც მინდა, რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახუროო!.. ფერადოვანი კაცობრიობა, სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა" უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა!.. ვისაც საკუთარი მშობელი არ უყვარს, მას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს?"

ამრიგად, აკაკი ერთი მხრივ იბრძოდა სამშობლოს უკუღმართი სიყვარულის — შოვინიზმის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ ამხილებდა და საჯაროდ კიცხავდა ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმს, რომელიც უარყოფდა ცალკეული ერებისადმი სიყვარულს ვითომდა მთელი კაცობრიობის სახელით. „ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, — ამბობდა აკაკი, — ის ეერც კაცობრიობას გამოადგება. თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატებაო".

ეს ფორმულა კლასიკური სიცხადით გადმოგვცა აკაკიმ აგრეთვე ლექსში „ხატის წინ".

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა.

ასე ფიქრობდა აკაკი და მკითხველებსაც ამ სულისკვეთებით ზრდიდა. არა შოვინიზმი და არა კოსმოპოლიტიზმი, არამედ ხალხთა მეგობრობა, ძმობა და სიყვარული ამაღლებს ადამიანს და ხდის მას ნამდვილ პატრიოტად.

თავის ამ იდეალს აკაკიმ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იუბილეს დღეებში საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" ნორჩი მკითხველებისადმი მიმართულ სიტყვაში: „ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ". და აკაკი თვითონ იძლეოდა ასეთი საღი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხური პატრიოტიზმის მაგალითს როგორც სიტყვით, ისე საქმით.

დიდ ქართველ პოეტს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ აღიზარდა რუსულ კულტურაზე და იგი ისევე შეისისხლხორცა, როგორც მშობლიური ქართული კულტურა. მას უამრავი მეგობარი ჰყავდა რუს ხალხში და უდიდეს პატივს სცემდა და ძლიერ უყვარდა ნიჭიერი, თავისუფლებისმოყვარე რუსი ხალხი. მას მიაჩნდა, რომ რუს ხალხთან მეგობრული ურთიერთობა, რუსეთთან კავშირის განმტკიცება საქართველოს წინსვლის, მისი განთავისუფლების აუცილებელი პირობა იყო და თვლიდა, რომ საქართველოს სიყვარული განუყოფელია საერთო სამშობლოს — მთელი რუსეთის სიყვარულისაგან. როგორც გაზეთი „ივერია" იტყობინებოდა, პროფესორ დ. ჩუბინიშვილის დაკრძალვისას აკაკის ხაზი გაუსვამს იმისათვის, რომ „განსვენებულს დიდად უყვარდა თავისი სამშობლო — საქართველო და მთელი თავისი სიცოცხლე იმას შეალია და სხვასაც ასწავლიდა ამ სამშობლოს სიყვარულსაო. ეს თავისი სამშობლოს სიყვარულია მტკიცე საფუძველი საერთო სამშობლოს — რუსეთის სიყვარულისო". მაშასადამე, ვისაც საქართველო უყვარს, მას რუსეთიც უყვარს. და აკაკი სასტიკად კიცხავდა ყველა გონებაშეზღუდულ „მეკავე" პატრიოტს, ვინც კი ცდილობდა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორებას.

ლექსში „თერთმეტი ენკენისთვე", რომელიც სახელგანთქმული კრწანისის გრძელის 100 წლისთავზე დაწერა, აკაკიმ მკაფიოდ და პირდაპირ გამოთქვა თავისი დამოკიდებულება რუსეთთან საქართველოს შეერთების

პრობლემისადმი და ერეკლეს პოლიტიკა მიიჩნია ერთადერთ გონივრულ პოლიტიკად. როგორც ცნობილია, კრწანისის ბრძოლას მალე მოჰყვა ძირფესვიანი გარდატეხა ქართველი ხალხის ცხოვრებაში და დააჩქარა რუსეთთან საქართველოს შეერთება. ამიტომ პოეტი მას მიიჩნევდა „დიდ უღელტეხილად“ ქართველი ხალხის ისტორიაში:

ეს არის **დიდი** უღელტეხილი
ჩვენი წარსულის და მომავალის,
მკვდრეთით სიცოცხლის მომნიჭებელი,
ძველზე გამყვანი ახალი კვალის!

ეს ახალი კვალი ძველზე გულისხმობდა ორი ერთმორწმუნე ხალხის კავშირს, რუსი და ქართველი ხალხების ძმობას და ამიტომ, აკაკის აზრით, ყველა ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი მოვალეა ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს იგი. მხოლოდ უგუნური და უმეცარი შეეცდება ამ კავშირის გაწყვეტას.

კავშირი ჯვარით გამყარებული,
კავშირი ძმური და მეგობრული...
და, ვინც იფიქროს მისი გაწყვეტა,
იყოს წყეული ღვთისგან და კრული!
ან ვინ იფიქრებს იმის გაწყვეტას,
თუ არ უგნური და უმეცარი?
ძმობა, ერთობა და სიყვარული
ქვეყნისათვის არის ციური ცვარი!..

ძმობა, ერთობა და სიყვარული ყოველი ქვეყნის ბედნიერებაა, მაგრამ იმისათვის, რომ სხვისი ძმობა და მეგობრობა შეძლო, სხვა შეგიყვარდეს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა ამაღლდე. ადამიანს კი ამაღლებს საკუთარი სამშობლოს წმინდა სიყვარული და უანგარო სამსახური. ვინც თავის ხალხს უღალატებს, ის არც სხვა ხალხს გამოადგება მეგობრად და ძმად. ამის გამო იმავე ლექსში „თერთმეტი ენკენისთვე“ აკაკი წერდა:

ჯერ უნდა თვითონ სულით ამაღლდეს,
რომ სხვას მიუძღვნას მერე მან ძმობა.
და ადამიანს რა აამაღლებს,
თუ არ მისივე წმინდა სამშობლო,
ენა, ფერადი ზნე-ჩვეულება,
ვით „წმინდათ-წმინდა“ საამასოფლო?..
განა სხვის სახლში შევა ერთგულად
თავისი მტერი და გარეწარი?

მაშასადამე, სწორედ იმიტომ, რომ საქართველო თავდავიწყებამდე უყვარდა, აკაკი წერეთელი მოითხოვდა რუსეთთან კავშირის განმტკიცებას და ქართველ პატრიოტებს ამოცანად უსახავდა ყოფილიყვნენ ღირსნი რუს ხალხთან მეგობრობისა, ე. ი. ყოველმხრივ ეზრუნათ საქართველოს დაწინაურებისათვის, პატიოსნად და უანგაროდ ემსახურათ სამშობლოსათვის. ეს იქნებოდა აგრეთვე დიდი პატივისცემა წინაპრებისა, რომლებმაც თავის დროზე სწორად გადაწყვიტეს საქართველოს ბედი, ხოლო რუსეთისადმი სიყვარულის ყოველგვარი განელება წინაპართა დიდი უპატივცემულობა და იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ნაშიერნი არ იყვნენ წინაპართა ღირსნი. პოეტი ამას ხაზგასმით აღნიშნავდა იმავე ლექსში „თერთმეტი ენკენისთვე“.

როგორც ცნობილია, აკაკის კალამს ეკუთვნის ბევრი ისტორიული პოემა, რომლებშიც აღწერილია ქართველების მიერ გადახდილი ომების ცალკეული ეპიზოდები, მაგრამ თითქმის ვერსად ვერ შეხვდებით რაიმე ისეთ გამოთქმას, რომელიც ამცირებდეს ან შეურაცხყოფდეს სხვა ხალხებს. თვით მონღოლი ნოინიც კი, რომელსაც არაერთხელ დაურბევია საქართველო, აკაკიმ როდი დაახასიათა ყოველგვარ ღირსებამოკლებულ ადამიანად. პირიქით, პოემაში „ნათელა“ ნოინი უთუოდ იმსახურებს მკითხველის სიმპათიას, როგორც ადამიანი, რომლისათვისაც უცხო როდია მაღალი მორალური თვისებები და კეთილშობილება. ეს ამკარად ჩანს მის დამოკიდებულებაში ნათელასა და ცოტნე დადიანისადმი. აქ მხრივ არანაკლებ საინტერესოა პოემები „ბავრატ დიდი“ და განსაკუთრებით „თორნიკე ერისთავი“.

პოემა „თორნიკე ერისთავი“, რომელშიც დიდი ადგილი უკავია ბატალურ სცენებს, გამსჭვალულია ჰუმანური სულისკვეთებით, ყოველი ერის ადამიანისადმი გულთბილი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით. თუ ომის ქარცეცხლში, ბრძოლით აღტყინებულნი მოწინააღმდეგე ბანაკების მეომრები — ქართველები, სომხები, სპარსელები, ბერძნები ერთმანეთს არ ინდობდნენ, სისხლისმღვრელ შეტაკებათა შემდეგ, როცა ბრძოლის ჟინი დაცხრა, ისინი უკვე აღარ ბედავდნენ ერთმანეთში მტერს. „და აღარავის არ ჰყავს მტერიო“, — ხაზგასმით წერდა აკაკი. და თორნიკემაც ბრძანა ყველა დაჭრილ მეომარს, განურჩევლად ეროვნებისა, დახმარებოდნენ, არც ერთი მოკლული დაუმარხავად არ დაეგდოთ და არ შეურაცხეყოთ ტყვეები.

სიკვდილმ ყველას ათანასწორებს:
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!..
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.
ნურვინ გაჰბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა! .

თორნიკეს ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, გადმოგვცემს თვით აკაკის დამოკიდებულებასაც ამ საგნისადმი, მის ჰუმანისტურ მისწრაფებებს.

მეტად საგულისხმოა ბრძოლის ველის აღწერაც ომის დამთავრების შემდეგ. მან არ შეიძლება არ გამოიწვიოს სიბრალული დაჭრილისა და დახოცილი მეომრებისადმი, განურჩევლად ეროვნებისა, და არ აღძრას მკითხველში კითხვა: რა აუცილებელია ერთმანეთის რბევა და აწიოკება, ერთმანეთის დალაშქვრა, ნუთუ ხალხებს არ შეუძლიათ მშვიდობით, მეგობრულად იცხოვრონ და მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ მატერიალური დოვლათის წარმოებას? აი რატომ იყო, რომ აკაკი თანაუგრძნობდა მხოლოდ თავდაცვითს, ე. წ. სამართლიან ომს. კერძოდ, ქართველი ერის ერთ-ერთ ღირსებად იგი იმას თვლიდა, რომ „დამხვდურად მეომარია“, მხოლოდ თავს იცავდა სხვათა დალაშქვრისაგან და თითქმის არ უწარმოებია აგრესიული ომები. სწორედ ეს იდეა გამოკრთის ნოინის სიტყვებში, რომელიც აკაკიმ წარმოთქმევინა მას ქართველი ხალხის დახასიათებისას:

არავის ებრძვის პირიქით,
დამხვდურად მეომარია!..
ვინც მის ქვეყანას არ ერჩის,
მოძმე და მეგობარია.

ამ იდეით არის გამსჭვალული აკაკის პოემაც „ომი“, რომელიც 1914 წელს დაწერა პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო. რამდენადაც ეს ომი გერმანიამ წამოიწყო, პოეტმა იგი მიიჩნია აგრესორად და ქართველებს მოუწოდა იარაღით ხელში, რუს ძმებთან ერთად, დაეცვა თავისი დიდი სამშობლო. ამ შემთხვევაში რუსები მას მიაჩნდა მცირე ერების დამცველად და წერდა:

და დიდ რუსეთსა, წვრილ ხალხის
დამცველს —
ნუ მოეშალოს აწ გამარჯობა.

სხვა ხალხებისადმი პატივისცემის გრძნობა მკაფიოდ მოჩანს აკაკის არაისტორიულ პოემებშიც. გავიხსენოთ მშვენიერი პოემა „გამზრდელი“, რომლის მოქმედება საქართველოს მთაში წარმოებს. მართალია, ყაბარდოელი საფარ-ბეგი ცუდად მოიქცა, მან შეურაცხყო თავისი ძიძიშვილის აფხაზ ბათუს მეუღლე, მაგრამ შემდეგ ნამდვილი რაინდობა, დიდი კეთილშობილება გამოიჩინა, რათა გამოესყიდა მძიმე დანაშაული. უნებურად ჩადენილმა საკუთარმა ბოროტებამ იგი შეაწუხა და, როცა ბათუმ გაიცხა, სავსებით სამართლიანად მიიჩნია ეს, თავისი ნებით აიყარა იარაღი და მზად იყო სიკვდილითაც კი ეზღო. დანაშაული და სინიდისი გვემრთელებინა:

ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!

ასე მიმართა საფარმა ძიძიშვილს, მაგრამ ბათუმ არ ისურვა თავისი ხელით მოეკლა ძუძუმტე, ოღონდ დავალა ყველაფერი მოეთხრო გამზრდელისათვის. საფარმა პირნათლად შეასრულა ეს დავალება და მეორედ მშვიდად მიუშვირა მკერდი დამბაჩას, ამჯერად უკვე საკუთარი გამზრდელის იარაღს. და რაოდენ კეთილშობილური, სულით მაღალია გამზრდელი ჰაჯიუსუბ! რაოდენ განვითარებულია მასში პასუხისმგებლობის გრძნობა იმ ადამიანის ქცევისა და ბედისათვის, ვისი გაწვრთნა, ვისი აღზრდაც მას მიანდეს! იგი ტყვიას იკრავს შუბლში, რადგან ბათუს საქციელში დაინახა საყვედური საფარ-ბეგის ცუდად აღზრდისათვის. პოემაში სულ ოთხი მოქმედი პირია, ოთხივე არაქართველი, მაგრამ რა უაღრესად კეთილშობილური არიან ყველანი, მიუხედავად იმ დანაშაულისა, რაც საფარ-ბეგმა ჩაიდინა!

რუსი ადამიანისადმი გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული აკაკის პოემა „სავარცხელი“. იგი მოგვითხრობს ქართველი გოგონასა და რუსი ვაჭაკაცის წმიდა სიყვარულზე, სპეტაკ გრძნობაზე. ამავე დროს აკაკი აკრიტიკებს მეფის მთავრობის „რუსიფიკატორულ-კოლონიურ პოლიტიკას, რომელიც ხელს უშლიდა, გასაქანს არ აძლევდა და აფერხებდა ასეთი ურთიერთობის განვითარებას სხვადასხვა ერის შვილებს შორის. და თვით ეს კრიტიკა მიზნად ისახავდა რუსი და ქართველი ხალხების მეტ დაახლოებას, მათი მეგობრობის განმტკიცებას.

თავის საჯარო გამოსვლებში აკაკი წერეთელი ყველგან ხაზს უსვამდა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის უდიდეს მნიშვნელობას საქართველოს ეროვნული აღორძინების საქმეში. იგი მას მიაჩნდა მშობლიური ქვეყნის არა მარტო ეროვნული, არამედ სოციალური განვითარების აუცილებელ პირობად. თავის ერთ-ერთ სიტყვაში აკაკიმ განაცხადა, რომ სწორედ ახალგაზრდა რუსეთიაო ის, „რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომლებსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.

დაუნდობლად ამხილებდა რა ცარიზმის კოლონიურ-შოვინისტურ პოლიტიკას, აკაკი წერეთელი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა განმტკიცებინა რუსი და ქართველი ხალხების, ისევე როგორც სხვა ხალხების, მეგობრობა, ექომაგებოდა ყველა ჩაგრულ ერს და მიესალმებოდა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, სადაც არ უნდა ეჩინა მას თავი. იგი იყო რუსული და მსოფლიო კულტურის დაუღალავი პროპაგანდისტი.

ცნობილია, რომ აკაკიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ნ. ვ. გოგოლის „რევიზორის" სცენაზე დადგმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში, რომელიც თბილისში გაიმართა. აკაკიმ საიუბილეო საღამოზე წაიკითხა საკუთარი ლექსი „გოგოლის ხსოვნას", რომელშიც არა მარტო აღნიშნა დიდი რუსი მწერლის ღვაწლი, არამედ ამასთან ერთად მიუთითა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა შეიქმნას იგი, ყველას საკუთრებაა, რომ ხელოვნებას არა აქვს საზღვარი. გოგოლის შემოქმედებაც რუსეთის ყველა ხალხს ეკუთვნოდა და სხვა ხალხებთან ერთად ქართველი ერიც დიდად აფასებდა გენიალურ რუს მწერალს. ამის გამო აკაკი წერდა:

უცხო არც ჩვენთვის არის
„რევიზორის" შემთხზველი,
და თავზე გვირგვინს ადგამს
ქართლში ქართველთა ხელი.

გამოჩენილი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი დაესწრო რუსული ლიტერატურის მშვენების ნ. ა. ნეკრასოვის დაკრძალვას პეტერბურგში და ამის თაობაზე ძლიერ გულთბილი კორესპონდენცია დაბეჭდა რუსულ გაზეთ „ობზორში", რომელსაც ნიკო ნიკოლაძე რედაქტორობდა. ამ კორესპონდენციაში აკაკიმ ნეკრასოვს უწოდა „ერთ-ერთი გამოჩენილი რუსი პოეტი" და გადმოგვცა ის საყოველთაო-სახალხო სიყვარული, რომლითაც გამსჭვალული იყო მოწინავე რუსული საზოგადოება მისდამი. სხვათაშორის აკაკიმ ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ პროცესიის მონაწილე ახალგაზრდობა ნეკრასოვის შემოქმედების შეფასებაში არ დაეთანხმა საკვეყნოდ ცნობილ რუს მწერალს თ. დოსტოევსკის, რომელმაც თქვა: „ნეკრასოვი თამამად შეიძლება დავაყენოთ პუშკინისა და ლერმონტოვის გვერდითო". აი როგორ აღწერს ამ საინტერესო ეპიზოდს აკაკი წერეთელი: „უფრო მაღლა, უფრო მაღლა!" — დაუყვირეს ორატორს ზოგიერთებმა და სიტყვა გააწყვეტინესო".

1910 წელს, როცა გარდაიცვალა გენიალური რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი, აკაკიმ მის ხსოვნას მიუძღვნა მოკლე, მაგრამ მეტად მგრძნობიარე, სიყვარულით გამსჭვალული სტატია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლევ ტოლსტოი რუსეთის ნამდვილი სიამაყე, გენიოსი ხელოვანი იყო, რომელმაც სახელი გაუთქვა რუსეთს და „ცამდე აიყვანა მისი დიდება". ამიტომ, ბუნებრივია, რომ მისმა სიკვდილმა „დიდად შეაძრწუნა ყველა ადამიანიო". დაახასიათა რა ლევ ტოლსტოი როგორც „გენიოსი ხელოვანი", აკაკიმ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის გამარევოლუციონერებელ მნიშვნელობას. იგი წერდა: „ძველნი რაც მალე დაემხობიან, ისა სჯობს. ამას, რასაკვირველია, ბევრი გრძნობს, მაგრამ ისე შეგნებულად და გამბედავად მებრძოლს, როგორც ტოლსტოი იყო მთელს მის სიცოცხლეში, ძვირად ვხედავთ... ის ჰქადაგებდა: „ერთობას, თანასწორობასა და სიყვარულს". წინააღმდეგი იყო ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრისა, დიდისაგან პატარის ჩაყლაპვისა... აი ამით მიიზიდა მან ყველა დაჩაგრულთა გული და გაიჩინა მიმდევრები არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიაც, როგორც მოციქულმა და მახარობელმა მომავლისამ". დასასრულ აკაკი დაასკვნიდა: „მაშ რა საკვირველია თუ ქართველებიც დღეს მას გულწრფელად იგლოვებენ?"

აკაკი წერეთელი გულწრფელად პატივს სცემდა ყველა რუს მოღვაწეს, რომლებიც სიყვარულით ეკიდებოდნენ ქართველ ხალხს და ზრუნავდნენ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის. როგორც ახლა ცნობილია, იგი პირადად იცნობდა გამოჩენილ რუს პოეტს იაკობ პოლონსკის, რომელიც საქართველოში მსახურობდა და 40-იან წლებში თბილისში გამოსცა ქართულ თემებზე შექმნილ ლექსების კრებული „საზანდარი". იაკობ პოლონსკი საქართველოს თაყვანისმცემელი იყო და, სხვათაშორის, 1892 წელს მონაწილეობა მიიღო აკაკის პატივსაცემად მოსკოვში გამართულ ლიტერატურულ საღამოში. აკაკიმ მას მიუძღვნა გულთბილი ლექსი, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა პოლონსკის მოღვაწეობას საქართველოში. იგი პოლონსკის უპირველეს ყოვლისა პატივს სცემდა იმისათვის, რომ არ ჰგავდა იმ ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში იდეალად მეთვეზე ჰყავს „და ცხოვრების წმინდა წყაროს ამტუტებს და ამღრევს ძალად", რათა პირად წარმატებას მთელი ერის ბედი შესწიროს. პოლონსკი, აკაკის დახასია-

ოებით, სულ სხვა იყო: „მისთვის ცხვრები არ ვიყავით, ის არ იყო ჩვენთვის მგელიო“ და

ჩვენ ხალხს თავი შეაყვარა
და უყვარდა ჩვენი ერი.

საგულისხმოა, რომ აკაკიმ ამ ლექსში („ლედბრის მოგონება“) პოლონსკის უწოდა „სულმნათი და მომღერალი“, ე. ი. ამ შემთხვევაში გამოიყენა ეპითეტი, რომლითაც მან რუსთაველს მიმართა („სულმნათო, მადლი შენს გამჩენს“...). ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, თუ რაოდენ უყვარდა აკაკის რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისათვის დაუცხრომელი მოღვაწე.

აკაკი წერეთელი პირადად იცნობდა აგრეთვე უკრაინული ლიტერატურის სიამაყეს ტარას შევჩენკოს და არაერთხელ განუცხადებია, რომ მისგან ისწავლა, თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული. როგორც პოეტი ი. გრიშაშვილი გადმოგვცემს, აკაკის სიტყვა ტარას შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით მოისმინა. თავის სიტყვაში აკაკიმ დამსწრეთ მოუწოდა: „გიყვარდეთ თქვენი სამშობლო და დედა-ენა, ისე როგორც განსვენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგან მისი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნებაო“. სიტყვის შემდეგ მოძმე ხალხის საყვარელი პოეტისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად აკაკი მივიდა შევჩენკოს ბიუსტთან, შუხლი მოიყარა და ჰაღარა თავი დახარა მის წინაშე.

აკაკის ამ დაუვიწყარ გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ შევჩენკოს იუბილე მეფის მთავრობამ მთელ რუსეთში აკრძალა. გამოჩენილი ქართველი პოეტის სიტყვამ დიდად შეუწყო ხელი უკრაინელი და ქართველი ხალხების დაახლოებასა და მეგობრობის განმტკიცებას. შემთხვევითი როდი იყო, რომ აკაკის სიტყვის მოსმენის შემდეგ უკრაინელები პარტერში ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ქართველებს, ხოლო ბაქოში, აკაკისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე, უკრაინელებმა ქართველ მგოსანს ტარას შევჩენკოს სურათი მიართვეს. ამ ფაქტში გამოხატულება ჰპოვა ორი მოძმე ერის — უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობამ, მათი იბტერესების ერთიანობამ.

განსაკუთრებით ფართო ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდა აკაკის სომხური და აზერბაიჯანული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. ცნობილია, რომ აკაკიმ სამი ლექსი უძღვნა გამოჩენილ სომეხ დრამატურგს გაბრიელ სუნდუკიანცს, რომელსაც დიდად აფასებდა არა მარტო როგორც ნიჭიერ ხელოვანს, არამედ უპირველეს ყოვლისა როგორც ჰუმანიტ პატრიოტს, როგორც ხალხთა მეგობრობისათვის დაუღალავ მებრძოლს. ამიტომ იყო, რომ, აკაკი მას უწოდებდა მეგობარს, კიდევ მეტი — ძმას. გ. სუნდუკიანცისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში აკაკი პირდაპირ წერდა:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა.

დიდ ქართველ პოეტს მიაჩნდა, რომ როგორც მისი, ისე გ. სუნდუკიანცის ამოცანა ის იყო, რომ ყოველი ღონისძიებით განემტკიცებინათ თავიანთი ხალხებს მეგობრობა.

გაურჩევლად გვარ-ტომობის,
ყველასათვის კეთილი მსურს,
ვინც კი კაცად-კაცადია
და სიმართლით გული უხურს.
ერთობას და მასთან ძმობას
არაფერი მირჩევნია!..
ამ კავშირის ორ-ძალობა
იმ თავითვე შემიგნია.

ასე წერდა აკაკი სომეხი მეგობრისადმი მიძღვნილ ლექსში თავისი იდეალის შესახებ, ხოლო როცა გ. სუნდუკიანცი გარდაიცვალა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთივე იდეალი ამოძრავებდა სომეხი ხალხის გამოჩენილ შვილს:

დღეს მარხავენ ადამიანს
გრძნობიერს და გონიერსა,
ვინც რომ ჰფენდა ციურ ნათელს
განურჩევლად ყოველ ერსა.
ოღონდ კაცი ყოფილიყო,
მისთვის იყო ყველა ერთი!
სიმართლე და თანსწორობა
იყო მისი რწმენა ღმერთი!

იდეალების ეს ერთობა იყო გ. სუნდუკიანცისა და აკაკი წერეთლის მეგობრობის გრანიტისებური საფუძველი. იგი სიამაყით აღნიშნავდა, რომ ქართველ ხალხს არაერთხელ გაუწვდია დახმარების ხელი სომეხი ხალხისათვის და თავადაც არაერთხელ მიუღია ასეთი დახმარება. სიამოვნებით წერდა რა ამის შესახებ, აკაკი თავის მკითხველებს მოუწოდებდა კვლავაც ყოველი ღონისძიებით განემტკიცებინათ ამ მოძმე ხალხების მეგობრობა.

აკაკიმ გულთბილი ლექსი მიუძღვნა სომხური კულტურის მეორე გამოჩენილ მოღვაწეს. კომპოზიტორ იოსებ ტერ-დავიდოვს. ეს ლექსი („კომპოზიტორის ალბომში“) პოეტს დაუწერია 1905-1906 წლებში და, უპირველეს ყოვლისა,

საყურადღებოა იმით, რომ შეიცავს არა მარტო ხელოვნების სხვადასხვა დარგის, არამედ სხვადასხვა ერების მოღვაწეთა თანამშრომლობის იდეას:

მაშ, მოდი და შევხმატკბილდეთ:
მომიხმარე... მომეხმარე!

ასე მიმართავდა აკაკი თავის ძვირფას მეგობარს, რომელიც აგრეთვე დიდად აფასებდა ამ ყურადღებასა და სიყვარულს. „მე წილად მხვდა, — წერდა ი. ტერ-დავიდოვი, — დიდ პოეტ აკაკისთან მჭიდრო მეგობრობა, რომელსაც ვუფრთხილდებოდი, როგორც თვალის ჩინს“.

დიდი სიყვარულით ეკიდებოდა აკაკი აგრეთვე მოძმე აზერბაიჯანელ ხალხს. საკმარისია ითქვას, რომ მისი მეოხებით გაეცნო ქართველი მკითხველი დიდი აზერბაიჯანელი მწერლის მირზა ფატალი ახუნდოვის ცნობილ კომედიას „ხანის ვეზირი“. ეს პიესა შემდეგ დადგა ქართულმა დასმა და უდიდესი წარმატებით სარგებლობდა.

გასაგებია, რომ ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერალი აკაკი წერეთელი ყოველთვის მტკიცედ და გაბედულად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა შური და მტრობა გაეღვივებინა რუსეთის ხალხთა შორის და ერთმანეთისათვის წაეკიდებინა სხვადასხვა ერები. აკაკიმ მკაცრად დაგმო შავრაზმელი კატკოვი, რომელმაც პრესა იმისათვის გამოიყენა, რომ ძირი გამოეთხარა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისათვის. საგულისხმოა, რომ აკაკიმ იქვე მიუთითა — კატკოვი არ გამოხატავს რუსეთის მოწინავე ადამიანების აზრსო: „არა გვგონია, — წერდა ამის თაობაზე აკაკი, — რომ პატიოსან და რიგიან რუსს მოეწონოს ეს კორესპონდენციაო“.

აკაკის არაერთხელ მკაცრად გაულაშქრნია პოეტ ვასილ ველიჩკოს წინააღმდეგ, ველიჩკოსა, რომელსაც თავი მოჰქონდა ქართული კულტურის ტრფიალად და განსაკუთრებით აძაგებდა სომხებს. აკაკიმ მაშინვე გამოიცნო მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის ერთგული დამჭაშის ნამდვილი მიზნები და სამართლიანად დაინახა მასში როგორც სომეხი, ისე ქართველი ხალხის უბოროტესი მტერი, რომელიც თვითმპყრობელობის სასარგებლოდ ცდილობდა ერთმანეთისათვის წაეკიდებინა ამიერკავკასიის ხალხები. ლექსში „ყიზილბაშური“ მან აშკარად გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ველიჩკოს ასეთი მავნე „მოღვაწეობისადმი“.

თვალი დაუდგეს ქართველ კაცს,
ველიჩკოს მოტრფიალესა!
ვერ ხედავს, მის დასაკლავად
რომ მან მახვილი გალესა?
სომხებს რომ უყეფს, იმავ დროს
კუდს უქიცინებს ქართველსა,
მაგრამ ორივეს თანსწორად
ანთხევს საწამლავ-ნაღველსა.

შემდეგ აკაკი აღნიშნავდა, რომ ცბიერ ველიჩკოს ორივე ხალხი — ქართველიცა და სომეხიც ფეხებზე ჰკიდია და „მისი მუცლის ტკივილი სხვაგვარი „გზა და ხიდიაო“. სხვათაშორის, აკაკიმ ველიჩკო ასევე უარყოფითად დაახასიათა თავის შვილ ალექსისთან საუბარშიც: „არ არის კაი კაცი ველიჩკო, მაგას უნდა ჩვენ და სომხები გადაგვკიდოს ერთმანეთსო“.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის აკაკი წერეთლის გამოსვლას სომეხ-თათართა შეტაკების დროს 1905 წელს. ეს შეტაკება, როგორც ცნობილია, მოაწყო მეფის თვითმპყრობელობამ, რომელსაც სხვადასხვა ერების ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზებით სურდა შეენელებინა რევოლუციის გაქანება. აკაკიმ მაშინვე რჩევით მიმართა ორივე მოძმე ხალხს შეეწყვიტა ძმათამკვლელი სისხლიანი შეტაკებანი და მახვილი აღემართა საერთო მტრის — მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ კეთილშობილურ მიზანს ისახავდა აკაკის ცნობილი ლექსი „რჩევა.“

გააგდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა!..
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა.
ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომაა.
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?
შეერთდით, ძმებო! შერიგდით!
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა.

რუსეთის ერების მეგობრობა და ძმური კავშირი აკაკის სამართლიანად მიაჩნდა მძლავრ ძალად, რომელსაც შეეძლო უკან დაეხევინებინა თვითმპყრობელობისათვის, იმის გარანტიად, რომ ყველა ჩაგრულ ხალხს თავისუფლება მოეპოვებინა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში აკაკის, როცა გ. სუნდუკიანცისადმი მიძღვნილ ლექსში წერდა:

მეც წამახდენ... შენც წახდები!
გავაცინებთ მხოლოდ მტერსა!
ჩვენ ვიყვირებთ „ვაი დედას“,
ეს კი — „მრავალ-ჟამიერსა“.

აკაკი წერეთელი ებრძოდა არა მარტო მეფის თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკას, არამედ საერთოდ ყოველგვარ კოლონიალიზმს, ე. წ. „ძალის პოლიტიკას“ და მხურვალედ თანაუგრძნობდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამას ნათლად მოწმობს აკაკის ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსიც „არაბ ფაშა“. იგი დიდმა ქართველმა პოეტმა მიუძღვნა ეგვიპტის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილი მეთაურს არაბ ახმედ-ბეის, რომელიც იბრძოდა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ლოზუნგით „ეგვიპტე ეგვიპტელებისათვის“. ამ ლექსში აკაკიმ დაუნდობლად ამხილა იმპერიალიზმის მტაცებლობა, ბურჟუაზიული დიპლომატიის ფარისევლობა და უსამართლობა. „გინდა ცამდინაც სტყუოდეს; ვინ გაამტყუნებს ძალასა?“, წერდა აკაკი და შენიშნავდა, რომ ბურჟუაზიული დიპლომატია მოწოდებულია კანონიერად მოგვაჩვენოს ძალის თვითნებობა.

უსამართლობა წინ მიდის
კანონიერის გზებითა:
სრული უფლება ეძლევა
სხვადასხვა კონგრესებითა.

ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი პოეტის აკაკი წერეთლის მოღვაწეობამ არა მარტო ქართველი, არამედ სხვა ხალხებისა და მათი საუკეთესო ადამიანების პატივისცემა და აღიარება მოიპოვა, 1913 წლის დამდეგს, როცა აკაკი მოსკოვს ესტუმრა, რუსეთის ამ დიდი ქალაქის პრესა ვრცლად აშუქებდა გამოჩენილი ქართველი პოეტის შემოქმედებას და მის ყოფნას მოსკოვში.

ერთ-ერთი გაზეთი მაშინ წერდა: „ქართველი პოეტი წერეთელი ამჟამად იმყოფება ჩვენს სტუმართ-მოყვარე მოსკოვში. რუსეთის მოწინავე საზოგადოების მოვალეობაა მიესალმოს მას, როგორც პატარა კეთილშობილი ხალხის წარმომადგენელს და უთხრას მას, რომ რუსის ხალხის გულწრფელ სურვილს შეადგენს „ორი ღის“ ნდობასა და თავისუფლებაზე დამყარებული ძმობა“.

იმ დღეებში აკაკის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს ესწრებოდნენ ცნობილი პოეტი ვალერი ბრიუსოვი, კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი, მწერალი ა. ტელეშოვი, სომეხი პოეტი ვაჰან ტერიანი და სხვ. ბანკეტზე აკაკისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ვ. გულიაროვსკიმ. წაიკითხეს აგრეთვე სომეხი პოეტის ა. ცატურიანის წერილი. ამ წერილში პოეტი წერდა: „ხალხს, რომელმაც წარმოშვა აკაკი წერეთელი, — შემოქმედებითი აზრის არწივი, — შეუძლია იამაყოს თავისი სულიერი ძალების სიმდიდრითა და ახოვანებით“.

მეორე სომეხი მწერალი ვაჰან ტერიანი, რომელიც ამავე საღამოს დაესწრო, ასე გადმოგვცემს აკაკისა და ახალგაზრდობის დამოკიდებულებას: „თითქოს უთვალავი შვილები თავიანთი მოხუცი მამის წინაშე მოურიდებლად ამჟღავნებენ გულში დაფარულ სიყვარულს და ცდილობდნენ დაეტკბოთ მისი მრავალჯერ ეკლით ნაჩხვლეტი და შხამით მოწამლული გული, გაემხნევებინათ მისი სევდით აღსავსე და ღრმა ფიქრებით მოცული სიბერე“.

საგულისხმოა, რომ აკაკიმაც დამსწრე ახალგაზრდობას შვილები უწოდა. ამრიგად, ეს საღამო იყო აკაკის დიდი ნიჭისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთსულოვანი აღიარების ძალიან გამოხატულება.

უფრო ადრე აკაკისადმი მიძღვნილი საღამო წარმატებით გაიმართა პეტერბურგში. საღამოში მონაწილეობა მიიღო გამოჩენილმა რუსმა მოღვაწემ ლ. სობინოვმა, რომელმაც სპეციალურად უმღერა აკაკის ერთ-ერთი აღმოსავლური რომანსი და ძმურად გადაეხვია მას. უფრო ადრე აკაკის მოღვაწეობის 50 წლისთავი მხურვალედ მიულოცეს სტანისლავსკიმ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ, ვ. კოროლენკომ, სუმბათაშვილ-იუჟინმა, პროფ. საკულინმა და სხვ. დიდი საიუბილეო საღამო გადაუხადეს ქართველ პოეტს ბაქის მშრომელებმა და ა. შ.

აკაკის მოღვაწეობამ გამოხმაურება ჰპოვა უცხოეთშიც. როცა თბილისს ეწვია შექსპირის როლების უბადლო შემსრულებელი, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული იტალიელი მსახიობი ერნესტო როსი, მან დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საზოგადოება „სულგანაბულ უგდებდა ყურს პიესას და კარგად ესმოდა დიდებულის პოეტის ნამოქმედარი, მისი მაღალი პოეზია და ღრმა აზრები“. შემდეგ მან გაუცხადა, რომ საზოგადოების ასეთი მომზადებაა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მოღვაწეობის შედეგიაო და შესვა მათი სადღეგრძელო. აკაკი იყო დიდი მეგობარი გერმანელი მწერლის არტურ ლაისტისა და ინგლისელი მარჯორი ფორდროპისა, რომელსაც გულთბილი ლექსიც მიუძღვნა.

პარიზში აკაკის ყოფნისას ერთ-ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა სპეციალური წერილი მოათავსა აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას პატივს სცემს რუსეთის ყველა ხალხი. შეეხო რა აკაკის იუბილეს, რომელიც 1908 წელს გადაიხადეს, სტა-

ტიის ავტორი წერდა: „ასეთი დღესასწაული საეკვოა განეცადოს რომელიმე პოეტს, ვიქტორ ჰიუგოს გარდა. მისი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მას მიესალმა 200-ზე მეტი დეპეშა. მსოფლიოს ყველა მხარიდან მოუვიდა მისალოცი დეპეშები. ჟურნალებმა მიუძღვნეს მთლიანი ნომრები, მოსკოვისა და პეტერბურგის პრესამ გაუმართა ნამდვილი პოეზიზი".

აკაკის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა პარიზში გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა და არქეოლოგმა დე-ბაიმ. კერძოდ, მან თქვა: „თვისის გენიოსობით და თვისის ბიროვნებისა და ნაწარმოებთა მოქხიბვლელობით, ის გვიჩვენებს, თუ რა სიმაღლემდე მიაღწევს ნაციონალური ჭკუა-გონება, სამშობლო ნიადაგზე განვითარებული და უმწვერვალესობამდე ასული..."

განსაკუთრებით ააღელვა აკაკი იმ ყურადღებამ, რომელიც მისდამი გამოიჩინეს შორეული დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლებმა. როცა აკაკის 1904 წელს დამბლა დაეცა და დაიწყეს შეწირულების შეგროვება საზღვარგარეთ მგოსნის სამკურნალოდ გასამგზავრებელი სპეციალური ფონდის შესაქმნელად, თავიანთი შეწირულება გამოუგზავნიათ უბრალო ჩინელ ადამიანებსაც. ამ ფაქტს ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია აკაკიზე, რომ მას საჭიროდ ჩაუთვლია სპეციალური სამადლობელი წერილი გამოექვეყნებინა „ივერიაში". აკაკი წერდა: „აღარ ვიცი, რით გადავუხადო მათი თანაგრძნობა იმ უცხოელ ჩინელებს, რომელთაც არ დაუშურებიათ თავისი მხრით მათი წვლილი... მეც მათ პატივისცემას სამარეში თან ჩავიტან".

ეი ასე უყვარდათ აკაკი, უპირველეს ყოვლისა კი იგი უყვარდა ხალხს, უბრალო ადამიანებს, რომელთა გულისთქმასაც პოეტი გამოხატავდა. და აკაკის ღრმად სჯეროდა სამშობლოს, მშობლიური ხალხის მომავალი. ამ რწმენით არის გამსჭვალული მთელი მისი შემოქმედება. ეს რწმენა, ეს ოპტიმიზმი ემყარებოდა იმის შეგნებას, რომ ქართველი ხალხი მარტო არ იყო თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა, უწინარესად კი დიდი რუსი ხალხი, რომელიც დღითიდღე აძლიერებდა ბრძოლას რუსი და ქართველი ხალხების საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ.

სწორედ ხალხი, უბრალო ადამიანები, მშრომელები მიაჩნდა აკაკის იმ ძალად, რომელსაც შეეძლო საქართველოს ხსნა, მისი განთავისუფლება. ერთ-ერთი საუბრისას აკაკიმ გლეხებს ასე მიმართა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფესვი საქართველოს ეროვნებისა თქვენა ხართო". იგი ეხურვალედ მიესალმა საბრძოლო ასპარეზზე მშრომელთა გამოსვლას. ხალხის რევოლუციური გამოსვლები მას ბიბლიური სამსონის ძალას აძლევდა და საქართველოს მომავლის ღრმა რწმენას განუმტკიცებდა, ლექსში „საქართველოს დღევანდელი სახე" 1902 წელს აკაკი წერდა:

შაგრამ ეხედავ, მომავალში
გამოსულა მუშად ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.
ჭამარჯობა ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მომავალსა!
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზას და კვალსა.

დაუღალავად იბრძოდა რა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის, აკაკი წერეთელს სურდა თავისი საყვარელი სამშობლო ეხილა თავისუფალი და ბედნიერი, რუსეთის ყველა ხალხთან ძმურ კავშირში, ერთიან ოჯახში. ლექსში „წერილი პატარა მეგობრებს" მოხუცი აკაკი წერდა, რომ ასეთი დღე აუცილებლად დადგება, მაშინ ნახეთ ჩემი საფლავი და სიცილით ჩამომძახეთო:

„აგისრულდა ახლა კი,
რასაც რომ მოელოდი,
მეგობარო აკაკი!".

ეს დღეც დადგა. ახლა ქართველი ხალხი თავისუფალი და ბედნიერია, საქართველო კი აღორძინებული. იგი ცხოვრობს ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში და მათთან ერთად წარმატებით აშენებს კიდევ უფრო ბედნიერ მომავალს — კომუნიზმს.

ეღისო აბრამიშვილი

* *

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა საკმაოდ მცირეა: ჩვენამდის მოაღწია პოეტის მხოლოდ თვრამეტმა წერილმა, აქედან ერთი პატარა ნაწყვეტის სახით არის წარმოდგენილი.

პოეტის პირველი წერილი 1831 წლის 3 სექტემბრით არის დათარიღებული.

1831 წლიდან მოკიდებული, თითქმის ექვსი წლის მანძილზე, ნ. ბარათაშვილის წერილები არა ჩანს. ამდენად პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობა ვერავითარ ცნობას ვერ გვაწვდის მისი მოწაფეობის, ყრმობის წლების შესახებ. მწერლის შემდეგი ბარათი, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია, დაწერილია 1837 წლის თებერვალში. როგორც ვიცით, ნ. ბარათაშვილი ამ ხანებში უკვე მსახურობდა.

ნ. ბარათაშვილის უკანასკნელი წერილები 1845 წლით თარიღდება. ამ დროს ჩვენი დიდი პოეტის ცხოვრება დასასრულს უახლოვდებოდა.

პოეტის წერილები მიმართულია გრიგოლ, ზაქარია და მაიკო ორბელიანებისადმი, ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისა და მიხეილ თუმანიშვილისადმი.

ნ. ბარათაშვილის ყველაზე უფრო საყვარელი და ძვირფასი მეგობარი მისი ბიძა პოეტი გრიგოლ ორბელიანი იყო. პატარა ტატომ ბავშვობა გრ. ორბელიანის ოჯახში გაატარა. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი დისწულის მიმართ პოეტი ბიძა განსაკუთრებულ სითბოს ამჟღავნებდა. ნ. ბარათაშვილისადმი ნაზ, მეგობრულ დამოკიდებულებას კარგად მოწმობს გრ. ორბელიანის კერძო წერილები.

გრ. ორბელიანის გულწრფელ სიყვარულს ნ. ბარათაშვილიც ასეთივე გრძნობით პასუხობდა და, იქნებ, მისი მგრძნობიარე ბუნება კიდევ უფრო ღრმა სიყვარულსაც ატარებდა პოეტი ბიძის მიმართ. ბიძა-დისწულს არა მარტო ნათესაური კავშირი აერთიანებდათ. არამედ, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ნიჭი, საერთო შემოქმედებითი ინტერესები. ამ. ვითარების მკაფიო დასაბუთებაა გრ. ორბელიანისადმი ნ. ბარათაშვილის წერილები. შემთხვევითი რომ. ია, რომ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ყველაზე უფრო მეტი რაოდენობით გრ. ორბელიანისადმი მიწერილ ბარათებს ვხვდებით.

ნ. ბარათაშვილის წერილები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდა პოეტს გრ. ორბელიანი მიაჩნდა თავისი სულის სწორად და ამავე დროს უფროს მეგობრად, რომლის რჩევა-დარიგება მისთვის, როგორც ჩანს, მეტად საგულისხმო იყო. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანისადმი მიწერილ ბარათებში ხშირად ურთავდა თავისი მხატვრული შემოქმედების ნიმუშებსაც. ბიძა—მეგობრისადმი მიწერილ წერილებში ვხვდებით ნ. ბარათაშვილის შემდეგ ლექსებს: „ღამე ყაბახზედ", „ვპოვე ტაძარი", „მერანი", „სულო ბოროტო".

1841 წ. ლექსის „ვპოვე ტაძარი" გამო ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს სწერდა: „ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დავწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. შენი აზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა".[1] ხოლო 1842 წ. ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს უგზავნის თავისი შემოქმედების შედეგრს „მერანს" და, როგორც ამ წერილიდანაც ჩანს, დაინტერესებულია. თუ როგორ შეაფასებს ამ ლექსს გრ. ორბელიანი.

გრ. ორბელიანი ნ. ბარათაშვილის შთაგონების წყაროც იყო. 1837 წელს, როდესაც გრ. ორბელიანი ვილნოში იმყოფებოდა, ნ. ბარათაშვილი მას ვრცელ წერილს უგზავნის. აქვე ურთავს იგი ორ ლექსს: ერთია ლექსი, მიძღვნილი თვით გრ. ორბელიანისადმი და მეორე—„ღამე ყაბახზედ".

პოეტის ბიოგრაფების გადმოცემით ნ. ბარათაშვილი იყო სიცოცხლით სავსე, მხიარული, მკვირცხლი, ენამოსწრებული, ცნობისმოყვარე და ტოლამხანაგებისათვის მუდამ სასურველი

---

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი", 1945 წ., გამოც., გვ. 80.

და საყვარელი ადამიანი. ამასთანავე იგი შესანიშნავად ცეკვავდა, გატაცებით თამაშობდა ბანქოს; ამ უკანასკნელმა გარემოებამ ხელიც კი შეუშალა ზოგიერთ ბიოგრაფს მისი პიროვნების სწორად გაგებაში. შეცდომა იქნებოდა, ნ. ბარათაშვილის პიროვნების არსებით მხარედ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ეს თვისებები მიგვეჩნია. იყო მეორე ბარათაშვილი — დინჯი, კეთილსინდისიერი თავისი საქმის მიმართ. მუყაითი, ღრმაზროვანი, უაღრესად მგრძნობიარე, დიდი განცდების ადამიანი.

ნ. ბარათაშვილი პირად წერილებში, ერთი მხრივ, მოჩანს, როგორც უბრალო ადამიანი, თავისი ახალგაზრდული გატაცებით, ყოველდღიური, წარმავალი ინტერესებით, ხოლო მეორე მხრივ, როგორც უკვდავი შემოქმედი, ღრმა ფიქრებითა და განცდებით, დიდი მოთხოვნილებებითა და ინტერესებით.

პოეტის ჭაბუკური აღტყინება აშკარად ჩანს მიხეილ თუმანიშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში (წერილი დათარიღებულია 1838 წ.). ნ. ბარათაშვილი ამ წერილში გატაცებით ლაპარაკობს სატრფოზე, რომლისათვისაც მიუძღვნია ლექსი „ასტრა". პოეტი კმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ სატრფოს მისი გულისთქმა ესმის. იქვე ახალგაზრდული მოუთმენლობით ატყობინებს შეყვარებული პოეტი მეგობარს, რომ იგი ამ საღამოს წყნეთში მიემგზავრება, სადაც მას თავისი მშვენება ეგულება.

წერილის დასასრულს ვკითხულობთ: „მაშ მოკვდი, ბზ!" ამ ფრაზაში მეღავნდება ახალგაზრდა, შეყვარებული ნ. ბარათაშვილის აღფრთოვანება, გამოწვეული სატრფოსთან მომავალი შეხვედრით, და ისიც, რომ ამ ფრაზით („მაშ მოკვდი, ბზ!") ნიშნს უგებდა ამ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, დაჩაგრულ მეგობარს.

1844 წელს, როდესაც გაჩაღებული იყო ბრძოლა შამილის წინააღმდეგ, როდესაც ქალაქი დაცარიელდა მამაკაცებისაგან, ნ. ბარათაშვილი ასეთი იუმორით სავსე ფრაზებს სწერს გრ. ორბელიანს: „დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია"[1] წერილის ეს ადგილი აშკარად მოგვაგონებს „მაშ, მოკვდი, ბზ"-ს ავტორს.

[1] „ნიკოლოზ ბარათაშვილი", 1945 წ. გამოც., გვ. 89.

ნ. ბარათაშვილი წერილებში ხშირად აცნობებს თავის ნათესავ-მეგობრებს ყოველდღიურ წვრილმან ამბებს. დაწვრილებით მოუთხრობს მათ იმ წვეულებათა შესახებ, რომლებშიაც პოეტი; როგორც ჩანს, მუდამ ხალისით მონაწილეობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით უხვ მასალას იძლევა ბარათაშვილის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი. ამ ბარათში პოეტი გატაცებით, მოხდენილად აგვიწერს თავისი დის — კატოს ჯვარისწერას და თითქმის მთელ ქორწილს.

ნ. ბარათაშვილის წერილები სავსეა სიცოცხლის სიყვარულითა და ხალისიანი იუმორით. აი, ამის ერთ-ერთი მაგალითი:

„საყვარელო დაო, მაიკო! — წერს ნ. ბარათაშვილი თავის მეგობარ ქალს, — მართლა, თუ შენ თვითონ ავი ენა არა გაქვს, აბა რა მოგაგონდება. ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახავად აღარ გინდივარ, ზედ გეტყობა, რომ სტყუი, თვარემ, თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომები. — აი ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვსთქვა — და შენ კი მაშინვე გაჯავრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვსთქვათ, ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?.. აი, აკი გითხარ, გაჯავრდები მეთქი. არა შენ რა გაჯავრებს? ეგ სწორედ იმასა ჰგავს, რომ კაცს ღვთის წყალობა უთხრან და გაჯავრდეს; შენ რა? აგრე გაწბილებაც იქნება. მანანას ეგონება, სიანჩხლით გაწითლდი, ივანე კი ჩაიცინებს. აბა, ნახე, შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მაბრალებ, მე რა ვსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ... რამ დამავიწყა?.. ოჰ, მოგონდა, ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას მსარჩელელი შენა ხარ! აბა ჩემზე თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო?

კარგი, შევრიგდეთ! ხელთ-საქმეს თურმე მიკეთებ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ, გეგონოს მრავლობითად რომ გეუბნები). — რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ. — მე კი არა გთხოვთ, და თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ხელმწიფე იმპერატორმა. და თუ არა და ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ.

აბა რა გამოგიგზავნო? ბოროწეული, ყურძენი, ატამი, ხოხობი, დურეჯი, ჯეირანი, აბრეშუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ ფაბრიკებში და მაღაზინებში, ამის მეტი არა არის რა. —

ახალ დანიშნულს, თუ პატარძალს, სოფიოს მოახსენე თუ შეგხვდეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ ჩქარა გამიკეთოს; ვინც მე ზონარს მამიქსოვს, აგრე ჩქარა გათხოვდება.“[1] —

აღსანიშნავია აგრეთვე პოეტის იუმორი, რომელიც ზოგჯერ სარკაზმშიც კი გადადის. ერთ-ერთ წერილში ნ. ბარათაშვილი პლატონ იოსელიანზე ასე წერს:

„ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დასწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ვეღარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს!“[2]

ასეთ კომიკურ ფერებში წარმოგვიდგინა ნ. ბარათაშვილმა ცნობილი პლატონ იოსელიანი.

ასევე ენამოსწრებულად შენიშნავს იგი ივანე ორბელიანის (მანანას ვაჟის) გამო მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში: „ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს, ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დაბნია!“[3] ხოლო ერთ ადგილას ილია ორბელიანზე ნ. ბარათაშვილი ამბობს: „ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული, დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს.“[4]

იუმორისტულად მიმართავდა ნ. ბარათაშვილი ხშირად თავის საყვარელ ბიძასა და მეგობარს გრ. ორბელიანს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ავარიის უფროსობა მიიღო. 1843 წლის 18 ივნისს გრ. ორბელიანი ასე წერდა თავის ძმას ილიას: „ზედ უთუოდ დააწერეთ წიგნსა Правителю Аварии თორემ არ მივიღებ.“[5] უთუოდ ამის საპასუხოდ მიმართავდა ნ. ბარათაშვილი იმავე წელს გრ. ორბელიანს: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატილლას ტახტზედ მჯდომარეო.“[6] აქ, როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი მეგობრულად კენწლავს გრ. ორბელიანს და მას ჰუნების მეფეს — გამოჩენილ სარდალს — ატილას ადარებს. წერილის დასასრულს ნ. ბარათაშვილი კვლავ იუმორით გადაკრავს გრ. ორბელიანს: „სირცხვილია, რომ მაგ საშინელებაებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბძანე, რომ დაწეროს.“[1]

პოეტის კერძო წერილების საშუალებითვე ჩვენ ვგებულობთ, რომ ბარათაშვილს ლხინთან ერთად უყვარდა საქმე, შრომა, რომ იგი მთელის სერიოზულობით იცქირებოდა ცხოვრების სიღრმეში, დიდ მოთხოვნილებას უყენებდა საკუთარ თავს და პოეტის მაღალი ფიქრები მუდამ სამშობლოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული.

ნ. ბარათაშვილის პიროვნების ამ მხარის გაგებისათვის საუკეთესო მასალას იძლევა მისი ერთ-ერთი წერილი გრ. ორბელიანისადმი (წერილი თარიღდება 1837 წლით). ეს ბარათი მეტად საყურადღებოა თავისი შინაარსით. იგი გვაწვდის საინტერესო ცნობებს მწერლის ბიოგრაფიიდან და ამავე დროს გადაგვიშლის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტის სულიერ სამყაროს, მის მისწრაფებებს, მის ახალგაზრდულ იდეალებს.

ნ. ბარათაშვილს ამ დროს გიმნაზია უკვე დამთავრებული ჰქონდა და მსახურობდა ჩინოვნიკად. ეს იყო ბარათაშვილის ცხოვრების ახალი ეტაპი. პოეტი შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრებას. იგი პირისპირ შეეჯახა მის თანამედროვე საზოგადოებას.

როგორც ამ ბარათიდან ირკვევა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნ. ბარათაშვილის ოცნებას ჯარისკაცობა შეადგენდა. პოეტის ეს სურვილი არ ყოფილა შემთხვევითი. პანსიონში ყოფნის დროს და შემდეგაც ნ. ბარათაშვილს იზიდავდა არა სამოქალაქო, არამედ სამხედრო სამსახური. პოეტი თავის სურვილებს მკვეთრად გამოსთქვამს: „მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, Когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში.“[2] ამგვარად, როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა ბარათაშვილს სავსებით ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი თა-

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1945 წ., გამოც. გვ. 94.
2 იქვე, გვ. 80.
3 იქვე, გვ. 93.
4 იქვე, გვ. 84.
5 გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. 1, გვ. 75.
6 „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1945 წ. გამოც., გვ. 83.

1 იქვე, გვ. 85.
2 „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1945 წ. გამოც. გვ. 76.

ვისი მომავალი ცხოვრების მიზნები, მისი მისწრაფებები სრულიად გამოკვეთილია. როგორც ცნობილია, პოეტის ეს მიზანი ვერ განხორციელდა და ის შეუდგა „სტოლონაჩალნიკობას", მაგრამ ნ. ბარათაშვილის მეამბოხე განწყობილება მაინც ვერ ჩამქრალა; ამას მოწმობს იმავე წერილის შემდეგი ადგილი: „განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება".[1]

იგივე წერილი სხვა მხრივაც არის საგულისხმო. ის მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ მოთხოვნილებას უყენებდა ნ. ბარათაშვილი საკუთარ თავს. აკი თვით ამბობს: „...ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო..." წერილის სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ეს არის, რომ круг чиновников не выгоден для образования нравственности, მაგრამ ეს თავისზედ არის დამოკიდებული".

კიდევ უფრო საყურადღებოა პოეტის შემდეგი გულწრფელი სიტყვები: „ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ, რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას..." — ბარათაშვილის ამ სიტყვების აშკარა დადასტურებაა მისი ხანმოკლე ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს ახალგაზრდული ოცნებანი ხორცშეუსხმელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი წადილის წინააღმდეგ მხოლოდ იძულებით მსახურობდა უბრალო მოხელედ, ის მაინც მუყაითობას იჩენდა სამსახურში, კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ნ. ბარათაშვილის სიბეჯითეზე მიუთითებს აგრეთვე მისი ერთ-ერთი პირადი წერილი. 1844 წ. იგი ასე წერდა თავისი მოუცლელობის შესახებ გრ. ორბელიანს: „საყვარელო ძმაო, გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას, — დრო არა მქონდა შენ გაიცინებ რასაკვირველია, იტყვი: შენ, ჭიანჭველავ რა საქმე გაქვსო? კიდეც ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ. ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო".[2]

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი", 1945 წ. გამოც., გვ. 76.
2 იქვე, გვ. 89.

ნ. ბარათაშვილის წერილებიდანვე ვგებულობთ, თუ როგორ იყო დაინტერესებული ახალგაზრდა პოეტი საქართველოს კულტურული ცხოვრებით. 1841 წლის 28 მაისს იგი კმაყოფილებით აუწყებს გრ. ორბელიანს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიბინმა გადმოთარგმნა. „Ромео и Джулиетта", შექსპირის ტრაგედია და მე ვთარგმნე „Юлий Таренский", ტრაგედია ლეიზევიცისა, თუ წაგიკითხავს „ბიბლიოტეკაში" იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც. ასე გასინჯე, იტირეს".[1] როგორც ამ წერილიდან ჩანს, ნ. ბარათაშვილი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა.

იმავე 1841 წლის 18 ოქტომბერს პოეტი კიდევ უფრო დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დღითი დღე იზრდებოდა რიცხვი შობლიური ლიტერატურის მოყვარეთა, ეს უკანასკნელი გარემოება კი იმის უტყუარი საწინდარია, რომ ქართველების გონებას არა სძინავს: „ლიტერატურა ჩვენი, — წერს ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს, — ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა.... ეს საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით!"[2]

ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აქ ამეღავნებს იგი თავის შეხედულებას მის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. პოეტი გულისტკივილით სწერს გრ. ორბელიანს: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივ ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, — დიდი დაძგერებაებია ქალებისა. დიდი ყალ-მაყალი, დიდი ტირილი; დიდი ღამის თევაები, დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით. დაწვრილებით მოგწერდი ყოველს ფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქნები. ამ ამბავს დიდი აწერა უნდა."[3]

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ: ნ. ბარათაშვილის მომსწრეთაგან არავითარი ცნობაც რომ არ გვქონოდა პოეტის ბუნების, მისი ხასიათის შესახებ; მწერლის მცირე ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე დაკვირვებული მკითხველი მაინც შესძლებდა აღედგინა

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი", 1945 წ. გამოც., გვ. 79.
2 იქვე, გვ. 80.
3 იქვე, გვ. 79.

პოეტის რთული პიროვნება როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით

მაგრამ ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მნიშვნელობა ამით როდი ამოიწურება.

კერძო, ბარათებში ნ. ბარათაშვილი ჩანს არა მარტო როგორც მოქალაქე, არამედ როგორც პოეტი, შემოქმედი. მწერლის პირადი წერილები მისი ლექსების დიდი უმრავლესობის უტყუარ გასაღებს იძლევა. მათი საშუალებით ვწვდებით ჩვენ ნ. ბარათაშვილის პოეტური სულის სიღრმეს, ვეცნობით პოეტის განწყობილებებს, რომელთაც იგი თავისი პოეზიის შეჭმარიტ შედარებებში გამოხატავდა.

1844 წელს ნ. ბარათაშვილი ასე სწერდა ზაქარია ორბელიანს: «Душа твоя ищет пищи новой, дух твой стремится к большей деятельности, сценам более сильным, более патетическим. И пока он достигнет своего назначения, ему скучно, грустно!»[1]

ასე ხსნიდა ნ. ბარათაშვილი თავისი ბიძისა და მეგობრის ზაქარია ორბელიანის სევდის მიზეზს. ეს იყო თვით პოეტის, მისი უკმაყოფილების, მისი ღრმა მწუხარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც. პოეტმა ამ სიტყვებში, უტუოდ, თავისი გულისნადები გამოავლინა. მისი სულიც ასევე მოითხოვდა ახალ საზრდოს, მისი სულიც ასევე მიისწრაფოდა დიდი სამოქმედო ასპარეზისაკენ. უბრალო მოხელეობას, ჩინოვნიკის უფერულსა და უშინაარსო ცხოვრებას არ შეეძლო ნ. ბარათაშვილის დიდი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა. ამის გამო იყო, რომ მისი პოეტური სული მუდამ შფოთავდა და ბორგავდა; ნ. ბარათაშვილი იბრძოდა გაერღვია თავისი ჩინოვნიკური ცხოვრების ვიწრო ჩარჩოები და რაც შეიძლება მეტი სისავსით გამოეცლინებინა თავისი ძალა და შესაძლებლობა.

დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ნ. ბარათაშვილი შინაგანად გრძნობდა, რომ იგი საუკეთესო ხვედრისათვის იყო მოწოდებული, მაგრამ ვაი, რომ სასტიკი სინამდვილე საშუალებას არ აძლევდა ფართო ასპარეზზე გამოსულიყო. თავისუფლად გაეშალა თავისი ნიჭი.

ასეთი მაღალი ინტერესები, ასეთი დიდი მიზნები ამოძრავებდა ნ. ბარათაშვილს, როდესაც იგი გრ. ორბელიანს სწერდა:

„მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება. საკვირველია, რომ ქართველს კაცს, რა-

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი", 1945 წ., გამოც., გვ. 86.

ოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებიო, პოეზიის თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავხო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!"

ამგვარად, ნ. ბარათაშვილის კერძო წერილებში აშკარად მეღავნდება, რომ მისი მღელვარე სული დაუცხრომლად ეძიებდა თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას. ეს მოტივი უდევს საფუძვლად აგრეთვე ნ. ბარათაშვილის პოეტურ თხზულებას „ხმა იდუმალი":

ნ. ბარათაშვილის პოეტური ბუნების გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მის პირად ბარათს მაიკო ორბელიანისადმი. ეს წერილი გამსჭვალულია ღრმა მწუხარებითა და სევდით. ეს არის ჭეშმარიტი გოდება მგრძნობიარე, დიდბუნებოვანი ადამიანისა, რომელიც ამ ვრცელსა და უსაზღვრო ქვეყანაში მაინც მარტოა, მაინც ობოლი.

„კიდევ მამნახა. ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენამ, — სწერს ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს. — ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდიხანია ობოლი ყარ. — არ დაიჯერებ. მაიკო! სიცოცხლე მაძძულებია ამდენის შარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად სიბრალულისა; გამომეტყველად მშვე-

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი", 1945 წ. გამოც., გვ. 83-84.

ნიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წყეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?".[1]

ნ. ბარათაშვილმა იცის, რომ ასეთი გულგატეხილობა შესაძლებელია მისი მეგობარი ქალის მიერ პოეტის უიმედო სიყვარულით იქნეს ახსნილი. ამიტომ არის, რომ იგი საგანგებოდ აფრთხილებს მას: „ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ვლაპარაკობ, ჭეშმარიტად, მაიკო ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდველი მსაჯული."[2]

ნ. ბარათაშვილის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ იგი ცდილობს განუქარვოს თავის მეგობარს მოსალოდნელი მცდარი შთაბეჭდილება მისი მწუხარების საგანზე. ცდილობს ჩაახედოს საკუთარი სულის სიღრმეში, რათა იქ დაანახვოს თავისი სულიერი ტრაგედიის ნამდვილი მიზეზი.

მიზეზი კი, ჭეშმარიტად, ღრმა იყო. ადრე ჩაება პოეტი ცხოვრების ფერხულში, ადრე დაინახა მან თანამედროვე საზოგადოების უშინაარსობა. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც ცხოვრების სასტიკ სინამდვილესთან შეჯახებისას, დაემსხვრა ახალგაზრდული იმედები. კონტრასტი იმდენად დიდი აღმოჩნდა მის შაღალ ოცნებებსა, მის წარმოდგენებსა და ცხოვრების სინამდვილეს შორის, რომ ამ ვითარებამ მძიმე განცდები გამოიწვია მგრძნობიარე პოეტის არსებაში.

იმავე წერილში ნ. ბარათაშვილი ამბობს: „ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაეცვლის ჩვეულებას და კიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი!"

ეს წერილი კარგად განმარტავს ნ. ბარათაშვილის პიროვნებასა და მის ზოგიერთ ლექსს. მხედველობაში გვაქვს ლექსი „სული ობოლი", რომლის ერთი სტროფი: „ძნელი არის მარტოობა სულისა"... პოეტს ჩართული აქვს ამ წერილში.

„სული ობოლის" შინაარსი სავსებით შეესატყვისება ავტორის განწყობილებას და მთელი წერილის ტონს.

შედარებით უფრო გვიან დაწერილ ლექსში „სულო ბოროტო" ნ. ბარათაშვილი კიდევ უფრო აღრმავებს, კიდევ უფრო მეტ სიმკვეთრით გვიხატავს თავის მწვავე სულიერ განცდებს. „სულო ბოროტოში" კიდევ უფრო აშკარად ჩანს ის დიდი ზღვარი, რომელიც პოეტის წარმოდგენებსა და გარემო სინამდვილეს შორის აღმოჩნდა.

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ამ წერილში პოეტს იგივე აზრი აქვს გატარებული, რაც 1837 წელს დაწერილ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას." პოეტი მაიკო ორბელიანს მიმართავს: „თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა".[1]

ამ სტრიქონების წაკითხვისას უნებურად აღდგება ჩვენს მეხსიერებაში ნ. ბარათაშვილის ცნობილი სტრიქონები ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას":

„არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?..
მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?"

უფრო მოგვიანებით, 1844 წ. დაწერილ ბარათში ნ. ბარათაშვილი იმავე აზრს ასე გადმოხატავს: „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომელობამ ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცალიერით აღსავსეს ჩემი სული."[2]

ცხოვრებაზე გულაცრუებული და ადამიანებისადმი რწმენადაკარგული პოეტი თავის სულიერ მეგობარს მხოლოდ ბუნებაში ხედავს. ბუნება არის ცხოვრებისაგან განაწამები პოეტის ერთგული მესაიდუმლე.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ნ. ბარათაშვილის წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი. პოეტი წერს:

Я оживляюсь только вечерам лунным, так прекрасным в Тифлисе! Вчера, в один из этих вечеров, пошел я бродить к Московской заставе; вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился, когда я взглянул на это онемение: 11-ть часов ночи. Ни души. Кругом пустота вечная, луна тускло освещает могилы, как догорающая

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი", 1945 წ. გამოც., გვ. 82-83.
2 იქვე, გვ. 83.

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი", 1945 წ. გამოც., გვ. 83.
2 იქვე, გვ. 87.

лампада усопшего. Тихо и медленно протекает Кура, как будто боясь нарушить покой в этом унылом мире... Ты теперь в раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которые навело мне на душу это зрелище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтоб смертный порой читывал бы по нему свою жизнь: утешение несчастного, конец счастью!"[1]

ნ. ბარათაშვილის ამ პირად წერილში ცხადად გამოსჩენილია ბუნების რომანტიკული შეგრძნობა.

ეს წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მწერალს იშვიათი სიზუსტით გადააქვს საკუთარი არსება. თავისი პირადი განცდები პოეზიაში; ერთხელ კიდევ ცხადყოფს პოეტის სულიერი შინაგანი სამყაროსა და მისი მხატვრული შემოქმედების სრულ ერთიანობას.

ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე 1945 წლის 2 მაისით დათარიღებული წერილი გრ. ორბელიანისადმი. ამ ბარათში ნ. ბარათაშვილი აცნობებს ბიძას ილია ორბელიანის დატყვევებას შამილის მიერ. პოეტი აღფრთოვანებულია ილია ორბელიანის მამაცობით: როდესაც შამილმა ილია ორბელიანის თვალწინ თავები დააყრევინა 20 ქართველ ტყვეს, ილიას ასეთი სიტყვებით მიუმართავს შამილისათვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალობა! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ეინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნას!"[2]

საყვარელი ბიძის დატყვევებას და მის ვაჟკაცურ საქციელს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ნ. ბარათაშვილზე. ილია ორბელიანის დატყვევებიდან მესამე დღეს ნ. ბარათაშვილს დაუწერია ქართული პოეზიის შედევრი „მერანი". აი, რას სწერს პოეტი ამ წერილში გრ. ორბელიანს:

„მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметом разных анекдотов.

ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის რომ იქნება ჩვენ დაგვიგვანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა . . . . . .

. . . . . .

. . . . . .

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი," 1945 წ. გამოც., გვ. 77.

2 „ნიკოლოზ ბარათაშვილი," 1945 წ. გამოცემა, გვ. 81.

Вот что поэт думает за Илико:

„მირბის, მიმაფრენს. უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი" (მოყვანილია მთელი ლექსი, ე. ა.).

„არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება... ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე. რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო."

ნ. ბარათაშვილის ეს წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი, იგი გვაწვდის საგულისხმო ცნობებს ლექსის „მერანი" დაწერის შესახებ და მეორეც, ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ნ. ბარათაშვილის ლირიკას საფუძვლად უდევს პოეტის უშუალო განცდები, რომელთაც იგი, როგორც დიდი შემოქმედი, განზოგადებული სახით წარმოგვიდგენდა.

არანაკლებ საინტერესოა ნ. ბარათაშვილის კიდევ ერთი პირადი ბარათი. 1844 წლის აპრილის 15-ში პოეტი თავის ბიძას ზაქარია ორბელიანს სწერდა: „Письмо твое, исполненное грусти и томления от бурного потока жизни, глубоко отозвалось в душе моей, хотя причины у нас к тому разные. Я был болен сильно, чуть не переселился в Елисейские поля. Не зная до того времени никакой болезни, я почувствовал странное влияние се, быть может, на всю мою жизнь. Непостижимость цели нашего назначения, безграничность желании человеческих и суета всего подлинного наполнили мне душу ужасною пустотою. Дай мне маленькое независимое состояние, я бы сейчас оставил и свет и людей с их ненасытностью, и мирно и покойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем отечестве. При этих грустных думах застало твое письмо меня, только что выздоровливающегося..."[1]

როგორც ვხედავთ, ამ წერილში ნ. ბარათაშვილი გამოსთქვამს სურვილს გასცილდეს ამ ქვეყანასა და ადამიანებს და სამუდამოდ მიეცეს წუნარსა და მშვიდ ცხოვრებას ჩვენი სამშობლოს ლამაზი ბუნების წიაღში. არ იქნებოდა მართალი, თუ ამ სურვილს არ გავიგებდით, როგორც პოეტის სერიოზული ავად-

1 „ნიკოლოზ ბარათაშვილი," 1945 წ. გამოც., გვ. 86.

ყოფობის შეღეგს. ავადყოფობის გამო ფიზიკურად და სულიერად დაქანცული ნ. ბარათაშვილი საზოგადოების უარყოფამდის მიდის, ჯაგრამ ასეთი დამოკიდებულება გარე სამყაროს მიმართ არ უნდა მივიღოთ პოეტის სურვილების, მისი მისწრაფებების ჭეშმარიტ გამოხატულებად საზოგადოდ.

იმავე წერილში კითხულობთ:

„Дух человеческий, достигнув полного своего развития, совершив дела, ему свыше определенные, склоняются наконец утомленный тихой к покою семейной жизни.“

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილის აზრით, ადამიანს მაშინ ებადება წყნარი ოჯახური ცხოვრების სურვილი, როდესაც მისმა სულმა უკვე მიაღწია თავის სრულ განვითარებას და თუ ჩვენ ერთხელ კიდეგ გადავავლებთ თვალს ნ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, დავრწმუნდებით, რომ პოეტის ასეთი სურვილი არ შეიძლება საბოლოო სურვილი ყოფილიყო. ნ. ბარათაშვილი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უკმაყოფილებას გამოთქვამდა სწორედ იმის გამო, რომ მისმა სულმა ვერ მიაღწია განვითარებას, მან ვერ მიაგნო თავის ხვედრს, თავის ადგილს ცხოვრებაში.

გარდა ამისა, ავტორი ისეთი მებრძოლი, ჰუმანისტური სტრიქონებისა, როგორიცაა:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეც მივდიოთ მას, გვესმას შობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

ავტორი სტრიქონებისა:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

აბ შეიძლება საბოლოოდ ასეთი უმოქმედობის აღიარებამდე მისულიყო, ასე უარეყო ცხოვრება. ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში არსებული ყოფის უარყოფა სწორეთ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ამ უარყოფაში ჩანს არა პოეტის სასოწარკვეთილება, პასიურობა, უმოქმედობის ქადაგება, არამედ მისი მებრძოლი სული, მისი დაუცხრომელი ბუნება, იმედი მომავლისადმი. ამ, თვით ამბობს:

„მწუხრი გულისა,—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

ნ. ბარათაშვილის წერილების შესწავლის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი მწერლის ბიოგრაფიიდან, გამოვარკვიოთ ზოგიერთი ლექსის დაწერის ისტორია, უფრო ღრმად შევისწავლოთ პოეტის ხასიათი, მისი სულიერი სამყარო და საზოგადოებრივი ინტერესები.

ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლას.

სეკაფიმა ფყებუჩავა

* *

გამოჩენილი უკრაინელი მწერალი

ივ. ფრანკოს დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

ივანე ფრანკო უკრაინული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისმა შემოქმედებამ და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ უდიდესი როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ბრძოლაში სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ივანე ფრანკოს მსოფლმხედველობა ძირითადად დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს კეთილისმყოფელი გავლენით ჩამოყალიბდა.

შევჩენკოს სიტყვები, ჩემი ცხოვრების ისტორია თვით ჩემი სამშობლოს ისტორიის ნაწილია, შეიძლება მთლიანად მივაკუთვნოთ ივანე ფრანკოსაც.

ფრანკოს მსოფლმხედველობის ფორმულირებაზე თვალსაჩინო გავლენა იქონიეს აგრეთვე მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის, რუსი რევოლუციონერი დემოკრატების, განსაკუთრებით ჩერნიშევსკისა და გერცენის შრომებმა, რომლებსაც თავის დროზე ღრმად გაეცნო მწერალი.

70-იანი წლების დასასრულს და 80-იანი წლების დასაწყისში ივანე ფრანკო აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა რევოლუციურ წრეებში. მწერალს ღრმად სწამდა ხალხის უძლეველობა. მან იცოდა, რომ მხოლოდ ბრძოლის, რევოლუციის გზით შეიძლებოდა მის სამშობლოში გაბატონებული უსამართლობისა და უკულმართობის საბოლოო განადგურება.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დამლევიდან დაიწყო ი. ფრანკოს მხატვრული ნიჭის გაფურჩქვნა. თავის ნაწარმოებებში იგი მოუწოდებდა თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. საგულისხმოა ამ მხრივ მისი ლექსების ერთ-ერთი პირველი ციკლი „პროლეტარის ფიქრები“ და განსაკუთრებით ლექსი „მოჯამაგირე“.

ფრანკოს ბევრი ლექსი რევოლუციის ჰიმნია, მოწოდებაა ბრძოლისაკენ, მრისხანე მხილებაა მმართველი წრეებისა და ამასთანავე ღრმად ლირიკულიც. მისი ლექსები გამსჭვალულია ფაქიზი ადამიანური გრძნობებითა და მისწრაფებებით.

ფრანკოს ლირიკა მრავალფეროვანია. მასში მწვავე სოციალურ მოტივებს ენაცვლება ხან ბრძოლისაკენ პათეტიკური მოწოდებანი, ხან სევდა — ფილოსოფიური ოცნებანი და ხან კიდევ ცოცხალი, ხალისიანი ჰუმორი. სამშობლოს მწარე ბედს იგი განიცდის როგორც საკუთარ, პირად უბედურებას, მაგრამ პოეტს სწამს, რომ თავისუფლება გაიმარჯვებს ამ ქვეყნად და ხალხი თვით გახდება თავისი შრომის ბატონ-პატრონი.

«И над землей один
Ты плуг свой поведешь, своих трудов хозяин,
В своем жилище — властелин!».
(„მოჯამაგირე.“)

არანაკლებ შნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფრანკომ უკრაინული პროზის განვითარებაში. თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში მან, როგორც თვითონ ამბობდა, გადმოსცა „თანამედროვეობის რეალური ასახვა, ადამიანური ხასიათებისა და ფაქტების ღრმა და ნამდვილი ანალიზი“.

ფრანკოს ყველაზე საუკეთესო მოთხრობა, რომელშიაც აისახა პროლეტარიატის ბრძოლა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, არის „ბორისლავი იცინის“.

ამ მოთხრობაში ერთ მხარეს არიან მუშები, რომლებიც მართალია, ყოველთვის ერთსულოვნად ვერ მოქმედებენ, მაგრამ მაინც მეიდროდ არიან დარაზმულნი და მეორე მხარეს — კაპიტალისტური მტაცებლების სამყარო, რომელთაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუჩაღებიათ არა მარტო მუშების წინააღმდეგ, ურთიერთ შორისაც კი — კაპიტალიზმის მტაცებლური კანონის — კონკურენციის გამო.

მწერლის დიდი წარმატებაა მუშების ცოცხალი მხატვრული სახეების შექმნა, მათ შორის დაუვიწყარნი არიან ბენედი სინიცა და ძმები ბესარაბები.

მ. კოცუბინსკი წერდა, რომ ივანე ფრანკოს ნაწარმოებებში ადამიანები 2 ბანაკად არიან გაყოფილნი, მჩაგვრელებად, რომელთა წინა-

ალმდეგ იგი ხმალივით ღესავს თავის სიტყვას და ჩაგრულებად, რომელითაც იგი თავის სიტყვას მისცემს.

ფრანკომ საგრძნობლად გაამდიდრა მშობლიური ქვეყნის დრამატურგიაც. ფსიქოლოგიური დრამა „მოპარული ბედნიერება", დრამა ლექსად „თავად სვიატოსლავის სიზმარი" და კომედიები „ცირცელი" და „მასწავლებელი" სამართლიანად ითვლება უკრაინული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებად.

ფრანკოს დრამატურგიის წყარო თვით ცხოვრებაა. „ჭეშმარიტად დრამატულ, ღრმა, ყველასათვის საზოგადოებრივად ძალზე მნიშვნელოვან და ჭკუის სასწავლებელ კონფლიქტებს" იგი ხედავდა დრამატურგიაში.

უკრაინელი ხალხის წარსულით ყოველთვის სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული ივანე ფრანკო. მის პოემებში მართლად აისახა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის საუკუნოვანი ბრძოლა. ფრანკოს პოემებს „ივანე ვიშენსკი" (1900 წ.), „სვიატოიურის მთაზე" (1900 წ.), „მოსე" (1905 წ.) და სხვ. დღესაც არ დაუკარგავთ მხატვრული ზემოქმედების ძალა და ცხოველმყოფლობა.

პოემაში „სვიატოიურის მთაზე" არის სტრიქონები, რომელშიც მწერალი გვიხატავს მომავალს, შექმნილს, ხალხთა ძმობასა და მეგობრობაზე:

«И взамен измен и распрей,
Не на лжи, не на крови,
Встанет сила общих целей,
Братства, дружества, любви.

ამ პოემაში ცოცხლად არის დახატული ბოგდან ხმელნიცკის სახე.

პოემა „მოსე" ივ. ფრანკოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ბიბლიური შინაარსის მიუხედავად, პოემაში „მოსე" ფრანკო იყენებს იმ დროისათვის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა თანასწორუფლებიანობა, თავისუფლება და ძმობა.

«Но час придет в багряном ореоле,
В кругу народов вольных за Карпаты
И к Черноморью рокот новой воли.
И радости ты доплеснешь раскаты,
И все, обняв хозяйскою управой,
Полями залюбуешься и хатой».

ფრანკო ოცნებობდა თავისუფალ, ბედნიერ უკრაინაზე და ეს ოცნებაც მალე ახდა — დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უკრაინელი ხალხიც გაათავისუფლა.

ივ. ფრანკოს მთელ თავის შემოქმედებაში ის აზრი აქვს გატარებული, რომ „ბრძოლა— ეს ნიშნავს ცხოვრებას".

ამიტომ იყო, რომ ივ. ფრანკოს რევოლუციური ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელ მოწინავე ახალგაზრდებს შორის. ფრანკოს ნაწარმოებებს იწერდნენ რვეულებში, ავრცელებდნენ მათ და კითხულობდნენ არალეგარულ კრებებზე.

ივანე ფრანკოს შემოქმედებას რუსი და სხვა ერის მკითხველები მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ გაეცნენ, რადგანაც მეფის ცენზურა ყოველთვის ავიწროებდა მწერალს. ამის თაობაზე ფრანკო ირონიულად შენიშნავდა: „რუსული კორდონი (საზღვარი) ძალზე მაღალი კარიბჭე შეიქმნა ჩუმი ფეხბისთვისო".

ივანე ფრანკო დიდად აფასებდა რუსულ კულტურას. მან მრავალი სტატია დაწერა ი. ტურგენევის, ნ. ჩერნიშევსკის, ა. გერცენის, მ. გორკის შემოქმედებაზე და ყოველთვის აღნიშნავდა რუსული კულტურის სიდიადეს.

„თუკი ევროპიელი ლიტერატორების ნაწარმოებნი ჩვენს ესთეტიკურ გემოვნებასა და ფანტაზიას აღძრავდნენ, რუსების თხზულებები გვაფიქრებდნენ, გვიღვიძებდნენ სინდისს, აღვიძებდნენ ჩვენში ადამიანს, სიყვარულს ღატაკებისა და ჩაგრულებისადმი", — ხაზგასმით წერდა იგი.

უკრაინელ კრიტიკოსთა შორის ფრანკო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც აღძრა რუსული და უკრაინული ლიტერატურის დაახლოების საკითხი.

პოეტმა, რომანისტმა, ნოველისტმა, დრამატურგმა, ლიტერატურათმცოდნემ, ფოლკლორისტმა, ისტორიკოსმა, ეკონომისტმა — ივანე ფრანკომ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მოახმარა მშობლიური ხალხისადმი სამშობლოსადმი უანგარო სამსახურს.

ალექსანდრე ჩავლეიშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

* *

ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთობის საკითხისათვის

ჰეშმარიტი ხელოვნება ხალხს ემსახურება. „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“, გვასწავლის დიდი ლენინი. მხატვრული ლიტერატურა, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, ადამიანთა აღზრდის ძლიერი საშუალებაა; ი. ბ. სტალინმა მწერლებს „ადამიანის სულის მშენებელი ინჟინერი“ უწოდა. თავის ამ კეთილშობილურ მოვალეობას მწერლები იმით ასრულებენ, რომ ქმნიან უკვდავ ტიპიურ სახეებს. ტიპიურ სახეთა შექმნა რეალისტური მხატვრული ლიტერატურის მარადიული კანონია. ამიტომ ტიპიურობის საკითხი ერთ-ერთი მთავარი საკითხია ხელოვნების თეორიაში. ამას შესახებ გარკვევით არის ნათქვამი ჟურნალ „კომუნისტის“ (1955 წ. № 18) სარედაქციო წერილში „ლიტერატურასა და ხელოვნებაში ტიპიურის საკითხისათვის“: „ტიპიურის პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში. იგი განუყრელად არის დაკავშირებული მხატვრული შემოქმედების სხვა პრობლემებთან, მის სწორად გადაწყვეტას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების წარმატებით განვითარებისათვის.“[1] სარედაქციო წერილში გარკვეულ საკითხებს სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთობის გაშუქებისათვის, რადგან ამ საკითხის სწორად გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ტიპისა და პროტოტიპის ცნებების დადგენას. ამ საქმეში კი მთავარია ტიპიურის არსის ჰეშმარიტი დეფინიცია. როგორც ცნობილია, ამ ბოლო ხანებში გავრცელდა ტიპიურის არსის სქოლასტიკური გაგება, რაც იმით გამოიხატა, რომ „ტიპიურს განსაზღვრავდნენ მხოლოდ როგორც მოცემული სოციალური ძალის არსისადმი, მოცემული სოციალურ-ისტორიული მოვლენის არსისადმი შესაბამისობას“. როგორც ჟურნალ „კომუნისტის“ სარედაქციო წერილშია ნათქვამი, „ასეთი განსაზღვრა ცალმხრივი და არასაკმარისია; იგი მოწყვეტილია მხატვრული შემოქმედების ცოცხალ პრაქტიკას, არ ითვალისწინებს სამყაროს მხატვრული შეცნობის, ასახვის სპეციფიკას. ამ განსაზღვრაში გამოყოფილია მხოლოდ ერთი მხარე და გვერდი აქვს ავლილი იმას, რაც ხელოვნებას იდეოლოგიის სხვა ფორმებისაგან განასხვავებს... ხომ ისტორიკოსიც, ეკონომისტიც, ფილოსოფოსიც საზოგადოებრივ ცხოვრებას იმისათვის სწავლობენ, რომ გახსნან მოცემული სოციალური ძალის, მოცემული სოციალური მოვლენის არსი, მაგრამ ამით ისინი მხატვრები როდი ხდებიან. ხელოვნება სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმაა. ცხოვრების მხატვრული შეცნობა განისაზღვრება თავისი კანონებით, რომლებიც ბევრად განსხვავდებიან მეცნიერული შემეცნების კანონებისაგან. ტიპიზაცია, რომელიც ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი კანონია, მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის უაღრესად დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მეცნიერებისაგან განსხვავებით ხელოვნება სინამდვილის კანონზომიერებებს გვისახავს სახეებით, ესე იგი კონკრეტულ-გრძნობადი ფორმით, განასახიერებს ზოგადს ინდივიდუალურში... მთავარი, რისკენაც მიისწრაფვის მხატვარი, ის არის, რომ შექმნას ისეთი მკაფიო, ინდივიდუალიზებული ხასიათი, რომელშიც განსახიერებული იქნება ადამიანთა გარკვეული წრის საერთო თვისებები“. (იქვე, გვ. 16-17). ლიტერატურული სახე, რომელშიაც კონკრეტულ-გრძნობად ფორმაში განზოგადოებულია სინამდვილისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისებები, იწოდება ლიტერატურულ ტიპად. ისეთ სახეს კი, რომელიც წარმოადგენს მკაფიოდ ინდივიდუალიზებულ ხასიათს, ე. ი. კონკრეტულ-გრძნობად ფორ-

---

1 „საქართველოს კომუნისტი“, 1956 წ., № 1, გვ. 14.

მაში განასახიერებს ადამიანთა გარკვეული წრის საერთო თვისებებს, ადამიანთა მხატვრული ტიპი უნდა ეწოდოს.

ტიპი იქმნება ტიპიზაციის საშუალებით. „ტიპიზაცია ხელოვნების დამახასიათებელი ხერხია ცხოვრების მოვლენათა განზოგადოებისა, ინდივიდუალიზებული კონკრეტულ-გრძნობადი ესთეტიკური ფორმით“ (იქვე. გვ. 15).

ტიპის შექმნის, ე. ი. ტიპიზაციის, პროცესში ზოგჯერ მონაწილეობს პროტოტიპი. სიტყვა პროტოტიპი ბერძნულია და ქართულად ნიშნავს წინასახეს, პირველსახეს, პირველდაწყებით, დასაბამ სახეს. მარტივი სალექსიკონო განმარტებით „პროტოტიპი არის რეალურ სინამდვილეში არსებული ადამიანი, რომლის ცხოვრება და ხასიათი მწერალმა საფუძვლად დაუდო მის მიერ შექმნილ მხატვრულ განმაზოგადებელ სახეს, ტიპს“.[1] ცნობილია, რომ მ. გორკის „დედის“ მთავარი პერსონაჟის დედის — პელაგია ნილოვნას პროტოტიპია ანა ზალომოვა, ხოლო ანას ვაჟიშვილი პეტრე ზალომოვი პავლე ვლასოვის პირველსახეა. ამას ადასტურებს თვით მაქსიმ გორკი. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს ქართული ლიტერატურიდანაც. ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების ტიპების შესახებ ერთ-ერთ მოგონებაში ნათქვამია: „ნინოშვილის მოთხრობების ტიპები ეს მისივე მეზობლებია, რომელთაც ის პირადად იცნობდა, ხედავდა ყოველდღიურად... ავიღოთ თუ გინდ მისი მოთხრობა „გოგია უიშვილი“. მოთხრობის გმირი — უიშვილი,... ცხოვრობდა ნინოშვილის მეზობლად, გვარად ხუხუნაიშვილი იყო: მთავრობის მოხელეებიდან გამათრახებისა და დაჩაგვრა-დამონების ნიადაგზე თავი მოუკლავს. დარჩენია წვრილ ოლ-შვილი უნუგეშო მდგომარეობაში“.[2] მოთხრობა „მოსე მწერალში“ მღვდელი ათანასე ყოფილა მღვდელი რომანოზ მოისწრაფეშვილი... უნათლოშვილები — ძმები მიხელა და ალექსანდრე მოისწრაფეშვილები“, (იქვე, ტ. 2, გვ. 319). კერძოდ, „ოქრუას პროტოტიპი მიხეილ მოისწრაფეშვილი ახლაც ცოცხალია და სოფელ სუფსაში ცხოვრობს.“ (იხ. მ. ვადაჭკორია, „გაუმარჯოს ელი კორეკტივები,“ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 2/X, 1954 წ.). შეიძლებოდა მრავალი ანალოგიური მაგალითის დასახელება; მაგრამ ამის აუცილებლობა არ არის, რადგან ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთკავშირი დიდიხანია აღნიშნულია და ამის შესახებ აღარ კამათობენ. საძიებელია მხოლოდ ამ კავშირურთიერთობათა თავისებურება.

1

ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთობის ანალიზის დროს პირველი საკითხი იქნება შემდეგი: **მხატვრული ლიტერატურული ტიპის შექმნის** პროცესში პროტოტიპის მონაწილეობა შემთხვევითი და გამონაკლისია თუ კანონზომიერი და აუცილებელი მოვლენაა?

ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება უტყუარი ფაქტების მოტანით. ამ მიმართულებით მდიდარი მასალა გამოქვეყნებული მოგონებებში, მემუარებსა და პირად წერილებში. მოვიყვანთ რამდენიმე ტიპიურ მაგალითს.

„მწერალმა ა. კოუეენიკოვმა თავისი წიგნის „ცოცხალი წყალის“ გმირების — ლუტონინისა და მისი მეუღლის ნინა გრიგორიევნას პროტოტიპებად აირჩია ხაკასის ცხვრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი სტეფანე პროკოფის-ძე ლეპეხი და მისი ცოლი. ახლა სტეფანე პროკოფის-ძე მუშაობს ყაზახეთში. პირველ ხანებში ის ხელმძღვანელობდა ახლადაარსებულ საბჭოთა მეურნეობას „კომკავშირელს“. ახლა კი ხელმძღვანელობს აკმოლინსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობის სამმართველოს... სტეფანე პროკოფიჩის პირად ბიბლიოთეკაში სხვა წიგნთა შორის ინახება ა. კოუეენიკოვის რომანი წარწერით: „ნინა მიხეილის ასულ და სტეფანე პროკოფის-ძე ლეპეხებს — რომანის გმირებს ავტორისაგან მეგობრული გრძნობით“.[1] საინტერესოა აკაკი წერეთლის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ მთავარი პერსონაჟის **კიკოლას** პროტოტიპის **საკითხი.** ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ამბ. გაჩეჩილაძე წერს: „სადან შეიქმნა „კიკოლას ნაამბობში“ ყმა გლეხის კიკოლას სახე? არის თუ არა ის კონკრეტული ისტორიული პიროვნება? აკაკის სამშობლო სოფ. სხვიტორის ახლოს მდებარეობს სოფ. ორღული. ამ სოფლის მოხუცებს შემოუნახავთ ხსოვნა თავიანთი თანამემამულის. მამაცი კიკოლასი. ხალხის გადმოცემით, იგი სოფ. ორღულელი გლეხი იყო, გვარად კალმახელიძე, რომელსაც გმირულად უბრძოლნია „ქალაქის დასაცავად“... აკაკის ახალგაზრდობაში კიკოლა ცოცხალი ყოფილა. როგორც გადმოგვცემენ, აკაკი თავისი თანასოფლელის, ყმა გლე-

[1] Л. Тимофеев и Н. Венгров, Краткий словарь литературоведческих терминов, 1955 г., ст. 112.

[2] სიმონ ხუნდაძე, რედაქტორის შენიშვნები (იხ. ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1932 წ., ტ. I, გვ. 340).

[1] Лит. газета, 1955 г., 17/IX, № 111.

ხის თავგადასავალს მოლექსე გლეხის კ. ტალახაძისაგან გაცნობია და მასზე პოემა „კიკოლას ნაამბობი“ აუგია“ (ა. გაჩეჩილაძე, ზოგიერთი ცნობა აკაკის ნაწარმოებთა პერსონაჟების შესახებ. იხ. გაზ. „სახალხო განათლება“ 1947 წ. 19 ივნისი). ამჟამად დადგენილია, რომ „ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის („ქრისტინე“) გმირი ქალის — ქრისტინეს ნამდვილი გვარია ორაგველიძე, სახელი — მელინკი... გადმოცემით, მელინკი ძალზე ლამაზი ყოფილა, ისე როგორც მოთხრობის გმირი ქრისტინე. მაგრამ მშობლების მთლად დამჯერე არ იყო. იგი აზნაურ ბედია კომახიძეს დაუახლოვდა და მასთან დაიწყო ცხოვრება, რის შედეგად მელინკის ეყოლა კაჟი — კოსტა (გოგი). ეს კოსტა ერთხანს იზრდებოდა გიორგი ივანეს-ძე ორაგველიძის ოჯახში, ხოლო შემდეგ წაიყვანეს ფოთში ვინმე მექარხნე თელიასთან. მელინკი ოჯახიდან არ გაპარულა, როგორც მოთხრობაშია, არამედ ერთი მაჭანკალი ქალის გაპირებით გათხოვდა ქალაქ ბათუმში“ (ვანო გაბრიელის-ძე ორაგველიძის მოგონება, ჩაწერილია ალ. კიკვაძის მიერ. იხ. გაზ. „სახალხო განათლება“, 1950 წ., 19 ივნვარი).

ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედი პირის პროტოტიპი თვით ავტორია. მაგალითად, სპირიდონ მცირიშვილის პროტოტიპი ეგნატე ნინოშვილია. 1894 წლის 12 მარტს სოფ. ჩოჩხათიდან ეგნატე ნინოშვილი სწერს ალექსანდრე თოიძეს: „მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გმირი, მცირიშვილი, ერთ წემს ნაცნობს ჰგავსო, ამბობ. რაღა, მოთხრობის ავტორსაკ მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით. ისე კი, მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზე“[1] ეგნატე ნინოშვილს ზოგიერთი საკუთარი ბიოგრაფიული ფაქტი შეუტანია სპირიდონ მცირიშვილის, როგორც ტიპის, ცხოვრებასა და თავგადასავალში. აღვნიშნავ ზოგიერთ მათგანს. ე. ნინოშვილი მოგვითხრობს, რომ სპირიდონი ქალაქის სასწავლებელში სწავლობდა. „მამა აძლევდა სპირიდონს სწავლის და წიგნების ფულს. ხარჯი—ფქვილი, ყველი და ლობიო—თავისი ზურგით მიჰქონდა სპირიდონს შინიდან ყოველ კვირა-დღეობით ოცი ვერსის მანძილზე. ის იდგა ქალაქის განაპირას, მიწით შელესილ ქოხში... თვეში ოთხ აბაზად... ყოველ საღამოობით მოიტანდა სპირიდონი მახლობელი ტყიდან თითო ტვირთ ფიჩხს. როცა დაღამდებოდა, სანთლის მაგივრად დაანთებდა ცეცხლს და მის სინათლეზე სწავლობდა გაკვეთილებს. საჭმელს ოავისი ხელით იკეთებდა. ტანისამოსი მუდამ აკლდა. ორი ზამთარი „პარუსინის“ ბლუზის და შარვლის ამარა გაატარა... სპირიდონი გლეხურ მუყაითობას იჩენდა მუდამ კითხულობდა წიგნებს, შეუსვენებლად მეცადინეობდა თავისი განვითარებისათვის.“[2]

ესმა თოთიბაძე თავის მოგონებაში ეგ. ნინოშვილის შესახებ მოგვითხრობს: „საჭმელი მოქონდა მისი ზურგით შინიდან... საჭმელს თვითონ იკეთებდა. ჯარგვალაში ქონდა: კელამიდა (თიხის კეცი), ლიტრე (პატარა დოქი), ხელ-გობა, და გატეხილი ჩარხანე (თუჯის ქვაბი). კიდომ კუთხეში ქონდა შიყუდებული ქვეროცოცხი, რომლითაც გვიდა მის სახლს. ბალს ზელდა და იცხობდა... სულ კითხულობდა და კითხულობდა... სულ წიგნზე იყო მიციცქინებული... ღამე შვალამემდე კითხულობდა, დღეი მეიმზადებდა ფიჩხებს და იმით ინათებდა სინათლეს, რის გამო ხშირათ თმაიც კი ქონდა შერუჯული. აბირშილდებოდა ფიჩხის ცეცხლი, წეიკითხვიდა ცოტას და ჩოუქრებოდა. კიდომ შეურთავდა ფიჩხს და ამასობაში წაკითხულს მოყობოდა.“[2] ამასვე ადასტურებს გიორგი ალექსის-ძე გაგუას მოგონება: „ნინოშვილი ჩუმი, ნამეტანი წყნარი კაცი იყო. მახსოვს, სხვები ბურთს იამაშობდნენ, ის კი იჯდა და კითხულობდა წიგნებს. სეირნობა არ უყვარდა და ამხანაგებს არსად უსაქმოდ არ გაჰყვებოდა; საჭმელს ოავისი ხელით იკეთებდა... ერთი ბალტი ჰქონდა, იმაზე რცოდა დაჯდომა და დასვენება, როცა დაიღლებოდა. ამოჩემებული ადგილი ჰქონდა, იმ ფარგლებში მიდი-მოდიოდა, კითხულობდა, ლაპარაკობდა, მეცადინეობდა“ (იხ. გიორგი გაგუას მოგონება, გამოქვეყნებულია ალ. კიკვაძის მიერ გაზ. „სახალხო განათლებაში“, 1948 წ., 25 მარტი).

ასევე ავტობიოგრაფიულია სპირიდონ მცირიშვილის სოფლად მასწავლებლობის ამბავი. მოთხრობაში ნათქვამია: „როცა სპირიდონ მცირიშვილმა საოსტატო სემინარიაში სწავლა დასრულა, ის გააწესეს ერთ შორეულ მივარდნილ სოფელში სოფლის სკოლის მასწავლებლად. სპირიდონი მივიდა დანიშნულ სოფელში და ნახა... უხეიროდ ნაშენი, პატარა, ძველი სახლი, რომლის იატაკი თითქმის დამპალა. ფანჯრებში მინების უმეტესი ნაწილი დამტვრეულია და რაც

1 ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული. 1935 წ., ტ. 3, გვ. 123.

1 ე. ნინოშვილი. თხზულებათა სრული კრებული, 1932 წ., ტ. 2, გვ. 141-142.

2 ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, ტ. 3, 1935 წ., გვ. 131-132.

დარჩენილა ისეა გაფალახიანებული, რომ ძველივს გაარჩევ, მინაა თუ ფიცარი. ჭერი ბევრგან გაშავებულა, რაიცა ამტკიცებს, რომ სახლში წვიმის წყალი ჩამოდის. ეს იყო სკოლა. ამ სკოლაში შემდეგი სამკითხველო ელაგა: ო�oდე მირუეულ-მორყეული სკამი შეგირდებისათვის, ერთი პატარა, ძველი მაგიდა და ფეხზე მორყეული სკამი მასწავლებლისათვის და შეუღებავი ხის დაფა. ამას გარდა არც სასწავლო ნივთები და არც ოთახი მასწავლებლისათვის სკოლას არ ეკუთვნებოდა" (ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1954 წ., გვ. 361-362).

როგორც ცნობილია, ეგნატე ნინოშვილი მასწავლებლობდა სოფელ ჩოჩხათში. ილია ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ეგნატე ნინოშვილი წერს: „ჩვენი სოფლის სასწავლებლის სახლი ძლიერ გლახა არის. ჭარი თავისუფლად დასეირნობს შიდ. ამას გარდა, შიდაც მოწყობილი არ არის: ბუხარი ისეთი გლახა აქვს, რომ როცა ცეცხლი ანთია შიდ, ბოლი სულ გარეთ გამოდის და შეგირდებს თვალებს უხდენს (რასაკვირველია, უფრო მასწავლებლებს). მასწავლებლისთვისაც ოთახი არა აქვს" (იქვე, გვ. 590). ცხადია, რომ ჩოჩხათის სასოფლო სკოლა სპირიდონ მცირიშვილის სკოლის „პროტოტიპია", ხოლო თვით სპირიდონ მცირიშვილი ეგნატე ნინოშვილს „მოთხრობის ავტორს ჰგავს".

აქვე ჩამოვთვალეთ ზოგიერთი ტიპის იმ პროტოტიპებს, რომლებიც დასახელებულია მკვლევარ კ. დონაძის ნაშრომში „პროტოტიპების საკითხისათვის ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ მემკვიდრეობაში" (1953 წ.). ამ საინტერესო წიგნში ავტორი შეჯამებულ ცნობებს იძლევა ზოგიერთი ტიპის დადგენილი პროტოტიპის შესახებ. „დადგენილი ფაქტია, რომ გოეთეს „ვერტერში" თავის დროზე საკმაოდ ცნობილი პირი—შარლოტა და მისი მეუღლეა წარმოდგენილი. ნაწარმოების გაცნობისას მათ საკუთარი თავი უცვნიათ და ამ ნიადაგზე ავტორთან ერთგვარი უსიამოვნებაც კი მოსვლიათ... გრიბოედოვის პიესაში „ვაი ჭკუისაგან"... ჩაცკის სახეში ჩაადაევს ცნობილობდნენ, სკალოზუბის სახეში პასკევიჩსა და არაკჩეევს ვარაუდობდნენ.

...ცნობილია, რომ რომანის „ანა კარენინა" პერსონაჟის — ნიკოლოზ ლევინის პროტოტიპი ავტორისავე ძმაა — დიმიტრი ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი... პროტოტიპები მოუპოვეს ივანეთვე ჩერნიშევსკის რომანს „რა ვაკეთოთ?". არსებული ცნობების მიხედვით, ლოპუხოვის სახით რომანში წარმოდგენილია ექიმი პეტრე ივანეს-ძე ბოკოვი, კირსანოვის სახით — სახელოვანი ფიზიოლოგი მ. სეჩენოვი, ხოლო რახმეტევში კი გულისხმობენ სარატოველ მემამულეს — ბ. ა. ბახმეტევს... გ. ერისთავის ბიოგრაფოსების ცნობით, „შეშლილიც" ავტობიოგრაფიულ მასალაზეა აგებული. პოემის გმირის — ბეგლარის სახეში, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, თვით ავტორია საგულვებელი... როგორც კოხტა აფხაზის მოგონებიდან ჩანს („კაკო ყაჩაღში") კაკოს ხასიათი შემუშავებულია თვით ი. ჭავჭავაძის თანამედროვე კარდანახელი ყაჩაღის — გაუხარაშვილის მიხედვით" (გვ. 15—24).

დასახელებულ და მსგავს ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ: მხატვრული ტიპის შექმნის პროცესში პროტოტიპის გამოყენება არა შემთხვევით, არამედ ეროგვარ კანონზომიერ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს. „ერთგვარ კანონზომიერ მოვლენას" იმიტომ ვამბობთ, რომ არსებობს სხვაგვარი კანონზომიერებაც, ე. ი. არსებობს ისეთი მხატვრული ტიპი, რომელსაც არ ჰყავს კონკრეტული პროტოტიპი. ასეთ ტიპს საფუძვლად არ უდევს ერთი რომელიმე ნამდვილი პიროვნება. ასეთ შემთხვევაში მწერალი ტიპს ქმნის სინამდვილის ერთი წრის სხვადასხვა ადამიანებში გაბნეული ტიპიური ნიშნების შეკრება-შეფუთვებების გზით. ერთ რეალურ ადამიანში შესაქმნელი ტიპის ერთ არსებით თვისებას შეამჩნევს, მეორე პიროვნებაში მეორე დამახასიათებელ ნიშანს და ასე შემდეგ, აი ამის ლიტერატურული მაგალითი. მწერალი გ. შედინსკი თავისი რომანის „მარიას" მთავარი პერსონაჟის მარიას შესახებ მოგვითხრობს: „მე ვამგზავნეს კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარედ იყო მარია ივანეს ასული ზ-ე. მისი გაცნობა დამეხმარა მეწერა რომანი, მაგრამ ის მაინც არ იყო ის მარია, რომელსაც მე ვეძებდი. იგი კარგად უძღვებოდა მეურნეობას. კოლმეურნეები მას ძლიერ აფასებდნენ, მაგრამ... ის არ უყვარდათ. ცხოვრებაში ასეც ხდება. ის ძალზე კარგი მეურნე იყო. ძალზე მოთხოვნი... მაგრამ მასში არ იყო ის გულითადობა, ადამიანურობა ურომლისოდაც არ შეიძლება იყოს საბჭოთა ხელმძღვანელი... დემოკრატიულობის ნიშანი არ ეანჩნდა იმ მარია ივანოვნას. ასეთი მარია კი შე არ მჭირდებოდა. მისგან მე ავიღე მისი ყაირათიანობა, თადარიგიანობა, სიმტკიცე, სხვა ნიშნები, რომლებიც საჭიროა საბჭოთა ხელმძღვანელის იმ იდეალისათვის. იმ ტიპისათვის, რომელიც მე შევიმუშავე, სხვებისაგან ავიღე: ივანე სტეფანეს-ძე ეგოროვისაგან, რომელიც იყო კოლმეურნეობა „გამარჯვების" თავ-

მჯდომარე, მ. ა. დომახინასაგან, ე. ა. ლეპეშევასაგან, ა. მ. გლაშკინასაგან და მრავალ სხვათაგან... ეს არის ტიპიზაცია: ავტორის აზრი თითქოს არჩევს ცოცხალ ცხოვრებაში გაბნეულ დიდ და პატარა ნიშნებს, აჯგუფებს მათ, აერთიანებს, ადუღაბებს და მათ საფუძველზე ქმნის სახეს" (იხ. „Знамя", 1954 წ., № 9, გვ. 141, ხაზგასმა ჩემია. ა. ჩ.). როგორც ჩანს, მარიას ჰყოლია ხუთზე მეტი „პროტოტიპი", მაგრამ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ივანე ეგოროვს, მ. დომახინას, ე. ლეპეშევას და ა. გლაშკინას არ შეიძლება პროტოტიპი ეწოდოს. ისინი ტიპის ცალკეულ ტიპიურ ნიშანთა წყარო არიან და ამიტომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნან პროტოტიპებად. პროტოტიპი არ შეიძლება ეწოდოს იმ წინასახეს, რომლისგანაც მწერალმა მხოლოდ ერთი ნიშანი აიღო. ამიტომ ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც პროტოტიპს უწოდებენ იმ პიროვნებასაც, რომლისგან მწერალს მხოლოდ ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება აუღია. (კ. დონაძე, პროტოტიპების მნიშვნელობა პერსონაჟთა დასახასიათებლად. იხ. ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის" 1953 წ., № 6, გვ. 45). პროტოტიპისათვის დამახასიათებელია გარკვეული მთლიანობა: ტიპის მთავარი ძირითადი ნიშნები მეტნაკლები ხარისხით მოცემულია პროტოტიპში. იგი შეიცავს მთავარ ტიპიურ ნიშანთა ერთიანობას, ამიტომ იწოდება იგი პროტოტიპად. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტიპი არ შეიცავდეს ისეთ ნიშნებს, რომლებსაც არ ატარებდა პროტოტიპი. ზოგჯერ ტიპი შეერთებს მეორე და მესამე პიროვნების თვისებებს და ასეთ ადამიანებს შეიძლება პროტოტიპი ეწოდოს, რადგან ისინი ცალკე ნიშნებს კი არ აძლევენ ტიპს, არამედ ორგანიულად შეერწყმიან მას ზოგიერთ ტიპიურ ნიშანთა კომპლექსით. დავასახელებთ ამის რამდენიმე მაგალითს. ჯორ-ზაქარას სახის შესახებ ს. მგალობლიშვილი თავის „მოგონებანში" წერს: „მიწის მფლობელობის დამოკიდებულებამ ნაბატონარებთან გლეხთა და ნაბატონართა შორის ბევრგან გამოიწვია სიმწვავე. გლეხთა დასაცავად მიჩენილი გვყავდა ანტონ ფურცელაძე, რომელიც მაშინ ვექილობდა ხოლმე... იყო ორი შესანიშნავი პროცესი — ზაქარია ტუტუნაშვილისა — ტირძნისის მებატონე ლიბერალ ივანე სულხანიშვილთან, რომელმაც წაართვა ტუტუნაშვილს, საეკლესიო გლეხს, ძველად კათალიკოსისაგან ნაბოძები მამული, რის დამოწმებული საბუთები ჰქონდა. „ტირძნისი მთლად ჩემია, შენც ჩემი ხარო", — ეს იყო საბუთი სულხანიშვილისა. მეორე პროცესი იყო სოფ. მეჯვრისხეველ ზაქარა მღებრიშვილისა, რომელსაც მომრიგებელმა შუამავალმა წაართვა კარწინ ნაფუძარი და გადასცა მებატონეს. აქაც ანტონი ვექილობდა, მაგრამ სასამართლოში შველოდნენ მებატონეებს ნათესავი მოხელეები და გლეხები ვერ იმარჯვებდნენ. მაინც ეს ორი ზაქარა ბრძოლის იარაღს ხელიდან არ უშვებდნენ, იბრძოდნენ. ეს დავა იქამდე მივიდა, რომ ბოლოს ტირძნისში სიხსნელით კი გათავდა. ეს ორი ზაქარას — ტუტუნაშვილისა და მღებრიშვილის ხასიათი, მისწრაფებანი ერთად შევკეცე და მასალად დავუდე ჩემს მოთხრობას „ჯორ-ზაქარა". (მოგონებანი, გვ. 91-92. 1938 წ. ხაზგასმა ჩემია. ა. ჩ.). ცხადია, რომ ზაქარა ტუტუნაშვილი და ზაქარა მღებრიშვილი ზაქარა ჯილაურის პროტოტიპები აროან. მაშასადამე, შესაძლებელია ტიპს ჰყავდეს ორი პროტოტიპი. დასახელებულ ორ ზაქარას პროტოტიპს იმიტომ ვუწოდებთ, რომ ისინი თითო ნიშანს კი არ აწვდიან ჯილაურს, არამედ მათი მთელი ხასიათი და მისწრაფებანი საფუძვლად ედება ჯორ-ზაქარას სახეს, როგორც ტიპს.

ტიპი შეიძლება შეიქმნას სამი პროტოტიპის ხასიათის შერწყმისაგანაც. მწერალი პარმენ ლორია ერთ თავის წერილში წერს: „ანდრო ბერტაძე სამი პირისაგან — სამი პროტოტიპისაგან გამოიჭედა. (ლაპარაკია რომანის „განთიადი ხევში" ერთ-ერთი პერსონაჟის შესახებ. ა. ჩ.). მე ვიცნობდი სამ ახალგაზრდა პარტიულს. დადიოდნენ რაიონებში სხვადასხვა საქმეებზე, აგიტატორებად, ლექტორებად, პარტმიმაგრებულებად. მათ შესახებ გლეხები მიამბობდნენ და ჩემში ნაცნობი სამი პიროვნებისაგან ერთი ანდრო ბერტაძე შევქმენი".

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მაინც არ შეიძლება დადგინდეს, რომ ყოველი ლიტერატურული ტიპის შექმნას აუცილებლად საფუძვლად უდევს პროტოტიპი. არიან ისეთი მწერლები, რომლებიც არ სარგებლობენ აუცილებლად პროტოტიპებიდან „გადმოწერის" მეთოდით. ამ საკითხთან დაკავშირებით თ. გლადკოვი ამბობს:

«Методом писания портретов с определеных лиц, знакомых, я не пользуюсь: этот метод стесняет меня, мешает мне в работе над типичным обобщением, суживает свободу распоряжаться материалом» [1].

ამიტომ არ შეიძლება პროტოტიპის მნიშვნელობის გაზვიადება, მისი როლის გადაჭარბებული შეფასება შემოქმედებითს პროცესში. არსებითად ტიპიზაცია იმ კანონს ემორჩილება, რომელიც ზევით მოვიხსე-

[1] Ф. Гладков, О литературе, 1955 г. ст. 9—10. (ხაზგასმა ავტორისაა. ა. ჩ.)

ნიეთ. გ. მედინსკის სიტყვებით: ავტორი როგორლაც არჩევს ცოცხალ ცხოვრებაში გაბნეულ ნიშნებს, „აჯგუფებს მათ, აერთიანებს, ადუღაბებს და მათ საფუძველზე ქმნის სახეს". ეს პროცესი შესანიშნავად დახასიათა პ. პავლენკომ თავის წერილში „Как возник образ Воропаева" 1944 წელს მწერალი პ. პავლენკო ყირიმში ჩავიდა. „აქ პირველად შევხვდი იმ ადამიანებს, — ამბობს ავტორი, — რომელთა ნიშნები შემდეგ შევიდა ჩემი პოლკოვნიკის ვოროპაევის ხასიათში. ესენი იყვნენ დაჭრის შედეგად დემობილიზებული ოფიცრები.

ერთმა მათგანმა განსაკუთრებით მიიპყრო ჩემი ყურადღება... ამ ოფიცრის ბედმა დამაინტერესა. მის შესახებ ზოგიერთი რამ ჩავიწერე ბლოკნოტში". 1945 წლის თებერვალში პ. პავლენკო მოქმედ არმიაშია. მაისში იგი ავად გახდა ტუბერკულოზით და ექიმის რჩევით ხანგრძლივი დროით ყირიმში დასახლდა. აქ მას მოაგონდა დემობილიზებული ოფიცერი, მაგრამ იგი უკვე წასულიყო. სამაგიეროდ მწერალს აქ შეხვდნენ სხვა დემობილიზებულნი და „ჩემი ვოროპაევის სახემ დაიწყო დაკონკრეტება. — მოგვითხრობს პ. პავლენკო. — მე ვაგროვებდი მას ისე, როგორც ფუტკარი აგროვებს თაფლს ყვავილებიდან, და ამგვარად, მასში შეიკრიბა მრავალი რეალური ადამიანის ნიშნები... თუმცა, რასაკვირველია, არც ერთ მათგანს იგი მთლიანად არ ალაგდგენს და არც იმეორებს. ერთისაგან აღებულია ნებისყოფა, მეორისაგან — შეუპოვრობა, მესამისაგან — სიყვარული მასობრივი მუშაობისადმი. ბოლოს, ბევრი რამ წარმოადგენს ჩემი ავტორული მიხვედრის ნაყოფს, როგორც ეს ყოველთვის ხდება, როდესაც იძერწება არა დოკუმენტური, არამედ განზოგადებული პორტრეტი".[1] მოყვანილ ამონაწერში წარმოდგენილია ტიპიზაციის საყოველთაო კანონი, მაგრამ აქ საჭიროა გაკეთდეს შემდეგი არსებითი ხასიათის განმარტება: მხატვრულ ტიპში „მრავალი რეალური ადამიანის ნიშნების" შეკრება, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ტიპი მხოლოდ მწერლის გონების პროდუქტი იყოს, ე. ი. ნიშნების საშუალებით მწერალი ადგენდეს ისეთ ტიპს, რომლის ტიპობრივი საფუძველი არ არსებობდეს ცხოვრებაში. ადამიანის სოციალური ტიპი ჯერ ცხოვრებაში იქმნება და შემდეგ აისახება იგი მხატვრულ ლიტერატურაში. მარქსისტულ-ლენინური გაგებით ადამიანის არსს წარმოადგენს „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა", ე. ი. ცხოვრებაში არსებობენ ადამიანთა სოციალური ტიპები. ამიტომ „ხელოვანი თვითნებურად არ იგონებს ტიპებს, მას არ შეუძლია შექმნას ისეთი ტიპიური, შემკრებლობითი სახე, რომლის ელემენტები ასე თუ ისე არ იყოს სინამდვილეში. შემკრებლობით სახეში იგი ასინთეზებს კონკრეტული სოციალური ტიპის მრავალი ადამიანის მთავარ, განმსაზღვრელ დახასიათებას"...[1] ასეთი სოციალური ტიპები ლიტერატურაში იქმნება პროტოტიპის გარეშე და პროტოტიპის მონაწილეობითაც, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც პროტოტიპი სახეზეა, მთავარი ყურადღება მაინც ფაბულურ პროტოტიპს ექცევა, ე. ი. იმ რეალურ ამბავს, რომელშიაც პროტოტიპი მონაწილეობს. მწერალს იზიდავს არა მხოლოდ პორტრეტული პროტოტიპი, არამედ, რაც მთავარია, პროტოტიპის მონაწილეობით მომხდარი შოვლენები, ამბები და სიტუაციები. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ცხოვრებაში ადამიანს ურთიერთობა აქვს სხვა ადამიანებთან, ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას, მას განსაზღვრავს სოციალური გარემო და ამ ურთიერთობაში ყალიბდება ტიპიური ხასიათი, ამიტომ პროტოტიპის ტიპად ქცევის პროცესში მწერლები მთავარ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ დაცული იქნეს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორად გადმოცემის მოთხოვნა. ამის მიღწევა კი შეუძლებელია ისე, თუ პორტრეტულ და ფაბულურ პროტოტიპში არ გამახვილდა ის მომენტები, რომლებიც ხელს უწყობენ მოვლენის არსის მაქსიმალური სისავსით გამოვლენას.

2

პროტოტიპის ტიპად გადაქცევისათვის პორტრეტული თუ ფაბულური პროტოტიპის გამახვილებულად გამოხატვა მეტად რთული საქმეა და ამ აქტის ანალიზში მდგომარეობს ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთობის საკითხის რკვევის მთავარი ამოცანა.

როგორც აღვნიშნეთ, მწერალი ზოგჯერ ცხოვრებაში პოულობს პროტოტიპს, მაგრამ ტიპის შექმნისათვის, მაშინაც კი როდესაც საქმე აქვს ისტორიულ მოვლენებთან და პიროვნებებთან, მწერალს უხდება მასალის შერჩევა, გადაჯგუფება, გამოგონება, გამახვილება და ა. შ. მწერალი უბრალოდ, ფოტოგრაფიული სიზუსტით კი არ გამოხატავს პროტოტიპულ სახეებს და მოვლენებს, არამედ იჭრება მათ საიდუმლოება-

1 П. А. Павленко. Писатель и жизнь, 1955 г., стр. 180 — 181. (ხაზგასმა ჩემია, ა. ჩ.).

1 В. Разумный — Художественный образ, 1955 г., стр. 13. (ხაზგასმა ჩემია, ა. ჩ.).

ში და მთელი სისრულით აჩვენებს მათი განვითარების ტენდენციას.[1] ამიტომ პროტოტიპიდან ტიპისაკენ მიდის მეტად გრძელი და ძნელი გზა.[2] ამ გზაზე მწერლის მთავარი ამოცანაა პროტოტიპის გამახვილება, რაც იქედან გამომდინარეობს, რომ იშვიათია ისეთი პროტოტიპი, რომელიც სრულყოფილად მოიცავდეს ტიპს, ან რომელსაც აბსოლუტურად ემთხვეოდეს ტიპი. არსებობენ ისეთი მწერლები და მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ ყოველთვის დაამყარონ იგივეობა ტიპსა და პროტოტიპს შორის, ეძებენ ისეთ პროტოტიპს, რომელსაც მუდამ ზუსტად დაემთხვევა ტიპი და თუ ამას მოახერხებენ, ეს მიაჩნიათ მწერლის დამსახურებად.

ასეთი მწერლისა და მეცნიერის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: პროტოტიპის მექანიკურად გადამღები მწერალი ვერასოდეს ვერ შექმნის ტიპს, ხოლო ის მეცნიერი, რომელიც მწერალს აქეზებს პროტოტიპის ზუსტად კადაღებისაკენ, ამცირებს მწერალს, რადგან ამ შემთხვევაში ხელოვნება დაყვანილია ხელოსნობამდე, ხოლო მწერლის როლი უბრალო ასლის გადაღებამდე; ამით მწერალს ერთმევა ის, რის გამო იგი შემოქმედად იწოდება. ნამდვილად კი მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია პროტოტიპს გარდაქმნის და გარდასახავს თავის პოეტურ ქურაში. ამიტომ ტიპი არ ემთხვევა პროტოტიპს. მწერალი შემოქმედებითად უდგება პროტოტიპს, შეაქვს მასში ცვლილებები იმგვარად, რომ ამახვილებს და წინ წამოსწევს ტიპიურს, არსებითს. ამაშია ტიპიზაციის არსი, ამას ემსახურება ტიპიზაციის პროცესი. ამიტომ არ შეიძლება პროტოტიპის გადაჭარბებული შეფასება. ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთობის საკითხში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროტოტიპის გამახვილების საკითხს. გამახვილება ემსახურება ტიპიურის მაქსიმალური სრულყოფით გამოვლინების საქმეს. აი ამის რამდენიმე მაგალითი:

ვ. ქიტოვას მოგონებიდან ცნობილია, რომ ი. ტურგენევის დედის ვარვარა პეტროვნას მეეზოვეს ანდრიას ჰყავდა პატარა ძაღლი მუმუ. ერთხელ გაბრაზებულმა ქალბატონმა აიძულა ანდრია თავისი ხელით დაეხრჩო მუმუ. მეეზოვისათვის ეს მოვლენა მძიმე ასატანი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსკოვი მაინც არ მიუტოვებია, დარჩა ქალბატონთან და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურებოდა მას.

[1] В. Щербина, А. Н. Толстой о процессе художественного творчества. (იხ. жур. Вопросы философии, 1955 г., № 5, стр. 86).
[2] Г. Ленобль. От прототипа к типу (жур. Нева, 1955 г., № 6, стр. 159).

ცხადია, რომ ვარვარა პეტროვნა „მუმუში“ გამოხატული ქვრივი ქალბატონის პროტოტიპია, ხოლო მეეზოვე ანდრია გერასიმეს პირველსახედ უნდა ჩაითვალოს. ამბავი იგივეა, მაგრამ ი. ტურგენევი მთელი სიზუსტით ყველაფერს არ იმეორებს, მასში შეაქვს ზოგიერთი ცვლილება და განსაკუთრებით თავისებურად არის გააზრებული ამბის დასასრული. როგორც მკვლევარი ვ. დობინი აღნიშნავს, სიუჟეტური გადმოცემის დროს ი. ტურგენევმა ფაბულიდან გამორიცხა ანდრიას მონური შემარიგებლობა ბატონისადმი. მოთხრობის დასასრულიდან ცნობილია, რომ ქალბატონის გულქვაობითა და ბოროტებით აღშფოთებული გერასიმე თვითნებურად ტოვებს ბატონის სახლს და მიდის სოფელში...“ შარაგზაზე მიაბიჯებდა ვიღაც გოლიათი, რომელსაც ზურგზე ტომარა ეკიდა და ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა. ეს გერასიმე იყო. იგი უკანმოუხედავად მიეშურებოდა შინ, თავის სოფელში სამშობლოში... შარაგზაზე ის მიდიოდა რაღაც ურყევი გამბედაობით, თავზე ხელაღებული და ამავე დროს სასიხარულო გადაწყვეტილებით.“[1] გერასიმეს მიერ ბატონის თვითნებური მოკვლა ი. ტურგენევის მიერ იმით არის მოტივირებული, რომ ამით გაემახვილებინა მოვლენის სოციალური აზრი, გამოხატა რა გლეხების მზარდი აღშფოთება მჩაგვრელების წინააღმდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ასეთი დასკვნა: „რეალისტურ ხელოვნებაში სიუჟეტის გამახვილებას... ბოლომდე მიჰყავს სოციალური მოვლენის შინაგანი კანონზომიერებანი.“[2] გამახვილების მაგალითია შემდეგი მოვლენაც: ცნობილია, რომ შხატვრული ნაწარმოების ამა თუ იმ პერსონაჟის უშვილობა, ერთშვილიანობა, მრავალშვილიანობა ყოველთვის ეხმაურება მწერლის იდეოლოგიურ მიზანდასახულობას. როგორც ვიცით, ლუარსაბ თათქარიძე უშვილოდ გადაშენდა. ისიც ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის ქართველის დედას ერთი შვილი ჰყავს—კიაზო, ერთი შვილის პატრონია ალ. ყაზბეგის ხევისბერი გოჩა. ასეთი მოვლენა არ არის შემთხვევითი. ამათი საშუალებით მწერლებმა ორი გრძნობა შეაჯახეს ერთმანეთს—მშობლიური სიყვარული და სამშობლოს სიყვარული. ნაწარმოებთა სიუჟეტები ისეა გაშლილი, რომ მწერლები მკითხველებს შთააგონებენ შემდეგ იდეოლოგიურ დასკვნას: მშობლიური სიყვარული და სამშობ-

[1] ი. ტურგენევი, მუმუ, 1951 წ., გვ. 48.
[2] Е. Добин, Заостренне в сюжете, (жур. журнал «Новый мир», 1955 г., № 3, стр. 247.).

ლოს სიყვარული ორივე დიდი გრძნობაა, მაგრამ უფრო მაღლა დგას სამშობლოს სიყვარული. თუმცა არც მშობლიური სიყვარულია პატარა გრძნობა: დედა კვდება, გოჩა გიჟდება. ამ გზით ამაღლებული გამოდის სამშობლო ქვეყნის სიყვარულის გრძნობა. გარკვევით არის ნაჩვენები, რომ „სიცოცხლე ჩვენი... არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა სჩანან“ (ი. ჭავჭავაძე.) ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძის ქართველის დედის პროტოტიპი და რამდენი შვილი ჰყავდა მას, ამიტომ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ დედის ერთშვილიანობა პროტოტიპის გამახვილების მიზნით არის გამოწვეული თუ არა. მაგრამ მაქსიმ გორკის „დედის“ პერსონაჟის დედის მიმართ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მ. გორკიმ განზრახ წარმოადგინა იგი ერთი შვილის პატრონად. ცნობილია, რომ პელაგია ნილოვნას პროტოტიპს ანა ზალომოვას 7 შვილი ჰყავდა, პელაგიას კი 1 შვილი ჰყავს. ამით ავტორმა გაამახვილა დედის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის რთული ისტორია. ზოგჯერ ავტორი შვილთა რაოდენობას ზრდის, ე. ი. ტიპს მეტი შვილი ჰყავს, ვიდრე პროტოტიპს. მაგალითად, გოგია უიშვილის პროტოტიპს. სოფელ გულანის მცხოვრებ გლეხს გიორგი ხუხუნაიშვილს „სინამდვილეში სამი შვილი ჰყავდა, ხოლო გოგია უიშვილს კი 5 ბავშვი ჰყავს და აუტანელ სიღარიბეში ცხოვრობს. ამრიგად, სურათის გამძაფრებით ავტორმა მკითხველი მომეტებულად უფრო გააღიზიანა ნაწარმოების პერსონაჟისადმი თანაგრძნობით და მით, ბუნებრივად, ერთიორად გაზარდა სურათის როგორც შემეცნებითი, ისე აღმზრდელობითი მნიშვნელობა“ (იხ. კ. დონაძის დასახელებული წიგნი, გვ. 105). როგორც ამავე წიგნიდან ჩანს, ეგნატე ნინოშვილი არ კმაყოფილდება ფაბულური პროტოტიპის დასახელებული გამახვილებით. უფრო საინტერესოა ფაბულის შემდეგი სიუჟეტური გამახვილებანი:

1. გიორგი ხუხუნაიშვილი თავს იკლავს „ციხიდან განთავისუფლების დროიდან რამოდენიმე დღის გასულის შემდეგ, ახალწლამდე, დაახლოებით ერთი კვირით ადრე“. გოგია უიშვილი კი თავს იკლავს „კალენდა“ დღეს, ე. ი. ახალ წელს, დილაადრიანად: „თოფის ხმამ გამოაღვიძა მარინე. — გოგიავ, არ გეყურება? გათენებულა კიდეც. თოფის სროლა ისმის. ავდგეთ, ჩვენც გეკილოცოთ! — დაუძახა მან თავის ქმარს, რომელიც ცეცხლის პირას ჩაძინებული ეგულებოდა“. როგორც ვხედავთ, ავტორი არ იცავს ამბის დროში გაშლის სიზუსტეს და ასე სწორედ იმიტომ მოახდინა, რომ ამით გაემძაფრებინა გოგიას ტრაგიკული მდგომარეობა და ამ გზით მწერალს „მეტი მხატვრული ემოცია გამოეწვია მკითხველებში“. (გვ. 106).

2. გიორგი ხუხუნაიშვილის ცოლმა „მარინემ თითქმის ორიოდე წელი იცოცხლა დედმამასთან სრულ გონებრივ სიფხიზლეში, გარდაიცვალა ჭლექით... უიშვილის მეუღლე მარინე კი, როგორც ვიცით, ჭკუიდან შეიშალა და თავისივე ბავშვები ააწიოკა“ (გვ. 108). მარინეს გაგიჟება ავტორმა დაუმატა იმ განზრახვით, რომ ამით ბოროტების წინააღმდეგ მკითხველის აღშფოთება გაემახვილებინა. ფაბულის განვითარებაში ძალიერი კულმინაციის შექმნა უდავოდ შესატყვის რეაქციას გამოიწვევდა მკითხველებში. ამიტომ მარინეს გაგიჟება პროტოტიპის ტიპად ქცევის პროცესში ეფექტურ გამახვილებად უნდა ჩაითვალოს.

3. გიორგი ხუხუნაიშვილის ოჯახში „არავინ დაბრუნებულა, იქ საუდამოდ გაცივდა კერა. ოჯახი სრულიად გაპარტახდა. უპატრონოდ მიტოვებული სახლი რამოდენიმე წლის შემდეგ გაიყიდა... სინამდვილეში გიორგი ხუხუნაშვილის არც ერთი შვილთაგანი მშობლიურ ეზოს არ დაბრუნებია“. მწერალმა ამ მხრივაც გადაუხვია სინამდვილეს, ე. ნინოშვილმა მოთხრობაში „ოჯახის ფუძე არ მოშალა და ბავშვები მამა-პაპეულ კარ-მიდამოს დაუბრუნა“ (გვ. 108-109). ცხადია, რომ მოთხრობის ამგვარი დამბოლოებით, ავტორმა ნათლად გამოხატა ის ჭეშმარიტი აზრი, რომ მშრომელი კაცი საბოლოოდ კერას მაინც არ მოშლის, რომ მასში მუდამ არის სწრაფვა უკეთესი მერმისისაკენ. ამით ე. ნინოშვილი გაშორდა პროტოტიპის ჩარჩოს და წარმოსახა ისეთი რამ, რასაც პროტოტიპის მიმართ ადგილი არ ჰქონია, რაც სინამდვილეში არ მომხდარა, მაგრამ შესაძლებელი კი იყო რომ მომხდარიყო. უნდა ითქვას, რომ ცხოვრებაში, სინამდვილეში უფრო მეტად სწორედ ისე ხდებოდა, რომ კერა არ ცივდებოდა. ეგნატე ნინოშვილმა სწორედ ეს რეალური ტენდენცია წარმოსწია წინ და ამით გოგია უიშვილის სახე უფრო სრულყოფილად ტიპიური გახადა, ვიდრე მისი პროტოტიპი იყო. ამით ავტორმა უფრო გაამახვილა ტიპიური და სწორედ ამაში მდგომარეობს ტიპიზაციის არსი. ამ კანონს ემორჩილება პროტოტიპის ტიპად ქცევის პროცესი. ამ კონტექსტში უნდა იქნას

განხილული ტიპის და პროტოტიპის ურთიერთობის ყოველი კონკრეტული, ცალკეული შემთხვევა.

3

ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთობის საკითხის გარკვევა სამი მხრით არის საინტერესო: უპირველეს ყოვლისა იგი საშუალებას გვაძლევს **ჩავიხედოთ მწერლის შემოქმედებითს ლაბორატორიაში.** ამგვარი ანალიზის საშუალებითაც **ირკვევა,** რომ შემოქმედებითი პროცესი **რაღაც** მისტიკური **და** იზოლირებული პროცესი კი არ არის, არამედ იგი დაფუძნებულია სინამდვილის ფაქტებზე, **რომ** მას გააჩნია რეალური საწყისი **და** რომ მთელ რიგ ტიპებს მოეპოვებათ **პროტოტიპები, ე. ი.** წინასახეები, რომლებიც საფუძვლად უდევს ტიპებს. ამით ძირი ეთხრება შემოქმედების არსის იდეალისტურ გაგებას.

მეორე მხრივ, ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთობის სწორად გაშუქება **ეხმარება ახალგაზრდა მწერლებს შემოქმედებითი ზრდის საქმეში.** ზოგიერთ ახალგაზრდა დამწყებ მწერალს ჰგონია, რომ პროტოტიპის გამოყენება დაამდაბლებს და სახელს გაუტეხს მის ნაწარმოებს, თვით მას, რადგან ამით ფოტოგრაფისტად მონათლავენ, ფაქტების რეგისტრატორს შეარქმევენ.

ზოგიერთ ახალგაზრდა, დამწყებ მწერალს კი საამაყო საქმედ მიაჩნია პროტოტიპის მოძებნა და მისი ზუსტი კოპირება. მას ჰგონია თუ რამდენად დაიყვანს ტიპს პროტოტიპამდე, ე. ი. რამდენადაც უფრო მოსპობს სხვაობას ტიპსა და პროტოტიპს შორის, იმდენად აამაღლებს თავისი ნაწარმოების რეალისტურობის ხარისხს, მის რეალისტურ ცხოველმყოფელობას, ცხოვრებისეულ დამაჯერებლობას. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს უკიდურესობასთან. ისინი **მავნეა** შემოქმედისათვის. ამიტომ ტიპისა და პროტოტიპის ურთიერთობის სწორად გარკვევა დაეხმარება ხელოვნების მუშაკებს შემოქმედებითს წარმატებაში.

ტიპისა **და** პროტოტიპის ურთიერთობის სწორად გარკვევას აგრეთვე **დიდი** მნიშვნელობა **აქვს სკოლაში ლიტერატურის სწავლებისათვის.** პროგრამის მიხედვით მოსწავლეები ეცნობიან მრავალ ლიტერატურულ სახეს, მათ შორის მთავარია ტიპიური სახეები, სახე-ტიპები, ხოლო ამათი **პროტოტიპების** მოძებნას და ჩვენებას დიდი სიახლე და დაინტერესება შეაქვს სწავლებაში. წინასახეებზე მითითება იწვევს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზაციას. ამის საშუალებით ხელი ეწყობა **მარქსისტულ-ლენინური** ესთეტიკის იმ ფუძემდებელი დებულების ღრმად შეთვისებას, **რომელიც** ამბობს, **რომ** ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს ცხოვრების, სინამდვილის განზოგადებულ ასახვას. პროტოტიპის მაგალითზე მოსწავლე რწმუნდება, **რომ** მხატვრული შემოქმედება არ არის არაცნობიერი მოვლენა, **რომ** შემოქმედება არ წარმოადგენს **რაღაც** მისტიკურ შთაგონებას, **არამედ** იგი ადამიანთა საზოგადოებრივი **პრაქტიკიდან** მომდინარე შემოქმედებითი **შრომაა,** რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული ცხოვრებაში, რეალურ ყოფაში.

სამწუხაროდ, ლიტერატურის სწავლების **მეთოდიკის სახელმძღვანელოებში** ვერ ვხვდებით ტიპისა **და** პროტოტიპის **ურთიერთობის** ანალიზს. მეთოდისტები ამით არ არიან დაინტერესებული. ერთი შეხედვით, ეს თითქოს კანონიერი მოვლენა **უნდა** იყოს, **იმის** გამო, **რომ** პროტოტიპი **არ** არის ლიტერატურული ფაქტი. როგორც ცნობილია, **პროტოტიპი** ლიტერატურული ნაწარმოების გარეთ დგას. მასწავლებელი **ასწავლის** ტიპს **და** არა **პროტოტიპს.** მართალია, **პროტოტიპი** ნაწარმოებში **არ** იხსენიება, იგი **შემოქმედების** აქტში მონაწილეობს **და** ამ აქტის **რეზულტატში** არ ჩანს, **მაგრამ** ეს **იმას** როდი **ნიშნავს,** რომ **მეთოდისტი** და **მასწავლებელი** **პროტოტიპით** **არ** **დაინტერესდნენ.** **წინასახე** **მაინც** **სახის** **წინასახეა,** **იგი** **მაინც** **მოცემული** **ტიპის** **პროტოტიპია** **და** **ამიტომ** **ლიტერატურული** **ტიპის** **სოციალური** **შინაარსისა** **და** **ეთიკურ-ესთეტიკური** **მნიშვნელობის** **ღრმად** **ახსნისა** **და** **შეთვისებისათვის** **პროტოტიპის** **მართებულ** **გამოყენებას** **დიდი** **სასწავლო-აღმზრდელობითი** **მნიშვნელობა** **აქვს.**

ზემოთქმულის საფუძველზე **შეიძლება** **გაკეთდეს** **დასკვნა,** **რომ** **ლიტერატურის** **სწავლების** **მეთოდიკის** **სახელმძღვანელოში** **პროტოტიპების** **მნიშვნელობის** **შეუფასებლობა** **შეცდომად** **უნდა** **ჩაითვალოს.** **საჭიროა** **უჩინარი** **პროტოტიპების** **გამოჩენა** **ლიტერატურის** **სწავლების** **პროცესში,** **რაც** **ადრე** **მოხდება** **ეს,** **მით** **უფრო** **გაუმჯობესდება** **ლიტერატურის** **სწავლება** **სკოლაში.**

ნელი ღუმბაძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

* *

რაჟდენ გვეტაძის პოეტური ენისა და სტილისათვის

მწერლის შემოქმედების სრულყოფილი ანალიზისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პოეტური მეტყველების გარჩევას — ენის შესწავლას.

ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველებისაგან განსხვავებით პოეტური მეტყველება მოვლენებსა და ფაქტებს მეტი ექსპრესიულობით გამოხატავს. ამისათვის მხატვრული სიტყვის რსტატი იყენებს სხვადასხვა საშუალებას, რითაც აღწევს მკითხველში მხატვრული ნაწარმოებით გამოწვეული ემოციის გაძლიერებას, მოვლენის ან საგნის ყოველმხრივ გაშუქებას ისე, რომ მათთვის ნათელმომფენი თვითეული სხივი პოეტურ პრიზმაში იყოს გადატეხილი.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პოეტური მეტყველება სულ სხვა ენაა და ჩვეულებრივი მეტყველება — კიდევ სხვა. პირიქით, ენის სპეციფიკის არსებითი ნიშნები — ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა ორივეს ერთი და იგივე აქვს. საქმე ისაა, თუ მწერალი როგორ შეარჩევს ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან, ენის ლექსიკური შემადგენლობიდან საჭირო სიტყვებს, გამოთქმებს. რა პოეტური ორნამენტებით დაამშვენებს მათგან აგებულ ლიტერატურულ ქმნილებას.

ლიტერატურის სპეციფიკა მხატვრული სახეებით აზროვნებაა. ნაწარმოები მხატვრულია მაშინ, როცა მწერალი იდეას გადმოგვცემს არა მსჯელობის გზით, არამედ მხატვრული სახეების მეშვეობით. რამდენადაც მწერალი უკეთ შეძლებს წარმოგვიდგინოს ცოცხალი ადამიანები ყოველდღიურ საქმიანობაში ისე, რომ ნაწარმოების იდეა ბუნებრივად გამომდინარეობდეს გმირების ცხოვრებიდან, მათი მოქმედებიდან, საქციელიდან და არ ახდენდეს გარედან შეტანილის შთაბეჭდილებას, იმდენად უფრო მხატვრულია ნაწარმოები. გმირის ხასიათი უპირველეს ყოვლისა უნდა ჩანდეს მოქმედებაში და არა მარტო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში. მწერალი ცხოვრების დიდი ერთგული უნდა იყოს, მან სინამდვილე უნდა გამოხატოს თავისი ავითა და კარგით. „პოეზია სიცოცხლის გამოხატვაა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, პოეზია თვით სიცოცხლეა", — წერდა ბ. ბელინსკი.[1] მწერლის დამოკიდებულება სინამდვილისადმი განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების ღირსებას. სინამდვილე მხატვრული ნაწარმოების შექმნის მხოლოდ შესაძლებლობაა. კარგი, მაღალიდეური და მხატვრულად გამართული ნაწარმოები რომ შევქმნათ, ამისათვის აუცილებელია მოცემული სინამდვილიდან შევარჩიოთ ტიპობრივი, დამახასიათებელი, ამასთან შევუნარჩუნოთ ის ინდივიდუალურიც, ურომლისოდაც ერთი მხატვრული სახე მეორის უბრალო განმეორება იქნებოდა. ეს უკვე დამოკიდებულია მწერლის მხატვრულ უნარზე. მწერლის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მისი მხატვრული უნარი სრულ გამოხატულებას პოულობს ნაწარმოების სტილში.

მხატვრული ლიტერატურის განვითარების ხანგრძლივი ისტორია ცხადყოფს ამგვარ კანონზომიერებას: რამდენადაც მტკიცე და ორგანულია მწერლის იდეური კავშირი სინამდვილესთან, იმდენად უფრო ღრმად წვდება იგი ეპოქის დიდი მოვლენების დედაარსს, იმდენად უფრო თვალხილულად პოულობს იგი სინამდვილის მხატვრულ სახეს.

სინამდვილესთან დამოკიდებულება განსაზღვრავს ცნობილი ქართველი საბჭოთა მწერლის რაჟდენ გვეტაძის როგორც პოეტური ენისა და სტილის თავისებურებას, ისე მისი მხატვრული შემოქმედების ორ პერიოდსაც — რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ პერიოდს.

რაჟდენ გვეტაძის რევოლუციამდელი პერიოდის პოეტური შემოქმედება ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმდინარეობის—სიმბოლიზმის ძლიერ გავლენას განიცდის. ისე როგორც რეაქციის პერიოდის სხვა დეკადენტი პოეტების

1 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, 1952 წ., გვ. 285.

შემოქმედებაში, რ. გვეტაძის პოეზიაშიც ადგილი ეჭირა ეპიგონობას, პოეტური კულტურის დამდაბლებასა და გაუბრალოებას. ყოველივე ეს შედეგი იყო იმისა, რომ ქართველმა სიმბოლისტებმა, მსგავსად ფრანგი და რუსი სიმბოლისტებისა, ხელოვნება, კერძოდ პოეზია, ჩამოაცილეს მის პირდაპირ დანიშნულებას — ცხოვრების, სინამდვილის მხატვრულად ასახვის მიზანს.

„დღეს პოეზია იწვის თავის საკირეში და არაფერს არ სესხულობს ცხოვრებიდან“, — წერდა ვ. გაფრინდაშვილი.[1]

„ცისფერყანწელებმა“, იცავდნენ რა დევიზს — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, პოეზიას მიზნად დაუსახეს გაბატონებული ფენების სამსახური. მათ სწამდათ, რომ „ლირიკა არავისთვის სავალდებულო არ არის. ის არისტოკრატიულია ზედმიწევნით.“[2]

დეკადანსის გესლით მოწამლული „ცისფერყანწელები“ მიმართავდნენ პოეტური სახეების განგებ გართულებას, გაბუნდოვანებას. „სისტემად გვქონდა შემოღებული აზრების გაბუნდოვანება“, განაცხადა ერთ-ერთმა „ცისფერყანწელმა“ ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე გამართულ მწერალთა შემოქმედებით დისკუსიაზე.[3]

რ. გვეტაძის შემოქმედების პირველი პერიოდის (1916-1921 წ. წ.) პოეზიაში გვხვდება ბუნდოვანი სახეები, კოშმარული სურათები, გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები.

ბუნდოვანი და გაუგებარია რ. გვეტაძის პირველი პერიოდის არა მარტო პოეტური სახეები, არამედ თემატიკაც. ამ პერიოდის ლექსების მხოლოდ სათაურების დასახელებაც კი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რამდენად დაცილებული იყო პოეტი სინამდვილეს, რამდენად მისტიკური ხასიათი ჰქონდა მის შემოქმედებას. აი, ეს ლექსები: „მთვარე და ქორის ფრჩხილები“, „ღაზოიანი სურვილი“, „პოეტის ქუდი და თვითმკვლელობა“, „ვირები აღდგომა დღეს სოფელში“, „ბარათი ვირებს“, „ვირების მესია“. „ქმრიანი ღვთისმშობელი“, „ტირილი პროსპექტზე მთვარიან ღამეში“, „წმინდა კვირიკე“ და მრავალი სხვა.

არა მარტო ცალკეული ლექსები, არამედ ლექსთა კრებულები „მთვარის ზღაპარი“, „დაბინდული ქარვები“, „ღამეები“, „ვირების მესია“, რომლებიც შემოქმედების პირველ პერიოდშია გამოცემული, აშკარად მიუთითებს, რომ პოეტი სინამდვილეს დაცილებულია, უგულებელყოფს აქტუალურ თემატიკას, მისტიციზმისა და უმედობის ბურუსშია გახვეული. ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ რ. გვეტაძე მაშინ ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული მიმდინარეობის — სიმბოლიზმის ძლიერ გავლენას განიცდიდა.

კონკრეტული, დახვეწილი და გამართლებული პოეტური სახეების ნაცვლად რ. გვეტაძის შემოქმედების პირველი პერიოდის ლექსებში გვხვდება გაუგებარი, ბუნდოვანი და სუსტი შედარებები, მეტაფორები, ეპითეტები. გართულებულ და განყენებულ ტროპებთან ერთად პოეტს ახასიათებს ფორმალიზმით გატაცება — მთავარ ყურადღებას აქცევს ლექსის გარე სამოსელს, რის შედეგადაც ხშირად შინაარსი, აზრი, იდეა სრულიად უგულებელყოფილია. აი სათანადო მაგალითებიც:

„ბევრს სურს ყავდე ცოლათ,
დამწვა **შუქის კირმა,**
მოჩანს **ელვის ზოლათ**
შენი ქოშის სირმა“.

(„კენტი სიყვარული“)[1]

ძნელი წარმოსადგენია რას ნიშნავს „შუქის კირი“, ან კიდევ როგორ შეიძლება „ქოშის სირმა“ მოჩანდეს „ელვის ზოლად“. ლექსი ეროტიული ხასიათისაა. მასში ბევრია უაზრო ამოთქმა და გაზვიადებული შედარებები.

პოეტი იმდენად გატაცებულია ფორმალიზმით, რომ ზოგჯერ მასაც არ ესმის სიტყვა, რომელსაც იგი ლექსში იყენებს:

„ალბათ იყიდი კაბას ძვირიანს, —
ვიცი ალილო რომ გახალისებს, —
მე კი უბედურს, ვით ლოთს წვირიანს —
ვერვინ მაშორებს თვალზე ალიზებს“.

(„ტირილი დეკემბერში“.)[2]

როგორ გაჩნდა პოეტის თვალებზე ალიზი, ეს გამოუწვავი აგური და ისიც ერთი კი არა, რამდენიმე? რა უნდოდა თვალზე გამოუწვავ აგურებს?

უაზრო შედარებაა სტრიქონებში:

„მზე შემოდგომის მოღუშული, **როგორც ყასაბი,**
ჩემსავით ახმობს ხის სვეტებზე ვაშლების ჩირებს.

(„გაბოროტებული ღამე“).[3]

1 ვ. გაფრინდაშვილი, „სახელების მაგია“, ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, წიგნი მეექვსე, 1921 წ., გვ. 12.

2 ვ. გაფრინდაშვილი, „ლირიკის ელეზიუმი“, „მეოცნებე ნიამორები“, № 9, 1923 წ., გვ. 6.

3 შ. აფხაიძის სიტყვიდან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 4, 1936. წ.

1 წიგნიდან „ღამეები“, გვ. 8.

2 იქვე. გვ. 12.

3 იქვე, გვ. 25.

სად შემოდგომა და სად ყასაბი? შეუსაბამობაა. შეუსაბამოა შედარებები:

„მაღალ მთებიდან მზეც ამორბის როგორც ყაჩაღი,
ვირები მხოლოდ თავს უშვერენ მოოქრულ სარებს“.
(„ვირები აღდგომა ღამეს“),[1]

ან კიდევ:

„მოდის ვირების ქარავანი მაღალ სიჩუმით
გადახრილ მთვარეს უყვარს მათი მოგზაურობა“.
(„ვირები პროსპექტზე გათენებისას“).[2]

წარმოუდგენელია, თუ როგორია „მაღალი სიჩუმე“, ან რად უყვარს „გადახრილ მთვარეს მათი მოგზაურობა.“

ბუნდოვან და სუსტ შედარებებთან ერთად გვხვდება უხეში შედარებებიც. პოეტს თავი წარმოდგენილი აქვს ვეშაპად.

„როგორც ვეშაპი ამ ქვეყანას ვატარებ მარტო“,—
(„გლოვა“)[3]

ხშირია ერთმანეთთან დაუკავშირებული და მექანიკურად შეკოწიწებული სტრიქონები:

„ვხედავ ეშმაკებს ფანჯრის მინებზე,
ბუხარში კატა ჩამოვარდება.
ობობა მკიდებს ჭერის ფინებზე,
ირგვლივ სიჩუმის კვნესა მყარდება“.
(„მარტოობა...“)[4]

მირაჟული სახეებით გატაცებული პოეტი ეძებს „ანგელოზ რითმებს“, „ვით ილბალს“, ლექსები კი ბუნდოვანია:

„მიყვარს, როს კატა ყურით პირს იბანს
რადგან გიყვარდა შენ დეკემბერი“.
(„ტირილი დეკემბერში“)[5]

პოეტს არ შორდება კატის სახე:

„მაგრამ ვიღაცა გასტეხავს მინას:
და... ვეცი კატას, უნდა გავფატრო...“
(„კვიმატი ორშაბათი“)[6]

რ. გვეტაძის ამ პერიოდის პოეზიის ლექსიკა სავსეა სიტყვებით: ავგაროზები, მეფური პროფილი, წყეული ჯამბაზები, ანაფორა, ხუცესი, მკვდარი, სასაფლაო, ქაჯები, სიზმრები, ეშვები, ეშმაკები, ობობა, კატა, ვირი, მთვარე, მყუდროება, კვნესა და სხვ. ყოველივე ეს გაურკვეველ ბურუსში ხვევს და კიდევ უფრო აბუნდოვანებს პოეტის აზრს, რომელიც „ცისფერ სამოსელშია“ გახვეული.

რაჟდენ გვეტაძის პოეტურ ენაში ხდება გარდატეხა. ეს გარდატეხა დაკავშირებულია მწერლის შემოქმედების ძირითადი მოტივების შეცვლასთან, მეორე პერიოდში იხვეწება მწერლის პოეტური ხერხები, ლექსიკა, სტილი. ბუნდოვანსა და გაუგებარ სურათებს ნათელი და მკვეთრი პოეტური სახეები ცვლის, მრავალფეროვანი და აქტუალური ხდება მისი ლექსების თემატიკა, პოეტურ ლექსიკაში აღარ ვხვდებით ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც უიმედობის, სასოწარკვეთილების, უნუგეშობის, სევდის და მარტოობის სიმბოლოებს წარმოადგენენ. იგრძნობა პოეტის დაოსტატება მხატვრული სახეების გამოკვეთაში.

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც მოწმობენ, რომ რ. გვეტაძის პოეზია მეორე პერიოდში უკვე თავისუფლდება სიმბოლიზმის გავლენისაგან და კონკრეტული, გამართული შედარებებითა და მხატვრული სისადავით, გამოკვეთილობით ხასიათდება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ასეთი შედარებები:

„დაფრქვია უხვად თავზე ნათელი,
ბრწყინვალება მოახურა ნაბადად“.
(„ვინც მზესავით ანათებს“).

„მიჰქრის და დილის მსუბუქი ნისლი
მისი ჩიბუხის ბოლი ჰგონია“.
(„მფრინავი“).

„როგორც რამ წიგნი უცხო არაკთა,
ჩემს წინ გაშლილი იყო თბილისი“.
(„თბილისი ღამით სტალინის მთიდან“).

„ლანდი შეჩერდა ნაპირზე,
ჩამოცვენია კავები.
გალმა გაცურვას აპირებს
ვეფხი, გზა შენაკავები“.
(„წითელრაზმელი ქალი“).

„ილვრებოდა ოფლი
სოფლად, მთის არეზე,
როგორც ცრემლი ობლის
დედის სამარეზე...“
(„მერკვილაძის დები“).

„სახე მუდამ უბრწყინავდა,
ვით ნათელი გარიჟრაჟი“.
(„ლელა“).

შესანიშნავი პოეტური ოსტატობით არის გამოძერწილი სტრიქონები:

„სურს კოლხეთი მზის სხივებით ნაქარგი,
ჰგავდეს გაშლილ ფარშავანგის მარაოს“.
(„ოქროს ვერძი“).

მკითხველს კარგად შერჩეული, მხატვრული საღებავით შეხამებული სურათი წარმოუდგება, როცა წაიკითხავს ამ სტრიქონებს:

1 წიგნიდან „ვირების მესია“, გვ. 80.
2 იქვე, გვ. 82.
3 იქვე, გვ. 89.
4 იქვე, გვ. 15.
5 წიგნიდან „ღამეები“, გვ. 12.
6 „ვირების მესია“, გვ. 27.

„მიწას კუპრი დასწოლია,
ქარი ხეებს თელავს,
ელვა აფრქვევს ნაპერწკალებს,
ხან ხმალივით ელავს,
ხანაც ცაზე გაებმება
აბრეშუმის ძაფად.
ზღვა ბობოქრობს და იღვრება
ნაპირებზე ქაფად".

(„მახაჯირები").

რ. გვეტაძის შემოქმედების მეორე პერიოდში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პროზას. პროზაში რ. გვეტაძე გვევლინება, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, ქართული ენის და მისი გამომსახველობითი საშუალებების ღრმად მცოდნე და მფლობელი. მცირე ნაკლის მიუხედავად აშკარად ჩანს, რომ მწერალი დაუფლებულია პოეტური თხრობის ტექნიკას და ემარჯვება სახეების გამოკვეთა, ტიპების დახატვა ზომიერი საღებავებით, მკითხველისათვის გასაგებ ენაზე წერა.

რ. გვეტაძემ პროზაში მუშაობა ოცდაათიან წლებში დაიწყო. პირველი პროზაული ნაწარმოებების („თეო", „ჭიაკოკონა") თემები მწერალს აღებული აქვს მსოფლიო ომისა და თებერვლის რევოლუციის პერიოდიდან. შემდეგ მის შემოქმედებაში თანდათან მკვიდრდება თანამედროვეობის აქტუალური თემატიკა — სოციალისტური მშენებლობა, სამამულო ომი და სხვ.

მოთხრობები „თეო" და „ჭიაკოკონა" ძირითადად იდეურად გამართული ნაწარმოებებია. როგორც პირველი პროზაული თხზულებანი, ისინი არც მხატვრულად არის დასაწუნი, მაგრამ შეიმჩნევა ზოგიერთი ნაკლი. მაგალითად, ამ ნაწარმოებთა კომპოზიცია არ არის მჭიდროდ შეკრული და დახვეწილი, სიუჟეტური განვითარების; მთლიანობის მხრივ დეფექტურია, არის გაჭიანურებული ადგილები. მწერალს მთელი გულისყური გადატანილი აქვს უარყოფითი პერსონაჟების ხასიათებისა და ცხოვრების სრულყოფილად გამოსახვაზე (ყაფლანი, ხოსრო, ოქროპირი). დადებითი გმირები და მათი ცხოვრება (მირზა, თანდილა, როინი) შედარებით სქემატურად წარმოდგენილი.

რ. გვეტაძის მომდევნო მოთხრობები კომპოზიციურად შეკრული, მხატვრულად დასრულებული ქმნილებებია („მახრა", „სკირგაილო", „მართალი ნოველები" და სხვ.).

რ. გვეტაძის მოთხრობებში ტიპობრივი ხასიათები მოცემულია ტიპობრივ გარემოში.

ტიპურია ფეოდალურ-მემამულური კლასის წარმომადგენელი ყაფლანი. მისი ხასიათი, ქცევა, მთელი ცხოვრება შეპირობებულია დარღვეული, დეგრადაციაქმნილი კლასის მდგომარეობასთან. ყაფლანი გონებრივად შეზღუდული, ხასიათით მკაცრი, ჯიუტი და თავნებაა, ავადმყოფური პატივმოყვარეობით ხასიათდება.

ვაჭრულ-ჩარჩული ფენის ტიპური წარმომადგენელია ხოსრო, ტიგრანა. ტიპურია მეწმენეიკი ოქროპირი, მელირე მიხასი, სკირგაილო და სხვ. ტიპობრივი სახის შესაქმნელად რ. გვეტაძე გვიხატავს პერსონაჟის პორტრეტს, მის გარეგნობას, გვიხასიათებს მას და შემდეგ გვიჩვენებს მის მოქმედებას, მის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, ტიპობრივ გარემოებაში გვაცნობს მისი მეტყველების თავისებურებას და სხვ.

პერსონაჟების პორტრეტებში, გარეგნობაში აშკარად არის გაცხადებული მათი ხასიათის, ფსიქოლოგიის ძირითადი თვისებები და თვით ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ პერსონაჟისადმი.

ქალაქის ჩარჩ-ვაჭრული, მეშჩანური ფენის წარმომადგენლის ყასაბ ტიგრანას პორტრეტი მწერალს შემდეგნაირად აქვს დახატული:

„ტიგრანა მეტად გაქნილი და მარიფათიანი კაცი ჩანდა, ტანად მაღალი და მუცლიანი.

ტუჩები ჩანგალზე დაკიდებულ ხორცივით წითელი და მსუქანი ჰქონდა. ნესტოებ გაბუშტულ ცხვირთან შებუჩქული ულვაშების კუდები ხარაბუასავით ყურებამდე წვდებოდა. ბატის კვერცხივით ლოყებზე წვერს არ იყენებდა. სისხლჩამდგარ თვალებს, რომლებიც სიმსუქნისაგან დაპატარავებოდა, შიგ ნაცარჩაყრილივით აპარპალებდა. ჯაგარ წამწამებზე წირპლი შეხმობოდა, ხოლო სქელი და გრძელებწვიანი წარბები ვიწრო, დაბალ შუბლზე შავ არშიად მოვლებოდა.

კუთხეებიან ნიკაპთან, რომლის ქვეშ ყაპო ჩიყვივით ეკიდა, დატოვებულ ხალს ტიგრანა ულვაშებზე უფრო უფრთხილდებოდა და ყოველთვის გულდაგულ იკვარკნიდა...

აფუებული კისერი უშლიდა გვერდზე სწრაფად მიხედვას... შავი ხალათით და შარვლით მოსილს, რუმბებივით მრგვალ ფეხებზე მოკლეყელიანი ჩექმები ეცვა, ხოლო გამოზვინულ გულ-მუცელზე სისხლნარევ ქონისაგან გაქერქებული თეთრი ფეშტემალი ეფარა.

ტონტოლა მკლავები, ხელის ზურგი და გამაძღარი წურბლების მსგავსი თითები მთლიანად ბალნით ჰქონდა დაფარული..."[1]

აქედან აშკარად ჩანს ყასაბ ტიგრანასადმი მწერლის ანტიპატიური დამოკიდებულება.

ყაფლანი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს თავისი მხეცური ბუნებით. მისი პორ-

1 რ. გვეტაძე, რჩეული, 1941 წ., გვ. 176.

ტრეტის დახატვისას მწერალი ეურადღებას ამახვილებს სწორედ ამ თვისების გამომხატველ სახის მოძრაობაზე.

„... მოგრძო სახეზე, ერთდროს ყორნის ბოლოსავით შავი წვერი სანახევროდ შეეერცხლოდა. მაღალი, ოდნავ კუთხოვანი შუბლი მრავალგზის დაეღარა ხანდაზმულობას თუ განვლილ ბობოქარ დღეებს. ლამფის შუქზე უპეებგანიერი მისი კუკუნახი თვალები ამ საღამოს უცნაურად კვესავდნენ, მოკაუჭებული ცხვირის ფართო ნესტოები კიდევ უფრო ეგერებოდნენ, რაკ ყაფლანის ცუდ ხასიათზე ყოფნას ამყღავნებდა...“[1]

პერსონაჟის ჩაცმულობა, გარეგნობა მის მდგომარეობაზე და ხასიათზე მიუთითებს; ხოსროს ტანსაცმელი მის განდიდებულ ცხოვრებაზე და გაამაყებულ ხასიათზე მეტყველებს:

„ხოსრომ შეუნძრევლად, ჩოხა-ახალოხის ცალი კალთა გადაიწია, ყარამანდულ შარვლის ჯიბიდან ვერცხლის ფული მუჭით ამოიღო, ლანგარზე მანეთიანი დაადო და დანარჩენები ისევ ჯიბეში ჩხრიალით ჩაიყარა...“[2]

მენშევიკი ოქროპირის უნიადაგობა მწერალს ასე აქვს გადმოცემული: „ხანდახან პოლიტიკურ საკითხებზე კამათის დროს სიფიცხე იპყრობდა და ასეთ დროს ხშირად საგანს სცილდებოდა, რაც მეტწილად გაუგებარს ხდიდა მის აზრს...“[3]

მეტყველებაში სიდინჯე, აზრის სიცხადე და გარკვეულობა, თანმიმდევრული ტონი, დამაჯერებლობა დამახასიათებელია გონიერი და განსწავლული, თავისი ცოდნის სიმტკიცესა და სიმართლეში დარწმუნებულ ადამიანთათვის. ოქროპირი ყველა ამ თვისებას მოკლებულია.

ყაჩაღი თადეოზის დაუდეგარი, მაგრამ უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ბუნება ჩანს მისი გარეგნობიდანაც:

„თადეოზს დარაიას ბლუზა ეცვა. ყარამანდული ხვანჯრიანი შარვალი ჩატანებული ჰქონდა მესტებში... მოსუსხულ უძიროებში ფეხები მოძრავ მაქოებს უგავდა და სირბილში მწევარს გაუსწრებდა.

ტანმორჩილი იყო, თხელი, მაგრამ რვალის კუნთებიანი. მხარბეჭგანიერს წელი სამაჯურში ჩაეტეოდა. მის მოგრძო სახეს წაწვეტებული ნიკაპი და მოკაუჭებული ცხვირი დაუდეგარის იერს აძლევდა... თვალები სიფთრის დროს გაღვივებული მუგუზლებივით უგიზგიზებდნენ და ნიკაპი კიდევ უფრო ემახვებოდა.“[4]

1 რ. გვეტაძე, რჩეული, გვ. 106. (ხაზი ჩემია. ნ. დ.)
2 იქვე, გვ. 221.
3 იქვე, გვ. 223.
4 იქვე, გვ. 257.

სოციალურად განწირულ, უარყოფით პერსონაჟებს მწერალი ზოგ შემთხვევაში ფიზიკურად ჰკლავს და მათდამი არავითარ სიბრალულს არ ამყღავნებს (როინის მიერ ხოსროს სახლ-კარის ცეცხლის წაკიდება და მოკვლა. ფიდოს სიკვდილი, მიკოლას ძიერ სკირგაილოს მოკვლა და სხვ.) მორალურად სიკვდილის ადწერაში კი რ. გვეტაძეს ჭარბად შეაქვს სატირული ელემენტი. ასეთ შემთხვევაში უკეთ მეყღავნდება მწერლის დამოკიდებულება უარყოფითი პერსონაჟისადმი. რაც მსოფლმხედველობის გასაღებს წარმოადგენს.

უარყოფითი პერსონაჟისადმი მწერლის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ ყაფლანის ცხოვრების ფინალი მოთხრობიდან „თეო“. გალაღებული მემამულე ყაფლანი ცხოვრების კანონზომიერმა განვითარებამ ისე გააღარიბა და გარიყა, რომ მეკუბოვე როსტომოვს ბალდახინის გამყოლად დაუდგა. რ. გვეტაძე ცინიკურად შენიშნავს: „ამგვარად, ნათავადარმა იშოვა მუდმივი და იოლი საქმე.

უწვერულვაშო ყაფლანი, როცა ბალდახინის გასაყოლად მოირთვებოდა, უცხოდ გრძნობდა თავს.

გულმოდგინედ იცვამდა ფრაკის მსგავს შავ პალტოს, რომელსაც სილამაზეს მხოლოდ საყელოზე, სახელოებზე და მერცხლის ბოლოსავით მოყვანილ უკანა ნაწილზე შემოვლებული თეთრი ლენტი უკარგავდა. სამაგიეროდ ცილინდრი არაფრით არ განსხვავდებოდა ნამდვილისაგან.

ასე მოკაზმული ყაფლანი უფრო ხალისიანად იყო. ადამიანებზე გაბოროტებული გასვენებაში სიარულით ოხებდა გულს. სასაფლაოდან დაბრუნებული, ბალდახინზე ისეთი სახით იჯდა, თითქო საუკეთესო ეტლი მიაქროლებდა.

თავის ახალ ამხანაგებსაც შეეგუა. მათთან ერთად საღამოობით სვამდა არაყს.

ღამე ბალდახინის ყუთში იძინებდა“.[1]

რამდენი სარკაზმი და ირონია ჩანს ყაფლანისადმი მწერლის დამოკიდებულებაში. ცხადია, რ. გვეტაძე არ თანაუგრძნობს ექსპლოატატორულ კლასს და მისი დაღუპვა ცხოვრების გარდუვალ მოვლენად მიაჩნია.

რ. გვეტაძეს ეხერხება მოქმედი პირის ფსიქოლოგიური განწყობილების კარგად და დამაჯერებლად გადმოცემა.

ყაფლანმა გიორგას ერთადერთი მოზვერი — ხატულა დაუკლა. დაღუპა გიორგას იმედი. მან საშინელი სულიერი ტრავმა განიცადა და მტრი-

1 რ. გვეტაძე, პროზა. 1946 წ., გვ. 98.

სადმი სამაგიეროს გადახდის სურვილით აენთო. მწერალი შემდეგნაირად აღწერს გიორგას სულიერ მღელვარებას: „გიორგი გაქვავდა. ერთბაშად თვალები ჩაუღრმავდა, ცხვირის ნესტოები გაეცრიცა და აუთამაშდა, ყველაფერი წისქვილივით დატრიალდა. ყველაფერი აირია ერთმანეთში — მისი საყვარელი მოზვერი, ურემი, სახლი, დედა, მენახირე, თანდილა, და მთელი ეზო, საბედო. კარგა ხანს იდგა ასე, შემდეგ ყრუდ, შორიდან იკითხა:

— ვინ დამღუპა, ვინ დამაქცია?..

— ყაფლანმა დაკლა... ჰო, ღმერთმანი, ჩემი ბრალი როდია, — თავს იმართლებდა აბუზული მენახირე და თან სახელოთი ცრემლებს იწმენდდა.

გიორგასაც ჩაქვევრებული თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ ისევ მალე დაუწდა, მერე თანდათან აუგიზგიზდა, ტუჩები ჩაუფიცხდა. მზით დამწვარ ღაწვებზე სიფიცხე შეეპარა. მაგარი, სოლებივით დათლილი კბილები საშინლად გაახრჭიალა. წალდს ხელი დასტაცა, ერთი იქაურობას თვალი მოავლო და ახლად გაკეთებულ მესრის ღობეს ვეფხვივით გადაუქროლა“.[1]

პერსონაჟთა განცდები, მღელვარება, რასაც ხშირად მათი სულიერი კატასტროფა მოსდევს, გამოწვეულია დიდი უბედურებითა და გაჭირვებით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ეპიზოდები: ჰანას მიერ ლეკვის მოკვლა („მახრა“), გიჟი თებროს შეხვედრა ყაფლანთან („თეო“) და სხვ.

რ. გვეტაძის ნაწარმოებთა თვალსაჩინო ღირსებაა მოხდენილი დიალოგები. დიალოგს მწერალი იყენებს პერსონაჟის დახასიათების მთავარ ხერხად. შესანიშნავია, მაგალითად, ხოსროსა და მისი ცოლის ჩხუბი იმის შესახებ, თუ ვინაა მათ შორის დამნაშავე, რომ შვილი არა ჰყავთ.

„— ნეტავი ვის ესაყვედურები, ღმერთს თუ შენივე თავს? მჭირდავად შეეკითხა კესო.

— სასაყვედურო ვინცაა, კარგად იცი!

— უი, ღმერთო მომკალი, იქნება მე მაბრალებ შენს სიგლახეს!

— აბა, ვისი ბრალია, ქალო!

— ვისი? ვისი და შენი. კაცს სისხლი არ გიჯარგოდეს, მე რა შუაში ვარ?

— მე კი არა, შენ ხარ გამოფიტული, თვარა...

— თვარა რა, ერთბაშად სულ ბიჭები გეყოლებოდა, აი! არა, შენ თვალდამდგარო, ქალს კანი მასკდება და მაპიკივით სისხლისაგან დაწრეტილებს მადარებ?

— არ მეყოლებოდა თუ! დიახაც მეყოლებოდა, შენ რომ ბერწი არ გამომდგომოდი. მე შენ გეტყვი ჯანი მაკლია, ვაჟკაცი არა ვარ! ჰაი გიდი-გედმანეს, თათარი ვიყო შაშინ განახვებდი ჩემს ბიჭობას!..

კესოს უარესი უნდოდა ეთქვა, მაგრამ შეეშინდა, ისეთი რამ არ წამოცდენოდა, რაც ხოსროს ეჭვს აღუძრავდა და სიტყვა აუკრა“.[1]

როგორც ხოსროსა და კესოს დიალოგში, ასევე მიქელასა და ანუსის დიალოგიდან მომავალი შვილიშვილის სახელის დარქმევის შესახებ, კარგად ჩანს მათი ამორალობა, გონებაშეზღუდულობა, ცრურწმენა.

დიალოგში დაცულია მხატვრული ნაწარმოების კოლორიტი, ზომიერადაა გამოყენებული დიალექტიზმი (ქართლური, იმერული) გმირთა მეტყველებაში, ზოგჯერ მოქმედი პირი ამეტყველებულია მისი პროფესიისათვის დამახასიათებელი სიტყვებით. მაგალითად, ტიგრანა („თეო“), რომელიც ცდილობდა საუბარში ბაზრული კილო არ დასტყობოდა, ამას მაინც ვერ აღწევს.

რ. გვეტაძეს ემარჯვება ბუნების სურათების დახატვა. პეიზაჟი მოცემულია როგორც ადამიანის მოქმედების ფონი, ჩანს ადამიანის დამოკიდებულება ბუნებისადმი:

„ევდო შუა აივანზე შედგა. გაზაფხულის თბილმა სიომ... შეურხია დაბურდული შავი თმის ბეწვები. ქალმა ხილაბანდი მხარზე გადაიგდო და თმის ვარცხნას შეუდგა, თან ქვევით ვრცლად გაშლილ ქალაქს დაუწყო ცქერა. ღამით მოსული წვიმის შემდეგ ყველაფერი უფრო ცოცხლად და წარმტაცად გამოიცქირებოდა. ოდნავ მცხუნვარე მზის შუქით სივრცე თვალის მჭრელად ბრწყინავდა. სუფთა, კრიალა ციდან სახლების სახურავებამდე გაბმული სხივები ოქროს ძაფებივით ციმციმებდნენ. ნელა მიმდინარე მტკვარი ლეჩაქივით თეთრი და მსუბუქი ჩანდა.

მთელი ქალაქი ნაპირებგანიერ გოდორს გავდა, ყვავილებით სავსეს; ირგვლივ აქლემებივით კუზიანები, რუხი და ერთფეროვანი გორებიც ნორჩი ხეებით შემოსილიყვნენ.

მწვანე ჩარჩოებში ჩასმული ახალი, მაღალი სახლები და ახალი ფართო ქუჩები თბილისს მეტ წარმტაც იერს აძლევდნენ. „ასეთი ლამაზი

1 რ. გვეტაძე, პროზა, გვ. 18-19.

1 რ. გვეტაძე პროზა, გვ. 104.

ქალაქი ნეტავი თუ კიდევ იქნება სადმე!" — გაიფიქრა ევდომ..."[1]

ბააკა საკონცენტრაციო ბანაკშია. მის განწყობილებებს ბუნებაც ეხამება: „ბააკამ გაორთქლილ მინას ხელისგული გადაუსვა და გარეთ გაიხედა: ლრუბლიანი, უხალისო დილა იყო..."[2]

უბედურ შემთხვევასთან ბუნებაც შეპირობებულია. ერთხელ განგაშის დროს ევდომ პატარა ცაბუ სახლიდან გარეთ გაიტაცა, კიბის ძირს დასობილ რკინას ფეხი წაჰკრა, ბავშვი ხელიდან გაუვარდა, რკინას თავი დაჰკრა და გარდაიცვალა. „უვარსკვლავო, ბნელი ცა გამურული ბუჯის ქვაბივით დამხობოდა თავზე თბილისს. შუქის ნატამალიც არსად ჩანდა..."[3]

ზეიმი და ლხინი ბუნების მეჯლისს ეფარდება:

„ომი დამთავრდა. ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა.

უკვე ინათა. აისის ვარდისფერი შუქი თანდათან ეფინებოდა აღმოსავლეთს.

მერცხლებმა ზედ ხალხის თავზე იწყეს ფრენა."[4]

თინათინი გარდაიცვალა.

„ამ დროს კარები გაიღო. გამოჩნდა უქუდოდ, მთლად დათოვლილი ყაფლანი.

ღია კარებიდან დაჭროლილმა ქარმა ლამფა ჩააქრო და ოთახში სიცივე შეიტანა."[5]

რ. გვეტაძის მოთხრობებში არა მარტო მშობლიური ქალაქის — თბილისისა და საქართველოს ბუნებაა ოსტატურად აღწერილი, არამედ მწერალი შესანიშნავად ხატავს მომძე საბჭოთა ქვეყნების ბუნებას, იცავს ადგილობრივ კოლორიტს, გეოგრაფიულ თავისებურებებს. მოთხრობაში „მახრა" ბელორუსიის ბუნება, ადგილმდებარეობა შემდეგნაირად არის დახატული:

„კამკამა ცის დასალიერიდან ფართოდ გაშლილიყო დაისის მეწამული მარაო, რომლის ელვარე ანარეკლი უხვად ეფინა შორს, ნაძვების ვაკეს, უსიერ ტყეს, ხოლო მდორე მდინარის — პტიჩის გაღმა-გამოღმა თვალუწვდენ ხოდაბუნებზე მუხლამდე მოყრილ ჯეჯილს ალუბლის წვენი ესხურა.

თვით პტიჩი, რომელიც სოფელს შუაზე კვეთავდა, დაისის შუქით ჰანას სარტყელივით ქათქათებდა. მის ნაპირ-ნაპირ კელაპტრებივით ჩარიგებულ არყის ხეების კენწეროებზე შემსხდარი ყვავები კი გიშრებივით ბზინავდნენ.

ჭაობიდან ასხლეტილი ნოტიო ნიავი ოდნავ არხევდა გარინდებულ ჰანას ქერა თმის კულულებს და ალუბლის ტოტებს.

ასეთი ხალასი საღამო ჰანას იშვიათად ახსოვდა.

მუდამ მღვრიე და ლაქებიანი ბელორუსიის ცა ახლა მისი თვალებივით ლურჯი და სუფთა იყო".[1]

მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად მწერალი მიმართავს ლაკონურ მსჯელობას, მოკლე წინადადებებს, რომლებშიაც სხარტად არის გადმოცემული აზრი. მას ეხერხება მარტივი წინადადებებით, აგრეთვე სახელდებული წინადადებებით დიდი ამბების გადმოცემა. მკითხველის წინაშე კინოფირის სისწრაფით გაიქროლებენ ადამიანთა სახეები, მოვლენები, ამბები. გაჭიანურებული და საგანგებოდ შერჩეული მაღალფარდოვანი სიტყვების გარეშე მწერალი ნათელ სახეებს გამოკვეთს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ადგილი „თეოდან".

„რევოლუცია მტრედის ფრთებს მოჰყვა საქართველოში.

ამიტომ სიხარული ქუჩებში ფეტვივით ეყარა.

იყო მარტო სიმღერა და დროშები.

ტყვიას არც კი გაუკაწრავს ვინმე.

არც ბარიკადებზე დანთებულ კოცონებს გაულხვია თებერვლის სუსხი.

მაგრამ მეფის კაცებს მაინც ეშინოდათ.

მარსელიოზას გუგუნი მახვილზე უფრო მკვეთრად ხვდებოდა მათ გულს.

გუშინ ამაღნი, უკარებელნი, ახლა კარჩაკეტილში კნუტებივით ისხდნენ და ყოველ წუთს ელოდნენ განკითხვას.

უფრო ჭკვიანებმა ტანისამოსი გამოიცვალეს, რომ გაუსხვავებელი იერი ჰქონოდათ და ბოგანოებში გარევა არჩიეს.

ვის ეცალა მაშინ მათ გულში ჩახედვა, როცა საკუთარი გული გაფრენას ლამობდა.

როცა ღრეობა იყო. —

ჯერ გაუგონარი და არნახული.

ხალხის დაგრაგნილ ტალღებზე დროშების ტყე შრიალებდა.

დროშები, დროშები.

თოვა. ქარი.

ორატორები აივნებიდან.

ორატორები ხელში აყვანილი.

ორატორები დროგებზე, ეტლებზე, ყუთებზე, ხეებზე.

---

1 რ. გვეტაძე, ცხოვრება იწყება თავიდან. 1949 წ., გვ. 7-8.

2 რ. გვეტაძე, ცხოვრება იწყება თავიდან. 1949 წ., გვ. 61.

3 იქვე, გვ. 96.

4 იქვე, გვ. 140.

5 რ. გვეტაძე, პროზა, 1941 წ., გვ. 123

1 იქვე, გვ. 387-388.

ნაღვერდლებად ქცეული სიტყვები.
ძახილი.
აღტაცება.
სიყვარული ზედმეტი.
თავისუფლება.
თავისუფლება.

კუნთებიან მუშების მჭექარე ხმებს თან ერთვის მოწაფე ახალგაზრდების კრიალა და დაუცხრომელი ყიჟინა..."[1]

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, თუ რამდენი ეფექტის შექმნა შეუძლია მწერალს, როცა იგი ოსტატურად გამოიყენებს სინტაქსიურად სხვადასხვანაირი აგებულების წინადადებებს. სულ რაღაც ერთ გვერდზე მწერალს გადმოცემული აქვს, თუ როგორ მოხდა რევოლუცია საქართველოში, ვინ როგორ შეეგება მას, რას აკეთებდა ხალხი, აღწერილია ბუნება, ხალხის სიხარული, აღფრთოვანება, დემონსტრაცია და სხვ.

რ. გვეტაძის მოთხრობებში უხვადაა გაბნეული მოხდენილი შედარებები, ხატოვანი გამოთქმები. „გაბზარულ ზარის ხმასავით ისმოდა რაზმის გუგუნი" („ჭიაკოკონა"); „კვლავ განაგრძობდა ქანდაკებასავით დგომას" (იქვე); „კიბე ისარივით ჩაიქროლა" (იქვე); „კუნთები რიყის ქვებივით უჩანდა" („ლაშაური საღამოები"); „აბრეშუმივით სათუთი თმა გახუნებოდა" (იქვე); „ცხენი რამდენჯერმე ბზრიალასავით დატრიალდა, შემდეგ მხედარს სადავე წაართვა და მერცხალივით გაფრინდა" („მახრა"); „სპეტაკი წვერი ლამპის ანარეკლზე თოვლივით უბრწყინავდა" („სკირგაილო"); „ხოხბის ყელივით მოხატული ჩითის ხალათი მოისხა და მეორე ოთახში გავიდა" („ცხოვრება იწყება თავიდან"); „სავარცხელს და ფაცერივით თხელ ხილაბანდს ხელი წამოავლო და აივანზე გავიდა" (იქვე); „მშვილდივით მოხრილი გზა ტყეს ეფარებოდა" („მართალი ნოველები"); „ავადმყოფი დამჭკნარ თითებს ნელა უსვამდა შვილს აბრეშუმივით ლბილ თმაზე, თანაც თვალებიდან მდუღარებას უხმოდ აფრქვევდა" (იქვე) და სხვ.

რ. გვეტაძის პროზაული თხზულებების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ნატურალისტური სურათებით გატაცება, რაც ნაწარმოების იდეურ დონეს ჩრდილს აყენებს. რ. გვეტაძეს ახასიათებს მიდრეკილება უცნაური ამბებისადმი, საზარელი შემთხვევებისადმი, ასეთია „თეოში" ხარისა და კაცის მოკვლის ეპიზოდი, „ჭიაკოკონაში" ხარის მიერ ქალის მოკვლა, „ლაშაურ საღამოებში" მკვდრების მძარცველთა ამბავი, ზეინაბის ნამუსის ახდა, ბავშვის დახრჩობა ზღვაში, მოთხრობაში „ცხოვრება იწყება თავიდან" ცაბუს ტრაგიკული სიკვდილი, „მართალ ნოველებში" ვასილისას წამება ფაშისტების მიერ და სხვ.

მწერალი ხშირად თავისი გმირების წინათგრძნობისა და სიზმრების მიხედვით შლის მოქმედებას. ესეც, რა თქმა უნდა, მხატვრული ნაწარმოების იდეურ მხარეს აზიანებს; ევდოს წინათგრძნობა, რომ კიბის ძირს დასობილ რკინაზე პატარა ცაბუ რამეს დაიშავებდა, გამართლდა.[1]

ნათელა წინათგრძნობით ეთერს დედას ეძახის.[2]

ნოდარის სიზმარი ტყვედ ჩავარდნის წინ.[3]

გეოძახელი ფაშისტების თავდასხმის აძბავი პავლომ სიზმარი ნახა[4] და სხვ.

* * *

ზოგიერთი ჩართული ეპიზოდი არაფერს არ მატებს, არ ამდიდრებს მკითხველის წარმოდგენას და ცოდნას ნაწარმოებში ასახული მოვლენების შესახებ. ასეთებია: ბავშვების სოკოების საკრეფად წასვლის ეპიზოდი („ჭიაკოკონა, გვ. 247, 248); ტუსაღი ტორასა და მირზას ქეშმობა სატუსაღოში („თეო", გვ. 160); აღდგომის დღესასწაული („ჭიაკოკონა", გვ. 158, 159, 160); ვანიას განზრახვა მაჩინას მამლის დაკვლის შესახებ („მართალი ნოველები", გვ. 333) და სხვ.

* * *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რ. გვეტაძის თხზულებათა ენა მისი შემოქმედების მეორე პერიოდში დაიხვეწა, გაშალაშინდა, უფრო სხარტი და მოქნილი გახდა. რომ უფრო სრული წარმოდგენა გვქონდეს რ. გვეტაძის ენის შესახებ, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა გაგვეთვალისწინებია მისი ზოგი თავისებურება მორფოლოგიის, სინტაქსის და ლექსიკის თვალსაზრისით. საანალიზოდ აღებულია ორივე პერიოდის თხზულებანი.

მორფოლოგიური თავისებურებანი

არსებითი სახელების ბრუნვა ჩვეულებრივ თანამედროვე ქართულის წესებს მიყვება, ოღონდ ალაგ-ალაგ ავტორი მიდრეკილებას იჩენს არქაიზაციისადმი. ეს გამოიხატება საკუ-

1 „თეო", კრებული, გვ. 59-60.

1 რ. გვეტაძე, „ცხოვრება იწყება თავიდან", 105 წ., გვ. 8.
2 იქვე, გვ. 132.
3 „მართალი ნოველები", გვ. 269.
4 „ლელა", წიგნიდან „თავდადებულნი", 1941 წ., გვ. 29.

თარი არსებითი სახელების ბრუნებით ძველი ქართულის წესისამებრ. ცნობილია, რომ ძველ ქართულში საკუთარი არსებითი სახელები სახელობითი და წოდებითი ბრუნვების ნიშნებს არ დაირთავდა, ამ ბრუნვებში ისინი წარმოდგენილი იყო ფუძის სახით.

რ. გვეტაძის პროზაში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როცა საკუთარი არსებითი სახელი (თანხმოვანფუძიანი) სახელობით ბრუნვაშია და ბრუნვის ნიშანს ი-ს არ დაირთავს. მოგვყავს სათანადო მაგალითები:

„რიკულებიან ივანზე დამდგარი ყაფლან კოპებშეკრული გაცქეროდა ბილიკს“ („თეო“,3).

„ყაფლან განაბული ადევნებდა თვალს“ (იქვე, 4).

„იდგა ეგირ და წარბებშეკმეხვნილი უცქერდა ზღვას“ („ლაშაური საღამოები“, გვ. 388),

„ეგირ მობრუნდა“ (იქვე, 393).

ასეთი მაგალითი ბევრი არ არის. მათ პარალელურად გვხვდება ქვემოთ ნაჩვენები ფორმები, რომლებიც გაბატონებულია:

„ყაფლანი დიდხანს ცეკვავდა“ („თეო“,7).

„ყაფლანი ბარბაცით გამოვიდა ბაქანზე“ (იქვე, 58) და სხვ.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დონი ზოგჯერ თანად არის ქცეული.

ეს მოვლენა უფრო მეტად ახასიათებს მწერლის ადრინდელ ნაწარმოებებს, თუმცა სპორადულად მის უკანასკნელ ნაწერებშიც გვხვდება:

„შესახედავად ირემს ჰგავს“ (მართ. ნოვ., 15).

„კარგათ მოვლილი დაგახვედრე ცხენი.“

„მშვიდათ უპასუხა“ (იქვე, 17).

არის შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე წინადადებაში ავტორს ერთმანეთის გვერდით მდგომ სიტყვებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ერთგან დონი აქვს გამოყენებული, მეორეგან—თანი. მაგალითად: „იგი ჩვეულებრივ მხნედ და მშვიდათ განაგრძობდა სანიტარული რაზმის ხელმძღვანელობას“. (მართ. ნოვ., 3).

მსაზღვრელ-საზღვრული სახელების ბრუნვაში შეთანხმების მხრივ რ. გვეტაძის ენაში უახლეს ფორმებს უფრო ჭარბად ვხვდებით.

თანამედროვე ქართულში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: ატრიბუტული ფუძეთანხმოვანი მსაზღვრელი საზღვრულ სახელს ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ნაწილობრივ შეეთანხმება, — ის და—ით ბრუნვის ნიშანთაგან ინარჩუნებს მარტო ი-ს. მაგალითად: „ახალი სახლის“, „ახალი სახლით“ და ა. შ. რაც შეეხება ასეთ შეთანხმებას „ახალ სახლის, ახალ სახლით“, იგი თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი. რ. გვეტაძის ენაში სწორედ ასეთი მაგალითები გვხვდება. ქვემოთ მოგვყავს ისინი:

„თითო-ოროლა მოხუც ქალისა და კაცის ჭეტი არავინ შეხვედრიათ მეოძრებს“ (მართ. ნოვ.,4)

„გაუკვირდა ასე ანაზდად თავისი ბავშვობის მეგობარ ძალლის სახელი რომ მოაგონდა“ (იქვე, 8).

სალიტერატურო ქართული ენის ნორმების თვალსაზრისით ასეთი ფორმები თანამედროვე ეტაპზე გაუმართლებელია.

პირის ნიშნების გამოყენების დარგში შეიმჩნევა ვინის დაკარგვის შემთხვევები. პირველი სუბიექტური პირის ნიშანს ვინს უნით დაწყებულ ზმნებში რ. გვეტაძე შემოქმედების პირველ პერიოდში ჩვეულებრივ არ ხმარობს. მოგვყავს მაგალითები:

„ჩემს მეფურ პროფილს ალარ ჰშვენის ლალი, მარჯანი, მოუსვენრობით გაუტოლდი უბედურ ციგნებს“ (ვირ. მესია,7).

„არავის უმღერ გატაცებით ჩემს მუხამბაზებს“ (იქვე, 5). და ა. შ. უ ბგერით დაწყებული ფუძის წინ პირველი პირის სუბიექტური ნიშნის დაკარგვა დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის.

სინტაქსური თავისებურებანი

სინტაქსის მხრივ რ. გვეტაძის ნაწერების ენა, შეიძლება ითქვას, თითქმის არავითარ ისეთ თავისებურებას არ ავლენს, რომლითაც იგი შეიძლებოდა თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან მკვეთრად განსხვავებული ყოფილიყო. არის ორიოდე შემთხვევა, როცა დარღვეულია ქვემდებარე—შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესი. მაგალითად:

„სოფლისკენ ბრუნდება დაღლილი ვირები“ (ვირ. მესია, 83).

„გარს შემოხვეოდა ქულაჯებში გამოწყობილი ქალები“ („თეო“, 35).

ამ მაგალითებში სიტყვები „ვირები“, „ქალები“ მრავლობით რიცხვშია, სულიერ საგნებს გამოხატავენ, მაშასადამე, შემასმენელი მათ მრავლობით რიცხვში უნდა ეთანხმებოდეს.

შეიმჩნევა ირიბი დამატების სიმრავლის აღნიშვნა ზმნაში:

„მეტოქის სათადარიგო თავშესაფრებს გაუჩნდათ ხანძარი“ (მართ. ნოვ., 3).

„მწკრივად დარგულ ალუბლის ხეებს ნაყოფი შეეკნობოდათ“ (იქვე, 7).

ლექსიკური თავისებურებანი

ლექსიკის მხრივ რ. გვეტაძის ენა ბევრ ახალ ერთეულს არ ავლენს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ზოგი თავისებურება, რაც თავს იჩენს დიალექტიზმების, არქაიზმების, რუსიციზმების და რამდენიმე ორიგინალურად ნაწარმოები სიტყვების სახით.

დიალექტიზმების მაგალითები:

„ალბათ შორეულ მთებს გადაჰყვა ნაზი გარებით" (ვირ. მესია, 14).

„როცა ბაბუა საშიშ ზღაპრებს მოყობა" (იქვე, 25).

„როგორც დედას პირველ შვილის „დარწება" (იქვე, 25).

„იქვე ასული ლოცვილობდა, ვით მონაზონი" (იქვე, 45).

„ბრუნდი სარკე" (იქვე, 73).

„თეო ძლიერ მოეშო" („თეო", 91).

„ოთახებში მირებ-მორების შემდეგ ცოვად ჰკითხა მოჯამაგირეს" (ჭიაკოკონა, 171).

„უნცროსი ასულის ხილვამ მისვლისთანავე მოაჯადოვა" (იქვე, 263).

„მოცოროზი ამინდია, მაგრამ ბლიაეზე მაინც ბლომადაა ხალხი. („ლაშაური საღამოები", გვ. 386).

აქ ჩამოთვლილი დიალექტიზმები გვხვდება თვით ავტორის მეტყველებაში. ისინი ერთგვარად ჩრდილს აყენებს მწერლის ენას, რომელიც საერთოდ, გამართული, ცოცხალი და ხატოვანია.

მწერალი ზოგჯერ რუსიციზმებს ხმარობს: „ეესტის ლამფა დღედაღამ ენთო" („თეო", 30).

„ფეჩთან მჯდომ თეოს... თვალები გაუფართოვდა" (იქვე. 104).

ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ახალი სიტყვების წარმოება პრეფიქს-სუფიქსებით. რ. გვეტაძის პროზასა და პოეზიაში არის ზოგი ახალი სიტყვის შექმნის ცდები:

„ეს ლანდი ალეს რაკაუს „ორადი იყო" (სკირგ., 415).

ორადი ნიშნავს ორეულს.

„სახენახანჯლი ტუსაღი" (თეო, 70).

სახენახანჯლი ნიშნავს სახედახანჯლულს.

„ადრე ნაოცნარი თანდათანობით დაავიწყდა" (თეო, 10).

ნაოცნარი ნიშნავს ნაოცნებარს.

ასევე თავისებურად წარმოებული სიტყვებია: მაშუქარი — „სუსტად მაშუქარი მზე გუმბათს თავზე დანათოდა" (მართ. ნოვ., 102) ადილებს — „მაგრამ მქირდავი სინამდვილე გულს არ ადილებს" (ვირ. მესია, 12). და სხვ. ნაცვლად სიტყვისა—ფეხსაცმელი, გვხვდება ფეხთსაცმელი. მაგალითად, „თავის ხელით ჩამაცვა ფეხთსაცმელები" (ლაშ. საღ., 283), „ცალ ხელში კალოშებიანი ფეხთსაცმელები დავიკიდე" (იქვე, 282).

ზემოაღნიშნული მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი მწერლის სტილის შესასწავლად ფარკვეულ მასალას გვაძლევს. ეს უმნიშვნელო ხარვეზები ოდნავადაც არ ამცირებენ რ. გვეტაძის მხატრულ ოსტატობას. მწერლის თხზულებებში იგრძნობა, რომ იგი კარგად ფლობს ქართულ ენას, მის გამომსახველობით საშუალებებს, იცის როგორც ახალი, ისე ძველი ქართული, მისთვის უცხო არ არის ხალხური სასაუბრო ენა, ქართული დიალექტებიც, რომლებსაც იგი ზომიერად იყენებს პერსონაჟთა მეტყველებაში.

რ. გვეტაძის ნაწარმოებთა ენის ენათმეცნიერული შესწავლა ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება, იგი სპეციალური შრომის საგანს შეადგენს მაგრამ ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შემოქმედების მეორე პერიოდში რ. გვეტაძე სავსებით გათავისუფლდა სიმბოლიზმის გავლენისაგან, სრულყო თავისი ოსტატობა, დახვეწა სამწერლო ენა და ღრმად მოფიქრებული პოეტური ხერხების, სახეების შერჩევით, ცოცხალი და დიდხანს დასამახსოვრებელი გმირების დახატვით შექმნა ჩვენი სოციალისტური თანამედროვეობისათვის შესაფერი ნაწარმოებები, რომლებიც არასოდეს არ დაჰკარგავენ ინტერესს.

ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲛᲐᲦᲐᲖᲝᲜᲘᲐ

* *

ივანე მესხის მოღვაწეობა ბათუმში

„ამისთანა ერთგული მოყვარე წარსულისა საჭიროა იქ, საცა იგი დავიწყებულია.“

ილია ჭავჭავაძე

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ივანე სიმონის-ძე მესხი დაიბადა 1849 წელს შეძლებული აზნაურის სიმონ მესხის ოჯახში. სიმონ მესხი მრავალრიცხოვანი შვილების პატრონი საკმაოდ კულტურული და განათლებული კაცი იყო. უანგარო შრომით სიმონმა რვა ვაჟი და ხუთი ქალი სამაგალითოდ აღზარდა.

ივანემ დაწყებითი სწავლა ოჯახში მიიღო, შემდეგ ის ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. აქ ი. მესხთან ერთად სწავლობდა პოეტი გიორგი ჭალადიდელი. მათ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1869 წელს ი. მესხი შევიდა პეტერბურგის ქირურგიულ აკადემიაში, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. 1871 წელს სხვა ქართველებთან ერთად ივანე მიემგზავრება ციურიხში (შვეიცარიაში) და შედის მედიცინის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლის ქირის სიძვირის გამო (მაშინ სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის ქირა განისაზღვრებოდა 100 ფრანკით წელიწადში) თავს ანებებს ამ უნივერსიტეტს და გადადის ციურიხის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

შვეიცარიაში ყოფნის დროს ი. მესხი არ ივიწყებს სამშობლოს და მშობლიურ ენას. ის აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „დროება“ და „კრებული“. ციურიხის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის დროს ივანემ ხელი მოჰკიდა მწერლობას და სხვა მოწინავე ქართველ სტუდენტებთან ერთად დააარსა ქართველ სტუდენტთა საზოგადოება „უღელი“, რომლის პასუხისმგებელ მდივნად (დიაშბეგად) თვითონ მუშაობდა.

ციურიხში ყოფნის დროს ი. მესხმა დაწერა რამდენიმე პედაგოგიური ხასიათის წერილი, თარგმნა გოგოლის „შინელი“, რომელიც 1871 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „კრებულში“. მანვე თარგმნა დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის რჩეული ნაწერები, რომლებსაც დროთა განმავლობაში აქვეყნებდა ამავე ჟურნალ „კრებულში“. ი. მესხის მიერ დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის ნაწარმოებთა თარგმნა შემთხვევითი როდი იყო, იგი სავსებით იზიარებდა დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის პროგრესულ იდეებს და თანამემამულეებს შორის გავრცელების მიზნით თარგმნა დობროლიუბოვის „ამ დროის სიმღერა“, „კრიტელი დედა-კაცი მორეაში“, ნეკრასოვის „კარგი ზნის კაცი“ და სხვ.

შვეიცარიაში პედაგოგიური ინსტიტუტის კურსის დასრულების შემდეგ ი. მესხი დაბრუნდა საქართველოში და აღ. ჭიჭინაძესთან ერთად ქუთაისში დააარსა პირველდაწყებითი სასწავლებელი შვეიცარიული სასწავლებლის ყაიდაზე, მაგრამ მთავრობამ იგი დახურა და ივანემაც მიანება თავი მისთვის საყვარელ საქმეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ქუთაისის თვითმმართველობაში მდივნის თანამდებობაზე, შემდეგ არჩეულ იქნა თვითმმართველობის წევრად.

1888 წლიდან ი. მესხი გადმოდის ბათუმში ახლადდაარსებული ქალაქის თვითმმართველობის მდივნად. ქ. ბათუმში იგი ნაყოფიერ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა 1918 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ი. მესხი ენერგიულად ებმებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში და ყველა ახალი, მშრომელთა საკეთილდღეო საქმის მოთავე-მონაწილე იყო.

როგორც ყოველთვის და ყველგან, ი. მესხი ბათუმშიაც მისთვის ჩვეული ენერგიითა და მონდომებით ჰკიდებს ხელს სახალხო განათლების საქმეს. იმ დროს ბათუმში მომუშავე ინტელიგენციას და პირველ რიგში ი. მესხს კარგად ესმოდა ი. ჭავჭავაძის 1879 წლის მოწოდება სკოლების ნაკლებობისა და, საერთოდ, სკოლების ქსელის ზრდის გადაუდებელი ამოცანების შესახებ. ილია წერდა: „...ჩვენ ჩვენი საკუ-

თარი გიმნაზია გვინდა. ჩვენმა ქართველობამ თავისი სრული თანაგრძნობა და გულშემატკივრობა ამაზედ უნდა მიაქციოს, თუ არ სურს, რომ მისი სახელი და კვალი მტვერსავით აიგავოს დედამიწის ზურგიდამ. საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის და საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის, და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიკდიოთ, ეს უნდა დღე და ღამ გუნებაში ვიქონიოთ, ამას უნდა მივეცნეთ ყველანი ერთად და თვითოეულად ცალკე ყოვლის ჩვენი შეძლებითა და ღონითა... ქართველობავ, დამიჯერე, რომ ჯერხანად ამაზედ უკეთეს საქმეს ვერ მოახმარებ შენს ქონებითს ძალას. ამისათვის გაისარჯე თუ გინდა, რომ მამაპაპათა ნათქვამისამებრ შვილი მამასა სჯობდეს და მომავალი აწმყოს. დღევანდელის მომდურავებმა ხვალიმდელი დღე მაინც კარგი გავითვნოთ.“ („საქართველოს მატიანე“, ტ. 5, 1955 წ, გვ. 352).

ი. მესხი ბათუმში გიმნაზიის გახსნის პირველი ინიციატორი იყო. იგი ქალთა გიმნაზიის გახსნისათვისაც დიდ მზრუნველობას იჩენდა. მან სასაცილოდ აიღო გიმნაზიის გახსნის თაობაზე ოლქის მზრუნველობისაგან მიღებული პასუხი, რომელიც უარყოფდა გიმნაზიის გახსნას ბათუმში იმ მოტივით, რომ გიმნაზია აივსება მზარეულების, პარიკმახერების, თერძების, და მსგავსი ხალხის შვილებითო.

ენერგიულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, 1900 წლის 26 სექტემბერს ი. მესხის თაოსნობით გაიხსნა ქალთა გიმნაზია.

ი. მესხს კარგად ესმოდა, რომ სკოლების გახსნით საქმე არ თავდებოდა, საჭირო იყო სკოლებისადმი მზრუნველობა და დახმარება, მისი წარდგენით თვითმმართველობა ადგილობრივი შემოსავლებიდან დახმარებას აძლევდა როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გიმნაზიებს. ადგილობრივი შემოსავლის პოვნა შესაძლებელი გახდა ი. მესხის უშუალო მეცადინეობის შედეგად. მისი თხოვნით შემოღებულ იქნა გადასახადი ბათუმის ნავსადგურიდან გასატან ყოველ ფუთ საქონელზე. პროექტის მიხედვით ეს შემოსავალი უნდა გადაცემოდა ქალაქის თვითმმართველობას კეთილმოწყობის ხარჯებისათვის.

სიმონ და ილია მესხები იგონებენ, რომ „... სახელმწიფო საბჭოში მიღებული იყო კანონ-პროექტი ასეთი გადასახადის თვითმმართველობაზე გადაცემის შესახებ იმ რედაქციით, რომელიც შემუშავებული ჰქონდა ი. მესხს. გადასახადებისაგან შემოსული თანხები უნდა დახარჯულიყო მხოლოდ ნავსადგურში მოსასვლელი გზების მოწყობისათვის, მაგრამ ივანე მესხის ინიციატივით ქალაქის თვითმმართველობა ამ თანხებს იყენებდა სკოლების, საავადმყოფოს და სხვა დაწესებულებათა, კეთილმოწყობისათვის“.

მიუხედავად იმისა, რომ ი. მესხი ბათუმში მოღვაწეობის დროს დატვირთული იყო საზოგადოებრივი საქმეებით მაინც ახერხებდა ეწერა საჭირბოროტო საკითხებზე. ბათუმში მოღვაწეობის დროს მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია „ქალაქ ბათუმის მეურნეობის განვითარება“. ნაშრომი გამოქვეყნდა საიუბილეო კრებულში „ბათუმი და მისი მიდამოები“, რომელიც 1906 წელს გამოიცა. საიუბილეო კრებულის გამოცემას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ი. მესხი. მასვე ეკუთვნის ამ კრებულის წინასიტყვაობაც.

ამ კრებულს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბათუმის ისტორიის შესწავლისათვის. კრებულში მოთავსებული ი. მესხის ნაშრომი მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს 25 წლის მანძილზე (1878—1903) ქალაქის ზრდა-განვითარებაზე. ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი ანალიზს უკეთებს იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებმაც გამოიწვიეს ბათუმის რუსეთთან შეერთება და არკვევს როგორ ვითარებაში მოხდა ეს შეერთება. ნაშრომში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აჭარის რუსეთთან შეერთება ადგილობრივი მოსახლეობის ნება-სურვილის გამოხატულება იყო.

ბათუმის რუსეთთან შეერთებას ავტორი ახასიათებს, როგორც უაღრესად პროგრესულ მოვლენას. თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ჩქარი ტემპით განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა, გაიხსნა სამიმოსვლო გზები ბათუმს, თბილისსა და ბაქოს შორის, რამაც ქალაქის ყოველმხრივი განვითარება გამოიწვია.

როგორც აღვნიშნეთ, ბათუმში ი. მესხის მოღვაწეობის პერიოდი მარტო ადმინისტრაციული მუშაობით არ შემოიფარგლება. ის ბათუმში ჩამოსვლისთანავე სათავეში ჩაუდგა მოსახლეობის კულტურული მომსახურების მოგვარებას. შექმნა სცენის მოყვარეთა კოლექტივი, საფუძველი ჩაუყარა დრამატულ საზოგადოებას. რომლის გამგეობის თავმჯდომარედ მრავალი წლის მანძილზე თვითონ ითვლებოდა. ი. მესხი ქალაქ ბათუმის პირველი თეატრალური საზოგადოების პირველი თავმჯდომარე იყო.

დიდი ენერგიითა და მონდომებით მოეკიდა ი. მესხი ლიტერატურული საღამოებისა და სანახაობათა მოწყობას. პირველი საღამო მისი თა-

ოსნობით გაიმართა 1894 წლის 14 იანვარს. საღამომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

შემდგომში, საღამოების უფრო შინაარსიანად მოწყობის მიზნით, ი. მესხი თბილისიდან იწვევდა ცნობილ მწერლებს, მსახიობებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული თბილისის მაშინდელ მოწინავე ინტელიგენციასთან. იგი მიმოწერას აწარმოებდა თბილისის მოწინავე ინტელიგენტთა თვალსაჩინო წარმომადგენელთან კოტე მესხთან, რომლისგანაც ღებულობდა საქმიან რჩევა-დარიგებას და დახმარებას. 1895 წლის 9 მაისით დათარიღებულ კ. მესხისადმი მიწერილ ბარათში ვკითხულობთ: „კოტე, 14/I ქართული საღამოს გამართვაში აქ ბათუმში ყველა ჩვენი მოღვაწეები ვალდებული ხართ, რითაც კი შეიძლება დახმარება აღმოგვიჩინოთ, რომ საღამოს ნამდვილი ქართული ფერი და ხასიათი ჰქონდეს. ვალდებული ხართ, რასაკვირველია, მაგრამ ამ ვალდებულებას თან ორივე მხრით თქვენი და ჩვენი მხრით ხარჯი მოსდევს, რომელიც ალბათ ორივეს გვაშინებს...

...შენ მოიცლი თუ არა, რომ გვეწვიო? ამასთან ვწერ გაბუნიას ქალს, რომელიც მგონია მანდ არის და აკაკის, რომელიც იმედია უარს არ იტყვის, თუ კი კარგა იქნება, შენი ჭირიმე კოტე 7/1 შემატყობინე უთუოდ რა მონაწილეობა შეგიძლია.

ივ. მესხი. 9 მაისი 1895 წ. ბათუმი“.

(საქართველოს თეატრალური საზოგადოება, „კოტე მესხი,“ წიგნი მესამე, გვ. 113-114).

საღამო ბრწყინვალედ ჩატარებულა. შემდეგისათვის განუზრახავთ საღამოს უფრო ფართო მასშტაბით მოწყობა. ამ მიზნით ივანეს 1895 წლის 12 დეკემბრის წერილით კოტესათვის მიუმართავს: „კოტე, 25 ამ თვეს აქაურ კლუბში[1] გვინდა ჩვენი ქართული შკოლის სასარგებლოდ „საღამო“ გავმართოთ. აბა ლოტბარი აქ ვინ მოგვცა, რომ პროგრამის ეს ნომერი ხეირიანად შევასრულოთ. ხმები[1] კარგები გვყავს ქალები და კაცები, ცოტა სიმღერაშიაც ნავარჯიშებიც არიან, მხოლოდ გვჭირია ლოტბარი. გთხოვთ, კოტე, ამ წიგნის მიღებისთანავე, ინახულო რატილი და მოელაპარაკოთ. ხომ არ იკისრებს ამ ხოროს გაუძღვეს შემდეგი პირობით: 1) თუ თანახმა გახდება, ეხლა ჩამოვიდეს ერთი კვირის წინ მაინც, ე. ი. 16 ან 17 ამ თვეს. 2) შრომის ფასს მივცემთ ხუთ თუმანს იმ პირობით, რომ აქ იმ ერთი კვირის განმავლობაში კაპეიკი გროშიც არ დაეხარჯება. ასე რომ ეს ხუთი თუმანი მარტო შრომის ფასად მოუვა. 3) თუ თანახმა გახდება დაუყოვნებლივ შეგვატყობინე, რომ ქუთაისიდან გიმნაზიის ლოტბარი წერეთელი გამოვიწეროთ.

შენი ივანე მესხი.“

(საქართველოს თეატრალური საზოგადოება, „კოტე მესხი“, წიგნი მესამე. გვ. 114-115).

რაც დრო გადიოდა, საღამოების მოწყობა სასურველ ნიადაგს პოულობდა, სამოქმედო პროგრამაც იზრდებოდა. ივანე მესხი არ კმაყოფილდებოდა ოფიციალური კონცერტების გამართვით, ის ადგილობრივ ძალებსაც აბამდა ამ საქმეში, ცდილობდა, რაც შეიძლება წინ წაეწია ქართული ხალხური კულტურის საქმე. 1899 წლის 14 იანვარს მოწყობილ საღამოს პროგრამაში იყო ქართველ მომღერალთა გუნდის გამოსვლა, ქართული საზანდარი, ი. მესხის ვოდევილი, ცეკვები: ქართული, კინტაური, ჩანჯალზე მოთამაშე, ხორუმი, ფერხული და სხვ.

საღამო-კონცერტებისა და სხვა კულტურულ ღონისძიებათა მოწყობა მიზნად ისახავდა მშრომელთა გათვითცნობიერებას, ბათუმში დიდი რუსი და ქართველი ხალხების მდიდარი კულტურის პროპაგანდას. ბათუმის მოწინავე ინტელიგენცია ი. მესხის მეთაურობით დაუღალავად ზრუნავდა რუსებისა და ქართველების მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ივანე მესხის მოღვაწეობა ბათუმში სერიოზული, ყოველმხრივ შესწავლის ღირსია, რადგან მისი პრაქტიკული საქმიანობა და ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარ მასალას იძლევა აჭარის რუსეთთან შეერთებისა და ამასთან დაკავშირებით ბათუმში კულტურული ცხოვრების აღმავლობის ფაქტების შესასწავლად. ეს პატარა წერილი ამ მნიშვნელოვანი საქმის მხოლოდ დასაწყისია.

---

1 პირველი კლუბი ქ. ბათუმში გახსნა რუსული თეატრის ანტრეპრენიორმა ტომსკიმ. ის ბათუმში ჩამოვიდა თავისი დასით 90-იან წლებში და იჯარით აიღო რკინის მაღაზია, რომელიც მდებარეობდა ახლანდელი ცირკის ტერიტორიაზე. ტომსკიმ რკინის მაღაზია გადააკეთა 900-ადგილიან კლუბად. ტომსკის ქალაქიდან წასვლის შემდეგ შენობა იჯარით აიღო ადვოკატმა იურკევიჩმა. ამ უკანასკნელმა შენობას გაუკეთა რემონტი და მოაწყო თეატრი. ხალხმა ამ შენობას რკინის თეატრი შეარქვა, რადგან იმ ადგილას რკინეულობის მაღაზია იყო. 1924 წელს დიდი თოვლის გამო შენობა ჩაინგრა და მის ადგილას აშენდა ცირკი.

1 ი. მესხი პირველი იყო თავისი მოძახილით მგალობელთა ჯგუფში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ვლ. მაიაკოვსკის მამა.

ფაბიდრიხ შილერი

* *

ტრაგიკული საგნებით გამოწვეული სიამოვნების მიზეზის შესახებ

როგორც არ უნდა ცდილობდეს უახლესი დროის ზოგიერთი ესთეტიკოსი დაიცვას ფანტაზიისა და გრძნობის ხელოვნებანი იმ საყოველთაო რწმენისაგან, როგორც ვითომდა დამამცირებელი საყვედურისაგან, რომ ისინი სიამოვნებისათვის არიან გამიზნული, ამ რწმენის საფუძველი წინანდებურად მტკიცე იქნება, და კაზმული ხელოვნებანი მხოლოდ უხალისოდ თუ გაცვლიან თავიანთ ოდითვე მოცემულ, უცილობელ და კეთილნაყოფიერ მოწოდებას ახალზე, სადამდისაც მათ დიდსულოვნად უპირებენ ამაღლებას. სრულიად უნაღველენი იმის გამო, რომ ჩვენს სასიამოვნოდ გამიზნული მათი დანიშნულება თითქოს ამდაბლებდეს მათ, ისინი, პირიქით, იამაყებენ იმ უპირატესობით, რომ უშუალოდ აკეთებენ იმას, რასაც ადამიანური გონის ყველა დანარჩენი მიმართულება და მოქმედება მხოლოდ მეშვეობით ასრულებს. რომ ბუნების მიზანს ადამიანის მიმართ მისი ბედნიერება შეადგენს მაშინაც კი, თუნდაც თვით ადამიანი თავის მორალურ ქცევაში ამ მიზანს არაფრად აგდებდეს, ამას საეჭვოდ, ცხადია, არავინ გახდის, ვინც საერთოდ კი აღიარებს რაიმე მიზნის არსებობას ბუნებაში. ამგვარად, კაზმულ ხელოვნებათ ბუნების ან უმალ მისი შემოქმედის საზიარო მიზანი აქვთ: სიამოვნების წყალობა და ბედნიერთა შექმნა. ისინი თამაშით გვანიჭებენ მას, რასაც მათი სერიოზული დები გვაიძულებენ დიდი გაჭირვებით მოვიპოვოთ ხოლმე; ისინი საჩუქრად იძლევიან მას, რაც იქ, ჩვეულებრივ, სიმწრით მოპოვებული ჯილდოა დიდი გარჯისა. ჩვენ დაძაბული მუყაითობით უნდა შევიძინოთ განსჯის სიამოვნებანი, მტკივნეული მსხვერპლის გაღებით გონების დასტური, სასტიკი გაჭირვებით გრძნობათა სიხარული ან კიდევ უამრავი ტანჯვით უნდა მოვინანიოთ მისი სიჯარბე; მარტოოდენ ხელოვნება გვანიჭებს ჩვენ ისეთ სიტკბოებას, რომელიც არ მოითხოვს დამსახურებას, რომელიც არავითარ მსხვერპლად არ გვიღირს, რომელსაც არ სჭირდება სინანულით გამოსყიდვა. მაგრამ ამ დამსახურებას, რომელიც ამგვარი სიამოვნების მონიჭებაში მდგომარეობს, ვინ გაათანაბრებს იმ უბადრუკ დამსახურებასთან, რომელიც მხოლოდ თავშექცევაში მდგომარეობს? ვის მოუჯაზრად, უარყოს პირველი მიზნის კუთვნილება კაზმული ხელოვნებისადმი მხოლოდ იმის გამო, რომ იგი მეორეზე უფრო მაღლა დგას?

კეთილმოსურნე განზრახვამ, რომ ყველგან მორალურ სიკეთეს მივესწრაფოდეთ, როგორც უმაღლეს მიზანს, განზრახვამ, რომელმაც ხელოვნებაში ბევრი საშუალო ღირსების ნაწარმოები წარმოშვა და თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო, თეორიასაც ასეთივე ზიანი მიაყენა. რათა ხელოვნებას ფრიად მაღალი რანგი მიანიჭონ, სახელმწიფოს კეთილგანწყობილება და ადამიანთა ღრმა პატივისცემა მოუპოვონ, მისი საკუთარი სამფლობელოდან აძევებენ, რათა თავს მოახვიონ ისეთი მოწოდება, რომელიც მისთვის უცხო და სრულიად არაბუნებრივია. ფიქრობენ, რომ დიდ სამსახურს უწევენ მას, როდესაც მსუბუქი მიზნის — გართობის ნაცვლად მორალურ მიზანს ახვევენ თავს, და ხელოვნების ესოდენ თვალსაჩინო ზეგავლენამ ზნეობაზე თითქოს უნდა შეამაგროს ეს მტკიცება. წინააღმდეგობად მიაჩნიათ, რომ იგივე ხელოვნება, რომელიც კაცობრიობის უმაღლეს მიზანს ესოდენ დიდად უწყობს ხელს, მხოლოდ გაკვრით ახდენს ამ ზემოქმედებას, ხოლო ისეთი ბანალური მიზანი, როგორადაც სიამოვნება წარმოუდგენიათ, თავისი ყურადღების საბოლოო საგნად გაუხდია. მაგრამ ეს მოჩვენებითი ინააღმდეგობა ადვილად მოიხსნებოდა, სიამოვნების მწყობრი თეორია და ხელოვნების სრულქმნილი ფილოსოფია რომ გვქონოდა. იგი აღმოაჩენდა, რომ თავისუფალი სიამოვნება, როგორც მას ხელოვნება იწვევს, თავიდან ბოლომდის მორალურ პირობებს ემყარება, რომ მასში ადამიანის მთელი ზნეობრივი ბუნება მოქმედებს. შემდეგ იგი აღმოაჩენდა, რომ ამ სიამოვნების გამოწვევა ის მიზანია, რომლის

მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ მორალური საშუალებით შეიძლება, რომ, ამგვარად, ხელოვნებამ, რათა სრულყოფილად მიაღწიოს სიამოვნებას, როგორც თავის ჭეშმარიტ მიზანს, თავისი გზა ზნეობაზე უნდა გაატაროს. ხელოვნების ღირსების შესაფასებლად სავსებით სულ ერთია მისი მიზანია მორალური, თუ მას თავისი მიზნის მიღწევა მხოლოდ მორალური საშუალებით შეუძლია, რადგან ორივე შემთხვევაში მას ზნეობასთან აქვს საქმე და ზნეობრივ გრძნობასთან უმჭიდროესი თანხმობით უნდა მოქმედებდეს; მაგრამ ხელოვნების სრულყოფილებისათვის სულერთი როდია, თუ ამ ორთაგან რომელია მისი მიზანი და რომელი საშუალება. თუ თვით მიზანია მორალური, მაშინ ხელოვნება კარგავს იმას, რაც მისი ძლიერების ერთადერთი წყაროა, — თავისუფლებას, და მის, რის გამოც ის ესოდენ ზოგადგავლენიანია, — სიამოვნების მიმზიდველობას. თამაში სერიოზულ საქმედ იქცევა; მაგრამ ხომ სწორედ თამაშია ის, რის საშუალებითაც ხელოვნება ყველაზე უფრო კარგად შეძლებდა ამ საქმის შესრულებას. ხელოვნებას მხოლოდ მაშინ ექნება კეთილნაყოფიერი გავლენა ზნეობაზე, როდესაც იგი უმაღლეს ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს; მაგრამ უმაღლესი ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც თავის სრულ თავისუფლებას ახორციელებს.

შემდეგ ცნობილია, რომ ყოველი სიამოვნება, რამდენადაც იგი მორალური წყაროდან მომდინარეობს, ზნეობრივად აუმჯობესებს ადამიანს, და რომ აქ მოქმედება ისევ მიზეზად უნდა იქცეს. სილამაზით, ამაღელვებელითა და ამაღლებულით გამოწვეული სიხარული ისევე ამტკიცებს ჩვენს მორალურ გრძნობებს, როგორც ქველმოქმედებით, სიყვარულით და ა. შ. გამოწვეული სიამოვნება ამტკიცებს ყველა ამ მიდრეკილებას. როგორც სულიერი კმაყოფილება მიუცილებელი ხვედრია ზნეობრივად წარჩინებული ადამიანისა, ასევე ზნეობრივი წარჩინებულება კმაყოფილი სულის მხლებელია. ამგვარად, ხელოვნება მარტოოდენ იმის გამო კი არ მოქმედებს ზნეობრივად, რომ ის ზნეობრივი საშუალებით იწვევს სიამოვნებას, არამედ იმის გამოც, რომ თვით სიამოვნება, რომელსაც ხელოვნება გვანიჭებს, ზნეობის საშუალებად იქცევა.

საშუალებანი, რომლებითაც ხელოვნება თავის მიზანს აღწევს, იმდენადვე მრავალგვარია, როგორც საერთოდ თავისუფალი სიამოვნების წყაროები. ხოლო თავისუფალს მე ისეთ სიამოვნებას ვუწოდებ, რომლის დროსაც გონითი ძალები, გონება და წარმოსახვა. აქტიური არიან, და როდესაც შეგრძნება წარმოდგენის საშუალებით წარმოიშვება; საპირისპიროდ იმ ფიზიკური ანუ გრძნობისეული სიამოვნებისა, რომლის დროსაც სული ბრმა ბუნებრივ აუცილებლობას ემორჩილება, და შეგრძნება უშუალოდ მოსდევს თავის ფიზიკურ მიზეზს. გრძნობისეული სიამოვნება ერთადერთია, რომელიც გამორიცხულია კაზმული ხელოვნების სფეროდან, და გრძნობისეული სიამოვნების გამოწვევის ოსტატობა ან ვერასოდეს ან მხოლოდ მაშინ აღაღლდება ხელოვნების დონემდის, როდესაც გრძნობისეული შთაბეჭდილებანი ხელოვნების გეგმის მიხედვით იქნება მოწესრიგებული, გაძლიერებული ან გაზომიერებული და ეს გეგმაშეწონილობა წარმოდგენით შეიცნობა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ასეთ ოსტატობაში ხელოვნებად მხოლოდ ის ჩაითვლებოდა, რაც თავისუფალი სიამოვნების საგანია, სახელდობრ, გემოვნება განლაგებაში. რაც ჩვენს განსჯას ახარებს, და არა თვით ფიზიკური მიმზიდველობა, რომელიც მხოლოდ ჩვენი მგრძნობელობისათვისაა სასიამოვნო.

მიზანშეწონილობა საერთო წყაროა ყოველი, აგრეთვე გრძნობისეული სიამოვნებისა. გრძნობისეულია სიამოვნება, როდესაც მიზანშეწონილობა წარმოდგენით კი არ შეიცნობა, არამედ სიამოვნების შეგრძნება მხოლოდ აუცილებლობის კანონის ძალით შეადგენს მის ფიზიკურ შედეგს. ასე წარმოშობს სისხლისა და სასიცოცხლო სულის მიზანშეწონილი მოძრაობა ცალკეულ ორგანოებში ან მთელ ორგანიზმში სხეულებრივ სიამოვნებას მთელი მისი ნაირგვარობითა და სახეცვლილებებითურთ; ჩვენ ვგრძნობთ ამ მიზანშეწონილობას სასიამოვნო შეგრძნების მეშვეობით, მაგრამ ვერავითარ წარმოდგენას, ვერც ნათელსა და ვერც ბუნდოვანს, ვერ ვადგენთ მასზე.

სიამოვნება თავისუფალია, როდესაც მიზანშეწონილობას წარმოვიდგენთ და სასიამოვნო შეგრძნება თან ახლავს ამ წარმოდგენას; ამგვარად, ყოველი წარმოდგენა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ჰარმონიასა და მიზანშეწონილობას შევიცნობთ, თავისუფალი სიამოვნების წყაროა და ამიტომაც ხელოვნებას შეუძლია ამ მიზნით გამოიყენოს. ეს წარმოდგენები შემდეგ ჯგუფებად იყოფა: სიკეთე, ჭეშმარიტება, სრულყოფილება, სილამაზე, ამაღელვებელი და ამაღლებული. სიკეთე ჩვენი გონების საქმეა, ჭეშმარიტება და სრულყოფილება განსჯისა, სილამაზე განსჯისა წარმოსახვასთან ერთად,

ამაღელვებელი და ამაღლებული გონებისა წარმოსახვასთან ერთად. მართალია, გრძნობისეული აღგზნება, ანუ სამოქმედოდ აღძრული ძალაც, სასიამოვნოა უკვე, მაგრამ ხელოვნება გრძნობისეულ აღგზნებას მხოლოდ იმისათვის იყენებს, რათა იგი მიზანშეწონილობის მაღალ გრძნობებს დაურთოს; თავისთავად განხილული, იგი სხვა სასიცოცხლო გრძნობებში იკარგება, და ხელოვნება უგულებელყოფს მას, როგორც ყოველ გრძნობისეულ სიამოვნებას საერთოდ.

იმ წყაროების სხვადასხვაობა, საიდანაც იღებს ხელოვნება იმ სიამოვნებას, რომელსაც ჩვენ გვანიჭებს, თავისთავად ხელოვნებათა არავითარი განდასებისათვის არ იძლევა საფუძველს, რადგან ხელოვნების ერთსა და იმავე ჯგუფში შეიძლება სიამოვნების მრავალი, ხშირად ყველა, სახე იყოს შერწყმული. მაგრამ რამდენადაც მთავარ მიზნად მაინც გარკვეული სახის სიამოვნება უნდა იქნეს დასახული, ამდენადვე მას შეუძლია საფუძველი შეუქმნას თუ არა ხელოვნებათა განსაკუთრებულ ჯგუფს, ყოველ შემთხვევაში, ხელოვნების ნაწარმობზე განსაკუთრებულ თვალსაზრისს მაინც. ასე, მაგალითად, ის ხელოვნებანი, რომლებიც უპირატესად განსჯასა და წარმოსახვას აკმაყოფილებენ, ე. ი. ისინი, რომლებიც თავის მთავარ მიზნად ჰეშმარიტებას, სრულყოფილებასა და სილამაზეს ისახავენ, შეგვეძლო მშვენიერ ხელოვნებათა სახელწოდებით გაგვეერთიანებინა (ზემოვნების ხელოვნებანი, განსჯის ხელოვნებანი), პირიქით, ის ხელოვნებანი, რომლებიც უპირატესად წარმოსახვის საქმეა გონებასთან ერთად, და რომელსაც, მაშასადამე, მთავარ საგნად სიკეთე, ამაღლებული და ამაღელვებელი აქვთ, შეგვეძლო ამაღლებულ ხელოვნებათა სახელწოდებით (გრძნობის, გულის ხელოვნებანი) განსაკუთრებულ ჯგუფად გაგვეერთიანებინა. მართალია, შეუძლებელია ამაღელვებელი სავსებით გამოვაცალკევოთ სილამაზისაგან, მაგრამ სილამაზეს ძალიან კარგად შეუძლია ამაღელვებელის გარეშე იარსებოს. ამგვარად, თუ ეს განსხვავებული თვალსაზრისი არ იძლევა საფუძველს თავისუფალ ხელოვნებათა სრული განდასებისათვის, ის, ყოველ შემთხვევაში, გამოსადეგია იმისათვის, რათა უფრო ზუსტად დავადგინოთ მათი შეფასების პრინციპები და თავი დავაღწიოთ იმ არევ-დარევას, რომელიც გარდაუვალია, როცა ესთეტიკური საგნების კანონთა განსაზღვრისას ერთმანეთში ურევენ ამაღელვებელისა და სილამაზის სრულიად განსხვავებულ სფეროებს.

ამაღელვებელი და ამაღლებული იმით ჰგვანან ერთმანეთს, რომ ისინი სიამოვნებას უსიამოვნების საშუალებით იწვევენ, რომ ისინი, ამგვარად (რაკი სიამოვნება მიზანშეწონილობისაგან წარმოდგება, ხოლო ტანჯვა საწინააღმდეგოსაგან) გვაგრძნობინებენ მიზანშეწონილობას, რაც მიზანშეუწონლობას გულისხმობს.

ამაღლებულის გრძნობა ორგვარი გრძნობისაგან შედგება: ერთი გრძნობა ჩვენი უძლურებისა და შეზღუდულობისა — ვწვდეთ საგანს, ხოლო მეორე არის გრძნობა ჩვენი ძლევამოსილებისა, რომელიც არავითარ საზღვარს არ უფრთხის და სულიერად იმორჩილებს იმას, რასაც ჩვენი გრძნობისეული ძალები ემორჩილება. ამგვარად, ამაღლებული საგანი ებრძვის ჩვენს მგრძნობელობას, ხოლო ამ მიზანშეუწონლობამ აუცილებლად უნდა აღძრას ჩვენში უსიამოვნება. მაგრამ ამავე დროს ეს მიზანშეუწონლობა არის საბაბი შევიცნოთ ჩვენი სხვა უნარი, რომელიც აღემატება იმას, რასაც ჩვენი წარმოსახვა ემორჩილება. ამგვარად, ამაღლებული საგანი სწორედ იმის გამო, რომ მგრძნობელობას ებრძვის, მიზანშეწონილია გონებისათვის და სიამოვნებას იწვევს მაღალი უნარის საშუალებით იმ დროს, როცა დაბალი უნარის საშუალებით ტანჯვას იწვევს.

მღელვარება თავისი ზუსტი მნიშვნელობით ტანჯვისა და ამ ტანჯვით გამოწვეული სიამოვნების ნარევი გრძნობაა. ამგვარად, მღელვარება საკუთარი უბედურების გამო მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიგრძნოთ, როდესაც ამ უბედურებით გამოწვეული ტანჯვა საკმაოდ ზომიერია იმისათვის, რათა ადგილი მისცეს იმ სიამოვნებას, რომელსაც თანატანჯვის განმცდელი მაყურებელი შეიგრძნობდა ამ დროს. დიდი ქონების დაკარგვა მიწასთან გვასწორებს დღეს, ხოლო მაყურებელს ჩვენი მწუხარება აღელვებს; ერთი წლის შემდეგ თვით ჩვენ ამ ტანჯვას მხოლოდ მღელვარებით ვიგონებთ. სუსტი მუდამყამს მსხვერპლია თავისი ტანჯვისა, გმირი და ბრძენი კი მხოლოდ ღელავენ თავიანთი უაღრესი პირადი უბედურების გამო.

მღელვარება, ისევე როგორც ამაღლებულის გრძნობა, ორ შემადგენელ ნაწილს — ტანჯვასა და სიამოვნებას — შეიცავს; ამგვარად აქ, ისევე როგორც იქ, მიზანშეწონილობას საფუძვლად უდევს მიზანშეუწონლობა. ასე, მიზანშეუწონლობად გვეჩვენება ბუნებაში, რომ ადამიანი იტანჯება, თუმცა იგი ტანჯვისათვის არ არის დანიშნული, და ეს მიზანშეუწონლობა მწუხარებას გვგვრის. მაგრამ ეს მიზანშეუ-

წონლობით აღძრული მწუხარება მიზანშეწონილია ჩვენი გონიერი ბუნებისათვის საერთოდ და, რამდენადაც იგი მოქმედებისაკენ მოგვიწოდებს, მიზანშეწონილია ადამიანთა საზოგადოებისათვის. ამგვარად, იმ უსიამოვნების გამო, რომელსაც ჩვენში მიზანშეუწონლობა აღძრავს, აუცილებლად სიამოვნება უნდა განვიცადოთ, რადგან ეს უსიამოვნება მიზანშეწონილია. განსაზღვრა იმისა, მღელვარების დროს სიამოვნება იქნება უფრო საგრძნობი თუ უსიამოვნება, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სჯარბობს — მიზანშეუწონლობის წარმოდგენა თუ მიზანშეწონილობისა, ხოლო ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს ან მიზანთა მრავლობაზე, რომელთაც ახორციელებენ ან უგულებელყოფენ, ან მათს მიმართულებაზე ყველა მიზნის უკანასკნელ მიზანთან.

სათნო ადამიანის ტანჯვა უფრო მტკივნეულად გვაღელვებს, ვიდრე ბიწიერისა, რადგან პირველი შემთხვევა არა მხოლოდ ადამიანის ზოგად მიზანს — ბედნიერად ყოფნას — ეწინააღმდეგება, არამედ ამასთანავე განსაკუთრებულ მიზანსაც, რომ სათნოება ბედნიერებას ანიჭებდეს, ხოლო მეორე შემთხვევა მხოლოდ პირველ მიზანს ეწინააღმდეგება. პირიქით, ბოროტმოქმედის ბედნიერებას უფრო მეტი გულისტკივილით განვიცდით, ვიდრე სათნო კაცის უბედურებას, რადგან, ჯერ ერთი, თვით ბიწიერება; ხოლო მეორედ, ბიწიერების დაჯილდოება მიზანშეუწონლობას შეიცავს.

გარდა ამისა, სათნოებას გაცილებით მეტი უნარი აქვს თავისი თავის დაჯილდოებისა, ვიდრე ბედნიერ ბიწიერებას თავის დასჯისა; სწორედ ამის გამო უმალ პატიოსანი კაცი უბედურებაშიც სათნოების ერთგული დარჩება, ვიდრე ბიწიერი კაცი ბედნიერებაში სათნოებისაკენ მოიქცეოდეს.

მაგრამ მღელვარებაში სიამოვნების უსიამოვნებისადმი მიმართების განსაზღვრება უპირატესად დამოკიდებულია იმაზე. უარყოფილი მიზანია მიღწეულზე უფრო მნიშვნელოვანი, თუ მიღწეული — უარყოფილზე. არც ერთი მიზანშეწონილობა არ არის ჩვენთვის ისე ახლობელი, როგორც მორალური, და ვერაფერი აღემატება იმ სიამოვნებას, რომელსაც ეს უკანასკნელი გვაგრძობინებს. ბუნებრივი მიზანშეწონილობა მუდამ პრობლემატურია, მორალური კი ცხადი. მხოლოდ იგი ეფუძნება ჩვენს გონიერ ბუნებას და შინაგან აუცილებლობას. ის ჩვენთვის უახლოესი, უმნიშვნელოვანესი და ყველაზე უფრო შეცნობადია, რადგან არაფრით არ განისაზღვრება გარედან, არამედ ჩვენი გონების შინაგანი პრინციპით. იგი ჩვენი თავისუფლების პალადიუმია.

ეს მორალური მიზანშეწონილობა უფრო ცხოველად შეიცნობა მაშინ, როდესაც იგი უპირატესობას ინარჩუნებს სხვა მიზანშეწონილობასთან ბრძოლაში; ზნეობრივი კანონის მთელი ძლიერება მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როდესაც იგი ყველა დანარჩენ ბუნებრივ ძალასთან ბრძოლაშია ჩაბმული და ყველა ისინი მის გვერდით კარგავენ თავიანთ უფლებამოსილებას ადამიანის გულზე. ამ ბუნებრივ ძალებად იგულისხმება ყოველივე ის, რაც მორალური არ არის, ყოველივე, რაც გონების უმაღლეს კანონმდებლობას არ ემორჩილება; სახელდობრ, შეგრძნებანი, მიდრეკილებანი, აფექტები, ვნებები, ისევე როგორც ფიზიკური აუცილებლობა და ბედისწერა. რაც უფრო საშიშია მოწინააღმდეგე, მით უფრო სასახელოა გამარჯვება; მხოლოდ წინააღმდეგობას შეუძლია გამოაჩინოს ძალა. აქედან გამომდინარეობს, „რომ ჩვენი მორალური ბუნების უმაღლესი შეგნება მხოლოდ ჭალმომრეობითს მდგომარეობაში, ბრძოლაში, შეიძლება შევინარჩუნოთ და რომ უმაღლეს მორალურ სიამოვნებას მუდამ თან ახლავს ტანჯვა“.

ამგვარად, პოეზიის იმ სახემ, რომელიც უმაღლესი ხარისხის სიამოვნებას გვანიჭებს, სწორედ ამის გამო ნარევი შეგრძნებანი უნდა გამოიყენოს და ჩვენში სიამოვნება მწუხარების მეშვეობით გამოიწვიოს. ამას უპირატესად ტრაგედია ასრულებს და მისი სფერო ყველა იმ შესაძლებელ შემთხვევას მოიცავს, რომლებშიც ან მხოლოდ ბუნებითი მიზანშეწონლობა ეწირება მსხვერპლად მორალურს, ანდა თვით მორალური მიზანშეწონილობა ისევ მორალურს, ოღონდ მასზე უფრო მაღალს. ალბათ, შეუძლებელი არ იქნებოდა, იმის მიხედვით, თუ ერთი მორალური მიზანშეწონილობა რამდენად გამოვლინდება და შეიგრძნობა მეორესთან წინააღმდეგობაში, აღგვეშართა სიამოვნების კიბე უდაბლესიდან უმაღლესამდის და სასიამოვნო ან ტანჯვითი მღელვარების ხარისხი აპრიორულად განგვესაზღვრა მიზანშეწონილობის პრინციპის მიხედვით. შეიძლება სწორედ ამ პრინციპიდან გამოვიყვანოთ ტრაგედიის წესები და მისი ყველა შესაძლო კლასი სრულყოფილ ცხრილში აპრიორულად ამოვწეროთ ისე, რომ შესაძლებლობა გვექნეს, ყოველ მოცემულ ტრაგედიას თავისი ადგილი მივუჩინოთ და წინასწარ განვსაზღვროთ მღელვარების როგორც სახე, ისე ხარისხი, რომლის ზევითაც იგი თავისი სპეციფიკის გამო ვერ ამაღლდება. მაგრამ

ეს საგანი განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს.

თუ რამდენად მეტი უპირატესობა ეძლევა ჩვენს სულში მორალურ მიზანშეწონილობას ბუნებითს მიზანშეწონილობასთან შედარებით, ამას ნათლად გავიგებთ ცალკეული მაგალითებიდან.

როდესაც ჩვენ წამების ბოძზე მიკრულ ჰიუონსა და ამანდას ვხედავთ, რომლებიც მზად არიან ნებაყოფლობით აირჩიონ უმალ საშინელი სიკვდილი კოცონზე, ვიდრე საყვარელი არსებისადმი ღალატით ტახტის მოპოვება — რა ხდის ამ სურათს ესოდენ ციური სიამოვნების საგნად? წინააღმდეგობამ მათს ახლანდელ მდგომარეობასა და იმ მოღიმარ ბედს შორის, რომელიც მათ უგულებელყვეს, მოჩვენებითმა მიზანშეუსაბამობამ ბუნებისამ, რომელიც სათნოებას უბედურებით აჯილდოებს, თვითმყვარეობის არაბუნებრივმა უარყოფამ და ა. შ., რაკი ის მიზანშეუწონლობის ამდენ წარმოდგენას იწვევს ჩვენს სულში, უაღრესი მწუხარებით უნდა აგვავსოს, მაგრამ რას გვედარდება ჩვენ ბუნება ყველა მისი მიზნითა და კანონით, უკეთუ იგი თავისი მიზანშეუსაბამობით საბაბია მთელი თავისი ბრწყინვალებით გვიჩვენოს მორალური მიზანშეწონილობა ჩვენში? ზნეობრივი კანონის გამარჯვებული ძლიერების განცდა, რომელსაც ჩვენ ამ სანახაობის დროს მივიღებთ, იმდენად მაღალი, იმდენად არსებითი სიკეთეა, რომ ჩვენ ცთუნებასაც კი განვიცდით შევურიგდეთ ამ ბოროტებას, რომელსაც ამას უნდა ვუმადლოდეთ. თავისუფლების სამეფოში არსებული ჰარმონია უსასრულოდ მეტ სიამოვნებას იწვევს ჩვენში, ვიდრე ბუნების სამყაროში არსებული ყველა წინააღმდეგობა ჩვენს შეშფოთებას შეძლებდა.

როდესაც მეუღლის, შვილისა და მოქალაქის მოვალეობისაგან ძლეული კორიოლანუსი უკვე თითქმის დაპყრობილ რომს ტოვებს, თავის შურისძიებას ახშობს, უკან აბრუნებს თავის ლაშქარს და თავისი მოშურნე მეტოქის სიძულვილს მსხვერპლად ეძლევა, ცხადია, ის მეტად მიზანშეუწონლად იქცევა; ამ ნაბიჯით იგი კარგავს არა მარტოოდენ ყველა აქამდელი გამარჯვების ნაყოფს, არამედ წინასწარი განზრახვით მიექანება დაღუპვისაკენ, მაგრამ, მეორე მხრივ, რაოდენ წარმტაცია, რაოდენ გამოუთქმელად დიადია მიდრეკილებასთან წინააღმდეგობა გაბედულად ამჯობინო ზნეობრივ გრძნობასთან წინააღმდეგობას და იმგვარად, რომ მგრძნობელობის უმაღლესი ინტერესების საწინააღმდეგოდ დაარღვიო კეთილგონიერების წესები, რათა მაღალ მორალურ მოვალეობასთან შეთანხმებულად იქცეოდე! სიცოცხლის ყოველგვარი განწირვა მიზანშეუწონელია, რადგან სიცოცხლე პირობაა ყოველი სიკეთისა; მაგრამ სიცოცხლის განწირვა მორალური განზრახვით უაღრესად მიზანშეწონილია, რადგან სიცოცხლე მნიშვნელოვანია არა თავისთავად, არა როგორც მიზანი, არამედ როგორც საშუალება ზნეობისათვის. ამგვარად, თუ იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც სიცოცხლის მსხვერპლად გაღება ზნეობის საშუალებად ხდება, სიცოცხლემ უნდა დაუთმოს ზნეობას. „არ არის აუცილებელი მე ვცოცხლობდე, მაგრამ აუცილებელია რომი შიმშილისაგან ვიხსნა“, ამბობს დიდი პომპეუსი, როდესაც იგი აფრიკიდან გემით უნდა გაემგზავროს და მეგობრები კი სთხოვენ გადადოს თავისი გამგზავრება, სანამ ქარიშხალი ჩადგებოდეს.

მაგრამ დამნაშავის ტანჯვა არა ნაკლები ტრაგიკული სიამოვნების შემცველია, ვიდრე სათნო ადამიანისა; და მაინც ჩვენ აქ მიზანშეუსაბამობის წარმოდგენას ვიღებთ. მისი მოქმედების წინააღმდეგობამ ზნეობრივი კანონისადმი უნდა აღგვაშფოთოს, მორალურმა არასრულყოფილებამ, რასაც ამგვარი საქციელი გულისხმობს, მწუხარებით უნდა აგვავსოს, მაშინაც კი, თუ ჩვენ ანგარიშში არ მივიღებდით იმ უდანაშაულო უბედურებს, რომლებიც მსხვერპლად დაეცნენ. აქ არ არის კმაყოფილება მოქმედ პირთა მორალურობის გამო, რაც შეძლებდა ჩვენს დაჯილდოებას იმ ტანჯვისათვის, რასაც ჩვენ მათი მოქმედებისა და ტანჯვის გამო განვიცდით — და მაინც, ხელოვნებისათვის ორივე მადლიანი საგანია, რომელსაც ჩვენ დიდი სიამოვნებით ვადევნებთ თვალყურს. ძნელი არ იქნება ვაჩვენოთ ამ მოვლენის თანხმობა აქამდის ნათქვამთან.

არა მხოლოდ ზნეობრივი კანონისადმი მორჩილება გვაძლევს ჩვენ მორალური მიზანშეწონილობის წარმოდგენას, არამედ მისი დარღვევით გამოწვეული მწუხარებაც იწვევს ამას. მწუხარება. რომელსაც მორალური არასრულყოფილების შეგნება იწვევს, მიზანშეწონილია, რადგან ის უპირისპირდება კმაყოფილებას, რომელიც მორალურ სამართლიანობას ახლავს. სინანული, თვითგანკითხვა, თავის უმაღლეს საფეხურზე — სასოწარკვეთილებაშიც კი, — მორალურად ამაღლებულია, რადგან მათი შეგრძნობა შეუძლებელი იქნებოდა, დამნაშავის მკერდში რომ არ ფხიზლობდეს სამართლიანობისა და უსამართლობის მოუსყიდველი გრძნობა და რომ იგი თავის უფლებებს არ აცხადებდეს თვითმყვარეობის მძაფრი ინტერესების

საწინააღმდეგოდ. სინანული რაიმე საქმის გამო წარმოიშვება მისი შედარებისაგან ზნეობრივ კანონთან და არის ამ საქმის დაგმობა, რადგან იგი ეწინააღმდეგება ზნეობრივ კანონს. ამგვარად, ასეთი კაცის სულში სინანულის მომენტში ზნეობრივი კანონი უმაღლესი ინსტანცია უნდა იყოს; ეს მისთვის უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე თვით დანაშაულის ჯილდო, ოადგან დარღვეული მორალური კანონის შეგნება ამ ჯილდოს სიტკბოებას უშხამავს. მაგრამ სულის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ზნეობრივი კანონი უმაღლეს ინსტანციად არის აღიარებული, მორალურად მიზანშეწონილია და, ამგვარად, მორალური სიამოვნების წყაროა. ხოლო რა შეიძლება უფრო ამაღლებული იყოს, ვიდრე გმირული სასოწარკვეთილება, რომელიც სიცოცხლის ყველა სიკეთეს და თვით სიცოცხლესაც მტვრად აქცევს, რადგან არ შეუძლია აიტანოს და ჩაახშოს თავისი შინაგანი მსჯულის განმკიცხველი ხმა? სათნო კაცი საკუთარი ნებით სწირავს თავის სიცოცხლეს, რათა ზნეობრივი კანონის შესატყვისად მოიქცეს, თუ დამნაშავე სინდისის იძულებით საკუთარი ხელით ღუპავს თავის სიცოცხლეს, რათა თავი დაისაჯოს ამ კანონის შელახვისათვის, სულერთია, ჩვენი პატივისცემა ზნეობრივი კანონისადმი ერთნაირად მაღლდება; და თუ განსხვავება იქნებოდა, უმალ უკანსკნელის სასარგებლოდ, რადგან ჭამართლიანი ქცევის გამბედნიერებელი შეგნება სათნო კაცს ერთგვარად შეუმსუბუქებდა გადაწყვეტილებას, ხოლო მორალური დამსახურება რაიმე ქცევაში მით უფრო ნაკლებია, რამდენადაც მასში მიდრეკილება და სიამოვნება მონაწილეობს. სინანული და სასოწარკვეთილება ჩადენილი დანაშაულის გამო ზნეობრივი კანონის ძლიერებას მხოლოდ უფრო გვიან გვიჩვენებს, მაგრამ არა უფრო სუსტად; ეს არის ამაღლებული ზნეობის სურათები, ოღონდ იძულებითს მდგომარეობაში მოხაზული. ადამიანი, რომელიც სასოწარკვეთილებას მისცემია დარღვეული მორალური მოვალეობის გამო, სწორედ ამით უკანვე უბრუნდება ამ კანონისადმი მორჩილებას, და რაც უფრო საშინელია მისი თვითგანკითხვა, მით უფრო მძლავრი ჩანს ზნეობრივი კანონი, რომელიც მას უბრძანებს.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მორალური სიამოვნება მხოლოდ მორალური ტანჯვით მოიპოვება, და ეს ხდება მაშინ, როდესაც უნდა დაირღვეს ერთი მორალური მოვალეობა, რათა უფრო მაღალი და ზოგადი მოვალეობის შესაბამისად მოვიქცეთ. კორიოლანოსი თავისი ქშობლიური ქალაქის ნაცვლად რომაელთა ლაშქრით ანციუმის ან კორიოლის წინ რომ მდგარიყო, მისი დედა რომ ვოლსკი ყოფილიყო და მის თხოვნას ასეთივე გავლენა მოეხდინა მასზე, მაშინ შვილური მოვალეობის ეს გამარჯვება საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვენზე. მაშინ დედისადმი პატივისცემას დაუპირისპირდებოდა გაცილებით უფრო მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობა, რომელიც კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობის ღირსია. ის კომენდანტი, რომელმაც არჩევანი უნდა მოახდინოს — ან ქალაქი ჩააბაროს ან უცქიროს, თუ როგორ განუგმირავენ თვალწინ დატყვევებულ შვილს, უყოყმანოდ ირჩევს უკანასკნელს, რადგან შვილის წინაშე მოვალეობა სამართლიანად ემორჩილება სამშობლოს წინაშე მოვალეობას. მართალია, პირველ წუთებში ჩვენი გული აღშფოთებულია, რომ მამა ბუნებრივი მიდრეკილებისა და შვილის წინაშე მოვალეობის საწინააღმდეგოდ იქცევა, მაგრამ მალე სასიამოვნო განცვიფრება გვიპყრობს იმის გამო, რომ თვით მორალურ სტიმულსაც, ბუნებრივ მიდრეკილებასთან შეუღლებულსაც კი, არ ძალუძს გადააცდინოს გონება მის კანონდებულებას. როდესაც კორინთოელი ტიმოლეონი ნებას რთავს მოკლან მისი საყვარელი, მაგრამ პატივმოყვარე ძმა ტიმოფანე, რადგან მისი შეხედულება პატრიოტულ მოვალეობაზე ავალებს მოსპოს ყოველივე ის, რაც საფრთხეს უქმნის რესპუბლიკას, ჩვენ, მართალია, არა ძრწოლისა და ზიზღის გარეშე ვხედავთ, თუ როგორ სჩადის იგი ამ ბუნებისა და მორალური გრძნობის საწინააღმდეგო საქციელს, მაგრამ ჩვენი ზიზღი მალე გადადის გმირული სათნოებისადმი პატივისცემაში, სათნოებისა, რომელიც თავის განაჩენს იცავს მოდრეკილების ყოველგვარი უცხო გავლენისაგან და გრძნობათა ქარიშხლისებურ კვეთებაში ისევე თავისუფლად და სწორად გამოაქვს გადაწყვეტილება, როგორც უღრმესი სიმშვიდის მდგომარეობაში. ჩვენ შეიძლება რესპუბლიკურ მოვალეობაზე სულ სხვანაირად ვფიქრობდეთ, ვიდრე ტიმოლეონი; ეს ჩვენს სიამოვნებაზე ვერ ახდენს გავლენას. პირიქით, სწორედ ისეთ შემთხვევებში, როცა ჩვენი განსჯა არ არის მოქმედი პირის მხარეზე, ჩვენ შევიცნობთ, თუ მიზანშეწონილობაზე რაოდენ მაღლა ვაყენებთ მოვალეობას, განსჯასთან თანხმობაზე რაოდენ მაღლა — გონებასთან თანხმობას.

არც ერთ მორალურ მოვლენაზე არ მსჯელობენ ადამიანები ისე სხვადასხვანაირად, როგორც

სწორედ ამაზე, და ამ განსხვავების საფუძვლის პოვნა არცთუ ისე ძნელია. მართალია, მორალური გრძნობა ყოველ ადამიანს გააჩნია, მაგრამ ყველას არა აქვს იმ სიძლიერითა და თავისუფლებით, როგორც ამ შემთხვევების განსასჯელადაა საჭირო. უმრავლესობისათვის საკმარისია მოიწონონ საქციელი, თუ მისი თანხმობა ზნეობრივ კანონთან ადვილშესამჩნევია, და უკუაგდონ სხვა, თუ მისი წინააღმდეგობა ამ კანონისადმი თვალსაჩინოა. მაგრამ ნათელ განსჯასა და ყოველგვარი ბუნებრივი ძალისაგან, მაშასადამე, მორალურ მიდრეკილებათაგან (რამდენადაც ისინი ინსტინქტურად მოქმედებენ) დამოუკიდებელ გონებას მოეთხოვება სწორად განსაზღვროს მორალურ მრავალეობათა მიმართება ზნეობის უმაღლესი პრინციპისადმი. ამიტომ ერთი და იგივე საქციელი, რომელშიც ერთეულები უმაღლეს მიზანშეწონილობას შეიცნობენ, ბრბოს აღმაშფოთებელ წინააღმდეგობად მოეჩვენება, თუმცა ორივენი მორალურად მსჯელობენ; აქედანაა, რომ ამგვარი საქციელით გამოწვეული მღელვარება ყველაზე არ ვრცელდება, როგორც ეს ადამიანთა ბუნების ერთიანობისა და მორალური კანონის აუცილებლობის მიხედვით არის მოსალოდნელი. მაგრამ თვით უჭეშმარიტესი და უაღრესი ამაღლებულიც კი, როგორც ცნობილია, ბევრისათვის გადაჭარბება და უაზრობაა, რადგან გონება, რომელიც ამაღლებულს შეიცნობს, ყველას ერთნაირი ზომით არა აქვს. პატარა სული ისრისება ესოდენ დიადი წარმოდგენის სიმძიმის ქვეშ ან მწვავედ განიცდის მისი მორალური სიდიადის მიუწვდომლობას. განა მდაბიო ბრბო საკმაოდ ხშირად საზიზღარ უაზრობას არ ხედავს იქ, სადაც მოაზროვნე სული სწორედ უმაღლეს წესრიგს შეხარის?

აი ყველაფერი მორალური მიზანშეწონილობის გრძნობის შესახებ, რამდენადაც ის საფუძვლად უდევს ტრაგიკულ მღელვარებასა და ტანჯვით გამოწვეულ ჩვენს სიამოვნებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის საკმაო შემთხვევები, როდესაც ჩვენ გვსიამოვნებს ბუნებრივი მიზანშეწონილობა მორალურის ხარჯზე. ბოროტმოქმედის უაღრესი თანამიმდევრობა თავისი ფანდების მოწყობაში აშკარად გვსიამოვნებს, თუმცა მისი ღონისძიებები და მიზანი ეწინააღმდეგება ჩვენს მორალურ გრძნობას. ასეთ კაცს შეუძლია ჩვენი უცხოველესი თანაგრძნობა მოიპოვოს, და ჩვენ ვძრწით იმ გეგმის მარცხის წინაშე, რომლის ჩაშლაც გულმხურვალედ უნდა გვსურდეს, ყველაფერს მართლაც მორალურ მიზანშეწონილობას რომ ეუფარდებდეთ. მაგრამ ეს მოვლენაც ვერ აქარწყლებს იმას, რაც აქამდის მტკიცდებოდა მორალური მიზანშეწონილობის გრძნობისა და მისი გავლენის შესახებ ტრაგიკული მღელვარებით გამოწვეულ ჩვენს სიამოვნებაზე.

მიზანშეწონილობა ყოველგვარ გარემოებაში სიამოვნებას გვანიჭებს, თუნდაც მას არავითარი მიმართება არ ჰქონდეს ზნეობასთან ან ეწინააღმდეგებოდეს მას. ჩვენ წმინდა სიტკბოებას განვიცდით ამ სიამოვნებისაგან, სანამ არ გვახსოვს ის ზნეობრივი მიზანი, რომელიც ამით ირღვევა. როგორც ჩვენ გვსიამოვნებს ცხოველების განსჯისმაგვარი ინსტინქტი, ფუტკრებისა და სხვა მისთანათა ოსტატური სიბეჯითე გამსჯელ ნებასთან, მით უფრო ნაკლებ, მორალურ მიზანთან ამ ბუნებრივი მიზანშეწონილობის შეუფარდებლად, ასევე გვსიამოვნებს ყოველი ადამიანური საქმის მიზანშეწონილობა თავისთავად, ვიდრე ჩვენ სხვას არაფერს ვხედავთ მასში, გარდა საშუალების მიმართებისა მიზანთან. მაგრამ თუ ჩვენ განვიზრახავთ ეს მიზანი თავისი საშუალებითურთ მორალურ პრინციპს შეუუფარდოთ და აღმოვაჩენთ წინააღმდეგობას უკანასკნელთან, მოკლედ, როდესაც გავიხსენებთ, რომ ეს მორალური არსების მოქმედებაა, თავდაპირველი სიამოვნების ადგილს ღრმა აღშფოთება იჭერს, და არავითარ, თუნდაც ესოდენ დიდად განსჯისეულ მიზანშეწონილობას არ შეუძლია შეგვარიგოს მორალურ მიზანშეუწონლობის წარმოდგენასთან. ჩვენ არასოდეს არ უნდა წარმოვიდგინოთ ცხოვლად, რომ ეს რიჩარდ III, ეს იაგო, ეს ლოველასი ადამიანები არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი თანაგრძნობა აუცილებლად თავის საწინააღმდეგო გრძნობად გადაიქცევა. მაგრამ რომ ჩვენ გვაქვს უნარი, და საკმაოდ ხშირადაც ვიყენებთ მას, — ნებისმიერად ჩამოვაშოროთ ჩვენი ყურადღება საგნის ამა თუ იმ მხარეს და მეორე მხარეზე გადავიტანოთ, რომ თვით სიამოვნება, რომელიც ჩვენთვის მხოლოდ ყურადღების ამ განაწილების საშუალებით არის შესაძლებელი, ამისაკენ გვიწვევს და ამაზე გვაჩერებს, ეს მტკიცდება ყოველდღიური გამოცდილებით.

მაგრამ არაიშვიათად გონებამახვილური ბოროტმოქმედება უმთავრესად იმიტომ იხეჭს ჩვენს კეთილგანწყობილებას, რომ ის საშუალებაა მოგვანიჭოს მორალური მიზანშეწონილობის სიამოვნება. რაც უფრო საშიშია ის მახე, რომელსაც ლოველასი კლარისას სათნოებას უგებს, რაც უფრო მძაფრია ის გამოცდა, რომელშიც დესპოტის მოხერხებული მძვინვარება თავისი უდანაშაულო მსხვერპლის შეუპოვრო-

ბას აგდებს, მით უფრო ბრწყინვალე ჩანს მორალური მიზანშეწონილობის ტრიუმფი. ჩვენ გვახარებს მორალური მოვალეობის გრძნობის ძლიერება, რომელიც მაცთურის გამომგონებლობითს ძალას აიძულებს ასე დაიძაბოს. პირიქით, ჩვენ ერთგვარ დამსახურებად ვუთვლით თანამიმდევარ ბოროტმოქმედს იმ მორალური გრძნობის დაძლევას, რომლის შესახებაც ჩვენ ვიცით, რომ ის უსათუოდ არსებობს მასში, რადგან სულის გარკვეულ სიმტკიცესა და განსჯის დიდ მიზანშეწონილობას მოწმობს, რომ ვერავითარმა მორალურმა გრძნობამ ვერ შეგაფერხოს შენს მოქმედებაში.

სხვათა შორის, უცილობელია, რომ მიზანშეწონილი ბოროტება მხოლოდ მაშინ შეიძლება სრული კმაყოფილების საგანი გახდეს, როცა მას მორალური მიზანშეწონილობა აწბილებს. ასეთ შემთხვევაში იგი არის არსებითი პირობა მაღალი კმაყოფილებისა, რადგან მხოლოდ მას ძალუძს სწორად გაანათოს მორალური გრძნობის ძლევამოსილება. არ არსებობს ამის უფრო დამარწმუნებელი საბუთი, ვიდრე ის უკანასკნელი შთაბეჭდილება, რომლითაც გვტოვებს „კლარისას" ავტორი. უაღრეს განსჯისეულ მიზანშეწონილობას, რომელიც უნებლიეთ გვხიბლავდა ლოველასის სამაცთურო გეგმაში, დიდებულად ამარცხებს გონებისეული მიზანშეწონილობა, რომელსაც კლარისა უპირისპირებს თავისი უმანკოების ამ საშინელ მტერს, და ამის შედეგად ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ორივე მიზანშეწონილობის სიამოვნება უმაღლეს ხარისხში გავაერთიანოთ.

რამდენადაც ტრაგიკული პოეტი მიზნად ისახავს ნათელ ცნობიერებამდის მიიყვანოს მორალური მიზანშეწონილობის გრძნობა და რამდენადაც იგი ამ მიზნის განსახორციელებელ საშუალებას გონივრულად ირჩევს და იყენებს, ამდენად ის მცოდნეს უდამ ორმაგი სახის სიამოვნებას მიანიჭებს მორალური მიზანშეწონილობისა და ბუნებრივი მიზანშეწონილობის საშუალებით. პირველით იგი გულს დააკმაყოფილებს, მეორით — განსჯას. ბრბო ერთნაირი სიბრმავით გაჰიცდის ხელოვანის მიერ გულისათვის გამიზნულ მოქმედებას, ისე რომ ვერ ამჩნევს იმ მაგიას, რომლის დახმარებითაც ხელოვანება იჩენს ამ ძალას მასზე. მაგრამ არსებობს გარკვეული ჯგუფი მცოდნეებისა, რომელთა მიმართ ხელოვანი, პირუკუ, კარგავს გულისათვის გამიზნულ ზემოქმედებას, მაგრამ რომელთა გემოვნებასაც ის იგებს ამ მიზნისათვის გამოყენებულ საშუალებათა მიზანშეწონილობით. ამ თავისებურ წინააღმდეგობაში ხშირად გადაგვარებას განიცდის გემოვნების ფაქიზი კულტურა, განსაკუთრებით იქ, სადაც მორალური გაკეთილშობილება ჩამორჩება გონების კულტურას. ამ სახის მცოდნეები ამაღელვებელსა და ამაღლებულში მხოლოდ განსჯისეულს ეძებენ; ამას ისინი გრძნობენ და ამოწმებენ უაღრესად სწორი გემოვნებით, მაგრამ საფრთხილოა მათ გულს მიმართო. ხანდაზმულობასა და კულტურას მივყავართ ჩვენ საფრთხემდის, და ბედნიერად სძლიო ორივეს დამღუპველ გავლენას, დიდად საქებურია განათლებული ქაცის ხასიათისათვის. ევროპელ ერთა შორის ამ უკიდურესობას ყველაზე მეტად ჩვენი მეზობლები, ფრანგები, მიუახლოვდნენ, და ჩვენ, როგორც ყველაფერში, ისე აქაც, ამ ნიმუშისაკენ ვისწრაფვით.

თარგმნა გერმანულიდან **რუგოუფ ლისა**

დავით კომახიძე

* *

მამია ვარშანიძის ლექსები

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ბათუმში მომუშავე ნიჭიერ პოეტს მამია ვარშანიძეს, რომლის საინტერესო ლექსები აღბეჭდილია უშუალობით, სიწრფელითა და სისადავით. პოეტის ამ კარგ თვისებებზე მკაფიოდ მეტყველებს ბოლო დროს აჭარის სახელგამის მიერ გამოცემული მისი ლექსთა კრებული „მთის ყვავილები". ეს წიგნი ნათლად ადასტურებს პოეტის ზრდას. ლექსების თემა მრავალფეროვანია, ლირიკული გმირის სულიერი სამყარო მდიდარი და კეთილშობილური. პოეტი უმღერის საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომას, მათ წინსვლას კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ. პოეტს ახარებს მშობლიური საქართველოსა და დიდი რუსეთის დასმარებით თურქთა ბრჭყალებისაგან დახსნილი აჭარის აყვავება. აჭარის თვალწარმტაცი პეიზაჟის ხატვისას პოეტი არ ზოგავს ფერებს. კრებულში შეტანილ ლექსთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა „ბათუმი". აქ ყველა სიტყვა თავის ადგილზეა, ყოველი სახე ემსახურება ერთ მიზანს — იმავე გრძნობით გაიმსჭვალოს მკითხველი, როგორითაც გამსჭვალული იყო პოეტი. როცა ბავშვობისას სოფლიდან ჩამოსულმა პირველად ნახა მშობლიური ქალაქი ბათუმი:

მე გამიხარდა ქალაქის ნახვა
და ნეტარება ტანში მივლიდა,
დედამ დუქნები შემომატარა
და მოსირმული ქუდი მიყიდა.

და შემდეგ მეტად მოხდენილადაა გადმოცემული ბავშვის გულუბრყვილობა — დედა სოფლის გზას ვეღარ გაიგნებსო. დრო ვადიოდა. ის პაწია ბიჭი დავაჟკაცდა, მაგრამ

კვლავ ნათელია იმ დღეთა განცდა,
კვლავ იფურჩქნება ჩემი მიზნები...
მე დავასრულე ზრდა ყმაწვილკაცმა,
შენ კი ბათუმო ისევ იზრდები.

ჩემო ბათუმო, შენში ჰყვავიან
ჩემი ტოლების დღე და მიზნები,
მრავალ წლის შემდეგ გეტყვი სიმღერით
— მე მოვხუცდი და შენ კი იზრდები!

მგზნებარე პატრიოტიზმითაა გამსჭვალული ლექსი „მე მიყვარს":

მე მიყვარს ჩემი მდინარე,
ჩემი პატარა სოფელი,
სად „ბიჭო სესეს" ვუმღერდი
მერცხლებს შორიდან მოფრენილს,
ჩიტიც კი ეტრფის სამშობლოს,
მე ვიყო უარმყოფელი?!.

საინტერესოა ამავე მოტივზე აეღერებული ლექსები: „ეს პატარა კენჭები", „ირემი", „მერცხალი", „მდინარე", „ჩემი სახელი", „დედის ბაღჩა" და სხვ.

პოეტს აღაფრთოვანებს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგის მიღწევა. იგი ცდილობს ახლოს გაეცნოს შრომის გმირებს, მათს მისწრაფებებს, პოეტური სახეებით ვგაჩვენოს ის ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს. ამ მხრივ საინტერესოა ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრის, სოციალისტური შრომის გმირის ვარდო ბრუნჯაძისადმი მიძღვნილი ვრცელი ლექსი „ბარათები". ამ ნაწარმოებში კარგად არის ნაჩვენები, რომ სოციალისტურ სამშობლოში ყველასათვის ახლობელი და საყვარელია ადამიანი, რომელმაც შრომით გაითქვა სახელი. ვარდო ბრუნჯაძეს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოსდის გულწრფელი ბარათები. გამრჯე ქალიშვილს ულოცავენ გმირობას და უსურვებენ შემდგომ წარმატებებს. აი ვარდომ მიიღო ბარათი ამურელი ლიდია კლიმჩუკისაგან. მას ვარდოს წარმატება უსაზღვროდ ახარებს და მასთან დამეგობრება სურს:

დედა გკითხულობს, ჩემო ძვირფასო,
დედა გიგზავნის მშობლიურ ალერსს.
ამბობს: ბათუმში მე შვილი მყავსო,
გნატრულობს და სურს, რომ გნახოს მალე.

ვარდოს საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ მასაც სურს ლიდიასთან ახლოს იყოს, ფაქიზად ინახავს ლიდიას ბარათებს და ეპატიჟება — ჩამოდი, მეწვეო:

ნუ მალოდინებ — ჩამოდი, შნახე,
შენზე რამდენხანს უნდა ვიდარდო?!
გულში ვინახავ შენს ძვირფას სახელს,
გკოცნი, გეხვევი.
შენი და ვარდო.

ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური შოტივი ჟღერს ავრეთვე ლესია უკრაინკასა და გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსებში.

პოეტის ყურადღებას იპყრობს მსოფლიოში პროგრესულად მოაზროვნე, თავისუფლებისათვის გმირულად მებრძოლი ადამიანები. პოეტური სითბო იგრძნობა ბერძენი კომუნისტის ნიკოს ბელოიანნისისადმი მიძღვნილ ლექსში.

განსაკუთრებით საინტერესოა ლექსების ციკლი, მიძღვნილი გმირი საბჭოთა პოეტს მუსა ჯალილისადმი. როგორც ცნობილია, თათრეთის ნიჭიერი პოეტი გმირულად იბრძოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. დაჭრილი პოეტი ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ ვერ გასტეხეს მისი გმირული სული და დახვრიტეს. ციკლში ასახულია სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის წარმტაცი ცხოვრების ეპიზოდები. პოეტი წერს:

ჩემი სამშობლოს გმირო ვაჟკაცო,
მტერთან წამითაც დაუმუხლავო,
ჩემს საქართველოს შენს სახელს ვაცნობ
დე, შენზე ლექსმა დაიმეუხაროს.

ინტერესით იკითხება თბილისისადმი მიძღვნილი ლექსები. პოეტი უმღერის საქართველოს დედაქალაქს, მის მშრომელებს — ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. ლექსში „მესხი ვარ, ძმებო“ პოეტი წერს. წყეულიმც იყოს ბარბაროსი ავი სულთანი, რომ გადათელა უტურფესი მესხთა ქვეყანაო და უმღერის კრემლს, რომლის ჩახჩახა შუქი დაჰნათის სამშობლოს.

სიფაქიზითა და ღრმა ლირიზმითაა აღბეჭდილი სატრფიალო ლექსები. ლირიკული გმირის გრძნობა უაღრესად სპეტაკია:

სიხარულით ვწერ ამ პატარა
სიმღერის ბჭკარებს,
რადგან ჩემს გულში სიყვარულის
გაზაფხულია!
ერთი ტოლი მყავს, მეორეს ხომ
ვერ შევიყვარებ,
ორგული კაცი სიყვარულშიც
მარად კრულია.

ასევე სადა, მაგრამ მრავალმეტყველია ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „პირველი თოვლი“.

ამრიგად, სარეცენზიო კრებულში შეტანილი ლექსების უმრავლესობა მრავალფეროვანი და იდეურ-მხატვრულად გამართულია. მაგრამ მთლიანად წიგნი დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან. გვხვდება ზოგადი, სქემატური და მშრალი ლექსები, შეუსაბამი შედარებები. მაგალითად. ლექსში „შვილების სადღეგრძელო“ არის ასეთი სტრიქონები:

მარტივად გეტყვი: ეკალნარებში
ხომ გაგივლია?
მეტად მტანჯველი ტკივილები
ხომ იგრძენ გულში?
ო, ასეთია შვილის გაზრდა,
მაგრამ ტკბილია...

აშკარაა, რომ ასეთი პრიმიტიული შედარება სასურველ ემოციას ვერ აღძრავს მკითხველის გულში.

სუსტია ლექსი „ერთი შეხვედრის მოგონება“. პოეტს თბილისში შეხვედრია და გაუცვნია ქალიშვილი, მოსწონებია და ხოტბის საგნად უქცევია. მაგრამ მისი სახელი კი დავიწყებია და „შავთვალა“ დაურქმევია. განა შეიძლება ადამიანი გიყვარდეს და მისი სახელი დაგავიწყდეს?

პოეტი ზოგჯერ გატაცებულია ბრჭყვიალა, არაფრისმთქმელი სიტყვებით და ამით აღარიბებს პოეტურ სახეებს. განსაკუთრებით ხშირად ხმარობს იგი სიტყვა „ლამაზს“.

მამია ვარშანიძე ნაყოფიერი და მზარდი პოეტია. აღნიშნულ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით იგი შეძლებს მომავალში კიდევ უფრო დახვეწოს და სრულყოს თავისი ლექსები. ამით იგი საბოლოოდ დაიმკვიდრებს ნაჭიერი ლირიკოსი. პოეტის სახელს.

ვახტანგ მარგველაშვილი

* *

ფრიდონ ხალვაში — „ყველაზე ახლობელი“

პოეტის შემოქმედებითი გზა დაიწყო დიდი სამამულო ომის დღეებში. 1943 წელს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ დაიბეჭდა ლექსი საბჭოთა კავშირის გმირზე, მფრინავ ისრაფილ ჯინჭარაძეზე. ლექსის ტექსტი შემდეგში საფუძვლად დაედო ფართოდ გავრცელებულ ხალხურ სიმღერას სახელგანთქმულ გმირზე. ამ ლექსის ავტორი იყო სოფლის მასწავლებელი აჭარის მაღალმთიანი რაიონის სოფელ ცხმორისიდან — ფრიდონ ხალვაში.

მას შემდეგ გასული 12 წელი ოთხ დრო როდია პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის. ამ წლების მანძილზე გამოვიდა ფ. ხალვაშის რამდენიმე წიგნი; მთელი რიგი მისი ლექსებისა დაიბეჭდა რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ხოლო 1955 წელს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ფ. ხალვაშის ნაწარმოებთა კრებული „ყველაზე ახლობელი“, რომლითაც პოეტს უცდია ერთგვარად შეეჯამებინა თავისი შემოქმედებითი მუშაობის შედეგი, რისი უფლებაც, ცხადია, ჰქონდა.

კრებული „ყველაზე ახლობელი“ ნათლად მიუწმობს, რომ პოეტური გამოხატვის ფორმებით უაღრესად მდიდარ და მრავალფეროვან ქართული საბჭოთა პოეზიაში ფ. ხალვაში ცდილობს რაღაც საკუთარის შეტანას. ამაზე განსაკუთრებით მეტყველებს მისი პოეზიის თემატიკა. სიუჟეტები, სახეები, მჭიდროდ უკავშირდება პოეტის მშობლიურ მხარეს — აჭარას, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის ბუნებას, მთებს, ზღვას. ამ თემისადმია მიძღვნილი ლექსი, რომლითაც იხსნება კრებული, ამავე თემისადმია მიძღვნილი ბევრი სხვა ლექსიც: „აჭარა“, „სანაპიროდან“, „პალმის შტოს გადასწევ და იქით“..., „ბალადა მეჩონგურეზე“ და სხვ.

პოეტი ხშირად მიმართავს ისტორიულ თემატიკას. „ბალადაში მეჩონგურეზე“. ფ. ხალვაში გვიხატავს მოხუცი მეჩონგურის შთაგონებულ სახეს, რომელსაც:

> გულში შერჩა ნაპერწკლებად
> სხივი მზისანი.
>
> რომ ჩონგური აქვს — ქართველობის
> ერთი ნიშანი.

მართალია, მეჩონგურე განგმირა დამპყრობელმა ჯალათმა, მაგრამ მეჩონგურის თავისუფლებისმოყვარე სული მაინც ცოცხლობს ხალხში, რომელსაც კარგად ახსოვს ყველა ის, ვინც თავისი სისხლი, თავისი სიცოცხლე მშობლიური ქვეყნის სამსხვერპლოზე მიიტანა.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ისტორიული თემატიკა ფ. ხალვაშის ლექსებში ხანდახან ასახულია ცალმხრივად:

> და როდესაც ნასოფლარზე
> დარჩა მხოლოდ ღადარები,
> შეეხიზნენ მთას ქალები
> და ჩემსავით მოხუცები
> და თქვენსავით პატარები.
> ჭიატოვეს ეზო, კერა,
> მიატოვეს და ამ მთიდან
> გაჰყურებენ დამწვარ ქოხებს.

კვნესითა და ტირილითა — ჰყვება მოხუცი ბალადაში „მთა მტირალაზე“. სწორედ ამ კვნესა-ტირილის გამო დაერქვა მთას „მტირალა.“ ტირილსა და ცრემლზე წერს პოეტი ავრეთვე ლექსში „საცრემლე“. ყველაფერი ეს სწორია: უცხოელმა დამპყრობლებმა აუარაცხელი უბედურება და მწუხარება მოუტანეს აჭარის მოსახლეობას, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ უცხოელ დამპყრობთა მთელი ამ ხანგრძლივი ბატონობის მანძილზე აჭარის საუკეთესო შვილებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ გმირული ბრძოლა. პოეტს მოეთხოვებოდა ეჩვენებინა ხალხის თავისუფლებისათვის, დედა-სამშობლო საქართველოსთან შეერთებისათვის გაჩაღებული ამ შეუნელებელი და თავდადებული ბრძოლის სურათები.

პოეტი ისტორიულ თემას შემთხვევით არავროდეს არ მიმართავს. ჩვენი წინაპრების თაობების ბედსა და მისწრაფებაზე ფიქრი სამშობლოს სიყვარულის გამოხატულებაა. მაგრამ სამშობლოს სიყვარული მარტო ამით არ განისაზღვრება. პოეტი არ იზღუდება ისტორიული თემატიკის ჩარჩოებით. როგორც საბჭოთა პატრიოტი იგი პირველ რიგში აღფრთოვანებით უმღე-

რის ახალ, საბჭოთა საქართველოს, ჩვენს დღევანდელობას:

ჩემი ქალაქი ბრძოლითა და შრომით ვიდოდა,
რომ შეუდრეკი ყოფილიყო მისი მშვიდობა.
როგორ გაზრდილა, მხარი ცამდე აუწევია,
მის გათენებას დაღამება არ უწერია.

საბჭოთა საქართველოსადმი მშობლიური მხარისადმი და ქართველი ხალხისადმი სიყვარული ფ. ხალვაშის ლექსებში ორგანულად არის შერწყმული საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობასთან, ჩვენი დიდი ქვეყნის — სოციალიზმის ქვეყნის სიყვარულთან, საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის გრძნობასთან. პოეტი მიმართავს სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების მეგობრობის კონკრეტულ მაგალითებს, პოულობს ნათელ პოეტურ სახეებს. აი, თერგი—ქართველი და რუსი ხალხების ურღვევი, საუკუნეობრივი მეგობრობის თავისებური სიმბოლო (ლექსი „თერგი“). აი, საზეიმო სუფრა სოხუმში, რომელზედაც თავი შეუყრიათ რუსებს, ქართველებს, უკრაინელებს, ლეკებს, აფხაზებს... რა გულითადობით, რა წრფელი გრძნობებით არიან ისინი დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რაოდენ გულწრფელია ყოველი სიტყვა, ყოველი სადღეგრძელო!

ფ. ხალვაშის ლექსების მეტი ნაწილი თავისუფალია რიტორიულობისა და მსჯელობებისაგან. თვით ისეთი თემების გახსნის დროსაც, როგორიცაა ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მშვიდობისათვის ბრძოლის თემები, ფ. ხალვაში ცდილობს მკითხველს ელაპარაკოს პოეზიის ენით, მასზე ზემოქმედება მოახდინოს სახეებით.

საბჭოთა გემს დამშეული ინდოეთისათვის მიაქვს ყუბანის პური. მეორე გემი, რომელიც დატვირთულია ტანკებით, პუსანისაკენ მიემართება. თითქოსდა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ამბავია. მაგრამ აი რა განზოგადებას პოულობს ეს შემთხვევა „ბალადაში ორ გზაზე“:

ეს ორი გემი ორ გზას ადგია,
მათ ორნაირი დღე ელოდება,
პირველს მშვიდობის, ძმობის გზა ჰქვია,
მეორეს — ღამის გზა ეწოდება.

როცა პოლ რობსონს უსმენს, პოეტი ფიქრობს ამერიკელი ზანგების მძიმე ხვედრზე. მიუხედავად ამისა, ლექსის „რობსონი მღერის“ სტრიქონები გაჟღენთილია არა სევდით, არამედ ოპტიმიზმით:

მშვიდობის შუქი სიმღერას უნთებს,
მსოფლიო უსმენს მჭუხარე რობსონს.

მთელი რიგი ლექსები ფ. ხალვაშს მიძღვნილი აქვს საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი და მისი დამაარსებლის — მშობლიური ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი (ლექსები „დიდო პარტიავ“, „მოქანდაკე“, „რაზლივის ქოხი“, „ავრორა“). პოეტი პოულობს სათანადო ცოცხალ სახეებსა და მეტაფორმებს. მოქანდაკემ, რომელმაც გამოაქანდაკა ლენინის სახე, „ქვას წაართვა საოცარი საიდუმლონი“:

მიტომ იმატა განთიადმა
და ცა გაბრწყინდა,
ბაღში ზეიმობს
გაზაფხული გადარჩენილი
და ყოველ ფილით
მზესთან ერთად, ნათელ ამინდად
დედამიწაზე გადაივლის
თვითონ ლენინი.

კრებულში ფართოდ არის წარმოდგენილი ლირიკა, მაგრამ ფ. ხალვაში არ ისაზღვრება ვიწრო ინტიმური განცდებით. ამ ლექსებში ლირიკის თავისებურ გაგებას პოეტი იძლევა საზოგადოებრივისა და პირადის შეთავსების ასპექტში:

როცა მე ვშრომობ,
ლამაზია სიცოცხლე მაშინ,
როცა მე ვშრომობ
ძლიერებით ღელავს კუნთები,
სიყვარული და ფანტაზია
სინათლეს გაშლის,
როცა მე ვშრომობ
და მოღლილი სახლში ვბრუნდები.

ამბობს პოეტი ლექსში: „როცა მე ვშრომობ“... მაგრამ რა არის შრომა, თუ არა ღრმად საზოგადოებრივი, სოციალური მოვლენა? სწორედ საერთო შრომაში ეცნობიან ადამიანები ბედნიერებასა და მწუხარებას, სიყვარულსა და მეგობრობას. ამდენად სავსებით ბუნებრივად გაისმის, როცა პოეტი ამბობს:

სიყვარულიც ხომ სულის შრომაა.
ულამაზესი და გარდამქმნელი.

ფ. ხალვაშის ლირიკულ ლექსებში გვხიბლავს, გვახარებს და გვაღელვებს ცხოვრების უშუალო აღქმა, ტემპერამენტი, ნათელი საღებავების სიუხვე. ამ ციკლის საუკეთესო ლექსებია: „ვირწმუნე, რომ შენს ღიმილში“..., „ლოდინი“, „შენი თვალები“... და სხვ.

მაგრამ ლექსში „ექიმ ქალს“ პოეტმა ვერ შეძლო თემის ორიგინალური გადაწყვეტა, ამიტომ ამ ტრაფარეტული ლექსისადმი მკითხველი გულგრილი რჩება. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წარმატება პოეზიაში მხო-

ლოდ მაშინ მოდის, როცა პოეტური ნაწარმოები დაწერამდეა ღრმად განცდილი.

კრებულში შეტანილია ორი პოემა. პირველი მათგანი — „სინათლე“ მიძღვნილია სოციალისტური სოფლისადმი. პოემის გმირი — ჯემალ სალაძე საბჭოთა არმიის რიგებიდან მშობლიურ კოლმეურნეობაში ბრუნდება. მას ეუფლება სოფლის ელექტროსადგურის აგების სურვილი. მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბედინაძე მშენებლობის წინააღმდეგია. სალაძე კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გამოდის აღმაფრთოვანებელი სიტყვით და კრებაც მას ეხმრობა. ბედინაძე საჩივარს აღძრავს პარტიის რაიკომში. როცა ყოველივე მოისმინა, რაიკომის მდივანი სასწრაფოდ მიდის კოლმეურნეობაში და კოლმეურნეებს მიმართავს:

— ამხანაგებო, — მშვიდად დაიწყო, —
მე თქვენი აზრი მინდა გავიგო,
შესძლებთ თუ არა, ყანა აიღოთ
და მასთან ერთად ჰესიც აიგოს?

კოლმეურნეები პასუხობენ, რომ ერთსაც გააკეთებენ და მეორესაც. და მართლაც: ჰესიც ააგეს და მოსავალიც აიღეს!

ასეთია პოემის შინაარსი. ამის შემდეგ საკვლევით ცხადი უნდა იყოს, რომ პოემა დაწერილია რიტორულად, მოვლენების შეფერადებით, სინამდვილის არასაკმაო ცოდნით, მოკლებულია ცხოვრებისეულ კონფლიქტს. ენაც ღარიბი და უფერულია. პოემა გვაგონებს გარითმულ პროზას:

— მწყურია, შვილო, სიცოცხლე,
თუმცა სიბერემ დამჯაბნა, —
თქვა რიზამ
— მაგრამ აქა ხარ,
და ეს სიბერე ჯანაბას.

მეორე პოემაში ფ. ხალვაში ეხება საინტერესო და მარად ახალ თემას — სიყვარულის თემას. პოემასაც ასე ჰქვია „ლეგენდა სიყვარულზე“. მაგრამ პოეტმა ვერც ამ ნაწარმოებში შეძლო კონფლიქტის ცხოვრებისეული გადაწყვეტა, თუმცა იგი თავისი პოეტური ღირსებებით „სინათლეზე“ გაცილებით მაღლა დგას.

ფრიდონ ხალვაში უდავოდ ნიჭიერი პოეტია. ამას ნათლად მოწმობს სარეცენზიო კრებულის საუკეთესო ნაწარმოებები. წიგნის ნაკლოვანებები ზრდის თანმხლები ნაკლოვანებებია.

„ყველაზე ახლობელი“ — ასე ეწოდება ფ. ხალვაშის კრებულს. სამშობლო, კომუნისტური პარტია, ხალხი, ხალხთა მეგობრობა, მშვიდობა, სიყვარული — აი ის მაღალი, დიადი და კეთილშობილური, რაც პოეტისათვის ყველაზე ახლობელია. პოეტის ვალია მიაღწიოს იმას, რომ მთელი მისი შემოქმედება იყოს ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის მუდამ ახლობელი და გასაგები.

შინაარსი

ფრიდონ ხალვაში 33
- პარტიის ძალა . . . 3
- თუ არ გიყვარს ადამიანი... . . . 3
- ზამთარი დედაქალაქში . . . 4
- ფუტკარი მღერის . . . 4
- მიწის სურნელი . . . 5
- ვარსკვლავმრიცხველი . . . 5
- ოცნება სოფელზე მოსკოვში . . . 7
- ჩემი ყრმობის მეგობარი . . . 8
- მთის სიმფონია . . . 10

ილია რურუა
- პატარა მოთხრობები . . . 11

ნესტორ მალაზონია
- შენ რომ ცეცხლი წამიკიდე . . . 29
- მხოლოდ შენი სიახლოვე . . . 29
- არ არის გვიან . . . 30

ალექსანდრე ჩხაიძე
- გარდამავალი დროშა, რომელიც გამარჯვებულს არ გადაეცა . . . 31

მამია ვარშანიძე
- გაზაფხულის ბაღნარიდან . . . 45
- მარადიდი . . . 46
- მშობლიურო ჩემო კერავ . . . 47

ნანა გვარიშვილი
- ლამისყანის ბროლის წყაროვ! . . . 48
- ზღვა და თოლია . . . 48
- წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო! . . . 49
- რაჭველებო, გაგიმარჯოთ! . . . 49
- ნუ გამიჯავრდები . . . 49
- როდესღა გადიდარებს . . . 50
- ისევ ჩემს გოგონას . . . 50

პარმენ ლორია
- შემოქმედებითი აზრის გამარჯვება . . . 51

ჯემალ ჯაყელი
- ლენინის დროშით . . . 63
- ბათუმისადმი . . . 63
- მობრძანდით, ძმებო!.. . . . 64
- რად უნდა გერქვას მტირალა? . . . 64

ნოდარ ჯალალონია
- ძმობის სიმღერა . . . 65

ქსენია მუავია
- დედისადმი . . . 66

ნიკოლოზ თალაკვაძე
- დიდება მაისს! . . . 68
- როგორც ჯაშკაშა მზე ნათელ ზეცას... . . . 68

სულიკო ულენტი
- ნათელა . . . 69

შოთა როყვა
- ჩვენი მადლობა . . . 82
- აჭარის გზებზე
  1. დანდალოდან დოლოგნამდე . . . 82
  2. ხულოსაკენ . . . 83
  3. ციხეები . . . 84
  4. რთველი და წვიმა . . . 85

ბორის შენგელია
- აკვანი . . . 86

ინეზა ბერიძე
- ავდარში . . . 87
- ჩემს ქალიშვილს — იზოლდას . . . 87

შალვა შუბლაძე
- პალმის ქვეშ . . . 89

ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲐ 89
ᲕᲐᲠᲓᲗᲐᲜ 90

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲛᲔᲚᲘᲜ
ᲐᲒᲔᲠ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲒᲕᲘ 91
ᲑᲣᲜᲐᲠᲘ 91

ᲛᲘᲡᲔᲘᲚ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ
ᲣᲜᲓᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ 92

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲔᲚᲐᲫᲔ
ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲜᲐᲦᲕᲔᲠᲓᲐᲚᲘ 102
ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲘ ᲒᲣᲚᲝ! 103

ᲒᲘᲖᲝ ᲥᲔᲚᲘᲫᲔ
ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲢᲐᲘᲒᲐᲕ! 104

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ
ᲥᲣᲠᲥᲘ 105
ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ 105
„ᲡᲢᲘᲚᲘᲐᲒᲐ“ 106

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲔᲘᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲗᲕᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ 107
ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 107

ᲝᲠᲮᲐᲜ ᲥᲔᲛᲐᲚᲘ
ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ (ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘᲓᲐᲜ Ნ. ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ) 108

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲔᲡᲔᲜᲘᲜᲘ
ᲐᲜᲐ ᲡᲜᲔᲒᲘᲜᲐ (ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ) 113

ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔ
ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ 121

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

ᲨᲝᲗᲐ ᲥᲣᲠᲘᲫᲔ
ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲘᲗᲔᲚᲘ — ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ 133

ᲔᲚᲘᲡᲝ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ 142

ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲛᲐ ᲢᲧᲔᲑᲣᲩᲐᲕᲐ
ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ 150

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲐᲕᲚᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲘᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲢᲝᲢᲘᲞᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 152

ᲜᲔᲚᲘ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ
ᲠᲐᲟᲓᲔᲜ ᲒᲕᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 161

ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲛᲐᲚᲐᲖᲝᲜᲘᲐ
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ 171

ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ ᲨᲘᲚᲔᲠᲘ
ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲠᲣᲒᲝᲨᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ) 174

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ
ᲛᲐᲛᲘᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 182

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ — „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ“ 184

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Გ. ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔ�გᲘᲐ: პ. ᲚᲝᲠᲘᲐ, Ი. ᲠᲣᲠᲣᲐ, ᲐᲚ. ᲩᲐᲕᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲗᲝᲗᲝᲩᲐᲕᲐ, ᲤᲘ. ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ 1956 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ, ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ 12 ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲡ. 12.67 ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲓᲐ 13 ᲡᲐᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲝ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲓᲐ-ᲙᲕᲔᲗᲐ № 4317. ᲔᲛ01423. ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 2000.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ-ᲚᲘᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.
(ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ, 22).